

გიორგი ბერაია | დავით ზედელაშვილი | ჩიორა თაქთაქიშვილი | მანია კოპალეიშვილი

# სამართლიანი სასამართლოს უფლება

მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და  
მიუკერძოებლობის ინსტიტუციური გარანტიები





თავისუფალი და აგროკულტურული  
უნივერსიტეტების გამომცემლობა  
FREE AND AGRICULTURAL  
UNIVERSITIES PRESS



გიორგი ბერაია | დავით ზედელაშვილი | ჩიორა თაქთაქიშვილი | მანია კოპალეიშვილი

# სამართლიანი სასამართლოს უფლება

მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და  
მიუკერძოებლობის ინსტიტუციური გარანტიები



თბილისი  
2021



კვლევა მომზადებულია თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მიერ.

კვლევის ავტორები:

**გიორგი ბერაია**

*თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მონვეული ლექტორი, სამართლის მაგისტრი*

**დავით ზედელაშვილი**

*კვლევითი ინსტიტუტის Gnomon Wise-ის მკვლევარი, სამართლის მაგისტრი*

**ჩიორა თაქთაქიშვილი**

*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მონვეული ლექტორი, შპს Policy Daily-ის უფროსი მკვლევარი, სამართლის მაგისტრი*

**მაია კოპალეიშვილი**

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, სამართლის დოქტორი*

კვლევის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა განეული. კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან ავტორები. ის შეიძლება არ ასახავდეს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის, USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.



ISBN 978-9941-8-2549-1

© თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების გამომცემლობა, 2021

# სარჩევი

<b>შესავალი</b> .....	11
<b>I. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა სასამართლოს ინსტიტუციური და პერსონალური გარანტიების დაცვასთან მიმართებით</b> .....	15
შესავალი .....	15
1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკუთარი ინსტიტუციური დამოუკიდებლობისა და პერსონალური გარანტიების დაცვა.....	17
1.1 საკონსტიტუციო სასამართლოს ეფექტური ფუნქციონირების დაცვა – საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის არჩევის წესის კონსტიტუციურობა.....	20
1.1.1 განსხვავებული აზრი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის არჩევის წესის კონსტიტუციურად ცნობის ნაწილში .....	24
1.2 საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების ვადის საკითხი .....	25
1.3 საქმის განმხილველი კოლეგიის წევრის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმისთვის საქმის გადაცემის წესი და სამართლიანი სასამართლოს უფლება.....	27
1.3.1 განსხვავებული აზრი საქმის განმხილველი კოლეგიის წევრის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმისთვის საქმის გადაცემის წესის კონსტიტუციურად ცნობის ნაწილში .....	28
2. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკუთარი უფლებამოსილების დაცვა .....	30
2.1 სადავო აქტის მოქმედების შეჩერების კონკრეტული ვადით შეზღუდვის არაკონსტიტუციურობა .....	30
2.2 განმწესრიგებელი სხდომის ეტაპზე სადავო აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ სადავო რეგულირების კონსტიტუციურობა .....	33
2.3 სადავო აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ უფლებამოსილების პლენუმისადმი გადაცემის მარეგულირებელი წესის კონსტიტუციურობა .....	35

<b>3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საერთო სასამართლოს ინსტიტუციური დაცვა .....</b>	<b>37</b>
3.1 საქალაქო და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეების თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლების შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების დასაბუთება .....	37
3.1.1 განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის №3/2/717 გადაწყვეტილებაზე „საქართველოს მოქალაქეები მთვარისა კველიშვილი, ნაზი დოთიაშვილი და მარინა გლოველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ .....	41
3.2 უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კენჭისყრის პროცედურა - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 ივლისის №3/1/1459,1491 გადაწყვეტილება „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ .....	43
3.2.1 საქართველოს იუსტიციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების დასაბუთებულობისა და ფარულად მიღების საკითხი .....	44
3.2.2 განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 ივლისის №3/1/1459,1491 გადაწყვეტილებაზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ .....	46
3.2.2.1 ადგილობრივი და საერთაშორისო შეფასებების ანალიზი განსხვავებულ აზრში .....	49
3.2.2.2 საკანონმდებლო ცვლილება .....	56
3.3 საერთო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე განწესება 3 წლის ვადით .....	56
<b>4. შეკრების და მანიფესტაციის ჩატარების აკრძალვა მოსამართლის საცხოვრებელ ადგილას .....</b>	<b>58</b>
დასკვნა .....	62

<b>II. სამართლიანი სასამართლოს უზღუდა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკაში .....</b>	<b>63</b>
შესავალი .....	63
1. მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მოქმედების სფერო .....	70
შესავალი .....	70

1.1 სამოქალაქო სამართლებრივი სფერო.....	72
დასკვნა .....	77
1.2 სისხლისსამართლებრივი სფერო .....	77
დასკვნა .....	85
2. სამართალწარმოების სამართლიანობის გარანტიები.....	86
შესავალი .....	86
2.1 სამართალწარმოების სამართლიანობის ცნება და მისი გამოყენების თავისებურებანი .....	87
2.2 სასამართლო განხილვაში ეფექტური მონაწილეობის უფლება .....	90
2.3 მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა .....	93
2.4 მტკიცებულებათა ადმინისტრირება .....	98
2.5 სამართლის განჭვრეტადობა, სასამართლო პრაქტიკის თანმიმდევრულობა.....	100
2.6 სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთება.....	103
2.7 სისხლის სამართლის საქმის განხილვისთვის სპეციფიკური დამატებითი გარანტიები .....	105
3. კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს ცნება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის კონტექსტში და მისი მნიშვნელობა სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზების ჭრილში.....	109
3.1 კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს არსი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში .....	109
3.2 საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობის კანონიერება, როგორც კანონით შექმნილი სასამართლოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი.....	110
3.3 სასამართლო პროცესის და საქმიანობის კანონით დარეგულირების მოთხოვნა, როგორც კანონით შექმნილი სასამართლოს ცნების აუცილებელი შემადგენელი ელემენტი.....	114
დასკვნა .....	117
4. სასამართლოს დამოუკიდებლობის ცნება და მნიშვნელობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის კონტექსტში.....	118
შესავალი .....	118
4.1 მოსამართლეთა დანიშვნის წესის მიმართება	



დამოუკიდებელი სასამართლოს ცნებასთან.....	119
4.2 სასამართლოს დამოუკიდებლობის ცნება ხელისუფლების სხვა შტოებისგან .....	125
4.3 სასამართლოს დამოუკიდებლობის ცნება სასამართლო სისტემის მენეჯმენტის განმახორციელებელი ორგანოების მიმართებით და სასამართლოს შიდა დამოუკიდებლობის ცნება. ....	128
4.4 მოსამართლის დამოუკიდებლობის სუბიექტური უფლება კონვენციის მე-6 მუხლის ფარგლებში.....	132
დასკვნა .....	133
5. მიუკერძოებელი სასამართლოს ცნება .....	134
შესავალი.....	134
5.1 სუბიექტური ტესტი.....	136
5.2 ობიექტური ტესტი .....	139
5.3. ფუნქციური მიკერძოების შემთხვევები .....	146
5.4 მოსამართლეთა პირადი მიკერძოების შემთხვევები.....	153
დასკვნა .....	157

**III. აზშ-ის უზენაესი სასამართლოს იურისპრუდენცია  
„ჯეროვანი პროცედურის კლაუზულაზე“ და სასამართლოს  
დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა .....** 159

1. ჯეროვანი პროცესის გარანტიის პროცედურული ასპექტი და მისი მიმართება სამართლიანი სასამართლოს პროცედურულ გარანტიებთან მე-6 შენიშვნის ფარგლებში და სასამართლოს დამოუკიდებლობის სტრუქტურულ კონსტიტუციურ გარანტიებთან (მე-3 მუხლი) .....	159
2. როდის ითხოვს აზშ-ის კონსტიტუცია „ჯეროვან პროცედურას“?.....	164
2.1 თავისუფლების ინტერესი.....	168
2.2 საკუთრების ინტერესი .....	168
2.3 სიცოცხლის ინტერესი.....	170

3. დაბალანსების ტესტი „ჯეროვანი პროცედურის“ განსასაზღვრად .....	171
4. „დამოუკიდებელი და ნეიტრალური გადაწყვეტილების მიმღები“, როგორც „ჯეროვანი პროცესის“ კონსტიტუციური მოთხოვნა .....	176
5. „ჯეროვანი პროცესის“ მოთხოვნები გადაწყვეტილების მიმღების მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით.....	181
დასკვნა .....	182



## შესავალი

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს ერთი მხრივ, შეისწავლოს და გააანალიზოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს იურისპრუდენცია სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შესახებ სამართლიანი სასამართლოს კონსტიტუციური უფლების საფუძველზე და ფარგლებში, ხოლო მეორე მხრივ, შედარებითი პერსპექტივიდან დაინახოს ამ კონსტიტუციური მნიშვნელობის ღირებულებების დაცვის შესაძლებლობები ადამიანის უფლებებზე დაყრდნობით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ბოლო დეკადის იურისპრუდენციაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა სამართლიანი სასამართლოს უფლების რესურსის გამოყენებამ სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის კონსტიტუციური ღირებულებების დასაცავად. წინამდებარე ნაშრომის პირველი თავი ეძღვნება სწორედ ამ გადაწყვეტილებების დანვრისგან ანალიზს, რომელიც მოიცავს ერთი მხრივ თავად საკონსტიტუციო სასამართლოს ინსტიტუციურ დაცვას, ისე საერთო სასამართლოების ინსტიტუციურ დაცვას.

აღსანიშნავია, რომ სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური დაცვის გარანტიები უპირველესად კონსტიტუციის სტრუქტურული არქიტექტურის ნაწილია. როდესაც შეკავებისა და განონასწორების სტრუქტურული კონსტიტუციური დაცვის საშუალებები სათანადოდ მუშაობენ, მაშინ ადამიანის უფლებების შესატყვის გარანტიებს უმთავრესად მხოლოდ შემავსებელი და გამაძლიერებელი ფუნქცია აკისრიათ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს იურისპრუდენციის ანალიზი ამ მხრივ ნიშანდობლივია. საკუთარი უფლებამოსილებისა და იურისდიქციის დაცვას საკონსტიტუციო სასამართლო სამართლიანი სასამართლოს ინდივიდუალური კონსტიტუციური უფლების გამოყენებით იწყებს.

ამას თავისი სტრუქტურული და კონტექსტუალური ახსნა აქვს. კონსტიტუციის ინსტიტუციური გარანტიების აღსრულებაზე მხოლოდ სპეციალურ

სუბიექტებს აქვთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში დავის წარმოების უფლება. პარლამენტის წევრთა ჯგუფმა, ერთ-ერთმა ასეთ სუბიექტთაგანმა, 2016 წელს პირველად გამოიყენა სტრუქტურული დაცვის გარანტიების საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში აღსრულების მექანიზმი საკონსტიტუციო სასამართლოს ინსტიტუციური დაცვისთვის, თუმცა როგორც ამ ნაშრომის ანალიზიც გვიჩვენებს, საკონსტიტუციო სასამართლოს იურისპრუდენციული ჩარჩოს დეტალები კვლავ სამართლიანი სასამართლოს უფლებრივი ანალიზის გავლენას განიცდის.

შესაბამისად, სტრუქტურულ კონსტიტუციურ გარანტიებსა და ადამიანის უფლებებს შორის კავშირი და ურთიერთმიმართება სათანადო სიცხადითა და სისრულით ვერ ჰპოვებს დოქტრინულ ასახვას სასამართლოს იურისპრუდენციაში.

ეს ორივე ელემენტი რომ ურთიერთშემავსებელია და ორივე კომპონენტის სათანადო აღსრულების გარეშე სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის კონსტიტუციური ღირებულებები სათანადოდ ვერ აღსრულდება, გვიჩვენებს შედარებითი მაგალითები ნაშრომში განხილული იურისდიქციებიდან.

აშშ-ის კონსტიტუცია ერთ-ერთი პირველი და ყველაზე წარმატებული თანამედროვე კონსტიტუციაა, რომელიც ადამიანის თავისუფლების კონსტიტუციურ დაცვას სტრუქტურული საშუალებებით მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს, თუმცა ასევე ძლიერია ინდივიდუალური კონსტიტუციური უფლებების არსებითი დაცვის ხაზითაც და ამ ორი კომპონენტის საერთო მიზნის ფარგლებში ინტეგრაციისკენ ისწრაფვის.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია საერთაშორისო ხელშეკრულებაა, მას სუბსიდარული როლი გააჩნია მრავალფეროვან ეროვნულ იურისდიქციებთან მიმართებით, კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დაცვის საქმეში. ევროპულ სასამართლოს, როგორც კონვენციის აღსრულების მთავარ საზედამხედველო ორგანოს კონვენციის უფლებების განმარტებისას, ნაგულისხმევად უწევს მიიღოს ხელშემკვრელი მხარეების ინსტიტუციური მოწყობების მრავალფეროვნება. ევროპული სასამართლოს გამონწვევა, როგორც ამ ნაშრომშიც არის დემონსტრირებული, სამართლიანი სასამართლოს უფლების მთავარი ღირებულებების თანმიმდევრული ოპერაციონალიზაციის მიღწევაა განსხვავებული ინსტიტუციური მოწყობის კონტექსტებში, იმ დავებით, რომ კონვენცია პირდაპირ არ მოიცავს სტრუქტურულ გარანტიებსა და სახელმძღვანელო წესებს.

აშშ-ის უზენაესი სასამართლოს იურისპრუდენციის ანალიზი გვიჩვენებს სტრუქტურული კონსტიტუციური გარანტიების მნიშვნელობას სასამართლოს

დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის კონსტიტუციური ღირებულებების ეფექტური აღსრულებისთვის. ფედერალურ სასამართლოებს აშშ-ში, რომლებსაც კონსტიტუციის მე-3 მუხლის გარანტიები იცავს, ნაკლებად სჭირდება არსებითი კონსტიტუციური დაცვის საშუალებების გამოყენება უფლებათა ბილის შესაბამისი შესწორებების სახით. თუმცა როდესაც სტრუქტურული კონსტიტუციური ბალანსი ირღვევა (მაგალითად ე.წ. ტერორიზმის წინააღმდეგ ომით გამოწვეული საგამონაკლისო მდგომარეობის პირობებში) „ჯეროვანი პროცედურის“ არსებითი კონსტიტუციური გარანტია აუცილებელი ხდება თვით ფედერალური სასამართლოების კონტექსტშიც კი.

როგორც წინამდებარე ნაშრომი წარმოაჩენს, „ჯეროვანი პროცედურის“ გარანტიის სტანდარტები არსებითი იყო ადმინისტრაციული და კეთილდღეობის სახელმწიფოს კონსტიტუციურ ფარგლებში მოსაქცევად. იმდენად, რამდენადაც მათ აშშ-ის კონსტიტუციურ სტრუქტურაში საკუთარი ადგილი არ აქვთ და ძირითადად კანონმდებლობის საფუძველზე განვითარდნენ, „ჯეროვანი პროცედურის“ კონსტიტუციურმა ღირებულებებმა არსებითი როლი შეასრულეს იმაში რომ ადმინისტრაციული და კეთილდღეობის სახელმწიფოს კონტექსტში ადამიანის არსებითი უფლებრივი ინტერესები სათანადო პროცედურული სტანდარტის გარეშე არ დაქვემდებარებოდა შეზღუდვას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციის ანალიზი კიდევ უფრო ფართოდ წარმოაჩენს სამართლიანი სასამართლოს უფლების ფარგლებში ინტეგრირებული დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ღირებულებების ოპერაციონალიზაციის შესაძლებლობებს მრავალფეროვანი ინსტიტუციური მოწყობის კონტექსტებში. ის ფაქტი, რომ კონვენციის ფარგლებში ეს ღირებულებები არ არის შეზღუდული მკაცრად რეგლამენტირებული ინსტიტუციური მოწყობით, როგორც ეს ეროვნულ კონსტიტუციებშია, ევროპულ სასამართლოს აძლევს უფრო მეტი ინსტიტუციური ინოვაციის აკომოდაციის შესაძლებლობას.

ეს სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს რომ ამ ღირებულებებს ახალი გამოყენება მოუხახოს განსხვავებულ ინსტიტუციურ კონტექსტებში. მაგალითისთვის, ევროპის ქვეყნებში მოსამართლეთა თვითმმართველობის მოდელის გავრცელებამ და სასამართლო ხელისუფლების ინსულაციამ პოლიტიკური შტოებისგან გააჩინა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შიდაინსტიტუციური საფრთხეები. კონკრეტული საქმეების კონტექსტებში ევროპულ სასამართლოს მოუწია როგორც შიდა დამოუკიდებლობის ცნების, ისე შესაბამისი სტანდარტების არტიკულაციაც.

თუმცა, მეორე მხრივ, ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციის ანალიზი ასევე აჩვენებს რომ სტრუქტურული ორგანიზაციის გარკვეული ჩარჩო

პრინციპები, რომლებიც არსებითად უკავშირდებიან და გამომდინარეობენ სამართლიანი სასამართლოს უფლების ღირებულებებიდან, აუცილებელია ნაგულისხმევი იყოს ამ ღირებულებების კონკრეტულ კონტექსტებში ინტერპრეტაციისა და გამოყენების დროს. ამ ღირებულებებს შესაძლოა აქვთ თავსებადობა ინსტიტუციური ინოვაციის ფართო ჰორიზონტში, თუმცა არსებობს ინსტიტუციური მოწყობის ნაირსახეობები, რომლებიც კატეგორიულად არის შეუთავსებელი როგორც დამოუკიდებლობის ისე მიუკერძოებლობის ღირებულებებთან.

ევროპულ სასამართლოს ეს ინსტიტუციური წინაპირობები სრულფასოვნად არ აქვს ჩამოყალიბებული და ამას თავისი ობიექტური მიზეზები აქვს, თუმცა მნიშვნელოვანია იმის დასაანახად რომ ინსტიტუციური სტრუქტურისა და უფლებების ღირებულებების მიზნობრივ ერთიანობაში აღქმის გარეშე, შეუძლებელია მათი აღსრულების ეფექტურობის მიღწევა.

ავტორები იმედს გამოთქვამენ, რომ წინამდებარე ნაშრომის ეს პერსპექტივები წაადგება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არსებული იურისპრუდენციის კრიტიკულ გააზრებას და ხელს შეუწყობს ინფორმირებულ დებატებს მისი შემდგომი განვითარებისთვის.

# **I. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა სასამართლოს ინსტიტუციური და პერსონალური გარანტიების დაცვასთან მიმართებით**

## **შესავალი**

საკონსტიტუციო სასამართლოს ეფექტურობის განსაზღვრად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია იმის გარკვევა, თუ რა უფლებამოსილება აქვს მინიჭებული მას სასამართლო კონტროლის განსახორციელებლად, რამდენად შეუძლია კანონმდებელს მიიღოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების შემასუსტებელი რეგულირებები, რამდენად მტკიცეა საკონსტიტუციო სასამართლო საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ მიღებული იმ ნორმების გასაუქმებლად, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლოს ან/და საერთო სასამართლოს უფლებამოსილების შემცირებას/შესუსტებას ისახავს მიზნად.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა მოიცავს ისეთ საქმეებს, როდესაც სასამართლომ იმსჯელა როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს, ასევე საერთო სასამართლოს ინსტიტუციურ და პერსონალურ გარანტიებზე. სასამართლომ სადავო ნორმების კონსტიტუციურობა სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან მიმართებით განიხილა. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მოსამართლესთან, საერთო სასამართლოსთან დაკავშირებული რიგი ასპექტი, დავის არსის გათვალისწინებით, სასამართლომ განიხილა კონსტიტუციით გათვალისწინებულ სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლებასთან მიმართებით (მაგ., სასამართლოს თავმჯდომარის არჩევა, მოსამართლის დანიშვნა/გათავისუფლება), მოსამართლის საცხოვრებელ ადგილთან შეკრების და მანიფესტაციის ჩატარება განიხილა საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის 24-ე მუხლთან (გამოხა-



ტვის თავისუფლება) მიმართებით. ამასთან, სასამართლომ სასამართლოს ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გარანტიებთან დაკავშირებით სადავო ნორმების კონსტიტუციურობა განიხილა ასევე საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის მეხუთე თავში განმტკიცებულ სასამართლო ხელისუფლების დებულებებთან – საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-3 პუნქტთან (სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ მხოლოდ სასამართლოები), 88-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-3 და მე-4 წინადადებებთან (საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ვადაა 10 წელი. საკონსტიტუციო სასამართლო თავისი შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს) მიმართებით.

სამართლიანი სასამართლოს უფლება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როდესაც ამ უფლების მეშვეობით ხდება სასამართლო ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანოების ინსტიტუციური და პერსონალური გარანტიების დაცვა. მნიშვნელოვანია, საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ მიღებულმა ნორმებმა არ გამოიწვიოს სასამართლოს საქმიანობის შეფერხება, რაც უარყოფით ზეგავლენას მოახდენს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესზე და დაარღვევს ხელისუფლებათა ურთიერთმეკავებისა და განწინასწორების კონსტიტუციურ სტრუქტურას. სასამართლოს საქმიანობის მონესრიგების პროცესში საკანონმდებლო ორგანო სარგებლობს შეზღუდული დისკრეციით. სასამართლოს როლის, ფუნქციის და დანიშნულების გათვალისწინებით, საკანონმდებლო ორგანო განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეკიდოს სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებული რეგულირებების შემუშავებას.

გასათვალისწინებელია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ სასამართლოს საქმიანობის მომწესრიგებელი სადავო ნორმების კონსტიტუციურობის შემოწმებისას მხედველობაში მიიღო როგორც თავად საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციით განსაზღვრული სტატუსი, როლი, ფუნქცია და დანიშნულება მოქმედ კონსტიტუციურსამართლებრივ სივრცეში, ასევე მიუთითა, რომ მნიშვნელოვანია გაანალიზდეს, თუ როგორია თავად კონსტიტუციური გადაწყვეტა სადავო საკითხებთან მიმართებით, განსაკუთრებით ძირითადი კონსტიტუციური პრინციპებისა და ღირებულებების კონტექსტში.

## 1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკუთარი ინსტიტუციური დამოუკიდებლობისა და პერსონალური გარანტიების დაცვა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ინსტიტუციურ დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით საკანონმდებლო რეგულირებების კონსტიტუციურობის საკითხი 2016 წელს განიხილა საქმეში: „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი(დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი), საქართველოს მოქალაქეები – ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი, საქართველოს მოქალაქეები – ნინო კოტიშაძე, ანი დოლიძე, ელენე სამადბეგიშვილი და სხვები, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ლევან ბეჟაშვილი, გიორგი ღვინიაშვილი, ირმა ნადირაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (2016 წლის 29 დეკემბრის №3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება).

ამ საქმეში მოსარჩელე ითხოვდა საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ მოქმედი კანონმდებლობის სადავო ნორმების კონსტიტუციურობას. სადავო ნორმებით დადგენილი რეგულირებები უკავშირდებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებისა და ფუნქციონირების ისეთ ფუნდამენტურ საკითხებს, როგორცაა: სადავო აქტის მოქმედების შეჩერების უფლებამოსილების საკითხი, სასამართლოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების არჩევა; სასამართლოს წევრთა უფლებამოსილების ვადა; სასამართლოს პლენუმისა და კოლეგიის კომპეტენცია, სასამართლოს პლენუმისთვის საქმის განმხილველი კოლეგიის წევრის მიერ საქმის გადაცემა; სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადებისა და გამოქვეყნების საკითხი და ასევე სასამართლოს პლენუმის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი. სადავო ნორმების კონსტიტუციურობა მოთხოვნილი იყო საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან (სამართლიანი სასამართლოს უფლება) მიმართებით. ამასთან, რიგი სადავო ნორმების კონსტიტუციურობას მოსარჩელე ითხოვდა საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის 29-ე მუხლთან (სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლება) მიმართებით.

ამ საქმეზე მიღებულ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა საკონსტიტუციო სასამართლოს ინსტიტუციურ და მოსამართლის სტატუსის დაცვის შესახებ. სასამართლოს ეს მსჯელობა არის ერთგვარი შეფასების სტანდარტი სასამართლოს შესახებ

მოქმედი ნორმების კონსტიტუციურობის შესამოწმებლად. მითითებული დავის ფარგლებში, სადავო ნორმები შეფასდა კონსტიტუციის კონკრეტულ დებულებებთან სისტემურად, ძირითადი კონსტიტუციური პრინციპებისა და ღირებულებების კონტექსტში.

გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ნებისმიერი რეგულირება, რომელიც ხელისუფლების რომელიმე შტოს კომპეტენციას და საქმიანობას ეხება, უნდა შემოწმდეს არა მხოლოდ ხელისუფლების ამა თუ იმ ორგანოს კომპეტენციის დამდგენ კონსტიტუციურ დებულებასთან, არამედ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ხელისუფლების დანაწილების ფუნდამენტური პრინციპი და ურთიერთშეკავებისა და განონასწორების კონსტიტუციური მექანიზმი. ხელისუფლების შტოთა დაბალანსების, ურთიერთშეკავებისა და განონასწორების მექანიზმის ქმედითობის უზრუნველყოფის პროცესში საკონსტიტუციო სასამართლოს განსაკუთრებული როლი ენიჭება. სასამართლო უზრუნველყოფს არა მხოლოდ ხელისუფლების შტოთა დაბალანსების, ურთიერთშეკავების და განონასწორების მექანიზმის ქმედითობას, არამედ ასევე იცავს კონსტიტუციით გარანტირებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს ხელისუფლების გაუმართლებელი ჩარევისაგან. ამავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლო თავად განეკუთვნება ხელისუფლების ერთ-ერთ შტოს – სასამართლო ხელისუფლებას.

სასამართლოს განმარტებით, ერთი მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობა, ხელისუფლების სხვა შტოების მსგავსად, კანონმდებლის მხრიდან გარკვეულ რეგულირებას უნდა დაექვემდებაროს, მათ შორის, საკონსტიტუციო სამართალწარმოების მომწესრიგებელი ნორმების დადგენის კუთხითაც, თუმცა ამასთან, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი სახელმწიფო ხელისუფლების, მათ შორის, საკანონმდებლო ხელისუფლების, მოქმედებას მკაცრ კონსტიტუციურსამართლებრივ ჩარჩოებში აქცევს. საკანონმდებლო ხელისუფლების კონსტიტუციურსამართლებრივი შეზღუდვა გულისხმობს, რომ ნებისმიერი საკანონმდებლო აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციის მოთხოვნებს როგორც ფორმალური, ისე მატერიალური კონსტიტუციურობის თვალსაზრისით.

მოქმედ კონსტიტუციურსამართლებრივ სივრცეში საკონსტიტუციო სასამართლოს როლის, ფუნქციის და დანიშნულების გათვალისწინებით, საკანონმდებლო ორგანო განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეკიდოს სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებული რეგულირებების შემუშავებას. მნიშვნელოვანია, საკანონმდებლო ხელისუფლების ქმედებებმა არ გამოიწვიოს მისი მკონტროლებელი ორგანოს, საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის შეფერხება და პარალიზება, რაც არაეფექტურს გახდის

მთლიანად კონსტიტუციური კონტროლის განხორციელების პროცესს და დაარღვევს შეკავებისა და განონასწორების კონსტიტუციურ სტრუქტურას.

სასამართლომ კანონმდებლის დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებზეც მიუთითა და აღნიშნა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის მონესრიგების პროცესში საკანონმდებლო ორგანო სარგებლობს შეზღუდული დისკრეციით. კანონმდებლის დისკრეციის ზღვარი გადის იქ, სადაც საფრთხე ექმნება საკონსტიტუციო სასამართლოს გამართულ ფუნქციონირებას, მის მიერ კონსტიტუციური კონტროლის ჯეროვნად, სწრაფად, ეფექტურად და კონსტიტუციის მოთხოვნების შესაბამისად წარმართვას. კანონმდებელი საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის მონესრიგების პროცესში შეზღუდულია თავად კონსტიტუციის მოთხოვნებით, მათ შორის, იმ ფუძემდებლური კონსტიტუციური პრინციპებით, რომლებიც უზრუნველყოფს ხელისუფლების დანაწილებას და ხელისუფლების შტოთა დაბალანსების, ურთიერთშეკავებისა და განონასწორების მექანიზმის ქმედითობას.

სასამართლომ საკუთარ უფლებამოსილებათა ხელშეშლა ასევე განიხილა ადამიანის უფლებების დაცვასთან კავშირში და განმარტა, რომ ხელისუფლების დანაწილების ძირითადი პრინციპის გარდა, სახელმწიფო ორგანოები ასევე შეზღუდული არიან ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც წარუვალი და უზენაესი ადამიანური ღირებულებებით. საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთ უმთავრეს ფუნქციას წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვა ხელისუფლების მხრიდან არათანაზომიერი ჩარევისაგან. მნიშვნელოვანია, მისი საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა იმგვარად იყოს ჩამოყალიბებული, რომ ეჭვქვეშ არ დადგეს სასამართლოს მიერ ადამიანის უფლებების ჯეროვნად დაცვის შესაძლებლობა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებელი საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციის მოთხოვნების სანინააღმდეგოდ გაურთულებს საკუთარი ფუნქციების განხორციელების შესაძლებლობას, იგი დაარღვევს არა მხოლოდ ხელისუფლების დანაწილების კონსტიტუციურ პრინციპს, არამედ ადამიანის ძირითად უფლებას, საკუთარი უფლებები და თავისუფლებები დაიცვას საკონსტიტუციო სასამართლოს მეშვეობით, რაც წინააღმდეგობაში მოვა სამართლებრივი სახელმწიფოსა და ადამიანის უფლებების პატივისცემის კონსტიტუციურ პრინციპებთანაც.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მისი უფლებამოსილების შემზღუდველი სადავო ნორმების კონსტიტუციურობის საკითხის გარკვევისას, მსჯელობს მათი შესაბამისობის საკითხზე როგორც სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან მიმართებით, ასე-

ვე, იმავდროულად, სამართლიანი სასამართლოს უფლებრივ კომპონენტთან – სასამართლოსადმი მიმართვის უფლებასთან მიმართებით. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლო სასამართლოსადმი მიმართვის უფლების უმნიშვნელოვანეს ელემენტად განიხილავს ეფექტიანობას. „საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული სასამართლოსადმი მიმართვის უფლება, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლებასაც მოიცავს, უნდა იყოს არა ილუზორული, არამედ ქმნიდეს პირის უფლებებში ჯეროვნად აღდგენის რეალურ შესაძლებლობას და წარმოადგენდეს უფლების დაცვის ეფექტურ საშუალებას. მოსარჩელეს უნდა ჰქონდეს მოლოდინი და რეალური შესაძლებლობა, დაიცვას საკუთარი უფლებები საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური უფლებამოსილებების ფარგლებში“ (საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის N3/2/577 გადაწყვეტილება საქმეზე ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-29).

### **1.1 საკონსტიტუციო სასამართლოს ეფექტური ფუნქციონირების დაცვა – საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის არჩევის წესის კონსტიტუციურობა**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი(დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი), საქართველოს მოქალაქეები – ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი, საქართველოს მოქალაქეები – ნინო კოტიშაძე, ანი დოლიძე, ელენე სამაღბეგიშვილი და სხვები, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ლევან ბეჟაშვილი, გიორგი ღვინიაშვილი, ირმა ნადირაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ იმითაც არის საინტერესო, რომ ამ საქმეში ერთ-ერთ დავის საგანს წარმოადგენდა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის (2011 წლის 5 მაისიდან 2016 წლის პირველ ოქტომბრამდე მოქმედი რედაქცია) კონსტიტუციურობა. კერძოდ, მოსარჩელების მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების პროცესში საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტისა და უზენაესი სასამართლოს

თავმჯდომარეების მონაწილეობა ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, – სასამართლოს მიერ შემომნდა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის (2011 წლის 5 მაისიდან 2016 წლის პირველ ოქტომბრამდე მოქმედი რედაქცია) კონსტიტუციურობაზე მსჯელობის ფარგლებში. ამასთან, სასამართლომ ამ ნორმის კონსტიტუციურობა განიხილა საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის მეხუთე თავში განმტკიცებულ სასამართლო ხელისუფლების დებულებებთან – საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-3 პუნქტთან (სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ მხოლოდ სასამართლოები), 88-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-4 წინადადებასთან (საკონსტიტუციო სასამართლო თავისი შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს) მიმართებით.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის (2011 წლის 5 მაისიდან 2016 წლის პირველ ოქტომბრამდე მოქმედი რედაქცია) მიხედვით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელება ხდებოდა საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შეთანხმებული წინადადებით.

აქ საინტერესოა სასამართლოს მიერ საქმის განხილვის პროცედურის განმარტება. კერძოდ, მოცემული ნორმა ძალადაკარგული იყო 2016 წლის პირველი ოქტომბრიდან, რა დროსაც წინამდებარე საქმის არსებითი განხილვა უკვე დასრულებული იყო. სასამართლომ განმარტა, რომ „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით (დღეს არსებული რედაქციით ეს ნორმა არის „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი), „საქმის განხილვის მომენტისათვის“ სადავო აქტის გაუქმება ან ძალადაკარგულად ცნობა იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ იმის გათვალისწინებით, რომ ამ საქმეზე საქმის განხილვა უკვე დასრულებული იყო, მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში არ არსებობდა საქმის შეწყვეტის საფუძველი.

სასამართლომ განმარტა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის დამოუკიდებლად არჩევის უფლებამოსილება საკონსტიტუციო სასამართლოს ინსტიტუციური დამოუკიდებლობის მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს. მოცემულ შემთხვევაში სადავო ნორმით საკონსტიტუციო

სასამართლოს მოსამართლეებს ერთმევათ შესაძლებლობა, საკუთარი შეხედულებისამებრ წამოაყენონ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატურა და მათ მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის არჩევა შეზღუდულია იმ კანდიდატურით, რომელსაც შეარჩევენ საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. სასამართლოს განმარტებით, სადავო ნორმა საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობას არაკონსტიტუციურად უზღუდავს უფლებას, თავისუფლად აირჩიოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე. ამგვარი რეგულაცია წარმოადგენს ხელისუფლების სხვა შტოების გაუმართლებელ, არალეგიტიმურ ჩარევას საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირებაში და ეწინააღმდეგება საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებლობას. სასამართლომ აღნიშნა, რომ ასეთი შეზღუდვით დაკნინებულია საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების როლი სასამართლოს ფორმირებაში და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი (2011 წლის 5 მაისიდან 2016 წლის პირველ ოქტომბრამდე მოქმედი რედაქცია) არაკონსტიტუციურია საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-3 პუნქტთან, 88-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-4 წინადადებასთან მიმართებით.

საკონსტიტუციო სასამართლოს ინსტიტუციური დაცვის საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოში შემოსულ სარჩელთა თანახმად, სადავო ნორმების კონსტიტუციურობის საკითხის გადაწყვეტა მოთხოვნილი იყო ასევე კონსტიტუციით გარანტირებულ სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლებასთან (საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის 29-ე მუხლი) მიმართებით.

კერძოდ, ზემოთ დასახელებულ საქმეში – „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი(დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი), საქართველოს მოქალაქეები – ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი, საქართველოს მოქალაქეები – ნინო კოტიშაძე, ანი დოლიძე, ელენე სამაღბეგიშვილი და სხვები, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ლევან ბეჟაშვილი, გიორგი ღვინიაშვილი, ირმა ნადირაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ დავის საგანს წარმოადგენდა ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის არჩევის წესის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის 29-ე მუხლთან და საქართველოს კონსტიტუციის 88-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 და მე-3 წინადადებასთან მიმართებით. საქართველოს კონსტიტუციის 29-ე

მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს“, ხოლო მე-2 პუნქტის მიხედვით, „სახელმწიფო სამსახურის პირობები განისაზღვრება კანონით“. საქართველოს კონსტიტუციის 88-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 და მე-3 წინადადებების თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა უფლებამოსილების ვადაა 10 წელი. საკონსტიტუციო სასამართლო თავისი შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-10 მუხლის 5<sup>პ</sup> პუნქტი საკონსტიტუციო სასამართლოს იმ წევრებს, რომელთაც ადრე უკვე ეკავათ სასამართლოს თავმჯდომარის ან თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა, ართმევდა შესაძლებლობას, რომ ხელმეორედ იყვნენ არჩეული იგივე პოზიციაზე. ცხადია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის პოზიციები, მათი უფლებამოსილებებისა და ფუნქციების გათვალისწინებით, წარმოადგენს სახელმწიფო თანამდებობას და მათი დაკავების უფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლით. ამდენად, სადავო ნორმა წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლით გარანტირებული სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლების შეზღუდვას.

სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 88-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 და მე-3 წინადადებები ცალსახად მიუთითებს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების *prima facie* უფლებაზე, 10 წლის განმავლობაში ჰქონდეთ შესაძლებლობა, არჩეულ იყვნენ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის პოზიციაზე. ამავ დროს, მოცემული კონსტიტუციური დებულებები იცავს საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობის უფლებას, თავისუფლად აირჩიონ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე ასრულებენ მნიშვნელოვან სამოსამართლო და ადმინისტრაციულ ფუნქციებს საკონსტიტუციო სასამართლოში. აღნიშნული ფუნქციების ჯეროვანი განხორციელება საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებლობისა და ეფექტიანი საქმიანობის აუცილებელი წინაპირობაა. ამდენად, ამ პოზიციების დაკავების უფლების ნებისმიერი არაგონივრული და გაუმართლებელი შეზღუდვა გარკვეულწილად შეაფერხებს დასახელებულ კონსტიტუციურ ინტერესს. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მიერ სასამართლოს



თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობის დაკავების უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის არსებობის შემთხვევაში, თანაზომიერების პრინციპის დაცვით, იმგვარად, რომ არ დაზიანდეს საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებლობისა და ეფექტური ფუნქციონირების კონსტიტუციური ინტერესები.

საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სადავო ნორმა საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველ და მეორე პუნქტებთან და 88-ე მუხლის მე-2 პუნქტის მეორე და მესამე წინადადებებთან მიმართებით.

### **1.1.1 განსხვავებული აზრი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის არჩევის წესის კონსტიტუციურად ცნობის ნაწილში**

აღსანიშნავია, რომ ამ საკითხზე სასამართლოში არ იყო ერთგვაროვანი შეხედულება მოსამართლეებს შორის. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2016 წლის 29 დეკემბრის N3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილებაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების ირინე იმერლიშვილის და მაია კოპალეიშვილის განსხვავებული აზრის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილებაში არ არის მხედველობაში მიღებული თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის ხელმეორედ არჩევის შესაძლებლობის შექმნით გამოწვეული საფრთხეები.

სადავო ნორმის არარსებობის პირობებში არსებობს რისკი, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე გაატარებენ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა ცალკეული ჯგუფის ან ჯგუფების ინტერესებს, რათა თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილედ ყოფნის ვადის გასვლის შემდგომ კვლავ მიიღონ მათი მხარდაჭერა და შეძლონ იგივე თანამდებობების ხელმეორედ დაკავება. სადავო ნორმა გამორიცხავს ამგვარ რისკებს, რადგან თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე ველარ დაიკავებდნენ იგივე თანამდებობებს და თავიდან იქნებოდა აცილებული მათ მიერ მოსამართლეთა ცალკეული ჯგუფების ინტერესების გატარების რისკი, რაც, საბოლოო ჯამში, ემსახურება სასამართლოს ნორმალურ ფუნქციონირებას, ჯანსაღი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფას. განსხვავებული აზრის ავტორები მიიჩნევენ, რომ სადავო ნორმით დაწესებული შეზღუდვა წარმოადგენს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის გამოსადეგ საშუალებას. ამავე დროს, განსახილველ შემთხვევაში შეუძლებელია, არსებობდეს სხვა უფრო ნაკლებად მზლუდველი ღონისძიებით ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესაძლებლობა. საკონსტიტუციო სასამართ-

ლოს თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე საკუთარ საქმიანობაში თავისუფალი არიან და შეუძლებელია ზემოთ დასახელებული რისკების გამორიცხვა რაიმე სხვაგვარი შეზღუდვის დაწესებით. ამდენად, სადავო ნორმით დადგენილი შეზღუდვა მიზნის მიღწევის აუცილებელ საშუალებად უნდა ჩაითვალოს.

განსხვავებული აზრის ავტორები მიიჩნევენ, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-10 მუხლის 5<sup>3</sup> პუნქტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებს და საქართველოს კონსტიტუციის 88-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 და მე-3 წინადადებებს.

აღსანიშნავია, რომ კანონმდებელმა საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაში (2018 წლის 16 დეკემბრიდან მოქმედი რედაქცია) ეს საკითხი გარკვევით მოაწესრიგა. კერძოდ, კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-3 პუნქტის მე-2 წინადადების თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ ერთი და იმავე პირის ხელმეორედ არჩევა დაუშვებელია.

## 1.2 საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების ვადის საკითხი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკაში ერთ-ერთი საინტერესო საკითხია ასევე, მოსამართლის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების თაობაზე სასამართლოს დასაბუთების ანალიზი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, 2016 წლის 29 დეკემბრის №3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილებაში საქმეზე: „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი(დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი), საქართველოს მოქალაქეები – ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი, საქართველოს მოქალაქეები – ნინო კოტიშაძე, ანი დოლიძე, ელენე სამადბეგიშვილი და სხვები, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ლევან ბეჟაშვილი, გიორგი ღვინიაშვილი, ირმა ნადირაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ იმსჯელა ასევე მოსამართლის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების კონსტიტუციურობის საკითხის შესახებ. სასამართლომ აღნიშნა: იმ შემთხვევაში, როდესაც ამოიწურება საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების 10-წლიანი ვადა და არ ხდება სათანადო სახელმწიფო ორგანოების მიერ მისი ჩანაცვლება და საქმის განხილვის კვორუმის არარსებობის გამო ეს იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციონირების შეფერხებას,

აუცილებელია, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს გაუგრძელდეს უფლებამოსილების ვადა მისი ჩამნაცვლებელი წევრის განწესებამდე. სხვაგვარად, ეჭვქვეშ დგება საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც კონსტიტუციური ინსტიტუტის არსებობა, ილუზორული გახდება საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის გზით უფლების დაცვის შესაძლებლობა და, შესაბამისად, დაირღვევა კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების მოთხოვნა.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადის გაგრძელება მისი ჩამნაცვლებელი წევრის განწესებამდე არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 88-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების 10-წლიანი ვადის ზედა ზღვრის დაწესების მიზნებს. კერძოდ, ამით არ იზრდება საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის დამნიშნავი კონკრეტული სუბიექტის (დროის კონკრეტულ მომენტში არჩეული პრეზიდენტი, პარლამენტი, უზენაესი სასამართლო) გავლენა საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირების პროცესზე. ამდენად, იმ შემთხვევაში, როდესაც არ ხდება საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის დროული ჩანაცვლება და ეს იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციონირების შეფერხებას, აღნიშნული წევრის უფლებამოსილების 10-წლიანი ვადა გაგრძელებულად უნდა ჩაითვალოს ჩამნაცვლებელი წევრის თანამდებობაზე განწესებამდე. ამ კონტექსტში საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციონირების შეფერხებად ჩაითვლება ისეთი ვითარება, როდესაც შესაბამისმა სახელმწიფო ორგანომ კანონით დადგენილ ვადაში არ აირჩია ახალი წევრი და, საქმის განხილვის სათანადო კვორუმის არარსებობის გამო, შეუძლებელია საკონსტიტუციო სამართალწარმოების განხორციელება. საკონსტიტუციო სასამართლოს ინსტიტუციური პარალიზების თავიდან არიდების მიზნით აუცილებელია, ასეთ შემთხვევებში საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების 10-წლიანი ვადა გაგრძელდეს საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი წევრის თანამდებობაზე განწესებამდე. სანინააღმდეგოს დაშვების შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის განმსაზღვრელი ნორმა საფრთხეს შეუქმნიდა საკონსტიტუციო სასამართლოს როგორც ეფექტური ინსტიტუტის არსებობას და იქნებოდა მისი უმთავრესი მიზნის – ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის სანინააღმდეგო.

### 1.3 საქმის განმხილველი კოლეგიის წევრის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმისთვის საქმის გადაცემის წესი და სამართლიანი სასამართლოს უფლება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2016 წლის 29 დეკემბრის N3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილების თანახმად, საქმეზე მოსარჩელე ითხოვდა ასევე იმ სადავო ნორმის კონსტიტუციურობის დადგენას, რომელიც განსაზღვრავს კოლეგიის წევრის მიერ საქმის პლენუმზე განხილვის შესახებ პლენუმისთვის დასაბუთებული წერილობითი შუამდგომლობით მიმართვის და მოცემულ საკითხზე პლენუმის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების წესს („საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21<sup>1</sup> მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების კონსტიტუციურობა). სასამართლომ სადავო ნორმის კონსტიტუციურობა შეაფასა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის (კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) პირველი პუნქტით დაცული სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან მიმართებით და არ დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა.

სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ სადავო ნორმით გათვალისწინებული პროცედურა იწვევს საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესის გახანგრძლივებას, რითაც გარკვეულწილად ართულებს უფლების დაცვას საკონსტიტუციო სასამართლოში. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმით ხდება ჩარევა სამართლიანი სასამართლოს უფლებაში. თუმცა, სასამართლომ იქვე მიუთითა, რომ უფლება სამართლიან სასამართლოზე არ არის აბსოლუტური. ეს უფლება შეიძლება შეიზღუდოს დემოკრატიულ საზოგადოებაში არსებული ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად. შეზღუდვა უნდა იყოს თანაზომიერი. აღნიშნულის კონტექსტში სასამართლო დასაშვებად მიიჩნევს სადავო ნორმით დადგენილ რეგულაციას, რადგან მისი განმარტებით, ის ემსახურება საკონსტიტუციო სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და არსებული პრაქტიკის განვითარების ლეგიტიმურ მიზანს. შესაბამისად, აღნიშნული მიზნის მისაღწევად დასაშვებია საკონსტიტუციო სამართალწარმოების გონივრული ვადით შეყოვნება, თუმცა ეს მიზნის პროპორციულად უნდა განხორციელდეს.

სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ კოლეგიის წევრს შესაძლოა სათათბირო ოთახში საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას (საქმის გადაწყვეტის ეტაპი) ჩამოუყალიბდეს კოლეგებისაგან განსხვავებული პოზიცია და მას კოლეგიის სხვა წევრებისაგან დამოუკიდებლად უნდა შეეძლოს საკუთარი პოზიციის პლენუმისადმი გადაცემა, თუ ის მიიჩნევს,

რომ მისი პოზიცია განსხვავდება სასამართლოს მიერ ადრე მიღებულ გადაწყვეტილებაში (გადაწყვეტილებებში) გამოხატული სამართლებრივი პოზიციისაგან, ან მიიჩნევს, რომ განსახილველი საქმე თავისი შინაარსით წარმოშობს საქართველოს კონსტიტუციის განმარტების ან/და გამოყენების იშვიათ ან/და განსაკუთრებით მნიშვნელოვან სამართლებრივ პრობლემას. იმავდროულად მოსამართლე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი პოზიცია. ამასთან, სასამართლო მიუთითებს, რომ აღნიშნული საკითხები შესაძლოა დადგეს საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, მით უფრო, როდესაც საკითხი ეხება სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრეცედენტის დაძლევას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს საქმის განმხილველი კოლეგიის წევრის უფლებამოსილებას საქმის განხილვისა და გადაწყვეტის ნებისმიერ ეტაპზე მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს დასაბუთებული წერილობითი შუამდგომლობით, შესაბამისობაშია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან.

### **1.3.1 განსხვავებული აზრი საქმის განმხილველი კოლეგიის წევრის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმისთვის საქმის გადაცემის წესის კონსტიტუციურად ცნობის ნაწილში**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2016 წლის 29 დეკემბრის N3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილებაზე საქმის განმხილველი კოლეგიის წევრის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმისთვის საქმის გადაცემის წესის კონსტიტუციურად ცნობის ნაწილში სასამართლოს წევრის მათა კოპალეიშვილის განსხვავებული აზრის თანახმად, სადავო ნორმა არაპროპორციულად ზღუდავს სამართლიანი სასამართლოს უფლებას. ნორმა ტოვებს საკმაოდ ფართო მიხედულების ფარგლებს და კოლეგიის წევრს ანიჭებს შეუზღუდავ უფლებამოსილებას, საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე გადასცეს საქმე პლენუმს, რაც იწვევს სამართლიანი სასამართლოს უფლების არათანაზომიერ შეზღუდვას.

განსხვავებული აზრის თანახმად, პრობლემას ქმნის ის გარემოება, რომ სადავო ნორმა (და არც სასამართლოს გადაწყვეტილება) არ განსაზღვრავს დასაბუთების იმ კრიტერიუმებს/ხელშესახებ პრინციპებს (გარდა ნორმაში აღნიშნული ბლანკეტური მითითებისა), რომლითაც უნდა იყოს შებოჭილი კოლეგიის ინდივიდუალური წევრი საქმის პლენუმზე გადაცემის შესახებ შუამდგომლობის წარდგენისას. საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიის წევრი და პლენუმის შემადგენლობა უნდა შეიბოჭოს კონსტიტუციის უზენაე-

სობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებით, რათა არაკეთილსინდისიერად არ გამოიყენონ სადავო ნორმით გათვალისწინებული უფლებამოსილება. მოსამართლე ვალდებულია, საქმე გადასცეს მხოლოდ სამართლებრივი არ-გუმენტაციით და უნდა გამოირიცხოს მოსამართლის და პლენუმის წევრთა მხრიდან მიკერძოებულობის, საქმის განხილვის ხელოვნურად გაჭიანურების, პოლიტიკური კონიუნქტურის გათვალისწინების ყოველგვარი რისკი და ეჭვი. დაუშვებელია, ორგანული კანონით გათვალისწინებული ეს მექანიზმი გამოყენებულ იქნეს მოსამართლის ან პლენუმის წევრთა წარმოდგენაში ან საზოგადოების წევრების თუ პოლიტიკოსების აღქმაში ე.წ. პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე საქმეებად შერაცხულ სასამართლო დავებზე კოლეგიის წევრის პასუხისმგებლობის შემსუბუქების, კოლეგიის მოსამართლის საშუალებით სასამართლოს პლენუმის უმრავლესობის მხრიდან კოლეგიის დისკრეციას მიკუთვნებული საქმეების, ზემოთ დასახელებული სხვადასხვა არასამართლებრივი მოტივაციით/მოსაზრებით, „მისაკუთრების“ საფუძვლად.

ამავე დროს, იმ შემთხვევაში, როდესაც კოლეგიის წევრი შუამდგომლობს საქმის განხილვის ეტაპის დასრულების შემდეგ, ანუ, როდესაც კოლეგია გადის ან გასულია სათათბირო ოთახში (საქმის გადაწყვეტის ეტაპი) საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად (მათ შორის, როდესაც სათათბიროდ გასულ კოლეგიას უკვე მომზადებული აქვს გადაწყვეტილების პროექტი და ემზადება გადაწყვეტილების გამოსაცხადებლად), სადავო ნორმა არ ითვალისწინებს იმის დასაბუთების მოთხოვნას, რომ კოლეგიის წევრს ასეთი პოზიცია/შეხედულება წარმოეშვა სწორედ საქმის გადაწყვეტის ეტაპზე და ობიექტურად შეუძლებელი იყო მსგავსი მოთხოვნის დაყენება საქმის გადაწყვეტის წინარე ეტაპებზე. ნორმა არ ავალდებულებს კოლეგიის წევრს დაასაბუთოს, რომ მისი პოზიცია/შეხედულება ობიექტურად ვერ წარმოიშობოდა სათათბირო ოთახში გასვლამდე. შესაბამისად, ნორმა სცდება ობიექტურად აუცილებელ ფარგლებს, არაგონივრულად აყოვნებს საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესს და არათანაზომიერად ზღუდავს სამართლიანი სასამართლოს უფლებას. ნორმა აჩენს საქმის განხილვისა და გადაწყვეტის გაჭიანურების, საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების გამოცხადებისა და ძალაში შესვლის არაგონივრული, გაუმართლებელი შეყოვნების საფრთხეს, ეჭვქვეშ აყენებს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის კონსტიტუციით მინიჭებული მანდატის ეფექტურად განხორციელების შესაძლებლობას, რაც ერთმნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება სამართლიანი სასამართლოს უფლებას.

## 2. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკუთარი უფლებამოსილების დაცვა

### 2.1 სადავო აქტის მოქმედების შეჩერების კონკრეტული ვადით შეზღუდვის არაკონსტიტუციურობა

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმე, რომლითაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საკუთარი ინსტიტუციური დაცვა შეძლო, არის 2014 წლის 24 დეკემბრის N3/2/577 საქმე: „ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. დავის საგანს წარმოადგენდა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის იმ ნორმების კონსტიტუციურობა, რომლებიც ადგენდა სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების არაგონივრულად ხანმოკლე ვადებს (კერძოდ, მოსარჩელე ითხოვდა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის 4<sup>1</sup> პუნქტის და 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის მე-2 წინადადების არაკონსტიტუციურად ცნობას საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან (სამართლიანი სასამართლოს უფლება) მიმართებით).

შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა სადავო ნორმებით დადგენილი შეზღუდვები, რომლებიც უკავშირდებოდა საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესში სადავო აქტების მოქმედების შეჩერების შემთხვევაში გადაწყვეტილების ხანმოკლე ვადაში მიღების აუცილებლობას. ამ შეზღუდვით კანონმდებლის განზრახვას წარმოადგენდა საკონსტიტუციო სასამართლოს ნაკლებად ქონოდა მოტივაცია სადავო აქტის მოქმედების შესაჩერებლად, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში საქმეზე გადაწყვეტილება საკმაოდ ხანმოკლე ვადაში უნდა მიეღო.

კერძოდ, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის 4<sup>1</sup> პუნქტში კანონმდებელმა შეიტანა ცვლილება, რომლის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სადავო აქტის ან მისი სათანადო ნაწილის მოქმედების შეჩერების შემთხვევაში, საქმის განხილვის და გადაწყვეტილების მიღების ვადა შეადგენს 30 დღეს. სადავო ნორმა შესაძლებლობას იძლეოდა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ განსაკუთრებულ შემთხვევაში ეს ვადა 15 კალენდარული დღით გაგრძელებულიყო. კიდევ უფრო შემზღუდველი იყო „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის მე-2 წინადადება, რომლის თანახმად, თუ სასამართლო გადაწყვეტილებას არ მიიღებდა მითითებულ

ვადაში (30-დღიანი ვადა 15 დღით გაგრძელების შესაძლებლობით), სადავო აქტის მოქმედების შეჩერების თაობაზე გადანყვეტილება ძალას კარგავდა ვადის ამონურვის მომდევნო დღეს.

მოსარჩელე მხარე მიიჩნევდა, რომ სადავო ნორმით დადგენილი საქმის განხილვისა და გადანყვეტის ვადა არაგონივრულად მცირეა და ხშირ შემთხვევაში არ იძლევა საქმის სრულყოფილი გამოკვლევისა და დასაბუთებული გადანყვეტილების მიღების შესაძლებლობას. საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მოპასუხე მხარემ სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნად სადავო აქტის მოქმედების შეჩერებით წარმოშობილი ხანგრძლივი „საკანონმდებლო ვაკუუმის“ თავიდან აცილება და მესამე პირების ინტერესების დაცვა დაასახელა.

სასამართლო ითვალისწინებს, რომ გარკვეულ შემთხვევაში საქმის განხილვის შემჭიდროვებული ვადების არსებობა, შეზღუდვების დაწესება და სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესში გარკვეული ნესრიგის შეტანა აუცილებელია. საკონსტიტუციო სასამართლო არ გამოირიცხავს კანონმდებლის უფლებამოსილებას, დაადგინოს ცალკეული საპროცესო მოქმედებების განხორციელების ვადები. თუმცა ნებისმიერი შეზღუდვა უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო მიზნის მიღწევის თანაზომიერ საშუალებას. არცერთი საპროცესო ვადა არ უნდა უქმნიდეს საფრთხეს მართლმსაჯულებისა და კონსტიტუციური კონტროლის განხორციელებას. ნებისმიერ შემთხვევაში ვადა უნდა იყოს გონივრული და აკმაყოფილებდეს თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნებს.

სასამართლო აღნიშნული მსჯელობის პარალელურად, კანონმდებლის ყურადღებას მიაქცევს გონივრული ვადების მნიშვნელობაზე. სასამართლომ მიუთითა, რომ საქმის განხილვის არაგონივრულად ხანმოკლე ვადა წარმოშობს სასამართლოს მიერ დაუსაბუთებელი გადანყვეტილების მიღების რისკს. არაგონივრულად ხანმოკლე ვადის პირობებში მხარეებს და სასამართლოს შესაბამისად ერთმევათ შესაძლებლობა, წარმოადგინონ სასამართლოში საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებები, სრულყოფილად გამოიკვლიონ საქმის გარემოებები და განახორციელონ საჭირო საპროცესო მოქმედებები, რაც უარყოფითად აისახება საქმის განხილვის ხარისხზე, საფრთხეს უქმნის იმ კონსტიტუციური უფლებების და თავისუფლებების დაცვას, რომელთა დასაცავად პირი მიმართავს სასამართლოს, აჩენს დაუსაბუთებელი გადანყვეტილების მიღების და, შესაბამისად, სამართლიანი სასამართლოს უფლების ხელყოფის საფრთხეს.

მითითებულ საქმეში სასამართლომ სადავო აქტის მოქმედების შეჩერება განიხილა როგორც უფლების პრევენციული დაცვის შესაძლებლობა და ამავდროულად, სასამართლოს ეფექტიანობის განმაპირობებელი გარემოება.



სასამართლომ განმარტა, რომ კანონმდებლობა სადავო ნორმის მოქმედების შეჩერებას ითვალისწინებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს რეალური საფრთხე, რომ სადავო ნორმის მოქმედება გამოიწვევს მხარისათვის გამოუსწორებელ შედეგებს. შესაბამისად, სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების ინსტიტუტი მიმართულია იმ აუცილებელი და შეუქცევადი საფრთხეების პრევენციისკენ, რომელიც შეიძლება მოჰყვეს სადავო აქტის მოქმედებას და რომლის გამოსწორება შესაძლებელია ვერ მოხერხდეს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ აქტის არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგაც. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ სასამართლო უკიდურეს შემთხვევაში მიმართავს სადავო აქტის მოქმედების შეჩერების ღონისძიებას, მხოლოდ მაშინ, როდესაც მხარისათვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენების საფრთხე აშკარაა და არ არსებობს მესამე პირებისა და საზოგადოებრივი ინტერესების გაუმართლებელი შეზღუდვის რისკები. საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი არსებობის ისტორიაში მხოლოდ ცხრა საქმეზე შეაჩერა სადავო აქტის მოქმედება. 2006 წელს ორჯერ გამოიყენა ეს უფლებამოსილება, 2014 წელს ერთხელ, 2015 წელს სამჯერ, 2019 წელს ორჯერ.

სასამართლომ 2014 წლის 24 დეკემბრის N3/2/577 საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ კანონმდებლის მიერ შემოთავაზებული მექანიზმი არის მოუქნელი და არ იძლევა შესაძლებლობას, კონკრეტულ შემთხვევაში შეფასებული, აწონდაწონილი იქნეს ერთი მხრივ, მოსარჩელის ინტერესი, არ დადგეს გამოუსწორებელი შედეგების, უფლების შეუქცევადი დარღვევის წინაშე და, მეორე მხრივ, მესამე პირებისა და საზოგადოების ის ინტერესები, რომელთა დაცვასაც სადავო აქტი ემსახურება. სადავო ნორმა *a priori* პროორიტეტს ანიჭებს მესამე პირების ინტერესს, თუმცა იმავდროულად ქმნის მესამე პირების უფლებების ბლანკეტურად და აბსოლუტურად შეზღუდვის შესაძლებლობას 45 დღის მანძილზე და საკონსტიტუციო სასამართლოს არ აძლევს შესაძლებლობას, კონკრეტულ შემთხვევაში თავად დააბალანსოს დაპირისპირებული ინტერესები.

ამასთან, სასამართლომ მესამე პირთა მაღალი ინტერესის არსებობაც არ გამორიცხა. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ შესაძლოა არსებობდეს შემთხვევები, როდესაც მესამე პირების უფლებების დარღვევის ინტერესი იმდენად მაღალია, რომ შესამჩნევად აღემატება მოსარჩელის ინტერესს. საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, „ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სადავო ნორმის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ უნდა შეაფასოს ნორმის შეჩერებით გამოწვეული სხვათა უფლებების დარღვევის საფრთხეც“

(საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 7 ნოემბრის N1/3/509 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქე სოფიო ებრა-ლიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-9). ასეთ შემთხვევებში სასამართლო არ აჩერებს სადავო აქტის მოქმედებას.

სასამართლოს განმარტებით, იმ შემთხვევაში, როცა მოსარჩელის უფლებების დაცვის ინტერესი მკვეთრად აღემატება სხვათა უფლებებისა და საჯარო ინტერესების დაცვის ინტერესს, სადავო ნორმებით დადგენილი შემჭიდროებული ვადების შემთხვევაში სასამართლოს არ აქვს შესაძლებლობა, უპირატესობა მინიჭოს მოსარჩელის ინტერესს და 30 (ან ცალკეულ შემთხვევაში 45) დღეზე ხანგრძლივი ვადით შეაჩეროს სადავო აქტის მოქმედება. შესაბამისად, სადავო ნორმიდან გამომდინარე, შესაძლებელია, მოსარჩელის უფლება სამართლიან სასამართლოზე შეიზღუდოს მაშინაც კი, როდესაც მისი დაცვის ინტერესი მკვეთრად აღემატება მესამე პირთა და საჯარო სიკეთეების დაცვის ინტერესებს. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმით არ არის დადგენილი თანაზომიერი და სამართლიანი ბალანსი სასამართლოსადმი მიმართვის უფლებასა და ლეგიტიმურ მიზნებს შორის, უფლების შეზღუდვა იმაზე ფართოა, ვიდრე ეს ლეგიტიმური მიზნისთვის არის აუცილებელი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სადავო ნორმებით დადგენილი რეგულაცია სასამართლოს მიერ შეფასდა როგორც სასამართლოსადმი მიმართვის უფლების არათანაზომიერი და არაკონსტიტუციური შეზღუდვა. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სადავო ნორმები საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან (სამართლიანი სასამართლოს უფლება) მიმართებით.

## **2.2 განმწესრიგებელი სხდომის ეტაპზე სადავო აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ სადავო რეგულირების კონსტიტუციურობა**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ნორმის მოქმედების შეჩერების შესახებ მისი კომპეტენციის თაობაზე იმსჯელა ასევე ზემოთ დასახელებულ საქმეში: „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი(დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი), საქართველოს მოქალაქეები – ერასტი ჯაკობია და კარინე შახპა-რონიანი, საქართველოს მოქალაქეები – ნინო კოტიშაძე, ანი დოლიძე, ელენე სამადბეგოვილი და სხვები, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ლევან ბეჟაშვილი, გიორგი ღვინიაშვილი, ირმა ნადირაშვილი, პეტრე

ცისკარიშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ამ საქმეზე მიღებულ 2016 წლის 29 დეკემბრის №3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილებაში იმსჯელა ასევე სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების საკითხზე.

ერთ-ერთ დავის საგანს წარმოადგენდა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი რეგულირება, რომ სადავო ნორმის მოქმედების შეჩერება შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ განმნესრიგებელი სხდომის გადაწყვეტილებით. ამ სადავო რეგულირებით, საკონსტიტუციო სასამართლოს ერთმეოდა შესაძლებლობა სადავო ნორმის მოქმედება შეეჩერებინა განმნესრიგებელი სხდომის ეტაპის გამართვამდე ან მას შემდეგ (მაგალითად, არსებითი განხილვის ეტაპზე, გადაწყვეტილების გამოტანის ეტაპზე).

მოსარჩელები მიიჩნევდნენ, რომ სადავო ნორმით პროცედურულად იზღუდება ნორმის მოქმედების შეჩერებასთან დაკავშირებით შუამდგომლობის დაყენებისა და გადაწყვეტილების მიღების პერიოდი. მათი თქმით, სადავო ნორმატიული აქტის მოქმედების შედეგად, გამოუსწორებელი ზიანი შესაძლოა დადგეს არა მხოლოდ განმნესრიგებელი სხდომის ეტაპზე, არამედ საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. შესაბამისად, გაუმართლებელია სადავო რეგულაციით დადგენილი შეზღუდვა.

საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელე მხარის პოზიცია და აღნიშნა, რომ გამოუსწორებელი შედეგის იდენტიფიცირება შეიძლება მოხდეს როგორც განმნესრიგებელი სხდომის გამართვამდე, ასევე მისი ჩატარების შემდგომ. სავსებით შესაძლებელია ის ფაქტობრივი მოცემულობა, რომელიც არსებობდა განმნესრიგებელი სხდომის ეტაპზე, შეიცვალოს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. ყოველივე აღნიშნული მიანიშნებს სადავო ნორმის უმიზნო და, შესაბამისად, გაუმართლებელ ჩარევაზე პირის სამართლიანი სასამართლოს უფლებით დაცულ სფეროში.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სასამართლოსადმი მიმართვის უფლება, უნდა იყოს არა ილუზორული, არამედ ქმნიდეს პირის უფლებაში ჯეროვნად აღდგენის რეალურ შესაძლებლობას და წარმოადგენდეს უფლების დაცვის ეფექტურ საშუალებას. მოსარჩელეს უნდა ჰქონდეს მოლოდინი და რეალური შესაძლებლობა, დაიცვას საკუთარი უფლებები საკონსტიტუციო სასამართლოში.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ეფექტური მართლმსაჯულების მიზნებიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე შეაჩეროს სადავო ნორმის მოქმედება, თუ ჩათვლის, რომ მისი მოქმედებით შესაძლოა

მოსარჩელეს გამოუსწორებელი ზიანი მიადგეს. სასამართლოს განმარტებით, ნათელია, რომ სადავო ნორმით დადგენილი წესი ამცირებს ნორმის მოქმედების შეჩერების მექანიზმის ეფექტურობას და შეიცავს უფლების შეუქცევადი დარღვევის რისკებს, რაც, თავის მხრივ, საფრთხეს უქმნის საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის ეფექტიანობას. სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სადავო ჩანაწერი საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

### **2.3 სადავო აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ უფლებამოსილების პლენუმისადმი გადაცემის მარეგულირებელი წესის კონსტიტუციურობა**

სადავო ნორმის შეჩერების უფლებამოსილების შემზღვეველი რეგულირების კონსტიტუციურობაზე კიდევ ერთხელ მოუნია სასამართლოს მსჯელობა ამავე საქმეში – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი(დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი), საქართველოს მოქალაქეები – ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი, საქართველოს მოქალაქეები – ნინო კოტიშაძე, ანი დოლიძე, ელენე სამადბეგიშვილი და სხვები, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ლევან ბეჟაშვილი, გიორგი ღვინიაშვილი, ირმა ნადირაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

გასაჩივრებული ნორმების თანახმად, თუ საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნორმატიული აქტის მოქმედებას შეუძლია ერთ-ერთი მხარისათვის გამოუსწორებელი შედეგები გამოიწვიოს, მოცემული საკითხი განსახილველად გადაეცემა საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს, რომელიც სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას ნორმატიული აქტის ან მისი სათანადო ნაწილის შეჩერების თაობაზე.

მოსარჩელე მხარის მტკიცებით, ნორმის მოქმედების შეჩერების ინსტიტუტი წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს მეშვეობით უფლების დაცვის მნიშვნელოვან მექანიზმს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების უმოკლეს დროში მიღება შესაძლოა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყოს მოსარჩელისთვის. მოცემული კომპეტენციის პლენუმისთვის მინიჭება კი გააჭიანურებს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას. მოპასუხე მხარის მტკიცებით, ნორმის შეჩერების შესახებ პლენუმისთვის გადაწყვეტილების

მიღების კომპეტენციის მინიჭება განპირობებულია საჯარო ინტერესით, ვინაიდან ზოგიერთ შემთხვევაში სადავო ნორმის დროებით შეჩერება უთანაბრდება მის არაკონსტიტუციურად ცნობას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ იმდენად, რამდენადაც სადავო ნორმის მოქმედების შეჩერება პრევენციული მექანიზმია, მისი ეფექტურობა უმეტეს შემთხვევაში დამოკიდებულია მის დროულ გამოყენებაზე, თუ დაგვიანდა სადავო ნორმის მოქმედების შეჩერება და დადგა გამოუსწორებელი შედეგი, აზრს დაკარგავს ამ მექანიზმის გამოყენება და თავად სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობა დადგება ეჭვქვეშ. სასამართლოს განმარტებით, სადავო ნორმის შეჩერების თვალსაზრისით, საქართველოს კონსტიტუციის (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი ტექსტის) 42-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების ეფექტიანობისა და საქმის გონივრულ ვადებში განხილვის სტანდარტები დაირღვევა იმ შემთხვევაში, თუ საქმის განხილვას ხმარდება იმაზე მეტი დრო, ვიდრე ეს ამისათვის ობიექტურად არის საჭირო და ეს იწვევს უფლების შეუქცევადი დარღვევის რისკებს. სასამართლომ მიუთითა, რომ ერთი და იგივე საკითხის ორჯერ განხილვა ჯერ კოლეგიისა და შემდგომ პლენუმის მიერ არ შეესაბამება საქმის ეფექტური განხილვის სტანდარტს და გადაწყვეტილების მიღებისათვის მოითხოვს იმაზე მეტ დროს, ვიდრე ეს ობიექტურად არის საჭირო. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კანონმდებელი არ არის შეზღუდული, მიიჩნიოს, რომ ნორმის მოქმედების შეჩერების საკითხი, მისი მნიშვნელობის გათვალისწინებით საჭიროებს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მონაწილეობას. ამავე დროს, შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნეს სადავო ნორმის მოქმედების პროცესში საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მონაწილეობა, იმგვარად, რომ ნაკლებად მოხდეს ნორმის შეჩერების საკითხის გადაწყვეტის პროცესის დაყოვნება და არ შეიქმნას დამატებითი, არასაჭირო საპროცესო ბარიერები, რათა საფრთხე არ შეექმნას სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების ეფექტურობას. სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სადავო ნორმა საქართველოს კონსტიტუციის (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი ტექსტის) 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

### **3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საერთო სასამართლოს ინსტიტუციური დაცვა**

#### **3.1 საქალაქო და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეების თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლების შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების დასაბუთება**

საერთო სასამართლოს ინსტიტუციური დაცვის თვალსაზრისით საინტე-რესო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის №3/2/717 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები მთვარისა კეკელიძევილი, ნაზი დოთიაშვილი და მარინა გლოველი საქართველოს პარ-ლამენტის წინააღმდეგ“. განსახილველ საქმეში სადავოდ გამხდარი ნორმები შეეხება მოსამართლის სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლებას. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში სადავო ნორმების კონსტიტუციურობა შეფასდა საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია). დავის საგანს წარმოადგენდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის სიტყვების „თანამდებობაზე ნიშნავს“ და 50-ე მუხლის მე-4 პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან და 42-ე მუხლის პირველ პუნ-ქტთან მიმართებით.

საკონსტიტუციო სასამართლომ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ „სახელ-მწიფო თანამდებობა“ არის კონსტიტუციური ტერმინი, რომელიც უნდა განიმარტოს მისი ავტონომიური კონსტიტუციური მნიშვნელობით, მისი ბუნებისა და კონსტიტუციურ-სამართლებრივი დატვირთვის გათვალისწინე-ბით. საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის მიზნებისთვის სახელმწიფო სამსახური არის პროფესიული საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, სხვა საჯარო ფუნქციის განხორციე-ლების მიზნით ჩამოყალიბებულ ინსტიტუციებში. ასევე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, მოსამართლის თანამდებობა კონსტიტუციის მიზნებისთვის განხილულ უნდა იქნეს იმ სახელმწიფო თანამდებობად, რომლის დაკავებისა და საქმიანობის განხორციელების კანონით განსაზღვრული პირობები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლს. შესაბამისად, მოსამართლის თანამდებობის დაკავების მარეგულირებელ კანონმდებლობაზე ვრცელდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქართველოს კონს-ტიტუციის 29-ე მუხლით დაცულ უფლებასთან დაკავშირებით დადგენილი

სტანდარტები (მოსამართლის სახელმწიფო თანამდებობის კონსტიტუციური სტატუსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით).

მოსარჩელე მხარე აღნიშნავდა, რომ საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი დასაბუთების მოთხოვნა უნდა გავრცელდეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საქალაქო და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე განწესების ან განწესებაზე უარის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებაზეც. განხილვის საგანს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ არ ხდება მოსამართლის თანამდებობაზე განწესების შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება.

ეს გადაწყვეტილება იმით იქცევა ყურადღებას, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ერთი მხრივ განმარტავს მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის ან უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთების აუცილებლობას და მეორე მხრივ სადავო ნორმას მიიჩნევს კონსტიტუციურად იმ საფუძვლით, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში არსებული რეგულაცია, კერძოდ, მოსამართლეობის კანდიდატის მიმართ შეფასების ფურცლის შევსება, საკმარისია.

კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების დასაბუთება აუცილებელია საბჭოს წევრების მიერ უკანონო, თვითნებური ან/და მიკერძოებული გადაწყვეტილების მიღების პრევენციისათვის. პირის პროფესიული დანიშვნისას, როდესაც გადაწყვეტილება თანამდებობაზე განწესების შესახებ არ წარმოადგენს პოლიტიკური პროცესის შემადგენელ ნაწილს, გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულების არარსებობა ქმნის უფლებამოსილების არაჯეროვნად განხორციელების საფრთხეს, მოსამართლეობის კანდიდატს ართმევს სამართლიანი სასამართლოს უფლებით ეფექტიანად სარგებლობის შესაძლებლობას, ართულებს და ცალკეულ შემთხვევებში შეუძლებელს ხდის მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებას სასამართლოს მიერ. გადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივი წინაპირობის ცოდნის გარეშე კანდიდატისათვის რთულია შეარჩიოს სათანადო სტრატეგია საკუთარი უფლების დასაცავად. ამასთანავე, დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების არსებობის პირობებში, კანდიდატი მოკლებულია შესაძლებლობას, გამოასწოროს საკუთარი ხარვეზები, რადგან არ იცის, რის გამო ეთქვა უარი მოსამართლის თანამდებობაზე განწესებაზე და რა უნდა მოიმოქმედოს შემდგომ კონკურსზე წარმატების მისაღწევად.

ამავდროულად, მიუხედავად სასამართლოს მიერ ზემოთ მოყვანილი მსჯელობისა, სასამართლომ მიიღო მის მსჯელობასთან წინააღმდეგობრივი გადაწყვეტილება – სასამართლომ სადავო ნორმა კონსტიტუციურად ცნო.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსამართლის თანამდებობაზე განწესების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, ზოგადად, ემყარება რიგ ობიექტურ და სუბიექტურ კრიტერიუმებს. სუბიექტურ კრიტერიუმებთან შესაბამისობის საკითხის დასაბუთება და შემდგომში ამ დასაბუთების გადამოწმება რთულ ამოცანას წარმოადგენს. რთულია ამ საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების ობიექტური ახსნა, დასაბუთება, ამ დასაბუთების გადამოწმება, ასევე სწორი ან არასწორი გადაწყვეტის დადგენა/გადამოწმება. ამიტომ, ამ ნაწილში განსაკუთრებით მალაღია გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტის დისკრეცია და იკლებს დასაბუთებულობის მოთხოვნაც. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაუბრების შემდეგ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოველი წევრის მიერ თითოეული მოსამართლეობის კანდიდატის მიმართ შეფასების ფურცლის შევსება, რომელშიც შეიტანება მოსამართლეობის კანდიდატის კრიტერიუმებით შეფასების შედეგები, – ჩანაცვლებდა დასაბუთებულ გადაწყვეტილებას.

სამართლიანი სასამართლოს უფლების კონტექსტში საკონსტიტუციო სასამართლომ გააანალიზა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი და აღნიშნა, რომ პირის მოსამართლედ განწესებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება ექვემდებარება სასამართლო კონტროლს მოსარჩელის მიერ მითითებული საფუძვლებით. კერძოდ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35<sup>4</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი იძლევა გასაჩივრების შესაძლებლობას პროცედურული დარღვევების შემთხვევაში. დისკრიმინაციასთან დაკავშირებით დავის შესაძლებლობას იძლევა ამავე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, ხოლო ამავე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს, თუ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა გადაამეტა მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ამკარაა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოქმედი რედაქცია შეიცავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას იმ საფუძვლებით, რომლებიც მოსარჩელისათვის იყო პრობლემატური საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის განხილვისას.

შესაბამისად, სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო წარმოადგენს კონსტიტუციურ ორგანოს, რომელიც მოსამართლის დანიშვნისას ახორციელებს მის კონსტიტუციურ უფლებამოსილებას. აღნიშნული გარემოება არ გამოორიცხავს ამ პროცესზე სასამართლო კონტროლის განხორციელების კონსტიტუციურსამართლებრივ



უფლებამოსილებას. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული სამართლიანი სასამართლოს უფლების მოთხოვნაა, ნებისმიერი უფლებაშემზღუდველი აქტის სასამართლოში კონსტიტუციური სტანდარტების შესაბამისად გასაჩივრების უზრუნველყოფა. კონსტიტუციის აღნიშნული მოთხოვნა, შესაბამისი თავისებურებების გათვალისწინებით, ვრცელდება სახელმწიფო თანამდებობაზე განწესებაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე. სახელმწიფო თანამდებობაზე განწესებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების სასამართლო კონტროლი ემსახურება თვითნებური, დაუსაბუთებელი და მიკერძოებული გადაწყვეტილებების პრევენციას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლების სტანდარტების განსაზღვრისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული გადასასინჯი უფლებაშემზღუდველი აქტისა თუ ქმედების კონსტიტუციურსამართლებრივი ბუნება. კერძოდ, პირის თანამდებობაზე განწესებისა და განწესებაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ეფუძნება რიგ ობიექტურ და სუბიექტურ კრიტერიუმებს. ხოლო, აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტი სარგებლობს გარკვეული ხარისხის მიხედულებით. სამართლიანი სასამართლოს უფლებრივი სტანდარტების განსაზღვრისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ ობიექტური, გადამონმებადი კრიტერიუმების ფარგლებში გადაწყვეტილება ექვემდებარება სასამართლოს მიერ გადახედვას უფრო მკაცრი სტანდარტებით. სასამართლო კონტროლის სტანდარტი, ცხადია, ასეთივე მკაცრი ვერ იქნება ისეთ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება გადაწყვეტილებების გადახედვას სუბიექტური კრიტერიუმების ფარგლებში. როგორც უკვე აღინიშნა, სუბიექტური კრიტერიუმების ნაწილში, განსაკუთრებით ფართოა გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს მიხედულება და იკლებს გადაწყვეტილების დასაბუთებისა და გადასინჯვის ფარგლები.

სასამართლომ აღნიშნა, რომ პირის თანამდებობაზე განწესებაზე უარის თქმის გადაწყვეტილების გადასინჯვა სასამართლოს მიერ როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური კრიტერიუმების ფარგლებში უნდა მოხდეს იმ ხარისხით, რომ უზრუნველყოს სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლების ეფექტური დაცვა. სასამართლო კონტროლმა უნდა გამოორიცხოს თვითნებური, მიკერძოებული და დისკრიმინაციული გადაწყვეტილებების მიღება. ცხადია, სასამართლო უფლებამოსილი არ არის, ჩანაცვლოს გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტი, მის ნაცვლად განახორციელოს დისკრეციული უფლებამოსილება და მიიღოს გადაწყვეტილება, თუმცა, სასამართლომ უნდა შეამოწმოს აღნიშნული სუბიექტის მიერ საკუთარი მიხედულების გამოყენების

მართებულობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ეჭვქვეშ დადგება არა მხოლოდ სამართლიანი სასამართლოს, არამედ – სახელმწიფო თანამდებობის დაკავების კონსტიტუციური უფლების გარანტიები. ამ განმარტების შედეგად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლებას სადავო ნორმები არ არღვევდნენ. სასამართლომ არ დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა.

**3.1.1 განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო  
სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის №3/2/717 გადაწყვეტილებაზე  
„საქართველოს მოქალაქეები მთვარისა კველიშვილი, ნაზი დოთიაშვილი  
და მარინა გლოველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.**

აღნიშნულ საქმეს თან ერთვის სამი მოსამართლის განსხვავებული აზრი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2017 წლის 7 აპრილის №3/2/717 გადაწყვეტილებაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების – ირინე იმერლიშვილის, გიორგი კვერენჩილაძის და მაია კოპალეიშვილის განსხვავებული აზრის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებელი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით შეფასების სხვადასხვა მახასიათებლებს ჩამოთვლის, საბოლოოდ, მოსამართლეობის კანდიდატი ფასდება მარტოოდენ მშრალი სიტყვების მითითებით – არ აკმაყოფილებს, აკმაყოფილებს, სრულად აკმაყოფილებს. აღნიშნული რეგულირება ბადაბს ბუნდოვანობისა და სამართლებრივი განუჭვრეტლობის განცდას, რადგან სრულიად გაურკვეველია, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის რომელი მახასიათებლის შეფასების შედეგად მივიდა იუსტიციის საბჭო კონკრეტულ დასკვნამდე. მშრალად, ყოველგვარი წერილობითი დასაბუთების გარეშე მითითება სიტყვებისა – არ აკმაყოფილებს, აკმაყოფილებს, სრულად აკმაყოფილებს, გამორიცხავს შესაძლებლობას, გადამოწმდეს ამა თუ იმ კანდიდატის თანამდებობასთან შესაბამისობის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძვლები. აღსანიშნავია, რომ „შაბლონური“ გადაწყვეტილებები აზიანებს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცესს, არ იძლევა იმის გადამოწმების შესაძლებლობას, თუ რამდენად კეთილსინდისიერად გამოიყენა იუსტიციის საბჭომ მისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება. კიდევ უფრო საფრთხის მატარებელია მსგავსი რეგულირება ორგანული კანონის 35-ე მუხლის მე-12 პუნქტის კონტექსტში. მე-12 პუნქტის თანახმად, კენჭისყრაზე არ დგება მოსამართლეობის ის კანდიდატი, რომელიც „არ აკმაყოფილებს“ კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციის პირობებში, როდესაც

არ ხდება გადაწყვეტილების წერილობითი დასაბუთება, შეუძლებელია იმის გადამოწმება, თუ რას დაეყრდნო იუსტიციის უმაღლესი საბჭო, როდესაც კანდიდატს დაუწერა შეფასება – არ აკმაყოფილებს.

ანალოგიური ვითარებაა როდესაც მოსამართლეობის კანდიდატი ფასდება კომპეტენტურობის კრიტერიუმების მახასიათებლების საფუძველზე. ორგანული კანონის 35<sup>1</sup> მუხლის მე-16 პუნქტის თანახმად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით, მოსამართლეობის კანდიდატი ფასდება მხოლოდ ქულებით. განსაზღვრულია თითოეული მახასიათებლის ქულათა მაქსიმალური ოდენობა. ამასთან, ობიექტური დამკვირვებლის თვალში ბუნდოვანია, თუ რა გარემოებათა გამო მოხდა ამა თუ იმ ქულით შეფასება ან მაქსიმალურ ქულაზე ნაკლები (ან ბევრად ნაკლები) ქულის დაწერა. ორგანული კანონი ამის სავალდებულო დასაბუთების მოთხოვნას არ შეიცავს. იმავდროულად, მოსამართლეობის კანდიდატის მიერ მოპოვებულ ქულათა განსაზღვრული რაოდენობის ჯამია საჭირო იმისათვის, რომ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე განწესების მიზნით მოსამართლეობის კანდიდატს კენჭი ეყაროს. კენჭი ეყრება მხოლოდ იმ კანდიდატს, რომლის მიერ მოპოვებული ქულათა ჯამი ქულების მაქსიმალური რაოდენობის არანაკლებ 70 პროცენტია.

განსხვავებული აზრის ავტორები არ ეთანხმებიან სასამართლოს პლენუმის უმრავლესობის მოსაზრებას, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ თითოეულ კანდიდატზე შეფასების ფურცლის შევსება, იმავდროულად, განაპირობებს მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებას. განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლეები მიიჩნევენ, ორგანული კანონის 35-ე მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, შეფასების ფურცელში საბჭოს წევრის მიერ შეიტანება მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების შედეგი და, შესაბამისად, არ ხდება იმის წერილობითი დასაბუთება, რა კონკრეტული მახასიათებლების გათვალისწინებით მივიდა საბჭოს წევრი შესაბამის შედეგამდე. მხოლოდ კრიტერიუმების, მახასიათებლების და ქულების საკანონმდებლო განერა ვერ ჩაითვლება მოსარჩელის უფლების დაცვის გარანტიად, რადგან შეუძლებელი ხდება გადამოწმება, თუ რამდენად გაითვალისწინა ესა თუ ის კრიტერიუმი საბჭოს წევრმა გადაწყვეტილების მიღებისას, რადგან საბჭოს წევრს ორგანული კანონით არ ეკისრება გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება.

განსხვავებულ აზრში მითითებულია, რომ პლენუმის უმრავლესობის გადაწყვეტილება ემყარება ნორმათა იმგვარ ინტერპრეტირებას და განვრცობას, რაც აზარალებს მთლიანად მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცესს და საკონსტიტუციო მართლმსაჯულებას. დაუშვებელია ნორმათა

ისეთი ინტერპრეტაცია, რომელიც ეწინააღმდეგება კანონმდებლის ნებას, ნორმის ცალსახად გამოხატული მიზნის შესახებ. ასეთი ინტერპრეტაციით სამართალგამომყენებელი ხელს უწყობს, რომ საკანონმდებლო რეგულაცია საკუთარი შეხედულებით შეცვალოს. ინტერპრეტაციისას ნორმას არ უნდა დაეკარგოს მისი მთავარი მიზანი. სასამართლო არ უნდა შეეცადოს ნორმათა გაკეთილშობილებას ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების საზიანოდ. ნორმათა ინტერპრეტაცია უკავშირდება სამართლებრივი უსაფრთხოების საკითხს, რომელიც მოითხოვს, რომ კანონების განმარტებით არ დაზიანდეს პრობლემის სამართლიანი გადაწყვეტა.

### **3.2 უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კენჭისყრის პროცედურა – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 ივლისის №3/1/1459,1491 გადაწყვეტილება „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“**

საინტერესოა 2020 წლის 30 ივლისის №3/1/1459,1491 გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. დავის საგანს წარმოადგენს: ა) №1459 კონსტიტუციურ სარჩელზე: „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34<sup>1</sup> მუხლის მე-7 პუნქტის პირველი წინადადების სიტყვების: „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ... თავის მიერ განსაზღვრული პროცედურით ატარებს ფარულ კენჭისყრას კანდიდატის შემდგომ ეტაპზე გადაყვანის თაობაზე“, მე-2 და მე-10 წინადადებების, ამავე მუხლის მე-12 პუნქტის პირველი და მე-3 წინადადებებისა და მე-13 პუნქტის მე-2 წინადადების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებასთან და 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით; ბ) №1491 კონსტიტუციურ სარჩელზე: „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34<sup>1</sup> მუხლის მე-15 პუნქტის პირველი, მე-3 და მე-4 წინადადებების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებასთან და 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

სახალხო დამცველმა გაასაჩივრა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ის სადავო ნორმები, რომლებიც განსაზღვრავს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის წესს. კერძოდ,

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ფარულად უყრის კენჭს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ კანდიდატებს.

მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ სადავო ნორმები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით დაცულ საჯარო თანამდებობის დაკავებისა და საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებულ სამართლიანი სასამართლოს უფლებებს.

### **3.2.1 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების დასაბუთებულობისა და ფარულად მიღების საკითხი**

2020 წლის 30 ივლისის №3/1/1459,1491 საქმის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასა რამდენად ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით დაცულ უფლებას, ერთი მხრივ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა წარდგენის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების დასაბუთების არარსებობა, ხოლო, მეორე მხრივ, კენჭისყრის ფარულობა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო ნორმები არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო წარმოადგენს შესაბამისი კომპეტენციით აღჭურვილ პოლიტიკურად ნეიტრალურ ორგანოს, რომელიც სარგებლობს დამოუკიდებლობის მაღალი კონსტიტუციური გარანტიებით და შესწევს უნარი, კანდიდატთა შერჩევის პროცესში იხელმძღვანელოს მარტოოდენ კონსტიტუციის მოთხოვნების შესაბამისად და სრულფასოვნად შეასრულოს კონსტიტუციითვე განსაზღვრული მისი მთავარი ფუნქცია. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევისა და განწესების პროცესში ორი კონსტიტუციური ორგანოს (პარლამენტის და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს) მონაწილეობა, მათი ფუნქციები, დანიშნულება, სტატუსი, ერთობლიობაში, უზრუნველყოფს უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტებას კონსტიტუციის მოთხოვნების შესაბამისად – სათანადო კომპეტენციის, კეთილსინდისიერი მოსამართლეობით. 2020 წლის 30 ივლისის №3/1/1459,1491 საქმეზე მოსარჩელე მხარე მიიღწევდა, რომ იუსტიციის საბჭოს გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობის საკითხისგან დამოუკიდებლად, სადავო ნორმების არაკონსტიტუციურობას ასევე განაპირობებს გადაწყვეტილების მიღების ფარულობის წესი. სასამართლომ კონსტიტუციის შესაბამისად მიიჩნია კენჭისყრის ფარულობა.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეთა შერჩევის საკითხზე გადაწყვეტილების ფარულად მიღება აღნიშნული ორგანოს მიერ საკუთარი ფუნქციების სათანადოდ შესრულების დამატებით გარანტიას ქმნის, რამდენადაც, მიუხედავად ორგანოს განსაკუთრებული სტატუსისა, ყოველთვის არსებობს რისკები, ცალკეულმა ჯგუფებმა თუ პირებმა მოინდომონ საბჭოს წევრზე ზეგავლენის მოხდენა. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ საბჭოს მოსამართლე წევრებს ხშირად გადაწყვეტილებების მიღება უწევთ თავიანთი კოლეგების მიმართაც და ასეთ შემთხვევებშიც, კენჭისყრის ფარულობა გაცილებით მეტად უზრუნველყოფს მათი ნების თავისუფალ გამოვლენას. ამდენად, საბჭოს მიერ მოსამართლეთა, მათ შორის პარლამენტისთვის წარსადგენი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევისას, გადაწყვეტილების მიღება ფარული კენჭისყრით უზრუნველყოფს ამგვარი რისკებისგან დაზღვევას და ქმნის გადაწყვეტილების თავისუფალ გარემოში მიღების მეტ გარანტიას.

კერძოდ, სასამართლომ განმარტა, რომ ზოგადად, ფარული კენჭისყრა ემსახურება ისეთ მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს, როგორცაა გადაწყვეტილების მიმღები პირის/ორგანოს დაცვა გარეგანი ჩარევებისა და ზემოქმედებისაგან, მესამე პირების კონტროლისა თუ ზენოლისგან. ფარული კენჭისყრა ქმნის გარანტიას, გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს დამოუკიდებლად, ნების აბსოლუტურად თავისუფლად გამოვლენის საფუძველზე და მნიშვნელოვნად აზღვევს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს მათ წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებებისგან. შესაბამისად, კენჭისყრის ფარულობა, ძირითადად, ემსახურება ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიმღები პირის დაცულობას. სასამართლოს განმარტებით, ცალკეულ შემთხვევებში, საქართველოს კონსტიტუცია იცნობს გადაწყვეტილების როგორც ფარული, ასევე ღია კენჭისყრით მიღების წესს. მაგალითისათვის, საარჩევნო კოლეგია ღია კენჭისყრით ირჩევს საქართველოს პრეზიდენტს, ხოლო საქართველოს პარლამენტი ფარული კენჭისყრით ირჩევს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს. ამასთანავე, ღია პარლამენტის სხდომაზე კენჭისყრა, გარდა კონსტიტუციით ან კანონით გათვალისწინებული საგამონაკლისო შემთხვევებისა. შესაბამისად, კონკრეტული მიზნობრიობის გათვალისწინებით, სხვადასხვა პროცედურასთან მიმართებით, შესაძლოა გამართლებული იყოს ფარული ან ღია კენჭისყრა. ამდენად, ის გარემოება, თუ რამდენად წარმოადგენს კენჭისყრის ღიაობა უფლების შემადგენელ ნაწილს, უნდა შემოწმდეს ყოველ კონკრეტულ ვითარებაში, ვინაიდან შესაძლოა, გა-

მოვლინდეს ცალკეული შემთხვევები, როდესაც იარსებებს ფარულობის საპირწონე მნიშვნელოვანი ინტერესი გადანყვეტილების ღია კენჭისყრით მიღების სასარგებლოდ.

როგორც გადანყვეტილებაშია მითითებული, განსახილველ შემთხვევაში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეთა შერჩევის საკითხზე გადანყვეტილების ფარულად მიღება აღნიშნული ორგანოს მიერ საკუთარი ფუნქციების სათანადოდ შესრულების დამატებით გარანტიას ქმნის, რამდენადაც, მიუხედავად ორგანოს განსაკუთრებული სტატუსისა, ყოველთვის არსებობს რისკები, ცალკეულმა ჯგუფებმა თუ პირებმა მოინდომონ საბჭოს წევრზე ზეგავლენის მოხდენა. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ საბჭოს მოსამართლე წევრებს ხშირად გადანყვეტილებების მიღება უწევთ თავიანთი კოლეგების მიმართაც და ასეთ შემთხვევებშიც, კენჭისყრის ფარულობა გაცილებით მეტად უზრუნველყოფს მათი ნების თავისუფალ გამოვლენას. როგორც ზემოთ აღინიშნა, სასამართლომ მიიჩნია, რომ საბჭოს მიერ მოსამართლეთა, მათ შორის პარლამენტისთვის წარსადგენი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევისას, გადანყვეტილების მიღება ფარული კენჭისყრით უზრუნველყოფს ამგვარი რისკებისგან დაზღვევას და ქმნის გადანყვეტილების თავისუფალ გარემოში მიღების მეტ გარანტიას.

აღნიშნული მსჯელობის შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე მხარემ ვერ წარმოაჩინა სათანადო არგუმენტაცია, რატომ სჯობს ღიაობა ფარულობას და, კიდევაც რომ სჯობდეს, რატომ არის ის არაკონსტიტუციური. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმები, რომლითაც განისაზღვრება იუსტიციის საბჭოს მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცესში გადანყვეტილების მიღება ფარული კენჭისყრით, არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით დაცულ უფლებას.

**3.2.2 განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 ივლისის №3/1/1459,1491 გადანყვეტილებაზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“**

დასახელებულ გადანყვეტილებას თან ახლავს 4 მოსამართლის განსხვავებული აზრი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2020 წლის 30 ივლისის №3/1/1459,1491 გადანყვეტილებაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების – თეიმურაზ ტულუშის,

ირინე იმერლიშვილის, გიორგი კვერენჩილაძის და თამაზ ცაბუტაშვილის განსხვავებული აზრის თანახმად, სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლით დაცული გარანტიები პირის მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობის დაკავებასთან მიმართებით. გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლოს მოქმედი პრაქტიკის საწინააღმდეგოდ უგულებელყოფილია სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლების დაცვის ფარგლები, საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული სახელმწიფო თანამდებობის პირების ანგარიშვალდებულების პრინციპები და კონსტიტუციაში განხორციელებული იმ ცვლილებების მიზნები, რომლის ფარგლებშიც მოსამართლეთა შერჩევის პროცესში საქართველოს პრეზიდენტის მონაწილეობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოთი ჩანაცვლდა.

განსხვავებული აზრის ავტორები აღნიშნავენ, რომ სასამართლომ არასწორად შეაფასა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული სამართლიანი სასამართლოს უფლების მოთხოვნები მოსამართლეთა შერჩევის პროცესთან მიმართებით. არ იქნა გათვალისწინებული პროცესისადმი საზოგადოების ნდობის მნიშვნელობა, უგულებელყოფილია სამოქალაქო საზოგადოებისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებები, რომლებიც ნათლად წარმოაჩენს, რომ სადავო ნორმით დადგენილი პროცედურის ხარვეზები არა მხოლოდ თეორიულად არსებობს, არამედ ასევე მძიმედ გამოვლინდა პრაქტიკაში, რამაც პროცესისადმი ფართო უნდობლობა განაპირობა.

განსხვავებული აზრის თანახმად, გადაწყვეტილების დასაბუთებულობის მოთხოვნა უკავშირდება თავად მისაღები გადაწყვეტილების ბუნებას და გადაწყვეტილების მიმღები პირების ანგარიშვალდებულებას. ხალხის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისას ხელისუფლების ხალხისადმი ანგარიშვალდებულება დემოკრატიული სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილია. მართვის განხორციელება სათანადო ანგარიშვალდებულების გარეშე ხელისუფლების მითვისებას უთანაბრდება, რასაც კონსტიტუცია არაორაზროვნად კრძალავს. განსხვავებულ აზრში აღნიშნულია, რომ სწრედ საკითხის გადაწყვეტისას გაკეთებული სათანადო დასაბუთება არის გადაწყვეტილების სამართლის საფუძველზე მიღების უმთავრესი დასტური. გადაწყვეტილების დასაბუთების გარეშე მიღების უფლებამოსილება ფაქტობრივად მის მიზანშეწონილობაზე, სურვილზე დაყრდნობით მიღებას უთანაბრდება. მსგავს შესაძლებლობას კი, კონსტიტუცია მხოლოდ პოლიტიკურ ხელისუფლებას ხალხის მიერ უშუალო კონტროლის განხორციელების პირობით ანიჭებს.



მოსამართლეები არ იზიარებენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 ივლისის N3/1/1459,1491 გადაწყვეტილებაში სასამართლოს მიერ გამოთქმულ პოზიციას. ისინი მიიჩნევენ, რომ საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლი მოითხოვს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის ისეთი სისტემის შექმნას, რომლის ფარგლებშიც, ერთი მხრივ, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ექნება საკმარისი ბერკეტები კანდიდატთა კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის შესაფასებლად, მეორე მხრივ კი, გამოირიცხება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების დაუსაბუთებლად, თვითმიზნურად მიღების შესაძლებლობა.

განსხვავებულ აზრში ყურადღებაა გამახვილებული ასევე კენჭისყრის ფარულობის საკითხზე. მოსამართლეთა მოსაზრებით, გადაწყვეტილების საჯარო მიღება გამჭვირვალობისა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. გადაწყვეტილების ფარული კენჭისყრით მიღება კი მნიშვნელოვნად ამცირებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების ანგარიშვალდებულების ხარისხს. ამდენად, ფარული კენჭისყრის გამართლებას სჭირდება არგუმენტები, რომელიც მიუთითებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ნებაზე, გარე ზემოქმედების ისეთ საფრთხეებზე, რომლებიც ღია კენჭისყრის პირობებში ვერ იქნება თავიდან აცილებული. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უკანონო ზემოქმედებისაგან დაცვის მრავალი მექანიზმი არსებობს და საჭიროების შემთხვევაში შეიძლება კიდევ შეიქმნას. განსხვავებული აზრის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებიდან არ იკვეთება, რატომ არის ღია კენჭისყრასთან დაკავშირებული საფრთხეები იმდენად გადაუღალახავი, რომ გამართლდეს საბჭოს წევრების ანგარიშვალდებულების ხარისხის უაღრესად შემცირება. ფარული კენჭისყრის პირობებში უცნობია, რომელმა წევრმა რომელ კანდიდატს მისცა ხმა. შესაბამისად, თეორიულადაც კი შეუძლებელია განისაზღვროს კანდიდატთა რომელ შეფასებას დაეფუძნა საბჭო, როგორც კოლეგიური ორგანო ან/და მისი წევრები, არ იკვეთება ბმა გაკეთებულ შეფასებებსა და კენჭისყრის შედეგად მიცემულ ხმებს შორის.

განსხვავებული აზრის თანახმად, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მიმდინარე პროცედურა, ერთი მხრივ, საბჭოს წევრებს არ უზრუნველყოფს კანდიდატთა სათანადოდ შერჩევისათვის საჭირო მექანიზმებით. მეორე მხრივ კი, საერთოდ არ შეიცავს გარანტიებს, რომელიც საბჭოს წევრების თვითნებობისა და მიუკერძოებლობისაგან დაიცავს შერჩევაში მონაწილე კანდიდატებს.

### 3.2.2.1 ადგილობრივი და საერთაშორისო შეფასებების ანალიზი განსხვავებულ აზრში

განსხვავებულ აზრში განხილულია და ყურადღება გამახვილებულია ადგილობრივ და საერთაშორისო შეფასებებზე, მითითებულია, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესი გამოირჩეოდა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესით.

#### ა. ვენეციის კომისიის 2010 წლის 16 მარტის CDL-AD(2010)004 მოხსენება „სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის შესახებ“

განსხვავებული აზრის თანახმად, შესაბამისი კანონმდებლობის, მათ შორის, სადავო ნორმების საქართველოს პარლამენტის მიერ მიღების პროცესში აქტიურად იყო ჩართული ვენეციის კომისია, რომელმაც წარმოადგინა საკუთარი დასკვნა და რეკომენდაციები საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა დანიშვნის მომწესრიგებელ კანონმდებლობასთან დაკავშირებით.

განსხვავებულ აზრში ერთ-ერთ მნიშვნელოვან დოკუმენტადაა მითითებული „სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის შესახებ“ ვენეციის კომისიის 2010 წლის 16 მარტის CDL-AD(2010)004 მოხსენება. განსხვავებული აზრის ავტორებმა გადმოსცეს მითითებული დოკუმენტის III ნაწილის მე-2 და მე-3 თავების ანალიზი და შეფასება განსახილველი საქმის კონტექსტში. განსხვავებული აზრის თანახმად, ვენეციის კომისიის დასახელებული დოკუმენტი არაორაზროვნად განამტკიცებს პრინციპს, რომლის მიხედვითაც, მოსამართლეთა დანიშვნასა და პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადანყვევტილება უნდა ეფუძნებოდეს მოსამართლეობის კანდიდატების დამსახურებას, პროფესიული კვალიფიკაციისა თუ პიროვნული მახასიათებლების შეფასებას. აღნიშნული მიზნის უზრუნველყოფისათვის კი, ვენეციის კომისიის რეკომენდაციით, აუცილებელია, არსებობდეს სასამართლო სისტემის ფორმირების გამჭვირვალე პროცედურები და თანმიმდევრული პრაქტიკა. ვენეციის კომისიის პოზიციით, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს მოსამართლეთა შერჩევის ერთიანი მოდელი, რომელიც ყველა სახელმწიფოში მსგავსი იქნება, აუცილებელია, შემუშავებულ იქნეს სასამართლო ხელისუფლების ფორმირების იმგვარი მექანიზმი, რომელიც, მოსამართლეთა დანიშვნის პროცესში, გამოირიცხავს პოლიტიკური შეხედულებების დომინირებას კანდიდატთა დამსახურებაზე.

ვენეციის კომისიის დასახელებული მოხსენების მიხედვით, ახალ დემოკრატიებში, რომლებშიც ძალაუფლების სამართლებრივი კულტურითა და ტრადიციებით ბოჭვის ნაკლები გამოცდილება არსებობს, აუცილებელია,

შემუშავებულ იქნეს გამოხატული კონსტიტუციური გარანტიები ხელისუფლების აღმასრულებელი შტოს მიერ მოსამართლეთა დანიშვნის პროცესში პოლიტიკური ძალაუფლების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად. ვენეციის კომისიის განმარტებით, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის სათანადო მექანიზმს ხელისუფლების პოლიტიკური შტოებისაგან დამოუკიდებელი მართლმსაჯულების საბჭოების ან ეკვივალენტური ორგანოების არსებობა წარმოადგენს, რომელთაც უნდა გააჩნდეთ გადამწყვეტი გავლენა მოსამართლეების დანიშვნასა და კარიერასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამავდროულად, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის ლეგიტიმური მიზნის მიღწევისათვის საჭიროა, რომ ამგვარი მართლმსაჯულების საბჭოებს თავად ჰქონდეთ დამოუკიდებლობის კონსტიტუციური გარანტიები, მათი დაფუძნების, უფლებამოსილებებისა და ავტონომიის საკითხებთან დაკავშირებით.

როგორც განსხვავებულ აზრშია მითითებული, ზემოაღნიშნული მოხსენების ანალიზი ცხადყოფს, რომ ვენეციის კომისიის რეკომენდაციას, საერთო სასამართლოების მოსამართლეთა შერჩევის პროცესში, არა მხოლოდ მართლმსაჯულების დამოუკიდებელი საბჭოების ან ეკვივალენტური ორგანოების ჩართვა წარმოადგენდა, არამედ მიზნად ისახავდა აღნიშნული პროცესის დეპოლიტიზაციას, კანდიდატის დამსახურების, კომპეტენტურობისა და პიროვნული მახასიათებლების გათვალისწინებით შერჩევას, პოლიტიკურ თუ სხვაგვარ მიზანშეწონილობაზე დაფუძნებული გადამწყვეტილების გამორიცხვას და სასამართლო სისტემის ფორმირების გამჭვირვალე პროცედურების შემუშავებას, რომლის ფარგლებშიც სათანადოდ იქნებოდა უზრუნველყოფილი სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა.

ამდენად, განსხვავებული აზრის ავტორები მიიჩნევენ, რომ კონსტიტუციის მიღებისას კანონმდებლის ნება, აშკარად, მიმართული იყო უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნასთან დაკავშირებით პოლიტიკური ორგანოებისათვის დამახასიათებელი, მიზანშეწონილობაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების შემცირების და დასაბუთებაზე დაფუძნებული გამჭვირვალე სისტემის შექმნისკენ.

ერთ-ერთ ყველაზე კრიტიკულ საკითხად ვენეციის კომისიის შეფასებაში<sup>1</sup> იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კენჭისყრის ფარულობა და შესაბამისი და-

1 ვენეციის კომისიის 2019 წლის 24 ივნისის საგანგებო მოსაზრება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევასა და დანიშვნასთან დაკავშირებით; მიღებულ იქნა ვენეციის კომისიის 119-ე პლენარულ სესიაზე; 21-22 ივნისი, 2019 წელი; (CDL-AD(2019)009); ხელმისაწვდომია: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD\(2019\)009-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2019)009-e) (უკანასკნელად გადამოწმდა 2020 წლის 7 აგვისტოს).

საბუთების ვალდებულების არარსებობა დასახელდა. მნიშვნელოვანია, რომ ვენეციის კომისია კანონმდებელს ფარული კენჭისყრის სრულად გაუქმებისკენ მოუწოდებდა და აღნიშნავდა, რომ ამგვარი კენჭისყრა, თავისთავად, საფუძველს აცლის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებასა და შესაბამისი ახსნა-განმარტების წარმოდგენას. დასაბუთების არსებობის აუცილებლობას ვენეციის კომისია უკავშირებდა არა მხოლოდ კანდიდატისთვის იმ მიზეზების გაცნობას, რომელთა საფუძველზეც მას შემდგომ ეტაპზე გადასვლაზე ეთქვა უარი, არამედ მისი მხრიდან ამ გადაწყვეტილების ეფექტური გასაჩივრების შესაძლებლობის უზრუნველყოფას, აგრეთვე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების მიღების დაზღვევასა და, საბოლოოდ, მოსამართლეთა შერჩევის პროცესის მიმართ სანდოობის ჩამოყალიბებას.

### **ბ. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (ODIHR)**

ვენეციის კომისიასთან ერთად, კანონმდებლობის შემუშავების, აგრეთვე მოსამართლეთა შერჩევის პროცესში აქტიურ მონიტორინგს ახორციელებდა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (ODIHR),<sup>2</sup> რომელმაც საკუთარი სადამკვირვებლო მისიის მიერ მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, წარმოადგინა საბოლოო შეფასებები როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებული შერჩევის პროცედურის, ისე შემდგომში, პარლამენტში მიმდინარე პროცედურების შესახებ.<sup>3</sup> ODIHR საკუთარ ანგარიშებში ხაზგასმით გამოყოფდა იმ გარემოებას, რომ საბოლოოდ, საბჭოს მიერ პარლამენტისთვის ნომინირებული კანდიდატების სია არ იყო თანხვედრაში საბჭოს წევრთა მხრიდან კანდიდატების კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის ნიშნით გაკეთებული შეფასებების შედეგებთან (იგულისხმება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34<sup>1</sup> მუხლის მე-11 პუნქტის საფუძველზე განხორციელებული კანდიდატთა შეფასება). ანგარიშში ხაზგასმულია, რომ დასახელებული

2 ეუთოს/ODIHR საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და დანიშნის პროცესი ეტაპის ანგარიში; ივნისი-სექტემბერი; 2019 წელი (ანგარიშის ინგლისური და ქართული ვერსიები ხელმისაწვდომია ელ. მისამართზე: <https://www.osce.org/odihr/429488> განსხვავებულ აზრში მოცემული ზუსტი გვერდების ციტირება ემთხვევა ანგარიშის ინგლისურ ოფიციალური ვერსიის გვერდებს); (უკანასკნელად გადამოწმდა 2020 წლის 7 აგვისტოს).

3 ეუთოს/ODIHR საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და დანიშნის მეორე ანგარიში; ივნისი-დეკემბერი; 2019 წელი (ანგარიშის ინგლისური და ქართული ვერსიები ხელმისაწვდომია ელ. მისამართზე: <http://www.osce.org/odihr/443494> (უკანასკნელად გადამოწმდა 2020 წლის 7 აგვისტოს).

წინააღმდეგობა არ ყოფილა ახსნილი და დასაბუთებული საბჭოს მიერ. სწორედ ამ საკითხზე მსჯელობისას ODIHR-მა აღნიშნა, რომ საბჭოს მიერ გადანყვეტილებათა მიღებისას გამჭვირვალობის ნაკლებობამ შესაძლოა, გამოიწვიოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა, რომელიც დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მინიმალურ გარანტიებს ადგენს. აღსანიშნავია, რომ ODIHR განსაკუთრებით კრიტიკულად აფასებდა ე.წ. შემოკლებულ სიაში კანდიდატთა შეყვანის მიზნით ჩატარებულ კენჭისყრას, სადაც უშუალოდ ფარული და დაუსაბუთებელი გადანყვეტილების მიღების პროცედურის გარდა, მისი მითითებით, კანონმდებლობით გათვალისწინებული 5-დღიანი ვადა არ იძლეოდა კანდიდატთა სრულყოფილად შეფასების შესაძლებლობას, ისევე, როგორც გაკრიტიკებულ იქნა საბჭოს მიერ კენჭისყრის ამ ეტაპზე კანდიდატთა შეფასების მეთოდოლოგიის, წესებისა და პროცედურების მიუღებლობა. საბოლოოდ, ODIHR აღნიშნავდა, რომ დასახელებულმა გარემოებებმა კიდევ უფრო შეზღუდა პროცესის გამჭვირვალობა და სამართლებრივი სიცხადე. ODIHR პროცესზე დაკვირვების საფუძველზე, დამატებით მიუთითებდა, რომ ე.წ. შემოკლებულ სიაში მოხვედრილ ზოგიერთ კანდიდატს გააჩნდა გაცილებით ნაკლები კვალიფიკაცია და გამოცდილება, ვიდრე მათ, ვინც ვერ მოხვდა ზემოაღნიშნულ სიაში.

ODIHR საკუთარ ანგარიშში აგრეთვე მიუთითებდა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის გადანყვეტილებათა დასაბუთების მოთხოვნის არარსებობა კანდიდატთა შემოკლებულ სიაში შეყვანის, მათი რანგირებისა თუ, საბოლოოდ, მათი პარლამენტისთვის წარდგენის თაობაზე გადანყვეტილებების მიღებისას, მნიშვნელოვნად აფერხებს ამ გადანყვეტილებათა გასაჩივრების შესაძლებლობას. ამასთან, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს გასაჩივრების ეფექტურ მექანიზმებს, რის გამოც, საბჭოს მიერ კანდიდატთა შერჩევისა და პარლამენტისთვის წარდგენის პროცესი სრულად მოექცა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს – სასამართლო ხელისუფლების საზედამხედველო ორგანოს ხელში, გამოირიცხა საერთო სასამართლოების კომპეტენცია, რაც პირდაპირ მოდის წინააღმდეგობაში როგორც ეუთოს მიმართ საქართველოს მიერ აღებულ ვალდებულებებთან, ისე საერთაშორისო სტანდარტებთან.

### გ. ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო

პროცესზე დაკვირვების შედეგად, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ჩატარებულმა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცესმა მწვავე კრიტიკა დაიმსახურა აგრეთვე საქართველოში ამერიკის

შეერთებული შტატების საელჩოს მხრიდან,<sup>4</sup> რომლის განცხადებაშიც, პირველ რიგში, გამოითქვა მწუხარება იმ გარემოების მიმართ, რომ საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ არ მოახდინა ვენეციის კომისიის, ეუთო/ოდირის, აგრეთვე აშშ-ის საელჩოსა და ევროკავშირის მისიების ბევრი რეკომენდაციის მოსამართლეთა შერჩევის პროცედურების მომწესრიგებელ კანონმდებლობაში ასახვა. რაც შეეხება უშუალოდ სადავო ნორმების საფუძველზე ჩატარებულ შერჩევის პროცედურებს, საელჩომ აღნიშნა, რომ „კანდიდატთა შერჩევის შემდგომი პროცესი იუსტიციის უმაღლეს საბჭოში იყო არასაკმარისად გამჭვირვალე, შედეგად, რიგი ნომინირებული პირებისა არ წარმოადგენდნენ საუკეთესო კვალიფიციურ კანდიდატებს“. საელჩო უშუალოდ პარლამენტში მიმდინარე მოვლენებსაც გამოეხმაურა და მწვავედ შეაფასა საქართველოს პარლამენტის მიერ თანამდებობაზე განწესებულ ცალკეულ კანდიდატთა იურიდიული ცოდნა და ერთგულება მიუკერძოებლობისადმი. აქვე, განცხადება მოიცავდა მოწოდებას საქართველოს პარლამენტის მიმართ, ამ უკანასკნელს მოეხდინა კანონმდებლობაში გამოვლენილ ხარვეზებზე რეაგირება.

#### **დ) ევროკავშირის საგარეო ოფისი და საქართველოში ევროპის საბჭოს მონიტორინგის ჯგუფი**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა ევროკავშირის საგარეო ოფისის წარმომადგენელმა.<sup>5</sup> მისი პოზიციით, კანდიდატთა შერჩევის პროცედურა არ შეესაბამებოდა ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს და ხასიათდებოდა ისეთი კრიტიკული საფრთხეებით, როგორც არის, მათ შორის, გამჭვირვალობის ნაკლებობა, რაც, საბოლოოდ, აკნინებს ნამდვილად დამსახურებებზე დაფუძნებულ (merit-based) მოსამართლეთა შერჩევის სისტემის არსებობას. ამასთან, განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ზოგიერთი, განსახილველი პროცესის საფუძველზე უზენაეს სასამართლოში დანიშნული მოსამართლე არ სარგებლობს ფართო საზოგადოებრივი ნდობით, რაც ცხადი გახდა

4 საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს 2019 წლის 12 დეკემბრის განცხადება უზენაესი სასამართლოს ნომინაციებთან დაკავშირებით. ხელმისაწვდომია: <https://ge.usembassy.gov/u-s-embassys-statement-on-supreme-court-nominees-december-12/>. (უკანასკნელად გადამოწმდა 2020 წლის 7 აგვისტოს).

5 ევროკავშირის საგარეო ოფისის წარმომადგენლის 2019 წლის 13 დეკემბრის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნებთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია: [https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-homepage\\_en/72068/Statement%20by%20the%20Spokesperson%20on%20the%20appointment%20of%20judges%20to%20the%20Supreme%20Court%20of%20Georgia](https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-homepage_en/72068/Statement%20by%20the%20Spokesperson%20on%20the%20appointment%20of%20judges%20to%20the%20Supreme%20Court%20of%20Georgia) (უკანასკნელად გადამოწმდა 2020 წლის 7 აგვისტოს).

მოსამართლეთა შერჩევის პროცესში. ევროკავშირის საგარეო ოფისის წარმომადგენელი განცხადებაში აღნიშნავს, რომ, მიუხედავად საქართველოს პარლამენტში გამართული გასაუბრებების გამჭვირვალობისა, მეტი მცდელობა უნდა დათმობოდა საბოლოო კენჭისყრამდე მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებას. აღსანიშნავია, რომ ამავე განცხადებაში გადმოცემულია საქართველოს მიმართ მოწოდება, რომ სასამართლოში ეთიკისა და მიუკერძოებლობის მაღალი სტანდარტების დაცვა წარმოადგენს საკვანძო მნიშვნელობის საკითხს სასამართლო სისტემის მიმართ საქართველოს მოქალაქეების ნდობისათვის, ისევე, როგორც ევროკავშირი-საქართველოს დღის წესრიგის განვითარებისთვის.

ამ კუთხით, აღსანიშნავია, რომ მოსამართლეთა შერჩევის პროცესი და მისი განხორციელება მოხვდა აგრეთვე საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმების შესრულების ანგარიშშიც,<sup>6</sup> რომელიც მომზადდა ევროპული პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტისთვის მისი განგრძობითი სამეთვალყურეო საქმიანობის ფარგლებში, რომლის თანახმადაც, დასახელებულ პროცესს აკლდა გამჭვირვალობა.

ვენეციის კომისიის საგანგებო ანგარიშში გამოთქმული რეკომენდაციების ქართულ საკანონმდებლო სივრცეში გაუთვალისწინებლობა კრიტიკულად შეფასდა აგრეთვე საქართველოში ევროპის საბჭოს მონიტორინგის ჯგუფის მიერ, რომელიც გამოხატავდა წუხილს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ პარლამენტისთვის ნომინირებულ კანდიდატთა სიის შერჩევის პროცედურისადმი. კონკრეტულად, მონიტორინგის ჯგუფი იზიარებდა არა მხოლოდ საქართველოს სახალხო დამცველისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა, აგრეთვე ეუთო/ოდირის მიერ დასახელებულ საფრთხეებს და მიუთითებდა ცხადი და ერთიანი შერჩევის კრიტერიუმების ნაკლებობაზე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა განსაკუთრებულად ფართო დისკრეციაზე კანდიდატთა შერჩევის პროცესში, აგრეთვე, როგორც შემოკლებული სიის, ისე საბოლოო კენჭისყრის დროს გადაწყვეტილების დასაბუთებულობის მოთხოვნის არარსებობაზე.<sup>7</sup>

6 ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმება: ევროპული იმპლემენტაციის შეფასება (განახლებული); 2020 წლის აპრილი. (ხელმისაწვდომია: [https://www.europarl.europa.eu/thinktank/en/document.html?reference=EPRS\\_STU\(2020\)642820&fbclid=IwAR0tU2QUeicoS\\_sCcPRXcCHMo\\_xkGjXggF49Bg2xsmA4sABQNqKNnLoURK4](https://www.europarl.europa.eu/thinktank/en/document.html?reference=EPRS_STU(2020)642820&fbclid=IwAR0tU2QUeicoS_sCcPRXcCHMo_xkGjXggF49Bg2xsmA4sABQNqKNnLoURK4) გვ. 40; (უკანასკნელად გადამოწმდა 2020 წლის 7 აგვისტოს).

7 საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების მონიტორინგის ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თანამომხსენებელთა 2019 წლის 25 სექტემბრის შეფასება. ხელმისაწვდომია: <https://pace.coe.int/en/news/7626/georgia-parliament-must-rectify-the-selection-process-for-supreme-court-judges-say-monitors>. (უკანასკნელად გადამოწმდა 2020 წლის 7 აგვისტოს).

## ე)კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესში აქტიურად იყო ჩართული და მონიტორინგს ახორციელებდა კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის,<sup>8</sup> რომელიც სხვადასხვა ორგანიზაციათა გაერთიანებაა და მიზნად ისახავს გამჭვირვალე და დამოუკიდებელი მართლმსაჯულების მიღწევას. კოალიციის მხრიდან კრიტიკულად შეფასდა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მიმდინარე პროცესი, რომელიც მისი შეფასებით, „მეტწილად ფორმალურ ხასიათს ატარებდა“, არსებული საკანონმდებლო სივრცე კი იუსტიციის უმაღლეს საბჭოს აძლევდა მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის და ხელისუფლების ინტერესების გატარების შესაძლებლობას. აღნიშნული დასკვნები კოალიციის მხრიდან გაკეთდა, ერთი მხრივ, სახალხო დამცველის შეფასებების, მეორე მხრივ კი, საკუთარი მონიტორინგის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე.

განსხვავებული აზრის ავტორთა შეხედულებით, წარმოდგენილი შეფასებები ცხადად მეტყველებს, რომ სადავო ნორმების თაობაზე როგორც ვენეციის კომისია, ისე ეუთო/ოდირი წარმოადგენდა რეკომენდაციებს უშუალოდ კენჭისყრის ფარული ხასიათის გაუქმებისა და გადანყვეტილების დასაბუთების სავალდებულოობის სასარგებლოდ. მათ შეფასებებში ცხადად იკითხება, რომ ამ კომპონენტების გაუთვალისწინებლობა მნიშვნელოვნად უქმნის საფრთხეს და ეჭვქვეშ აყენებს კანდიდატთა დამსახურებების საფუძველზე შერჩევის პროცესსა და მის მიმართ საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბებას/განმტკიცებას.

განსხვავებული აზრის ავტორების შეჯამების სახით მიუთითებენ, რომ მათი შეფასებები, სადავო ნორმების საფუძველზე ჩატარებული შერჩევის პროცედურის სანდოობასთან დაკავშირებით, არ ეფუძნება მხოლოდ თეორიულ ანალიზს. პრაქტიკაში უკვე გამოვლინდა, რომ პროცესი თითქმის ყველა ობიექტური დამკვირვებლის მიერ შეფასდა მწვავედ უარყოფითად, რამაც მნიშვნელოვნად დააყენა ეჭვქვეშ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიმართ საზოგადოების სანდოობა.

8 კოალიციის დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის 2019 წლის 12 სექტემბრის იუსტიციის უმაღლეს საბჭოში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცესის შეფასება. ხელმისაწვდომია: [http://www.coalition.ge/index.php?article\\_id=215&clang=0](http://www.coalition.ge/index.php?article_id=215&clang=0). (უკანასკნელად გადამოწმდა 2020 წლის 7 აგვისტოს).



### 3.2.2.2 საკანონმდებლო ცვლილება

აღსანიშნავია, ის გარემოება, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 ივლისის №3/1/1459,1491 გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ, რომლითაც სასამართლომ ძალაში დატოვა სადავო ნორმები, საქართველოს პარლამენტმა საკუთარი ინიციატივით 2020 წლის 30 სექტემბერს<sup>9</sup> და 2021 წლის პირველ აპრილს<sup>10</sup> ცვლილებები შეიტანა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის დასახელებულ მუხლებში და შეცვალა სადავო ნორმები უკეთესობისკენ. აღნიშნული, შესაძლოა, მიუთითებს, რომ სასამართლოს, რომელსაც კონსტიტუციით ეძლევა კონსტიტუციურობის უზრუნველყოფის შესაძლებლობა, ასეთი შესაძლებლობა ამ საქმეზე ხელიდან გაუშვა, რადგან თავად ვერ დაინახა სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობის საჭიროება. სასამართლო უნდა გაუფრთხილდეს მის ავტორიტეტს და მუდმივად ზრუნავდეს საზოგადოებაში სასამართლოს ნდობის გასამტკიცებლად. საკონსტიტუციო სასამართლო მეტი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს გადაწყვეტილებათა მიღების პროცესს, რომ არ დაზიანდეს საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც კონსტიტუციის მცველის მაღალი სტატუსი.

### 3.3 საერთო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე განწესება 3 წლის ვადით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა მოსამართლის 3-წლიანი გამოსაცდელი ვადით თანამდებობაზე დანიშვნის კონსტიტუციურობა. კერძოდ, დავის საგანს წარმოადგენდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის 4<sup>1</sup> პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან და 29-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. სადავო ნორმა ადგენს სახელმწიფო თანამდებობის პირის – სააპელაციო ან რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის 3 წლის ვადით თანამდებობაზე განწესებას. ამ ვადის გასვლის შემდეგ იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს გადაწყვეტილებას, გაამწესოს თუ არა კონკრეტული მოსამართლე თანამდებობაზე უვადოდ. 2017 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საინტერესოა სათა-

9 საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ, 30/09/2020, ვებგვერდი, 05/10/2020, სარეგისტრაციო კოდი 110050000.04.001.017991, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5003532>.

10 საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ, 01/04/2021, ვებგვერდი, 01/04/2021, სარეგისტრაციო კოდი 110050000.04.001.018000, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5140642>.

ნადო გამოცდილების მქონე მოსამართლის 3-წლიანი გამოსაცდელი ვადით განწესების შესახებ სასამართლოს განმარტების თვალსაზრისით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით, არ არსებობს სადავო ნორმით გათვალისწინებული 3-წლიანი გამოსაცდელი ვადის გავრცელების საჭიროება იმ პირებზე, რომელთაც განწესების მომენტში აქვთ სამოსამართლო საქმიანობის მინიმუმ 3-წლიანი გამოცდილება, ვინაიდან ამ უკანასკნელთა შეფასება შესაძლებელია წარსული საქმიანობიდან გამომდინარე. შესაბამისად, მოსარჩელის აზრით, სადავო ნორმა არაპროპორციულად ზღუდავს მოქალაქის უფლებას, დაიკავოს სახელმწიფო თანამდებობა და, ამდენად, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველ პუნქტს (საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია).

სასამართლომ შეაფასა, თუ რამდენად კონსტიტუციურია მოსამართლის განწესება 3-წლიანი ვადით, იმ შემთხვევაში, თუ პირს აქვს მოსამართლედ საქმიანობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება. მოსარჩელე კონსტიტუციის სანინააღმდეგოდ მიიჩნევდა სადავო ნორმით 3-წლიანი ვადით მოსამართლედ განწესების შესაძლებლობას სწორედ ამ კატეგორიის პირების მიმართ.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ისეთი პირების მიმართ, რომელთაც უკვე აქვთ 3-წლიანი სამოსამართლო საქმიანობის გამოცდილება და ობიექტურად შესაძლებელია მათი საქმიანობის შესწავლა, სადავო ნორმით განსაზღვრული ვადის დამატებით დაწესება, ზედმეტ, დაუსაბუთებელ ბარიერად უნდა იქნეს მიჩნეული. შესაბამისად, როდესაც პირის წარსული სამოსამართლო საქმიანობა იძლევა მოსამართლის ინდივიდუალური ნიშან-თვისებების შესწავლის ობიექტურ შესაძლებლობას, მოსამართლის თანამდებობასთან შესაბამისობის შემოწმების მოტივით, მისი ამ თანამდებობაზე 3-წლიანი ვადით განწესება არ წარმოადგენს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის აუცილებელ საშუალებას. სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმა არათანაზომიერად ზღუდავს სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლებას და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველ პუნქტს.

სასამართლოს განმარტებით, სადავო ნორმა ადგენს დიფერენცირებას, რადგან თანაბრად ეპყრობა ორ არსებითად უთანასწორო პირთა ჯგუფს, მაშინ როდესაც არ არსებობს პირთა ერთი ჯგუფის მიმართ მოსამართლის საქმიანობის დამატებითი შემოწმება/შეფასების საჭიროება. მოცემულ საქმეზე მოპასუხეს არ წარმოუდგენია სათანადო არგუმენტაცია, რომლითაც დაასაბუთებდა, რა რაციონალური ახსნა აქვს 3-წლიანი ვადით თანამდებობაზე განწესების სახით დამატებითი ტვირთის დაწესებას ისეთი მოსამართლეობის კანდიდატების მიმართ, რომელთა ამ ფორმით შეფასების ობიექტური საჭიროება არ არსებობს. ამგვარად, არ არის წარმოდგენილი სადავო ნორმით გათვალისწინებული დიფერენცირებული მიდგომის რაიმე რაციონალური საჭიროების დასაბუთება. სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმა არ

აკმაყოფილებს რაციონალური დიფერენციაციის ტესტს და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით აღიარებულ თანასწორობის უფლებას.

სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სადავო ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის თანამდებობაზე იმ პირის განწესებას 3 წლის ვადით, რომელიც არის მოქმედი ან ყოფილი მოსამართლე და აქვს სამოსამართლო საქმიანობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

#### **4. შეკრების და მანიფესტაციის ჩატარების აკრძალვა მოსამართლის საცხოვრებელ ადგილას**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა მოსამართლის საცხოვრებელ ადგილას შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარების კონსტიტუციურობის შესახებ. ამ მხრივ საინტერესოა 2011 წლის 18 აპრილის N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

დავის საგანს წარმოადგენდა: საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174<sup>1</sup> მუხლის მესამე ნაწილის სიტყვების „მოსამართლის საცხოვრებელ ადგილას... ანდა მისგან ოცი მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე“ კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველ, მე-2 და მე-3 პუნქტებთან მიმართებით (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია). ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174<sup>1</sup> მუხლის მე-3 ნაწილის სადავოდ გამხდარი დებულების თანახმად, იკრძალება შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება მოსამართლის საცხოვრებელ ადგილას და საერთო სასამართლოსთან 20 მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე. საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლი ითვალისწინებს წინასწარი ნებართვის გარეშე შეკრების (მანიფესტაციის) უფლებას. საკონსტიტუციო სასამართლომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174<sup>1</sup> მუხლის მე-3 ნაწილის სიტყვები „ანდა მისგან ოცი მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე“ არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლთან მიმართებით და კონსტიტუციის ამავე

მუხლთან მიმართებით არ დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა სადავო ნორმის სიტყვების „მოსამართლის საცხოვრებელ ადგილას“ არაკონსტიტუციურობის შესახებ.

მოსარჩელე მიიჩნევს, რომ სადავო ნორმით დადგენილი შეზღუდვა არ ემსახურება კონსტიტუციით დადგენილ არც ერთ ლეგიტიმურ მიზანს და წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციასთან. ტერმინი „საცხოვრებელი ადგილი“ არის ბუნდოვანი ტერმინი და ვერ აკმაყოფილებს კანონის განსაზღვრულობის მოთხოვნებს, ვინაიდან გაურკვეველია, თუ რა ტერიტორიას მოიცავს. ასევე გაუგებარია ნორმის მოქმედი რედაქცია მოსამართლის საცხოვრებელ ადგილას ან მისგან 20 მეტრის რადიუსში ნებისმიერ შეკრებას კრძალავს, თუ მხოლოდ იმ შეკრებას, რომლის ადრესატიც მოსამართლეა. ყოველივე ეს კი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების რეალიზებაზე გაუმართლებლად მკაცრ შეზღუდვას ანესებს. მართალია, სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა შეიძლება ჩაითვალოს ლეგიტიმურ მიზნად, მაგრამ გამოხატვის თავისუფლება გარკვეული თემის ვალდებულებასაც გულისხმობს. სადავო ნორმით კი დადგენილია ბლანკეტური აკრძალვა, რომელიც უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის არათანაზომიერ საშუალებას წარმოადგენს და შესაბამისად, ვერ აკმაყოფილებს როგორც კანონის განსაზღვრულობის, ასევე უფლების პროპორციულად შეზღუდვის მოთხოვნებს.

მოპასუხე მხარის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ მოსამართლის საცხოვრებელ ადგილას შეკრების გამართვა წარმოადგენს, მოსამართლის ოჯახის წევრებზე ზემოქმედების მეშვეობით, მის იძულებას, გადაწყვიტოს კონკრეტული საქმე. შესაბამისად, ამ ნორმის ლეგიტიმური მიზანი არის სწორედ მართლმსაჯულების ინტერესები და სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. მოსამართლის საქმიანობის დამოუკიდებლობა არის სამართლებრივი სახელმწიფოს მთავარი პრინციპი და მასზე გავლენის მოხდენა, უკმაყოფილო პირთა ჯგუფის მხრიდან, არ შეესაბამება მართლმსაჯულების ინტერესებს. მოსამართლე არ არის პოლიტიკური თანამდებობის პირი, მას არა აქვს უფლება, უარი თქვას საქმის განხილვა-გადანყვეტაზე და არ მიიღოს მასში მონაწილეობა. იგი ვალდებულია, მიიღოს გადაწყვეტილებები და, პოლიტიკოსისაგან განსხვავებით, მას არ შეიძლება დაეკისროს თემის ვალდებულება, საცხოვრებელ ადგილზე შეკრების გამართვის საშუალებით, მასზე ზეგავლენის მოხდენისას. გამოხატვის თავისუფლების ფარგლები არ მოიცავს შეკრების თავისუფლებით მოსამართლის გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობას.

მოპასუხე მხარის აზრით, საცხოვრებელი ადგილის იდენტიფიცირება პრაქტიკაში არ წარმოქმნის სირთულეს, ვინაიდან მოსამართლის საცხოვრე-

ბელ ადგილად უნდა ჩაითვალოს ის მანძილი, სადაც შესაძლებელი იქნება აქციის გამართვა და საიდანაც მოსამართლისთვის გონივრულად აღქმადი იქნება მასზე და მის ოჯახის წევრებზე განხორციელებული ზემოქმედება. შესაბამისად, სადავო ნორმით დადგენილი შეზღუდვა პროპორციულია და ემსახურება კონსტიტუციით დადგენილ ლეგიტიმურ მიზნებს.

სასამართლოს განმარტებით, სადავო ნორმით გათვალისწინებული შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების შეზღუდვა მართლმსაჯულების ინტერესების, სასამართლოს დამოუკიდებლობის, მოსამართლის ზემოქმედებისაგან დაცვის ლეგიტიმურ მიზანს ემსახურება. მოსამართლის დამოუკიდებლობა, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი პრინციპი, მასზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით, მის პროფესიულ საქმიანობაში ან/და პირად ცხოვრებაში ჩაურევლობასაც გულისხმობს. მოსამართლე თანაბრად დისტანცირებული და დაცული უნდა იყოს როგორც ხელისუფლების, ასევე სხვადასხვა საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ჯგუფებისა ან/და პიროვნული ინტერესებისაგან. ამავ დროს, მოსამართლის, სასამართლოს დამოუკიდებლობაზე ზრუნვა არ გულისხმობს მოსამართლის პროფესიული საქმიანობის ან სასამართლო გადაწყვეტილების კრიტიკის აკრძალვას. საკონსტიტუციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სასამართლოს საქმიანობის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა, მათ შორის, სასამართლოს სიახლოვეს შეკრებების (მანიფესტაციების) გზით, ადამიანის კონსტიტუციური უფლებაა.

სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსამართლის საქმიანობასთან დაკავშირებით აზრის გამოხატვა კონსტიტუციური უფლებას წარმოადგენს. როგორც საჯარო პირს, მოსამართლეს თმენის ვალდებულება მართლაც გააჩნია, რამდენადაც მისი საქმიანობის კრიტიკა, მის პროფესიულ, თუ პირად თვისებებზე მსჯელობა საზოგადოებრივი ინტერესით შეიძლება იყოს განპირობებული. ამავ დროს, საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია, რომ მოსამართლის მხრიდან თმენის ვალდებულების ისეთივე სტანდარტი მოქმედებს, როგორც სხვა საჯარო პირის მხრიდან არის დადგენილი. საჯარო-პოლიტიკური თანამდებობის პირებისაგან განსხვავებით, მოსამართლის პროფესიული და, მით უფრო, პირადი საქმიანობა მეტად არის დაცული, ვინაიდან ის შეზღუდულია შესაძლებლობაში, საკუთარი პოზიციის დასაცავად საჯარო-პოლიტიკური ხასიათის დებატებში ჩაერთოს. მოსამართლის ამგვარი შეზღუდვა მიუკერძოებლობის პრინციპიდან გამომდინარეობს და საზოგადოების მხრიდან სასამართლოსადმი ნდობის უზრუნველყოფას ემსახურება. სწორედ ამიტომ, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია, როდესაც მოსამართლის პროფესიული საქმიანობის

კრიტიკა, მასზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით, მის პირად ცხოვრებაში გაუმართლებლად იჭრება.

სასამართლომ მიუთითა, რომ შეკრების (მანიფესტაციის) ჩატარებისას საცხოვრებელი ადგილის მიმდებარე ტერიტორიის შერჩევის მიზანს მოსამართლის, როგორც პროტესტის ან სოლიდარობის ადრესატის, კერძო სფეროსთან მაქსიმალური მიახლოება წარმოადგენს. გამოხატვის ეს ფორმა მის ადრესატს არჩევანის თავისუფლებას არ უტოვებს, ის მოსამართლის კერძო სფეროში, მასზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით, დაუბრკოლებლად და გაუმართლებლად იჭრება. ეს ფაქტორი განასხვავებს საცხოვრებელ სახლთან შეკრებას (მანიფესტაციას), მაგალითად, მასმედიით აზრის (კრიტიკის ან სოლიდარობის) გამოხატვისაგან. სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად გამოცხადება ასეთ შემთხვევებში მოსამართლეს, მის პირად ცხოვრებაში გაუმართლებელი ჩარევისაგან დაცვის შესაძლებლობის გარეშე დატოვებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო ნორმა ლეგიტიმური მიზნის – მოსამართლის (სასამართლოს) დამოუკიდებლობის და მოსამართლის პირადი ცხოვრების დაცვის, უზრუნველყოფის პროპორციულ საშუალებას წარმოადგენს.

საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია ტერმინის – „საცხოვრებელი ადგილის“ ბუნდოვანობის შესახებ. სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო ნორმის დაცვის სფეროს მოსამართლის პირადი ცხოვრების ერთ-ერთი ასპექტი – მისი საცხოვრებელი ადგილი წარმოადგენს. სადავო ნორმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა რიცხვს განაკუთვნებს შეკრებას (მანიფესტაციას), რომელიც მოსამართლის პირად ცხოვრებაში ჩარევის გზით და მასზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით, მისი საცხოვრებელი სახლის ან სადგომის უშუალო სიახლოვეს ხორციელდება. სადავო ნორმით დაწესებული აკრძალვა ისეთ შემთხვევებს უკავშირდება, როდესაც შეკრების (მანიფესტაციის) მოსამართლის საცხოვრებელ სახლთან ჩატარება, მის კერძო ცხოვრებაში, მის პირად სივრცეში ჩარევას უთანაბრდება. სადავო ნორმით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელის შეფარდება ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით უნდა იყოს შესაძლებელი. სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ სადავო ნორმის შინაარსი, მისი მიზანმიმართულება, ისევე როგორც მისი დაცვის სფერო, მიუთითებს, რომ მოსამართლის საცხოვრებელ სახლთან შეკრებებისა და მანიფესტაციების ჩატარება მხოლოდ იმ შემთხვევაში იკრძალება, როდესაც შეკრების ადრესატი მოსამართლეა.

## დასკვნა

საკონსტიტუციო სასამართლოს ეფექტურობას მნიშვნელოვნად განაპირობებს მისი დემოკრატიული პრინციპების შესაბამისად ფუნქციონირება და მოსამართლეთა მდგრადობა პოლიტიკური პროცესების მიმართ. საკონსტიტუციო სასამართლო მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით მუდმივად უნდა ზრუნავდეს, რომ მის დამოუკიდებლობას, ავტორიტეტს და ნდობას საზოგადოებაში საფრთხე არ შეექმნას. იმ ქვეყნებში, სადაც საკონსტიტუციო სასამართლო არსებობს, ის მნიშვნელოვან გარანტიებს ქმნის კონსტიტუციური წესრიგის უზრუნველსაყოფად. საკონსტიტუციო სასამართლოს გაბედული გადაწყვეტილებები ხელს უწყობს სასამართლო სისტემის და მოსამართლის დამოუკიდებლობის გარანტიების განმტკიცებას, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვან ფუნდამენტს ქმნის ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, კანონის უზენაესობის უზრუნველსაყოფად.

## II. სამართლიანი სასამართლოს უფლება ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკაში

### შესავალი

ეს თავი მიმოიხილავს სამართლიანი სასამართლოს უფლების თაობაზე ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს იურისპრუდენციას, კერძოდ, სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ სტანდარტებს და მათი შეფასების კრიტერიუმებს საქმეებზე, რომლებიც შეეხებოდა დავებს საქმის განხილვის სამართლიანობისა და სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის თაობაზე.

სამართლიანი სასამართლოს უფლება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (შემდგომში „ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენცია“) მე-6 მუხლითაა უზრუნველყოფილი.

#### **მუხლი 6. საქმის სამართლიანი განხილვის უფლება**

1. ყოველი ადამიანი, მისი სამოქალაქო ხასიათის უფლებებისა და მოვალეობების, ან მისთვის წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, აღჭურვილია გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნოდ განხილვის უფლებით კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ, თუმცა მთელ სასამართლო პროცესზე ან მის ნაწილზე პრესა და საზოგადოება შეიძლება არ იქნეს დაშვებული დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესებისათვის, აგრეთვე, როდესაც ამას მოითხოვს არასრულწლოვნის ინტერესები, ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა, ანდა, რამდენადაც, სასამართლოს აზრით, ეს მკაცრად აუცილებელია განსაკუთრებული გარემოებების არსებობის გამო, ვინაიდან საქვეყნოობა დააზარალებდა მართლმსაჯულების ინტერესს.



2. ყოველი ბრალდებული უდანაშაულოდ მიიჩნევა, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.

3. ყოველ ბრალდებულს აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები:

ა. მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ და დაწვრილებით გააცნონ წარდგენილი ბრალდების არსი და საფუძველი;

ბ. ჰქონდეს საკმარისი დრო და საშუალებანი საკუთარი დაცვის მოსამზადებლად;

ც. დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით ან, თუ მას არ გააჩნია საკმარისი საშუალება იურიდიული მომსახურების ასანაზღაურებლად, უფასოდ ისარგებლოს ასეთი მომსახურებით ხაზინის ხარჯზე, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები;

დ. თვითონ დაკითხოს ან დააკითხვინოს მისი ბრალდების მონმეები, და გამოაძახებინოს და დააკითხვინოს მისი დაცვის მონმეები ბრალდების მონმეების თანაბარ პირობებში;

ე. ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარებით, თუ მას არ შეუძლია გაიგოს სასამართლოში გამოყენებული ენა ან ილაპარაკოს ამ ენაზე.<sup>11</sup>

მცირე განმარტებას საჭიროებს ავტორთა გადაწყვეტილება ტერმინოლოგიის გამოყენებასთან დაკავშირებით. კონვენციის მე-6 მუხლის ოფიციალურ ქართულენოვან თარგმანში ამ მუხლის ინგლისურენოვანი სათაური "Right to Fair Trial" წარმოდგენილია, როგორც „საქმის სამართლიანი განხილვის უფლება“. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტიც „საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას“ უზრუნველყოფს.<sup>12</sup> მიუხედავად ამისა, ქართულენოვან აკადემიურ ლიტერატურაში ავტორები და მთარგმნელები კონვენციის მე-6 მუხლთან მიმართებით გამოიყენებენ ტერმინებს: „სამართლიანი განხილვის უფლება“,<sup>13</sup> „სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება“,<sup>14</sup> და „სამართლიანი სასამართლოს უფლებას“.<sup>15</sup> ამ ნაშრომის ავტორებმა მიიჩნიეს, რომ უფრო მოსახერხებელი იქნებოდა ტერმინ „სამართლიანი სასამართლოს უფლების“ გამოყენება ლაკონურობისა და კონვენციის ორიგინალურ ტექსტთან მეტი სიახლოვის გამო. თუმცა იმ შემთხვევაში,

11 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი, ძალაშია 1999 წლის 20 მაისიდან, სარეგისტრაციო ნომერი: 000000430.00.003.000297

12 საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო, მუხლი 31.

13 ბესარიონ ბოხაშვილი, ქეთევან ხუციშვილი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი (2004), გვ. 230.

14 შტეფან ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში. სარა ჯ. სამერსის დახმარებით, თარგმნილია ვანო გოგელიას და სხვების მიერ (2009), გვ. 37.

15 კონსტანტინე კორკელია, ირინე ქურდაძე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით (2004), გვ. 155.

როდესაც კონვენციის მე-6 მუხლის ციტირებას მოვახდენთ, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონის შესაბამისად, გამოვიყენებთ კონვენციის ოფიციალურ თარგმანში გამოყენებულ ტერმინს. ამდენად, იმ იშვიათ შემთხვევაში, როდესაც გამოყენებულია ტერმინი „საქმის სამართლიანი განხილვის უფლება“, ის ტერმინ „სამართლიანი სასამართლოს უფლების“ იდენტური მნიშვნელობისაა.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს ოფიციალური სტატისტიკა მონიშნავს, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება ის ძირითადი უფლებაა, რომელიც ყველაზე ხშირად ირღვევა წევრი სახელმწიფოების მიერ. სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული უახლესი სტატისტიკური მონაცემებით, 1959-2019 წლებში განხილული 22,535 საქმიდან, რომელზეც სასამართლომ კონვენციის ერთი მუხლის დარღვევა მაინც დაადგინა, საქმეთა აბსოლუტური უმრავლესობა – 51%-ზე მეტი<sup>16</sup> – მე-6 მუხლით გარანტირებული უფლებების დარღვევას შეეხებოდა.<sup>17</sup> შედარებისთვის, მე-5 მუხლის – თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება – დარღვევა, რაც დარღვევათა რაოდენობის მიხედვით მეორე ადგილზეა, განხილული საქმეების მხოლოდ 18%-ს შეადგენს.<sup>18</sup>

ამ ვითარების მიზეზები მრავალმხრივია, თუმცა ორი ფაქტორი განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია. ერთი მხრივ, სამართლიანი სასამართლოს უფლება, როგორც სამართლის უზენაესობის პრინციპის ერთ-ერთი არსებითი ელემენტი, ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის რეჟიმის ფუძემდებლური პრინციპია. მეორე მხრივ კი, კონვენციით დაცული ნებისმიერი სხვა უფლებისა და თავისუფლების უზრუნველყოფა პირველ რიგში ეროვნულ დონეზე უფლების სასამართლო წესით დაცვის ეფექტური მექანიზმის არსებობაზეა დამოკიდებული.

სამართლიანი სასამართლოს უფლება სამართლის უზენაესობის პრინციპის კონკრეტული განსახიერებაა.<sup>19</sup> სამართლის უზენაესობის ცნება საერთაშორისო და ეროვნულ კონტექსტში განსხვავებული შინაარსის მატარებელია და

16 აქედან 5,086 საქმეზე სასამართლომ დაადგინა მე-6 მუხლით დაცული სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა, საქმის განხილვის გაჭიანურების გამო დარღვევა დადგინდა 5,884 საქმეზე, ხოლო სასამართლოს გადაწყვეტილების აღუსრულებლობის გამო მე-6 მუხლის დარღვევა დადგინდა 573 საქმეზე – ავტორის შენიშვნა.

17 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, სტატისტიკური ინფორმაცია: დარღვევები მუხლებისა და სახელმწიფოების მიხედვით, 1959-2019 წლები, იხ.: [https://www.echr.coe.int/Documents/Stats\\_violation\\_1959\\_2019\\_ENG.pdf](https://www.echr.coe.int/Documents/Stats_violation_1959_2019_ENG.pdf).

18 იქვე.

19 DOVYDAS VITKAUSKAS, GRIGORIY DIKOV, PROTECTING THE RIGHT TO A FAIR TRIAL UNDER THE EUROPEAN CONVENTION ON HUMAN RIGHTS: A HANDBOOK FOR LEGAL PRACTITIONERS (2nd ed. 2017), გვ. 11.

მისი არაერთგვაროვანი განმარტებები არსებობს სამართლებრივი რეჟიმების მიხედვით, თუმცა ამ ნაშრომის მიზნებისთვის სამართლის უზენაესობაში მოვიზრებთ ამ ცნებას, როგორც ორი ძირითადი ელემენტის – ძალაუფლების შეზღუდვისა და კანონიერების ერთიანობას.<sup>20</sup> ძალაუფლების შეზღუდვა და კანონიერების უზრუნველყოფა წარმოუდგენელი იქნებოდა სამართლიანი სასამართლოს გარეშე.

სამართლის უზენაესობას განსაკუთრებული, ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთოევროპული რეჟიმისთვის, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ჩამოყალიბდა. ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის პრეამბულა სამართლის უზენაესობას სწორედ ამ კონტექსტში მოიხსენიებს და „(...)თანამოაზრე ევროპული ქვეყნების(...)“ ნებას, განამტკიცონ ადამიანის უფლებათა საერთოევროპული სტანდარტები, უკავშირებს ამ ქვეყნებისთვის საერთო „(...) პოლიტიკური ტრადიციების, იდეალების, თავისუფლებისა და სამართლის უზენაესობის საერთო მემკვიდრეობას“.<sup>21</sup> შემთხვევითი არაა ისიც, რომ კონვენცია, როგორც რეგიონული სამართლებრივი ინსტრუმენტი, იმ რეგიონული სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციის წიაღში იშვა, რომელიც კანონის უზენაესობის დაცვას წევრი სახელმწიფოების უპირველეს ვალდებულებად აცხადებს. ევროპის საბჭოს წესდების მე-3 მუხლის თანახმად, „ევროპის საბჭოს ყოველმა წევრმა უნდა აღიაროს კანონის უზენაესობისა და მისი იურისდიქციის ფარგლებში მყოფი ყველა პირის ადამიანის უფლებებით და ძირითადი თავისუფლებებით სარგებლობის პრინციპები (...)“.<sup>22</sup> ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოც ამ მიდგომიდან გამომდინარე, მიიჩნევს, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება სამართლის უზენაესობის დაცვის მნიშვნელოვანი გარანტიაა. სასამართლოს შეფასებით, „სამართლის უზენაესობის პრინციპი ევროპული საჯარო წესრიგის ერთ-ერთი ფუძემდებლური კომპონენტია და თვითნებობა ამ პრინციპის უარყოფას წარმოადგენს“,<sup>23</sup> რასაც პირდაპირ ემსახურება მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლება.

ამდენად, გასაგები ხდება მე-6 მუხლის განსაკუთრებული ადგილი ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკაში.

20 GERANNE LAUTENBACH, THE CONCEPT OF THE RULE OF LAW AND THE EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS (2013), გვ. 19.

21 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, შენიშვნა N1, პრეამბულა

22 ევროპის საბჭოს წესდება, 1949 წლის 5 მაისი, ძალაშია 1999 წლის 2 აპრილიდან, სარეგისტრაციო ნომერი: 430003000.00.000.000296

23 ალ-დულიმი და Montana Management Inc შვეიცარიის წინააღმდეგ (Al-Dulimi and Montana Management Inc. v. Switzerland), დიდი პალატა, 2016 წლის 21 ივნისი, განაცხ. no. 5809/08, §145.

სამართლიანი სასამართლოს უფლების შინაარსი ერთი მხრივ, გამომდინარეობს უშუალოდ მე-6 მუხლის დისპოზიციის შინაარსიდან, ხოლო მეორე მხრივ, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკიდან.

მე-6 მუხლის დისპოზიცია შინაარსობრივად დატვირთულია, რადგან ის არაერთ უფლებას შეიცავს. მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ნორმატიული შინაარსი მოიცავს, როგორც გარანტიებს სასამართლო განხილვის პროცედურასთან დაკავშირებით, ასევე მოთხოვნებს, რომლებიც საქმის განმხილველ ორგანოს წაეყენება. პროცედურული მოთხოვნებია: „...გონივრულ ვადაში (...) საქმის სამართლიანი და საქვეყნოდ განხილვის უფლება“ და „გადანყვეტილების საქვეყნოდ გამოცხადების უფლება“. შესაბამისად, სახეზე გვაქვს უფლება საქმის გონივრულ ვადაში განხილვაზე, უფლება საქმის სამართლიან განხილვაზე (იგივე, უფლება სამართლიან სამართალწარმოებაზე), უფლება საქმის საჯარო განხილვაზე, მათ შორის გადანყვეტილების საჯაროდ გამოცხადების უფლება. მართალია, მე-6 მუხლის დისპოზიციაში არ არის სპეციალურად გამოკვეთილი, თუმცა ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, მე-6 მუხლის პირველი პუნქტი უპირველესად მოიცავს სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას<sup>24</sup> და აქედან გამომდინარე უფლებას სასამართლოს მიერ მიღებული გადანყვეტილების აღსრულებაზე.<sup>25</sup> გარდა ამისა, სამართლიანი სასამართლოს უფლება მოიცავს ინსტიტუციურ მოთხოვნებსაც, რაც საქმის განმხილველ ორგანოს წაეყენება, და არა საქმის განხილვის პროცესს. კერძოდ, საქმის განხილვა უნდა მოხდეს „კანონის საფუძველზე შექმნილი, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ“. მე-6 მუხლი, გარდა პირველი პუნქტით დაცული სამართლიანი სასამართლოს ზოგადი უფლებისა, ბრალდებულის ცალკეულ ფუნდამენტურ პროცესულ უფლებებსაც ადგენს. კერძოდ, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს უდანაშაულობის პრეზუმპციას – „ყოველი ბრალდებული უდანაშაულოდ მიიჩნევა, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად“, ხოლო მე-3 პუნქტით გამოყოფილია ბრალდებულის ხუთი ფუნდამენტური პროცესული უფლება:

24 გოლდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Golder v. the United Kingdom), 1975 წლის 21 თებერვალი, Series A no. 18, §28-36; ზუბაცი ხორვატიის წინააღმდეგ (Zubac v. Croatia), დიდი პალატა, 2018 წლის 5 აპრილი, განაცხ. no. 40160/12, §76.

25 ჰორნსბი საბერძნეთის წინააღმდეგ (Hornsby v. Greece), 1997 წლის 19 მარტი, Reports of Judgments and Decisions 1997-II, §40; სკოლინო იტალიის წინააღმდეგ (no. 1) (Scordino v. Italy (no. 1)), დიდი პალატა, განაცხ. no. 36813/97, ECHR 2006-V, §196.

„ა. მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ და დაწვრილებით გააცნონ წარდგენილი ბრალდების არსი და საფუძველი;

ბ. ჰქონდეს საკმარისი დრო და საშუალებანი საკუთარი დაცვის მოსამზადებლად;

ც. დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით ან, თუ მას არ გააჩნია საკმარისი საშუალება იურიდიული მომსახურების ასანაზღაურებლად, უფასოდ ისარგებლოს ასეთი მომსახურებით ხაზინის ხარჯზე, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები;

დ. თვითონ დაკითხოს ან დააკითხვინოს მისი ბრალდების მონმეები, და გამოაძახებინოს და დააკითხვინოს მისი დაცვის მონმეები ბრალდების მონმეების თანაბარ პირობებში;

ე. ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარებით, თუ მას არ შეუძლია გაიგოს სასამართლოში გამოყენებული ენა ან ილაპარაკოს ამ ენაზე“.

ამ ნაშრომის მიზნებისთვის ავტორებმა გადანყვიტეს ყურადღება შეაჩერონ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ერთ კონკრეტულ კომპონენტზე – საქმის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ განხილვის უფლებაზე.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა გადანყვიტელებს, სადაც დავის საგანს წარმოადგენდა სასამართლოს დამოუკიდებლობის ან/და მიუკერძოებლობის მოთხოვნის დარღვევა. ამ გადანყვიტელებში ევროპულმა სასამართლომ ჩამოაყალიბა და დროთა განმავლობაში განავითარა ის კრიტერიუმები, რომელთაც სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა უნდა შეფასდეს. ამასთან, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადანყვიტელებათა აღსრულების დეპარტამენტის უკანასკნელი თემატური საინფორმაციო ანგარიში ცხადყოფს, რომ დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის საკითხთან დაკავშირებული ევროპული სასამართლოს გადანყვიტელებები საფუძვლად დაედო მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში.<sup>26</sup> ანგარიშის თანახმად, 21 სახელმწიფოში, მათ შორის დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, კვიპროსში, უკრაინასა და თურქეთში, ევროპული სასამართლოს გადანყვიტელებების აღსრულების პროცესში არსებითი ცვლილებები შევიდა ეროვნულ კანონმდებლობაში, რათა ის შესაბამისობაში მოსულიყო მიღებულ გადანყვიტელებთან, სადაც მე-6 მუხლის დარღვევა დადგინდა სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ნაწილში.

26 Council of Europe. Department for the Execution of the European Court of Human Rights. *Independence and Impartiality of the Judicial System Thematic Factsheet*. December 2020. <https://rm.coe.int/thematic-factsheet-independence-impartiality-eng/1680a09c19>

ამდენად, ნაშრომის ინტერესის მთავარ საგანს წარმოადგენს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მე-6 მუხლის პირველ პუნქტთან დაკავშირებული პრაქტიკის ის ნაწილი, რომელიც შეეხება სასამართლოსადმი, როგორც ინსტიტუციისადმი და მოსამართლისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. ამდენად, ამ თავის ფარგლებში ცალ-ცალკე განვიხილავთ, „კანონის საფუძველზე შექმნილი“, „დამოუკიდებელი“ და „მიუკერძოებელი“ სასამართლოს ცნებებს.

ამდენად, ამ ნაშრომის ინტერესის სფეროს ცდება მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით დაცული ბრალდებულის პროცესუალური გარანტიებისა და მასთან დაკავშირებული ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტური გადაწყვეტილებების ანალიზი. ასევე, არ ვაპირებთ განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილოთ მე-6 მუხლის პირველი პუნქტით დაცულ მნიშვნელოვან სამართლებრივ გარანტიებზე, რომელიც სამართლიანი სასამართლოს უფლების აუცილებელი კომპონენტებია, როგორცაა სასამართლოსთვის მიმართვის უფლება, საქმის გონივრულ ვადაში განხილვა, საქმის განხილვის საჯაროობა და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ინტერესის მთავარი საგანია სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ნაწილში ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა, აუცილებლად ჩავთვალეთ, ჯერ მიმოვიხილოთ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მოქმედების სფერო (ნაწილი 1), რაც მკითხველს საშუალებას მისცემს გაიაზროს ის პრაქტიკული კონტექსტი, რომელშიც ოპერირებს კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს ცნება. ასევე მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, მოკლედ მიმოვიხილოთ სამართლიანი სასამართლოს ცნების შემადგენელი საქმის სამართლიანი განხილვის, იგივე სამართალწარმოების სამართლიანობის ცნება (ნაწილი 2), რადგან მხოლოდ სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის სტანდარტებისა და მათი გამოყენების შემთხვევების ანალიზი, მკითხველს ვერ შეუქმნის სრულ წარმოდგენას, თუ როგორ მოქმედებს სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის კომპონენტი სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვის ზოგად კონტექსტში. ამ თავის მე-3 ნაწილი დაეთმობა კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს ცნებას, მე-4 ნაწილში განხილული იქნება დამოუკიდებელი სასამართლოს ცნება, ხოლო მე-5 ნაწილში – სასამართლოს მიუკერძოებლობის ცნება.

იმის გათვალისწინებით, რომ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს განსაკუთრებით მრავალფეროვანი და მსუყვე სასამართლო პრაქტიკა გააჩნია მე-6 მუხლის პირველ პუნქტთან დაკავშირებით, ავტორთათვის გან-

საკუთრებულ გამოწვევას წარმოადგენდა სასამართლო გადაწყვეტილებების შერჩევა ამ თავის მიზნებისთვის. ავტორებმა პირველ რიგში იხელმძღვანელებს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ 2020 წელს განახლებული გზამკვლევებით, რომლებიც ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლის თაობაზე არსებულ სასამართლო პრაქტიკას აჯამებს.<sup>27</sup> ქვემოთ განხილული გადაწყვეტილებების შერჩევას ვინეხმძღვანელებთ სამი მთავარი კრიტერიუმით: 1) უახლესი გადაწყვეტილებები; 2) ძველი, თუმცა პრეცედენტულად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომელთაც განსაზღვრეს სასამართლოს შემდეგი პრაქტიკა; 3) გადაწყვეტილებები, რომლებიც ნათლად წარმოაჩენს იმ სიტუაციათა მრავალფეროვნებას, როდესაც კითხვის ნიშნის ქვეშ შეიძლება დადგეს სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა.

## 1. მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მოქმედების სფერო

### შესავალი

კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ყოველი ადამიანი, სამოქალაქო ხასიათის უფლებებისა და მოვალეობების, ან მისთვის წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, ალჭურვილია მისი საქმის (...) სამართლიანი (...) განხილვის უფლებით კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ“. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებისგან განსხვავებით, რომელიც ბრალდებულის პროცესუალურ უფლებებს განსაზღვრავს სისხლის სამართლებრივი წარმოების პროცესში, პირველი პუნქტით დადგენილი უფლება ვრცელდება როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესზე. შესაბამისად, მე-6 მუხლის პირველ პუნქტს გააჩნია მოქმედების ორი განსხვავებული სფერო: სისხლისსამართლებრივი და სამოქალაქოსამართლებრივი.

მიუხედავად იმისა, რომ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ჩანაწერი არ განასხვავებს სამართლიანი სასამართლოს უფლების ზოგად შინაარსს სამოქალაქო და სისხლის სამართლის სფეროში, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკა იმგვარად განვითარდა, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლების ინტერპრეტაციის ორი, ერთმანეთისგან გამიჯნული მიმართულება ჩამოყალიბდა იმის მიხედვით, თუ მოქმედების რომელ სფე-

27 Council of Europe, European Court of Human Rights, Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights. Right to a fair trial (criminal limb), განახლებულია 2020 წლის 30 აპრილს; Council of Europe, European Court of Human Rights, Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights. Right to a fair trial (civil limb), განახლებულია 2020 წლის 30 აპრილს.

როს უკავშირდება უფლების დარღვევის შესახებ განაცხადი – სამოქალაქო თუ სისხლის სამართლებრივს.<sup>28</sup> როგორც წესი, სასამართლო უფრო მკაცრ სტანდარტებს აწესებს სისხლის სამართლის მოქმედების სფეროში და მეტ მოქნილობას აძლევს ეროვნულ კანონმდებელს სამოქალაქო სფეროში.<sup>29</sup> როგორც წესი, სასამართლო მე-6 მუხლის პირველ პუნქტთან დაკავშირებულ საქმეებზე სამართლებრივ ანალიზს იწყებს ჯერ იმის განსაზღვრით, თუ მოქმედების რომელ სფეროს შეეხება სადაო საკითხი – სამოქალაქოს თუ სისხლისსამართლებრივს. ამასთან, თუ მე-6 მუხლის პირველი პუნქტი გამოიყენება სამოქალაქო ქრილში, სასამართლომ შეიძლება შეაფასოს, არის თუ არა საჭირო იგივე მუხლის გამოყენება სისხლისსამართლებრივი შინაარსითაც.<sup>30</sup> სასამართლომ საქმეზე „სელმანი და სხვები ყოფილი იუგოსლავიის მაკედონიის რესპუბლიკის წინააღმდეგ“ დაადგინა, რომ მე-6 მუხლის გამოყენების ფარგლების საკითხს სასამართლო წყვეტს საკუთარი ინიციატივით მაშინაც, თუ მოპასუხე მხარე ამას სადაოდ არ ხდის.<sup>31</sup>

თუკი გასაჩივრებული სამართლებრივი დავის სამოქალაქო-სამართლებრივი ხასიათის გამოკვეთა ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია საქმის დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტასთან, დავის სისხლისსამართლებრივი ხასიათის დადგენა უმეტესწილად მნიშვნელოვანია იმის გასარკვევად, ვრცელდება თუ არა მე-6 მუხლით დადგენილი სპეციალური სისხლისსამართლებრივი გარანტიები განსახილველ საქმეზე (მე-2, მე-3 პუნქტები). ასევე იმის განსაზღვრად, თუ რომელი სტანდარტით უნდა იხელმძღვანელოს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევის საკითხის გადასაწყვეტად, მათ შორის სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის საკითხის გადასაწყვეტად: უფრო მკაცრი, სისხლის სამართლის სფეროსთვის დადგენილი სტანდარტით, თუ უფრო მოქნილი, სამოქალაქო სამართლის სფეროსთვის დადგენილი სტანდარტით.

ამ ქვეთავის ფარგლებში განვიხილავთ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მოქმედების ფარგლებს ცალ-ცალკე სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივ

28 Council of Europe, European Court of Human Rights, Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights. Right to a fair trial (criminal limb), განახლებულია 2020 წლის 30 აპრილს; Council of Europe, European Court of Human Rights, Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights. Right to a fair trial (civil limb), განახლებულია 2020 წლის 30 აპრილს.

29 Council of Europe, European Court of Human Rights, Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights. Right to a fair trial (civil limb), განახლებულია 2020 წლის 30 აპრილს, გვ. 21.

30 რამოს ნუნეს დე კარვალის და სა პორტუგალიის წინააღმდეგ (Ramos Nunes de Carvalho e Sá v. Portugal), დიდი პალატა, 2018 წლის 6 ნოემბერი, განაცხ. nos. 55391/13 და 2 others, §121.

31 სელმანი და სხვები ყოფილი იუგოსლავიის მაკედონიის რესპუბლიკის წინააღმდეგ (Selmani and Others v. the former Yugoslav Republic of Macedonia), 2017 წლის 9 თებერვალი, განაცხ. no. 67259/14, §27.



ჭრილში, ასევე ვნახავთ იმ გამონაკლისებს, რომელთა მიმართ სასამართლო არ ავრცელებს მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მოქმედებას.

## 1.1 სამოქალაქო სამართლებრივი სფერო

### ა. დავა სამოქალაქო უფლებაზე ან ვალდებულებაზე

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკამ განსაკუთრებული ევოლუცია განიცადა „სამოქალაქო უფლების“ ცნების ინტერპრეტაციის საქმეში და დღეს ეს ცნება საქმეთა გაცილებით უფრო ფართო წრეს მოიცავს, ვიდრე მხოლოდ სამოქალაქო სამართლის სფეროს მიკუთვნებული კერძო ხასიათის დავებია.<sup>32</sup> სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების ანალიზი საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ, რა კრიტერიუმებია განმსაზღვრელი მე-6 მუხლის პირველი პუნქტის სამოქალაქო ჭრილში ასამოქმედებლად და რა დონეზე შეიძლება გაფართოვდეს მისი გამოყენების არეალი.

იმის დასადგენად, მიეკუთვნება თუ არა განსახილველი საქმე დავას „სამოქალაქო უფლების ან ვალდებულების შესახებ“, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო სამ მთავარ ელემენტს აანალიზებს: 1) არსებობს თუ არა „სამართლებრივი დავა“ „უფლებაზე ან ვალდებულებაზე“; 2) „უფლება ან ვალდებულება“ არის თუ არა „ეროვნული კანონმდებლობის დონეზე დადგენილი“; 3) უფლება ან ვალდებულება არის თუ არა „სამოქალაქო ხასიათის“.<sup>33</sup>

დაზუსტებას საჭიროებს, თუ რას მოიაზრებს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო მე-6 მუხლის პირველი პუნქტის გამოყენებისას „სამოქალაქო უფლებასა და ვალდებულებაში“ სასამართლოს განმარტებით, ეს ტერმინი ავტონომიური მნიშვნელობით უნდა იქნეს გამოყენებული.<sup>34</sup> ეს იმას ნიშნავს, რომ უფლების „სამოქალაქო ხასიათის“ განსაზღვრისას სასამართლო არ ეყრდნობა ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებათა კლასიფიკაციას.<sup>35</sup> შესაბამისად, სასამართლო „სამოქალაქო უფლებებში“

32 THEORY AND PRACTICE OF THE EUROPEAN CONVENTION ON HUMAN RIGHTS, ED. BY PIETER VAN DIJK ET AL. (5TH ED. 2018), გვ. 511.

33 Dovydas Vitkauskas, Grigoriy Dikov, Protecting the right to a fair trial under the European Convention on Human Rights. A handbook for legal practitioners, 2nd ed. by Dovydas Vitkauskas, Council of Europe, 2017, გვ. 17.

34 König v. Germany, 28 June 1978, §88-89, Series A no. 27

35 ქენიგი გერმანიის წინააღმდეგ (König v. Germany), 1978 წლის 28 ივნისი, Series A no. 27, §88-89. ციტირებულია: Council of Europe, European Court of Human Rights, Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights. Right to a fair trial (civil limb), განახლებულია 2020 წლის 30 აპრილს, გვ. 16.

უფლებათა უფრო ფართო წრეს მოიაზრებს, ვიდრე ეროვნული კანონმდებლობით სამოქალაქო სამართლის სფეროს მიკუთვნებული უფლებებია.

კერძო პირთა შორის კერძო სამართლიდან გამომდინარე უფლებების „სამოქალაქო ხასიათი“ არასდროს იწვევს წინააღმდეგობას.<sup>36</sup> ასეთია მაგალითად, საკუთრების, ზიანის ანაზღაურების, საოჯახო სამართლით დაცული უფლებები. ადრეულ ეტაპზე ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო უფლების „სამოქალაქო ხასიათს“ შეზღუდულად განმარტავდა და მასში არ მოიაზრებდა, მაგალითად, საჯარო მოსამსახურეების უფლებებს დასაქმების სფეროში<sup>37</sup> და არც სოციალურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ უფლებებს.<sup>38</sup> შესაბამისად, განმცხადებელი ვერ იღავებდა ასეთი საქმიების განმხილველ სასამართლოსთან მიმართებით დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნის დარღვევაზე.

თუმცა, ევროპულმა სასამართლომ დროთა განმავლობაში „სამოქალაქო უფლებებზე დავის“ კატეგორიაში გაიყვანა საქმეები, რომლებიც სცდება ვიწრო სამოქალაქო სფეროს. შესაბამისად, სასამართლო უკვე სამოქალაქო ხასიათის უფლებებზე მიიჩნევს ისეთ არასამოქალაქო შინაარსის უფლებებს, რომელთაც „პირდაპირი და მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ პირის კერძო უფლებებზე“.<sup>39</sup> მაგალითად, ევროპულმა სასამართლომ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მოქმედება გაავრცელა დავებზე, რომლებიც შეეხებოდა პირისთვის პროფესიული საქმიანობის უფლების მინიჭებას, შეზღუდვას ან ჩამორთმევას პროფესიული ორგანიზაციების მიერ. კერძოდ, საქმეში „ლე კომტი, ვან ლიუვენი და დე მეიერი ბელგიის წინააღმდეგ“ განმცხადებლები ასაჩივრებდნენ სამედიცინო ასოციაციის ორგანოების, პროვინციული და სააპელაციო საბჭოებისა და საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს, რომელთა ძალითაც მათ სამედიცინო საქმიანობის უფლება ჩამოერთვათ. განმცხადებლები ამ გადაწყვეტილებებს უკანონოდ მიიჩნევდნენ იმ მოტივით, რომ საქმის განმხილველი ორგანოები არ აკმაყოფილებდნენ მე-6 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მიუკერძოებელი სასამართლოს მოთხოვნას.<sup>40</sup>

36 THEORY AND PRACTICE OF THE EUROPEAN CONVENTION ON HUMAN RIGHTS, ED. BY PIETER VAN DIJK ET AL. (5TH ED. 2018), გვ. 12.

37 THEORY AND PRACTICE OF THE EUROPEAN CONVENTION ON HUMAN RIGHTS, ED. BY PIETER VAN DIJK ET AL. (5TH ED. 2018), გვ. 518; იხ. ასევე: პელეგრინი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Pellegrin v. France*), დიდი პალატა, განაცხ. no. 28541/95, ECHR 1999-VIII, §60-66.

38 კონსტანტინე კორკელია, ირინე ქურდაძე, „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით“, სამოსამართლო სწავლების ცენტრი, 2004, გვ. 157.

39 დე ტომასო იტალიის წინააღმდეგ (*De Tommaso v. Italy*), დიდი პალატა, 2017 წლის 23 თებერვალი, განაცხ. no. 43395/09, §151.

40 ლე კომტი, ვან ლიუვენი და დე მეიერი ბელგიის წინააღმდეგ (*Le Compte, Van Leuven and De Meyere v. Belgium*), 1982 წლის 18 ოქტომბერი, Series A N 544, §45; პოჩუსი ლიეტუვის წინააღმდეგ (*Pocius v. Lithuania*), 2010 წლის 6 ივლისი, განაცხ. no. 35601/04.

ეს საქმე ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ დასაშვებად მიიჩნია და განმარტა, რომ საქმე ეხებოდა ისეთ არასამოქალაქო შინაარსის უფლებას, რომელსაც „პირდაპირი და მნიშვნელოვანი გავლენა“ ჰქონდა განმცხადებლის კერძო უფლებებზე.<sup>41</sup>

ანალოგიურად, სასამართლო „სამოქალაქო უფლებაზე დავად მიიჩნევს“ საჯარო სამსახურში დასაქმების პროცესში წარმოშობილ დავებს. საქმეზე „ვილჰო ესკელინენი ფინეთის წინააღმდეგ“ სასამართლომ შეცვალა თავდაპირველი მიდგომა, რომლის თანახმად, საჯარო მოხელეების შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული დავები არ განიხილებოდა „სამოქალაქო ხასიათის უფლებაზე“ დავად.<sup>42</sup> შესაბამისად, დღესდღეობით საჯარო მოხელეების შრომით დავებზე, როგორც წესი, ვრცელდება მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მოქმედება. გამონაკლისია მხოლოდ ის შემთხვევები, როდესაც კუმულატიურად სახეზეა შემდეგი ორი გარემოება: 1) „საჯარო მოხელეს კანონით არ აქვს შეზღუდული სასამართლოსთვის მიმართვის უფლება“ და 2) „ეს შეზღუდვა ობიექტურად გამართლებულია სახელმწიფო ინტერესით“.<sup>43</sup> ამდენად, სასამართლო მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მოქმედებას ავრცელებს საჯარო მოხელეების, მათ შორის, სასამართლო სისტემაში დასაქმებული მოხელეების დასაქმების, დანიშნულების, დაქვეითების, გათავისუფლების, ანაზღაურების პირობების და მათ მიმართ დისციპლინური წარმოების საქმეების ფართო წრეზე.<sup>44</sup> შესაბამისად, ამ საქმის განმხილველმა ორგანომ/სასამართლომ უნდა დააკმაყოფილოს მე-6 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნა. ეს მიდგომა დაადასტურა ევროპულმა სასამართლომ 2018 წლის საქმეშიც „დენისოვი უკრაინის წინააღმდეგ“.<sup>45</sup> ამ საქმეში განმცხადებელი დავობდა, რომ უკრაინის სააპელაციო სასამართლოს პრეზიდენტის თანამდებობიდან მისი გათავისუფლების საკითხის განმხილველი ორგანოები – უკრაინის იუსტიციის უმაღლესი საბჭო და უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლო – არ აკმაყოფილებდნენ მე-6 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მოთხოვნებს. ეს საქმე ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ დასაშვებად ცნო და

41 ლე კომტი, ვან ლიუვენის და დე მეიერი ბელგიის წინააღმდეგ (Le Compte, Van Leuven and De Meyere v. Belgium), 1982 წლის 18 ოქტომბერი, Series A N 544, §43;

42 ვილჰო ესკელინენი და სხვები ფინეთის წინააღმდეგ (Vilho Eskelinen and Others v. Finland), დიდი პალატა, 2007 წლის 19 აპრილი, განაცხ. no. 63235/00, §62.

43 იქვე.

44 European Court of Human Rights, Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights. Right to a fair trial (civil limb), განახლებულია 2020 წლის 30 აპრილს, gv. 13.

45 დენისოვი უკრაინის წინააღმდეგ (Denisov v. Ukraine), დიდი პალატა, 2018 წლის 25 სექტემბერი, განაცხ. no. 76639/11.

სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიკერძოების საკითხი განიხილა მე-6 მუხლის პირველი პუნქტის სამოქალაქო მოქმედების სფეროს ქრილში.<sup>46</sup>

რაც შეეხება საჯარო სამართლის სფეროს, იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა დავა უფლებებზე, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობით „საჯარო სამართლის“ სფეროს მიეკუთვნება, სასამართლო მათ „სამოქალაქო ხასიათისად“ მიიჩნევს იმ შემთხვევაში, თუ „განხილვის შედეგი გადამწყვეტია კერძო უფლებების და ვალდებულებებისთვის“ ან „ქონებრივი უფლებების“ დაცვისთვის“.<sup>47</sup> დღეისთვის სასამართლო „სამოქალაქო ხასიათის“ უფლებებად მოიაზრებს საჯაროსამართლებრივი ურთიერთობის სფეროს მიკუთვნებულ მთელ რიგ უფლებებს, რომლებიც ისეთი განსხვავებული სამართალწარმოების სახეების ფარგლებში გვხვდება, როგორიცაა:

- ნებართვის, ლიცენზიის გაცემა ან სხვა საჯაროსამართლებრივი აქტის გამოცემა, რაც აუცილებელია სამენარმეო საქმიანობის განსახორციელებლად (მაგალითად, სამედიცინო მომსახურების ან საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის ლიცენზია/ნებართვა);
- მშენებლობის ნებართვის გაცემა, ექსპროპრიაციის, ობიექტის დანიშნულების განსაზღვრა ან ქალაქგეგმარება; ჩამორთმეული ქონებისთვის კომპენსაციის გაცემა, რელიგიური დანიშნულების შენობა-ნაგებობების საკუთრების და სარგებლობის უფლების განსაზღვრა;
- ადმინისტრაციული გარიგების და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ზიანის ანაზღაურების თაობაზე დავები; ასევე სისხლისსამართალწარმოებასთან დაკავშირებული სამოქალაქო სარჩელი დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით; კომპენსაცია უკანონო თავისუფლების აღკვეთის ან მსჯავრდების გამო;
- საზოგადოებრივი ორგანიზაციის რეგისტრაციაზე უარი;
- ქმედუნარიანობის განსაზღვრა;
- სახელმწიფო ორგანოების გადამწყვეტილებები, რომელიც შეეხება პირის მიერ თავისუფალი პროფესიის განხორციელების შეზღუდვას;
- დისკრიმინაცია სახელმწიფო შესყიდვების ან საჯარო სამსახურში დასაქმების პროცესში;
- სახელმწიფო დაფინანსების მიღება ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობის ეროვნული პროგრამების ფარგლებში;
- სოციალური დახმარების ეროვნული პროგრამებით, შეზღუდული შესაძლებლობის გამო, ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების

46 დენისოვი უკრაინის წინააღმდეგ (Denisov v. Ukraine), დიდი პალატა, 2018 წლის 25 სექტემბერი, განაცხ. no. 76639/11. §52-53.

47 ლე კომტი, ვან ლიუენი და დე მეიერი ბელგიის წინააღმდეგ (Le Compte, Van Leuven and De Meyere v. Belgium), 1982 წლის 18 ოქტომბერი, Series A N 544, §45.

დროს მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების გამო დახმარების გაცემა, სახელმწიფო პენსიით ან კომპენსაციით სარგებლობის უფლების მოპოვება;

- სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოთავსებულ პირთა მიმართ დისციპლინური წარმოების შედეგად უფლებების შეზღუდვა;
- და სხვა.<sup>48</sup>

შესაბამისად, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო დასაშვებად ცნობს იმ დავებს, სადაც განმცხადებლები დავობენ ზემოთჩამოთვლილი საკითხების განმხილველი ორგანოს ან მისი წევრების მხრიდან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნის დარღვევაზე და ამ საქმეებს განიხილავს მე-6 მუხლის პირველი პუნქტის სამოქალაქო სამართლებრივი მოქმედების ქრილში.

## ბ. გამონაკლისები

არსებობს რამდენიმე გამონაკლისი, როდესაც სადავო უფლების უპირატესად საჯარო სამართლებრივი ან პოლიტიკური ხასიათის გამო, სასამართლო უარს ამბობს მე-6 მუხლის პირველი პუნქტის გამოყენებაზე მაშინაც, როდესაც დავა გავლენას ახდენს პირის ქონებრივ და კერძო უფლებებზე. კერძოდ, ასეთია მაგალითად, სახელმწიფოს მიერ პირისთვის საგადასახადო ვალდებულების დაკისრება მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის საგადასახადო ურთიერთობის „უპირატესად საჯარო ხასიათიდან“ გამომდინარე.<sup>49</sup> შესაბამისად, სასამართლო მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მოქმედებას არ გაავრცელებს საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების თაობაზე დავაზე, რომელიც პირისთვის გადასახადის დაკისრებას შეეხება. მიუხედავად ამისა, თუკი გადასახადის გადაუხდელობის გამო პირს ჯარიმა დაეკისრება, ამ დავაზე შეიძლება მე-6 მუხლის პირველი პუნქტის სისხლისსამართლებრივი შინაარსი გავრცელდეს.<sup>50</sup>

იგივე მოტივით, სასამართლომ მიიჩნია, რომ „გადაწყვეტილებები უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სახელმწიფოს ტერიტორიაზე დაშვების, ყოფნისა და დეპორტაციის შესახებ არ შეეხება განმცხადებლის „სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების“ და არც „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის“

48 ციტირებულია არასრული ჩამონათვალი. იხ: THEORY AND PRACTICE OF THE EUROPEAN CONVENTION ON HUMAN RIGHTS, ED. BY PIETER VAN DIJK ET AL. (5TH ED. 2018), გვ. 512-515.

49 ფერაცინი იტალიის წინააღმდეგ (Ferrazzini v. Italy), დიდი პალატა, 2001 წლის 12 ივლისი, განაცხ. no. 44759/98, §29.

50 THEORY AND PRACTICE OF THE EUROPEAN CONVENTION ON HUMAN RIGHTS, ED. BY PIETER VAN DIJK ET AL. (5TH ED. 2018), გვ. 517.

განსაზღვრას“.<sup>51</sup> შესაბამისად, ასეთი საქმის განმხილველ სასამართლოს არ ნაუყენებს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნას.

კიდევ ერთი გამონაკლისი შეეხება პოლიტიკური შინაარსის უფლებებს, რაშიც სასამართლო მოიაზრებს პირის უფლებას „კენჭი იყაროს და დარჩეს არჩევით თანამდებობაზე“, „პარლამენტის წევრის პენსიას“, „პოლიტიკური პარტიის უფლებას განაგრძოს პოლიტიკური საქმიანობა“, „პოლიტიკური პარტიიდან ან საზოგადოებრივი ორგანიზაციიდან წევრის გარიცხვას“, „თანამდებობის პირის ვალდებულებას, არ დაუშვას ინტერესთა კონფლიქტი“. ყველა ამ შემთხვევაში მიუხედავად იმისა, რომ სახეზე ქონებრივი ინტერესიც იყო, სასამართლომ მიიჩნია, რომ დავა უკავშირდებოდა არა პირის სამოქალაქო ხასიათის უფლებას, არამედ პოლიტიკური საქმიანობის განხორციელების უფლებას, რაზეც მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება.<sup>52</sup> შესაბამისად, მსგავსი გადანყვეტილებების თაობაზე არსებული დავის დანმხილველ ორგანოზე სასამართლო არ ავრცელებს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნას.

## დასკვნა

ამდენად, სამართლიანი სასამართლოს უფლება სამოქალაქო სამართლის ქრილში ვრცელდება დავებზე, რომელიც გამომდინარეობს ეროვნული კანონმდებლობით დაცული უფლებიდან. მე-6 მუხლის პირველი პუნქტი სამართლებრივი დავების ფართო წრეზე ვრცელდება, რაც მოიცავს, არა მხოლოდ სამოქალაქო, არამედ ადმინისტრაციული და სპეციალური კანონმდებლობით რეგულირებულ სფეროებსაც. ამასთან, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო სამართლიანი სასამართლოს უფლებას არ ავრცელებს ისეთ დავებზე, სადაც განმსაზღვრელი პოლიტიკური ან საჯაროსამართლებრივი ინტერესია, თუნდაც დავას მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს მხარის ქონებრივ მდგომარეობაზე ან/და კერძოსამართლებრივ ინტერესებზე.

## 1.2 სისხლისსამართლებრივი სფერო

### ა. სისხლისსამართლებრივი ბრალდება

მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამართლიანი სასამართლოს უფლება ვრცელდება საქმის განხილვაზე, რომელიც შეეხება პირისთვის

51 მააუია საფრანგეთის წინააღმდეგ (*Maaouia v. France*), დიდი პალატა, 2000 წლის 5 ოქტომბერი, განაცხ. no. 39652/98, ECHR 2000-X, §36-38, ციტირებულია: *THEORY AND PRACTICE OF THE EUROPEAN CONVENTION ON HUMAN RIGHTS*, ED. BY PIETER VQN DIJK ET AL. (5TH ED. 2018), გვ. 517.

52 Council of Europe, European Court of Human Rights, *Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights. Right to a fair trial (criminal limb)*, განახლებულია 2020 წლის 30 აპრილს, გვ. 20.

„წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევას“.<sup>53</sup> შესაბამისად, უპირველეს ყოვლისა, გასარკვევია, თუ რას მიიჩნევს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო „სისხლისსამართლებრივ ბრალდებად“.

როგორც სამოქალაქო სფეროში, აქაც მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო ტერმინ „სისხლისსამართლებრივ ბრალდებას“ ავტონომიური შინაარსით განიხილავს.<sup>54</sup> ეს ნიშნავს, ერთი მხრივ იმას, რომ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო თავად იტოვებს უფლებას განსახილველი ბრალდება მიიჩნიოს „სისხლისსამართლებრივად“ მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული კანონმდებლობით ქმედება, რომელშიც პირს ბრალი ედება, ადმინისტრაციული ან დისციპლინური დარღვევაა და არ კვალიფიცირდება სისხლის სამართლის დანაშაულად. საქმეზე „ენხელი და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ“ სასამართლომ მიუთითა: „წევრ სახელმწიფოებს რომ დისკრეცია ჰქონოდათ, თავად მოეხდინათ სამართალდარღვევის კლასიფიკაცია დისციპლინურად და არა სისხლისსამართლებრივად, ან უფლება ჰქონოდათ შერეული სამართალდარღვევის ჩამდენის მიმართ დევნა დისციპლინური წესით დაეწყოთ და არა სისხლისსამართლებრივი პროცედურის ფარგლებში, კონვენციის მე-6 და მე-7 მუხლების ფუნდამენტური დებულებების მოქმედება სახელმწიფოების სუვერენულ ნებასურვილზე იქნებოდა დამოკიდებული“.<sup>55</sup> შესაბამისად, სასამართლო უარს ამბობს შემოიფარგლოს ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი კლასიფიკაციით და ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში თავად აფასებს, ბრალდება სისხლისსამართლებრივი ბუნებისაა თუ არა.

ამ ვითარებაში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმის გაირკვა, თუ რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით ახდენს სასამართლო ადმინისტრაციული ან დისციპლინური სამართალდარღვევის საქმის კლასიფიკაციას ერთ შემთხვევაში სისხლის სამართლებრივი ბუნების მქონედ, ხოლო მეორე შემთხვევაში – არა.

გადანწყვეტილებაში საქმეზე „ენხელი და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ“ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ შეაჯერა ის კრიტერიუმები, რომელთა მეშვეობითაც უნდა შეფასდეს, წარდგენილი ბრალდება

53 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი, ძალაშია 1999 წლის 20 მაისიდან, სარეგისტრაციო ნომერი: 000000430.00.003.000297, მუხლი 6, პუნქტი 1.

54 THEORY AND PRACTICE OF THE EUROPEAN CONVENTION ON HUMAN RIGHTS, ED. BY PIETER VAN DIJK ET AL. (5TH ED. 2018), გვ. 524

55 ენხელი და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ (Engel and Others v. the Netherlands), 1976 წლის 8 ივნისი, Series A no. 22, §81.

მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ „სისხლისსამართლებრივ ბრალდებას“ წარმოადგენს თუ არა.<sup>56</sup> ეს კრიტერიუმებია:

1. ქმედება, რომლის ჩადენაშიც ბრალი ედება პირს, ეროვნული კანონმდებლობით სისხლის სამართლის კატეგორიას მიეკუთვნება;
2. სამართალდარღვევის სისხლისსამართლებრივი ხასიათი;
3. სასჯელის ხასიათი და მისი სიმძიმის ხარისხი.<sup>57</sup>

„ენხელის კრიტერიუმები“ არ არის კუმულატიური. თუკი ეროვნული კანონმდებლობა დანაშაულად შერაცხავს ქმედებას, რომლის ჩადენაშიც ბრალი ედება განმცხადებელს, სასამართლო აღარ გააგრძელებს სხვა კრიტერიუმების მიხედვით შეფასებას.<sup>58</sup> ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი ეროვნული კანონმდებლობა სამართალდარღვევას არ განიხილავს სისხლის სამართლის დანაშაულად, მაშინ სასამართლო აგრძელებს მსჯელობას და დანარჩენ ორ კრიტერიუმს გამოიკვლევს, თუმცა ისინი ალტერნატიულია და საკმარისია ამ ორიდან თუნდაც ერთი კრიტერიუმი დაკმაყოფილდეს.<sup>59</sup> როგორც წესი, მეორე კრიტერიუმს უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სასამართლო.<sup>60</sup> ამასთან, თუ მე-2 და მე-3 კრიტერიუმების ცალ-ცალკე ანალიზის საფუძველზე შეუძლებელია მკაფიო დასკვნის გაკეთება, წარმოადგენს თუ არა პირის მიმართ ბრალდება „სისხლისსამართლებრივ ბრალდებას“, სასამართლომ შესაძლოა ეს კრიტერიუმები ერთობლიობაში განიხილოს.<sup>61</sup> სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი საშუალებას მოგვცემს ნათლად დავინახოთ, თუ რას მოიაზრებს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო თითოეული კრიტერიუმის შინაარსში.

განსაკუთრებულ სირთულეს არ წარმოადგენს პირველი კრიტერიუმის შეფასება, კერძოდ იმის განსაზღვრა, ეროვნული კანონმდებლობა სამართალდარღვევას, რომელთან დაკავშირებითაც მიმდინარეობს საქმის განხილვა, სისხლის სამართლის დანაშაულის კატეგორიაში განიხილავს, დისციპლინური გადაცდომის თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის.

56 ენხელი და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ (*Engel and Others v. the Netherlands*), 1976 წლის 8 ივნისი, Series A no. 22, §82-83.

57 *Dovydas Vitkauskas, Grigoriy Dikov, Protecting the right to a fair trial under the European Convention on Human Rights. A handbook for legal practitioners*, 2nd ed. by Dovydas Vitkauskas, Council of Europe, 2017, გვ. 22.

58 Council of Europe, European Court of Human Rights, *Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights. Right to a fair trial (criminal limb)*, განახლებულია 2020 წლის 30 აპრილს, გვ. 10.

59 იქვე.

60 *ოუსილა ფინეთის წინააღმდეგ (Jussila v. Finland)*, დიდი პალატა, 2006 წლის 23 ნოემბერი, განაცხ. no. 73053/01, ECHR 2006-XIV, §38, ციტირებულია Council of Europe, European Court of Human Rights, *Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights. Right to a fair trial (criminal limb)*, განახლებულია 2019 წლის 2020 წლის 30 აპრილს, გვ. 9.

61 *ბენდენუნი საფრანგეთის წინააღმდეგ (Bendenoun v. France)*, 1994 წლის 24 თებერვალი, Series A no. 284, §47.



ბრალდება სისხლისსამართლებრივი ხასიათისაა იმ შემთხვევაში, თუ ამკრძალავი ნორმის მოქმედების სფერო ზოგადი ხასიათისაა და თუ სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობის/სანქციის დაწესების მიზანი სადამჯელოა. მაგალითად, „მოქმედების სფეროს“ ანალიზისას სასამართლო აფასებს, როგორ განსაზღვრავს ეროვნული კანონმდებლობა „სამართალდარღვევის სუბიექტთა წრეს“, კერძოდ, აკრძალვა „პირთა ვინრო ჯგუფს“ შეეხება, თუ „ზოგადად ყველას“.<sup>62</sup> იმ შემთხვევაში, თუ სამართალდარღვევის „სუბიექტი კონკრეტული ვინრო ჯგუფია“, როგორც, მაგალითად, ერთი ორგანიზაციის თანამშრომლები, ერთი პროფესიის წარმომადგენლები, სასამართლო მსგავს დარღვევებს დისციპლინური პასუხისმგებლობის კატეგორიაში მოიაზრებს, ხოლო თუ „სამართალდარღვევის აკრძალვას ზოგადი და სავალდებულო ხასიათი აქვს“, მაშინ სავარაუდოა, რომ მას სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაცია მიეცეს.<sup>63</sup> ასევე, სასამართლო მხედველობაში იღებს, „ამკრძალავი ნორმის მიზანი საზოგადოების ზოგადი ინტერესების დაცვაა, რაც ჩვეულებრივ სისხლის სამართლის კანონმდებლობის სფეროა“, თუ ორგანიზაციის შიდა დისციპლინის უზრუნველყოფა.<sup>64</sup>

სასამართლომ საქმეზე „მიულერ-ჰარტბურგი ავსტრიის წინააღმდეგ“ დაადგინა, რომ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის არა სისხლისსამართლებრივი, არამედ სამოქალაქოსამართლებრივი შინაარსი უნდა ყოფილიყო გამოყენებული, რადგან დავის საგანს წარმოადგენდა ავსტრიის ადვოკატთა ასოციაციის მიერ ადვოკატის მიმართ ჯარიმის და საადვოკატო საქმიანობის უფლების დროებით შეჩერება ადვოკატის მიერ პროფესიული ვალდებულებების დარღვევის და ადვოკატთა ასოციაციის ღირსებისთვის შეუფერებელი ქმედების ჩადენის გამო.<sup>65</sup> სასამართლომ თავისი პოზიცია დაასაბუთა იმით, რომ სამართალწარმოება შეეხებოდა „პირთა შეზღუდულ წრეს მიკუთვნებულ პირებს“ – ადვოკატებს და უკავშირდებოდა საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში ადვოკატთა ასოციაციის მიერ დადგენილი წესების დარღვევას.

სისხლისსამართლებრივი ხასიათის დასადგენად მეორე მნიშვნელოვანი კრიტერიუმია სამართალდარღვევისთვის გათვალისწინებული „სანქციის/

62 Council of Europe, European Court of Human Rights, Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights. Right to a fair trial (criminal limb), განახლებულია 2020 წლის 30 აპრილს, გვ. 10.

63 ბენდენუნი საფრანგეთის წინააღმდეგ (Bendenoun v. France), 1994 წლის 24 თებერვალი, Series A no. 284, §47.

64 Produkcija Plus Storitveno podjetje d.o.o. სლოვენის წინააღმდეგ (Produkcija Plus Storitveno podjetje d.o.o. v. Slovenia), 2018 წლის 23 ოქტომბერი, განაცხ. no. 47072/15, §42.

65 მიულერ-ჰარტბურგი ავსტრიის წინააღმდეგ (Müller-Hartburg v. Austria), 2013 წლის 19 თებერვალი, განაცხ. no. 47195/06, §42-49.

სასჯელის მიზანი“, კერძოდ, „დამსჯელობითი ან შემაკავებელი“, ისეთი მიზნებისგან განსხვავებით, როგორცაა, მაგალითად, ზიანის პრევენცია (ადმინისტრაციული სამართალი), მიყენებული ზიანის ანაზღაურება (სამოქალაქო სამართლებრივი მიზანი) ან პროფესიული ან ორგანიზაციული დისციპლინის უზრუნველყოფა (დისციპლინური მიზანი). საქმეზე „ოზთიურთი გერმანიის წინააღმდეგ“ სასამართლოს უნდა ემსჯელა, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ავტოსაგზაო უსაფრთხოების ნორმების დარღვევის გამო პასუხისმგებლობის დაკისრება, რასაც ფულადი ჯარიმის დაკისრება მოჰყვა, წარმოადგენდა თუ არა სისხლისსამართლებრივ ბრალდებას. სასამართლომ დაადგინა, რომ საგზაო უსაფრთხოების ნორმების დარღვევისას „ამკრძალავი ნორმის შინაარსი და სანქციის დანესების მიზანი დასჯა და შეკავება იყო“ და არა უბრალოდ გამართული საგზაო მოძრაობის უზრუნველყოფა.<sup>66</sup>

იმ სამართალდარღვევების „სისხლისსამართლებრივი ბუნების განსაზღვრისას“, რომლისთვისაც დანესებულია ფულადი სანქციები – ჯარიმები, სასამართლო აფასებს, სანქციის მიზანი მიყენებული ზიანის ანაზღაურება/კომპენსირებაა თუ პირის დასჯა და შეკავება.<sup>67</sup> როგორც წესი, საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებულ დავებზე ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო საერთოდ არ ავრცელებს მე-6 მუხლის მოქმედებას,<sup>68</sup> თუმცა გადასახადის გადაუხდელობის გამო საურავის დაკისრება შესაძლოა „სისხლისსამართლებრივ ასპექტს“ მოიცავდეს.<sup>69</sup> ამ შემთხვევაში, მე-6 მუხლის სისხლისსამართლებრივი შინაარსის გამოყენების მიზანშეწონილობის გადამწყვეტისას სასამართლო ანალიზებს, საურავის დაკისრება მიზნად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ისახავდა, თუ მას არსებითად სადამსჯელო და შემაკავებელი მიზანი ჰქონდა.<sup>70</sup> საქმეზე „ბენდენუნი საფრანგეთის წინააღმდეგ“ სასამართლომ ჩათვალა, რომ „ფინანსური სანქციების დანესების მიზანი იყო არა მიყენებული ქონებრივი ზიანის კომპენსირება, არამედ არსებითად სადამსჯელო, რათა აღეკვეთა განმეორებითი დანა-

66 ოზთიურთი გერმანიის წინააღმდეგ (Öztürk v. Germany), 1984 წლის 21 თებერვალი, Series A no. 73, §53; ასევე, იხ. ბენდენუნი საფრანგეთის წინააღმდეგ (Bendenoun v. France), 1994 წლის 24 თებერვალი, Series A no. 284, 47.

67 ბენდენუნი საფრანგეთის წინააღმდეგ (Bendenoun v. France), 1994 წლის 24 თებერვალი, Series A no. 284, §24.

68 ფერაცინი იტალიის წინააღმდეგ (Ferrazzini v. Italy), დიდი პალატა, 2001 წლის 12 ივლისი, განაცხ. no. 44759/98, §20.

69 იუსილა ფინეთის წინააღმდეგ (Jussila v. Finland), დიდი პალატა, 2006 წლის 23 ნოემბერი, განაცხ. no. 73053/01, ECHR 2006-XIV, §38.

70 Council of Europe, European Court of Human Rights, Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights. Right to a fair trial (criminal limb), განახლებულია 2020 წლის 30 აპრილს, გვ. 12.

შაული, სანქციის დაწესებას საფუძვლად ედო ზოგადი მოქმედების ნორმა, რომელსაც „შემაკავებელი და სადამსჯელო“ მიზანი ჰქონდა.<sup>71</sup>

„ენხელის მესამე კრიტერიუმის“ თანახმად, „სისხლისსამართლებრივი ბრალდების“ შინაარსის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს სამართალდარღვევის შესაბამისი „სანქციის ხასიათი და სასჯელის სიმძიმის ხარისხი“. სანქციის სიმძიმის ხარისხის დადგენა ხდება „სამართალდარღვევისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული მაქსიმალური შესაძლო სანქციის ზომის ანალიზის საფუძველზე“.<sup>72</sup>

აღსანიშნავია, რომ „სანქციის ხასიათი“, რაც „ენხელის მე-3 კრიტერიუმის“ შეფასების საგანია განსხვავდება მე-2 კრიტერიუმით გათვალისწინებული „სასჯელის დაწესების მიზნისგან“.<sup>73</sup> შესაძლოა, სასჯელის დაწესების მიზანი არ იყოს „დასჯა და შეკავება“, მაგრამ სასჯელის ხასიათმა ან მისმა სიმკაცრემ სამართლიანი სასამართლოს უფლების სისხლისსამართლებრივი შინაარსის ამოქმედება გამოიწვიოს. მეორე მხრივ, თუკი მე-2 კრიტერიუმის შეფასებისას დადგინდა, რომ ბრალდება სისხლისსამართლებრივი ხასიათისაა, რელევანტური აღარ არის სასჯელის მიზანი და მისი სიმძიმე.<sup>74</sup>

როგორც წესი, პატიმრობა სისხლისსამართლებრივ სანქციად განიხილება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ პატიმრობის „ხასიათი, ხანგრძლივობა და მოხდის წესი „საგრძნობლად საზიანო არაა“.<sup>75</sup> მაგალითად, საქმეზე „კიპრიანუ კვიპროსის წინააღმდეგ“ სასამართლომ იმსჯელა „მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლის“ გამო პირისთვის 5-დღიანი პატიმრობის შეფარდების თაობაზე, რაც სასამართლომ საკმარისად მძიმე სასჯელად მიიჩნია.<sup>76</sup> თუმცა საქმეზე „ენხელი და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ“, ორდღიანი თავისუფლების აღკვეთა სასამართლომ ძალიან მოკლე ხანგრძლივობად მიიჩნია, რომელზეც სისხლისსამართლებრივი შინაარსის გავრცელება არ იქნებოდა გამართლებული.<sup>77</sup>

71 ბენდენუნი საფრანგეთის წინააღმდეგ (Bendenoun v. France), 1994 წლის 24 თებერვალი, Series A no. 284, §24.

72 ქემბელი და ფელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Campbell and Fell v. the United Kingdom), 1984 წლის 28 ივნისი, Series A no. 80, §72; დემიკოლი მალტის წინააღმდეგ (Demicoli v. Malta), 1981 წლის 27 აგვისტო, Series A no. 210, §34.

73 THEORY AND PRACTICE OF THE EUROPEAN CONVENTION ON HUMAN RIGHTS, ED. BY PIETER VAN DIJK ET AL. (5TH ED. 2018), გვ. 532.

74 იქვე.

75 ენხელი და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ (Engel and Others v. the Netherlands), 1976 წლის 8 ივნისი, Series A no. 22, §82.

76 კიპრიანუ კვიპროსის წინააღმდეგ (Kyprianou v. Cyprus), დიდი პალატა, 2005 წლის 15 დეკემბერი, განაცხ. no. 73797/01, ECHR 2005-XIII, § 61-64.

77 იქვე.

## ბ. გამონაკლისები

კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით დაცული სამართლიანი სასამართლოს უფლებას ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო სამოქალაქო უფლებაზე დავის განხილვის ანალოგიურად, არ ავრცელებს პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებულ საქმეებზე და უცხო ქვეყნის მოქალაქის მიმართ სახელმწიფოს ტერიტორიაზე დაშვების, გაძევებისა და ექსტრადიციის საქმეებზე.

პოლიტიკური უფლებების კუთხით აღსანიშნავია საქმე „პიერ-ბლოკი საფრანგეთის წინააღმდეგ“, სადაც დავის საგანს წარმოადგენდა საქმის განხილვა, რომელიც საფრანგეთის საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული საარჩევნო კამპანიის ხარჯების გადაჭარბების გამო განმცხადებლისთვის ფინანსური სანქციების დაკისრებას შეეხებოდა.<sup>78</sup> ევროპულმა სასამართლომ არ მიიჩნია სისხლის სამართლებრივი ხასიათის სამართალდარღვევად, რადგან ჩათვალა, რომ საკითხი არა სისხლისსამართლებრივი, არამედ საარჩევნო კანონმდებლობის სფერო იყო, დაკისრებული სანქციის მიზანი არა დასჯა, არამედ იმ თანხის უკან დაბრუნება იყო, რაც პარტიამ დადგენილი ზღვრის ზემოთ მიიღო შემოწირულობის სახით, ასევე სანქცია არ იყო საკმარისად მძიმე, რადგან მხოლოდ ერთი წლით უკრძალავდა პარტიას არჩევნებში მონაწილეობას.<sup>79</sup> ანალოგიურად, საქმეზე „რეფაჰ პარტისი (კეთილდღეობის პარტია) და სხვები თურქეთის წინააღმდეგ“ ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ თურქეთის საკონსტიტუციო სასამართლოში პოლიტიკური პარტიის აკრძალვის საკითხის განხილვაზე არ ვრცელდებოდა მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მოქმედება, რადგან „ეს დავა შეეხებოდა განმცხადებლის „უფლებას ეწარმოებინა პოლიტიკური საქმიანობა პოლიტიკური პარტიის მეშვეობით“, რაც „არსებითად პოლიტიკური ბუნების უფლებაა და მასზე თავისთავად არ ვრცელდება მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მოქმედება“.<sup>80</sup> შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაუშვებლად მიიჩნია „კეთილდღეობის პარტიის“ განაცხადი.

საინტერესოა სასამართლოს დამოკიდებულება, ვრცელდება თუ არა მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მოქმედება პოლიტიკური თანამდებობის პირების მიმართ იმპიჩმენტის პროცედურაზე. საქმეზე „პაქსასი ლიეტუვის წინააღმ-

78 პიერ-ბლოკი საფრანგეთის წინააღმდეგ (Pierre-Bloch v. France), 1997 წლის 21 ოქტომბერი, Reports of Judgments and Decisions 1997-VI.

79 იქვე, §53-60.

80 Refah Partisi (კეთილდღეობის პარტია) და სხვები თურქეთის წინააღმდეგ, განჩინება, 2000 წლის 3 ოქტომბერი, განაცხ. no. 41340/98 და სხვა, ECHR 2003-III.

დეგ“, ლიეტუვის ყოფილმა პრეზიდენტმა გაასაჩივრა ლიეტუვის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება „კონსტიტუციის მნიშვნელოვანი დარღვევისა და საპრეზიდენტო ფიცის დარღვევის გამო“ იმპიჩმენტის საქმეზე, რასაც მისი პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება მოყვა.<sup>81</sup> ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა ის, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის მიზანი არ იყო პრეზიდენტის მიმართ სისხლისსამართლებრივი ხასიათის ბრალდების განხილვა და ის, რომ განხილვის შედეგად გათვალისწინებული შესაძლო სანქცია – პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება და არჩევნებში მონაწილეობის აკრძალვა – თავისი შინაარსით კონსტიტუციური ანგარიშვალდებულების ფორმები იყო და თავისთავად არ გულისხმობდა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. სამაგიეროდ, საქმეზე „ჰაარდე ისლანდიის წინააღმდეგ“, ევროპულმა სასამართლომ ისლანდიის კონსტიტუციისა და სხვა საკონსტიტუციო აქტების შესწავლის საფუძველზე დაადგინა, რომ ყოფილი პრემიერ-მინისტრის წინააღმდეგ პარლამენტის მიერ იმპიჩმენტის პროცედურის ინიცირების და შემდგომში იმპიჩმენტის სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას მე-6 მუხლის სისხლისსამართლებრივი შინაარსით დაცული გარანტიები უნდა ყოფილიყო დაცული.<sup>82</sup> ამ საქმეში ისლანდიის პარლამენტი მოქმედებდა რა, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი ყოფილ პრემიერ-მინისტრს ედავებოდა „მინისტრთა პასუხისმგებლობის აქტის დარღვევას“, რომელიც პრემიერ-მინისტრს ავალდებულებდა მოეწვია მთავრობის სხდომები და გადაწყვეტილებები მინისტრებთან ერთად განეხილა. პარლამენტმა კანონმდებლობის მოთხოვნის დაცვით, იმპიჩმენტის საქმე განსახილველად იმპიჩმენტის სასამართლოს გადასცა. აღსანიშნავია, რომ არცერთ საქმეში არ გაუხდია სადავოდ მოპასუხე მხარეს მე-6 მუხლის გამოყენების საკითხი. თუმცა პაქსასის განაცხადის განხილვისას თავად ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა მე-6 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით განაცხადის დასაშვებობის საკითხზე, ხოლო ჰაარდეს განაცხადის განხილვისას კი საერთოდ არ განიხილა დასაშვებობის საკითხი, და არც ის დაასაბუთა, თუ რით განსხვავდებოდა ის საქმისგან „პაქსასი ლიეტუვის წინააღმდეგ“. უნდა ვივარაუდოთ, რომ განსხვავებული გადაწყვეტის საფუძველი გახდა სამართალდარღვევის ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი შინაარსი და ხასიათი.

რაც შეეხება სახელმწიფოს ტერიტორიაზე დამკვების აკრძალვას, გაძევებისა (დეპორტაციისა) და ექსტრადიციის გადაწყვეტილებებს, ისევე როგორც

81 პაქსასი ლიეტუვის წინააღმდეგ (Paksas v. Lithuania), დიდი პალატა, განაცხ. no. 34932/04, ECHR 2011.

82 ჰაარდე ისლანდიის წინააღმდეგ (Haarde v. Iceland), 2017 წლის 23 ნოემბერი, განაცხ. no. 66847/12.

სამოქალაქო უფლებებზე დავის შემთხვევაში, აქაც, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ მსგავსი გადაწყვეტილებები „წვერი სახელმწიფოების უმრავლესობაში ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მიიღება და ისინი სპეციალურ პრევენციულ ღონისძიებებს წარმოადგენს, რომლის მიზანი ემიგრაციის კონტროლია და არა სისხლისსამართლებრივი ბრალდების განსაზღვრა“.<sup>83</sup> მსგავსი მიდგომა აქვს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებული პირის სხვა ქვეყანაში ექსტრადიციის საკითხისადმი,<sup>84</sup> სადაც სადაო საკითხი არის არა პირის ბრალეულობის საკითხის გადაწყვეტა, არამედ, იმის დადგენა, უნდა მოხდეს თუ არა პირის გადაცემა სხვა სახელმწიფოსთვის. შესაბამისად, ამ საქმეებზე ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო არ ავრცელებს მე-6 მუხლის მოქმედებას. გამონაკლისია დაგები, როდესაც განმცხადებელი მიუთითებს, რომ იმ სახელმწიფოში, სადაც მისი გადაცემა მოხდება, მას «ამკარად უარს ეტყვიან მართლმსაჯულების განხორციელებაზე» (**flagrant denial of justice**). ევროპული სასამართლოს განმარტებით, ეს ნიშნავს იმას, რომ პირის გასამართლება მოხდება „მე-6 მუხლით დადგენილი ნორმებისა და პრინციპების ამკარა დარღვევით“, ანუ „ისეთი ფუნდამენტური ხასიათის დარღვევით, რაც არარად აქცევს ან ანადგურებს თვით სამართლიანი სასამართლოს უფლების არსს“.<sup>85</sup> ასეთ შემთხვევაში სასამართლო საქმეს მე-6 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით განიხილავს, თუმცა მოითხოვს, რომ განმცხადებელმა მტკიცების მაღალი სტანდარტი დააკმაყოფილოს და დაადასტუროს, რომ „რეალური რისკი არსებობს იმისა, რომ სხვა სახელმწიფოში მას ამკარად უარს ეტყვიან მართლმსაჯულების განხორციელებაზე“.

## დასკვნა

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის სისხლისსამართლებრივი შინაარსი გამოიყენება საქმეებზე, რომელიც შეეხება პირის მიმართ სისხლის

83 მააუია საფრანგეთის წინააღმდეგ (*Maaouia v. France*), დიდი პალატა, განაცხ. no. 39652/98, ECHR 2000-X, §39.

84 პენიაფიელ სალგადო ესპანეთის წინააღმდეგ (*Peñafiel Salgado v. Spain*), განჩინება, 2002 წლის 16 აპრილი, განაცხ. no. 65964/01.

85 ოთმანი (აბუ ქათადა) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Othman (Abu Qatada) v. the United Kingdom*), განაცხ. no. 8139/09, ECHR 2012, §258-261, 272-280, იხ. ასევე: სორინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Soering v. the United Kingdom*), განაცხ. 1989 წლის 7 ივლისი, განაცხ. no. 14038/88, Series A no. 161, §113, ციტირებულია: Council of Europe, European Court of Human Rights, Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights. Right to a fair trial (criminal limb), განახლებულია 2020 წლის 30 აპრილს, გვ. 96-97.

სამართლებრივი ბრალდების საკითხის განხილვას. სისხლისსამართლებრივი ბრალდების ავტონომიური შინაარსის დადგენისთვის მნიშვნელოვანია, პირველ რიგში, ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი სამართალდარღვევათა კლასიფიკაცია, რის შემდეგაც სასამართლო შეაფასებს არის თუ არა ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი სამართალდარღვევა სისხლისსამართლებრივი ხასიათის, და გათვალისწინებული სასჯელის ხასიათი და სიმძიმე მოითხოვს თუ არა სამართლიანი სასამართლოს უფლების სისხლისსამართლებრივი შინაარსის გამოყენებას.

## 2. სამართალწარმოების სამართლიანობის გარანტიები

### შესავალი

ამ ქვეთავის მიზანია მკითხველს გააცნოს ის სპეციფიკური პროცედურული გარანტიები, რასაც ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო მოიაზრებს სამართლიანობის ვინრო, პროცესუალური სამართლიანობის გაგებით. ერთი მხრივ, საქმის განხილვის სამართლიანობის ფართო გაგება (Fair trial) მოიცავს მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ყველა უფლებას, როგორებიცაა: სასამართლოსთვის მიმართვის უფლება, უფლება საქმის საჯარო განხილვაზე, უფლება საქმის სამართლიან განხილვაზე, იგივე უფლება სამართლიან სამართალწარმოებაზე, უფლება საქმის გონივრულ ვადაში განხილვაზე, უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ საქმის განხილვაზე, უფლება გადაწყვეტილების აღსრულებაზე. სამართლიანობის ვინრო გაგება კი გულისხმობს „პროცესუალურ სამართლიანობას“, ანუ იმ მინიმალურ პროცესუალურ გარანტიებს, რომელთა დაცვა აუცილებელია სამართალწარმოების პროცესის სამართლიანობის (Fairness of the proceedings) უზრუნველსაყოფად, რაც ფართო გაგებით სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტია. ავტორებმა მიზანშეწონილად ჩათვალეს სამართლიანობის ვინრო, პროცესუალური სამართლიანობის შინაარსის აღსანიშნავად ტერმინ „სამართალწარმოების სამართლიანობის“ გამოყენება.<sup>86</sup>

ავტორებმა მიიჩნიეს, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის, როგორც სამართლიანი სასამართლოს უფლების შემადგენელი

<sup>86</sup> ეს ტერმინი უკვე გამოიყენება ქართულ ენაზე გამოცემულ პროფესიულ ლიტერატურაში, იხ: ნანა მჭედლიძე, *საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები* (2017), გვ. 103.

კომპონენტის განხილვა, უკეთესი იქნებოდა „სამართალწარმოების სამართლიანობის“ ცნების ზოგადი მიმოხილვის შემდეგ.

იმის გათვალისწინებით, რომ ევროპული სასამართლოს პრაქტიკა განსაკუთრებით მდიდარია საქმეებით, სადაც დავის საგანს პროცესუალური სამართლიანობა წარმოადგენდა, და თითოეულ პროცედურულ გარანტიასთან დაკავშირებით არსებობს მთელი რიგი სპეციფიკური ვიწრო თემები და გამოწვევები, ავტორთა სურვილის მიუხედავად, ამ ნაშრომის მიზანია არა თითოეული გარანტიის სიღრმისეული ანალიზი, არამედ – სამართალწარმოების სამართლიანობის ცნების და მისი ცალკეული კომპონენტების მოკლე მიმოხილვა. ამ მიზნით ავტორებმა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მე-6 მუხლის სამოქალაქო და სისხლის სამართლის სფეროებში გამოყენების ფართო პრაქტიკიდან გამოყვეს ის უახლესი და მნიშვნელოვანი პრეცედენტული გადაწყვეტილებები, სადაც ცალკეული პროცესუალური გარანტიის შინაარსი და დადგენილია შეფასების კრიტერიუმებია არტიკულირებული. ეს ქვეთავი ეფუძნება ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ 2020 წელს განახლებულ გზამკვლევებს კონვენციის მე-6 მუხლთან დაკავშირებით.<sup>87</sup>

## 2.1 სამართალწარმოების სამართლიანობის ცნება და მისი გამოყენების თავისებურებანი

სამართალწარმოების სამართლიანობა მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის გულისხმობს არა იმას, რამდენად სამართლიანი იყო ეროვნული სასამართლოს მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება, არამედ რამდენად იყო სასამართლო განხილვის დროს დაცული მხარის უფლება სამართლიან პროცედურაზე, კერძოდ ჰქონდა თუ არა მას შესაძლებლობა მიმდინარე სამოქალაქო დავაზე ან მის წინააღმდეგ წარმართული სისხლის სამართლის საქმის განხილვის ფარგლებში საკუთარი საქმე წარედგინა სასამართლოსთვის, გაეპროტესტებინა მის წინააღმდეგ წარდგენილი გაყალბებული ან უკანონო მტკიცებულებები და არ ყოფილიყო ჩაყენებული მონინააღმდეგესთან შედარებით უარეს მდგომარეობაში. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკის ანალიზის შედეგად, სამართალწარმოების სამართლიანობის ცნება შემდეგი ძირითადი ელემენტებისგან შედგება:

87 იხ: Council of Europe, European Court of Human Rights, Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights. Right to a fair trial (criminal limb), განახლებულია 2020 წლის 30 აპრილს; Council of Europe, European Court of Human Rights, Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights. Right to a fair trial (civil limb), განახლებულია 2020 წლის 30 აპრილს.



- 1) სასამართლო განხილვაში ეფექტური მონაწილეობის უფლება;
- 2) მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა;
- 3) მტკიცებულებათა ადმინისტრირება;
- 4) სამართლის განჭვრეტადობა, სასამართლო პრაქტიკის თანმიმდევრულობა;
- 5) სასამართლო გადანყვეტილების დასაბუთებულობა.<sup>88</sup>

თუკი ზემოთჩამოთვლილი ელემენტები მნიშვნელოვანია როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართლის საქმეების განხილვისთვის, სისხლის სამართლის საქმეებთან მიმართებით სამართალწარმოების სამართლიანობის ცნება შემდეგ დამატებით სპეციფიკურ პროცესუალურ გარანტიებსაც მოიცავს:

- 1) დუმილის უფლება და საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის დაუშვებლობა;
- 2) დაცვა დანაშაულის წაქეზებისგან (entrapment);
- 3) უშუალოების პრინციპი;
- 4) საზიანო საჯაროობა;
- 5) საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული გარანტიები.<sup>89</sup>

იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ორივე ტიპის საქმეებზე ვრცელდება ერთი და იგივე პროცესუალური გარანტიები, მაგალითად, მხარეთა თანასწორობის პრინციპი, ამ გარანტიების კონკრეტული შინაარსი შესაძლოა განსხვავებული იყოს იმის მიხედვით, სამოქალაქო უფლების ან ვალდებულების განსაზღვრას შეეხება საქმე, თუ სისხლისსამართლებრივი ბრალდების დადგენას. საქმეზე „Dombo Beheer ნიდერლანდების წინააღმდეგ“, სასამართლომ განმარტა: „სამართლიანი განხილვის“ ცნება აუცილებლად ერთსა და იმავე მოთხოვნებს არ წაუყენებს საქმეებს, რომლებიც შეეხება სამოქალაქო ვალდებულების განსაზღვრას და სისხლისსამართლებრივი ბრალდების დადგენას. ეს იქიდან გამომდინარეობს, რომ მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული დეტალური გარანტიები არ შეეხება პირველი კატეგორიის საქმეებს. ამდენად, მართალია ეს კონკრეტული დებულებები სისხლის სამართლის სფეროს მიღმაც აქტუალურია გარკვეული თვალსაზრისით (იხ. *mutatis mutandis*, *Albert and Le Compte v. Belgium judgment of 10 February 1983, Series A no. 58, p. 20, para. 39*), თუმცა ხელშემკვრელ მხარეებს უფრო ფართო შეფასების თავისუფლება (margin of appreciation)<sup>90</sup> აქვთ სამო-

88 Council of Europe, European Court of Human Rights, Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights. Right to a fair trial (civil limb), განახლებულია 2020 წლის 30 აპრილს.

89 Council of Europe, European Court of Human Rights, Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights. Right to a fair trial (criminal limb), განახლებულია 2020 წლის 30 აპრილს.

90 საქართველოს სასამართლოები გამოიყენებენ ტერმინს „მიხედულების ფარგლები“, თუმცა, ავტორთა მოსაზრებით, უფრო გამართლებულია ქართულ ენაში არსებული შესაბამისი ტერმინების გამოყენება, როგორცაა „შეფასების არეალი“, „შეფასების ფარგლები“.

ქალაქო საქმეებთან მიმართებით, რომლებიც სამოქალაქო უფლებების და ვალდებულებების განსაზღვრას შეეხება, ვიდრე სისხლისსამართლებრივი ბრალდების განსაზღვრასთან დაკავშირებულ საქმეებზე<sup>91</sup>. ეს პირველ რიგში იმას გულისხმობს, რომ სასამართლო შეფასების ფართო არეალს (**margin of appreciation**) უტოვებს ეროვნულ კანონმდებელს სამოქალაქო საპროცესო გარანტიების დადგენისას მაშინ, როდესაც სისხლის სამართლის სფეროში ეროვნული კანონმდებლისთვის მინიჭებული შეფასების ფარგლები (**margin of appreciation**) გაცილებით უფრო შეზღუდულია. სასამართლოს განმარტებით, „მე-6 მუხლის პირველი პუნქტი პროცესუალური სამართლიანობის ნაკლებად მკაცრ მოთხოვნებს წაუყენებს სამოქალაქო საქმეებს სისხლის სამართლის საქმეებთან შედარებით.“<sup>92</sup> ამ განსხვავების ამოსავალი წერტილი იმ საფრთხეებს უკავშირდება, რაც ბრალდებულის მიმართ არასწორი განაჩენის გამოტანას შეიძლება მოყვეს, სადაც ერთმანეთს სახელმწიფოს ძალაუფლება და ინდივიდი უპირისპირდება, და შესაბამისად, ძალთა ბალანსი იმთავითვე ინდივიდის საწინააღმდეგო არის. სამოქალაქო საქმეებზე კი, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, სახელმწიფოსა და ინდივიდს შორის ძალთა დისბალანსი ნაკლებად პრობლემურია და მეტი მნიშვნელობა ენიჭება პროცედურული ეკონომიის, სწრაფი მართლმსაჯულებისა და მხარეთა ავტონომიის საკითხებს.

პროცესუალური სამართლიანობის ცალკეული ელემენტების ანალიზისთვის გასათვალისწინებელია რამდენიმე პრინციპი, რომლითაც ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო ხელმძღვანელობს კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ინტერპრეტაციისას.

პირველ რიგში, იმის დასადგენად, ჰქონდა თუ არა ადგილი პროცესუალური სამართლიანობის მოთხოვნის დარღვევას, სასამართლო გამოიკვლევს და შეაფასებს საქმის განხილვის მთელ პროცესს.<sup>93</sup> შესაბამისად, შესაძლოა ერთი იზოლირებული დარღვევა, თუნდაც მძიმე ხასიათის, არ იყოს საკმარისი იმისთვის, რომ სასამართლომ სამართლიანი განხილვის უფლების დარღვევა დაადგინოს; მეორე მხრივ, შესაძლოა სასამართლომ შედარებით მსუბუქი

91 *Dombo Beheer B.V.* ნიდერლანდების წინააღმდეგ (*Dombo Beheer B.V. v. the Netherlands*), 1993 წლის 27 ოქტომბერი, Series A no. 274, §32.

92 ქიონიგი გერმანიის წინააღმდეგ (*König v. Germany*), 1978 წლის 28 ივნისი, განაცხ.: 6232/73, Series A no. 27, §96.

93 მიროლიუბოვსი და სხვები ლატვიის წინააღმდეგ (*Miroļubovs and Others v. Latvia*), განაცხ. no. 798/05, 2009 წლის 15 სექტემბერი, §103, ანქერლი შვეიცარიის წინააღმდეგ (*Ankerl v. Switzerland*), 1996 წლის 23 ოქტომბერი, Reports of Judgments and Decisions 1996-V, §38; *Centro Europa 7 S.r.l.* და დი სტეფანო იტალიის წინააღმდეგ (*Centro Europa 7 S.r.l. and Di Stefano v. Italy*), დიდი პალატა, 2012 წლის 7 ივნისი, განაცხ. no. 38433/09, ECHR 2012, §197; რეგნერი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ (*Regner v. the Czech Republic*), დიდი პალატა, განაცხ. no. 35289/11, 2017 წლის 19 სექტემბერი, §161.

ხასიათის პროცედურული დარღვევების გამო დაადგინოს სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა მათი კუმულატიური ეფექტის გამო.<sup>94</sup>

მეორე, კონვენციის სუბსიდიურობის პრინციპის თანახმად, სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის თაობაზე განაცხადის შეფასებისას, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო უზრუნველყოფს, რომ ის არ უნდა იქნეს განხილული, როგორც „მეოთხე ინსტანციის სასამართლო“.<sup>95</sup> შესაბამისად, მე-6 მუხლის მიზნებისთვის, ევროპული სასამართლო მაქსიმალურად ცდილობს, თავი აარიდოს ეროვნული სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების თავიდან გამოკვლევას, მტკიცებულებათა შეფასებას ან ეროვნული კანონმდებლობის დარღვევის საკითხზე დამოუკიდებლად მსჯელობას. შესაბამისად, ძლიერია ეროვნული სასამართლოების მიერ დადგენილი ფაქტებისა და ეროვნული კანონმდებლობის ინტერპრეტაციის სისწორის პრეზუმპცია.<sup>96</sup>

ასევე, ევროპული სასამართლო უზრუნველყოფს, რომ „კონვენციით დაცული უფლება სამართლიან სასამართლოზე პრაქტიკული და ეფექტური იყოს და არა თეორიული ან ილუზორული.“<sup>97</sup> შესაბამისად, კონკრეტული საქმის განხილვის პროცესში სამართალწარმოების სამართლიანობის შეფასებისას მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ფორმალური პროცედურების გამოკვლევა, არამედ როგორია ცალკეული დარღვევის გავლენა განმცხადებლის კანონიერ ინტერესებზე და უფლებებზე.

## 2.2 სასამართლო განხილვაში ეფექტური მონაწილეობის უფლება

მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამართლიანი განხილვის უფლება სისხლის სამართლებრივ ქრილში გულისხმობს ბრალდებულის უფლებას, ეფექტური მონაწილეობა მიიღოს სისხლისსამართლებრივი საქმის განხილვაში.<sup>98</sup>

94 Dovydas Vitkauskas, Grigoriy Dikov, *Protecting the right to a fair trial under the European Convention on Human Rights. A handbook for legal practitioners*, 2nd ed. by Dovydas Vitkauskas, Council of Europe, 2017, გვ. 59.

95 კემაჩი საფრანგეთის წინააღმდეგ (no. 3) (*Kemmache v. France* (no. 3)), 1994 წლის 24 ნოემბერი, Series A no. 296-C, §44; დე ტომაზო იტალიის წინააღმდეგ (*De Tommaso v. Italy*), დიდი პალატა, 2017 წლის 23 თებერვალი, განაცხ. no. 43395/09, §170.

96 Dovydas Vitkauskas, Grigoriy Dikov, *Protecting the right to a fair trial under the European Convention on Human Rights. A handbook for legal practitioners*, 2nd ed. by Dovydas Vitkauskas, Council of Europe, 2017, გვ. 59.

97 აირი ირლანდიის წინააღმდეგ (*Airey v. Ireland*), 1979 წლის 9 ოქტომბერი, Series A no. 32, §24; პერესი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Perez v. France*), დიდი პალატა, განაცხ. no. 47287/99, ECHR 2004-I, §80.

98 მურთაზალიევა რუსეთის წინააღმდეგ (*Murtazaliyeva v. Russia*), დიდი პალატა, განაცხ. no. 36658/05, 2018 წლის 18 დეკემბერი, §91.

სამოქალაქო საქმეებთან მიმართებით, მხარეებს უფლება აქვთ სასამართლოს გააცნონ ის გარემოებები და მიგნებები, რაც მათი აზრით მნიშვნელოვანია საქმის განხილვისთვის. ეს უფლება მხოლოდ მაშინ იქნება რეალიზებული, თუ სასამართლო რეალურად „მოუსმენს“ მხარეს, ანუ, სათანადოდ შეაფასებს მხარის მოსაზრებებს.<sup>99</sup> ამდენად, სასამართლოს აკისრია ვალდებულება, არა მხოლოდ საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა მისცეს მხარეებს, არამედ ის ასევე ვალდებულია, რომ თითოეული მხარის მიერ წარმოდგენილი ყველა შუამდგომლობა, არგუმენტი თუ მტკიცებულება სათანადოდ გამოიკვლიოს და შეაფასოს.<sup>100</sup>

სასამართლო განხილვაში ეფექტური მონაწილეობა არ გულისხმობს მხოლოდ სასამართლოს სხდომაზე ბრალდებულის დასწრების უფლებას, არამედ მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, მოისმინოს და თვალყური მიადევნოს საქმის განხილვას. შესაბამისად, თუ სასამართლო დარბაზში ცუდი აკუსტიკა ან ბრალდებულს სმენასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს და არ არის მიღებული ზომები პრობლემის აღმოსაფხვრელად, შესაძლოა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს ეფექტური მონაწილეობის უფლება.

ამ უფლების ნაწილად მოიაზრებს სასამართლო ბრალდებულის უფლებას, სხდომის მიმდინარეობისას გააკეთოს ჩანაწერები და შეუფერხებლად გაესაუბროს ადვოკატს. განჩინებაში საქმეზე „პულიჩინო მალტის წინააღმდეგ“, სადაც მოსამართლის გადანყვეტილებით ბრალდებულს ჩამოართვეს საწერი საშუალებები და მის მიერ სხდომის მიმდინარეობისას გაკეთებული ჩანაწერები და მის ხელთ არსებული წერილობითი მასალები, სასამართლომ მიუთითა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით დაცული „ბრალდებულის უფლება ეფექტური მონაწილეობა მიიღოს მის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის განხილვაში მოიცავს მის უფლებას გააკეთოს ჩანაწერები, რაც მისი დაცვის უზრუნველსაყოფად არის საჭირო, მიუხედავად იმისა, ბრალდებული სარგებლობს თუ არა სამართლებრივი დაცვის უფლებით“.<sup>101</sup> ასევე, სასამართლო სხდომის დარბაზში უსაფრთხოების ისეთი ზომების გამოყენება, რომელიც ბრალდებულს უკრძალავს ადვოკატთან გასაუბრების შესაძლებლობას, სასამართლომ შესაძლოა ცალკეულ შემთხ-

99 დონაძე საქართველოს წინააღმდეგ (Donadze v. Georgia), განაცხ. no. 74644/01, 2006 წლის 7 მარტი, §35.

100 კრასკა შვეიცარიის წინააღმდეგ (Kraska v. Switzerland), 1993 წლის 19 აპრილი, Series A no. 254-B, §30; ვან დე ჰურკი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Van de Hurk v. the Netherlands), 1994 წლის 19 აპრილი, Series A no. 288, §59; პერესი საფრანგეთის წინააღმდეგ (Perez v. France), დიდი პალატა, განაცხ. no. 47287/99, ECHR 2004-I, §80.

101 პულიჩინო მალტის წინააღმდეგ (Pullicino v. Malta), განჩინება, განაცხ. no. 45441/99, 2000 წლის 15 ივნისი.

ვევებში მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევად მიიჩნის. მაგალითად, საქმეზე „იაროსლავ ბელოუსოვი რუსეთის წინააღმდეგ“, სასამართლომ დაადგინა, რომ უსაფრთხოების მიზნით შუშის კაბინის გამოყენება მხოლოდ მაშინ უნდა მოხდეს, როდესაც ამის კრიტიკული აუცილებლობა არსებობს და შეზღუდვა კონკრეტულ შემთხვევაში არსებული სპეციფიკური რისკის პროპორციულია. სასამართლომ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა დაადგინა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ უსაფრთხოების მიზნით შუშის კაბინაში ბრალდებულის მოთავსების გამო ბრალდებულს არ ჰქონდა საკუთარ ადვოკატთან კომუნიკაციის შესაძლებლობა, საქმის განხილველმა სასამართლომ კი რეაგირება არ მოახდინა და გადანყვეტილების მიღებისას არ შეაფასა, რა გავლენა ექნებოდა სხდომის დარბაზში მიღებულ უსაფრთხოების ზომებს ბრალდებულის სამართლებრივი დაცვის უფლებაზე.<sup>102</sup>

საინტერესოა ასევე სასამართლო განხილვისას ვიდეო კომუნიკაციის გამოყენების საკითხი. საქმეზე „მარჩელო ვიოლა იტალიის წინააღმდეგ“, სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრალდებულის ელექტრონული ფორმით მონაწილეობა სასამართლო განხილვაში *a priori* არ ზღუდავს ეფექტური მონაწილეობის უფლებას, თუმცა კომუნიკაციის ამ ფორმის გამოყენება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ლეგიტიმურ მიზანს უნდა ემსახურებოდეს და დაცული უნდა იყოს მე-6 მუხლით გარანტირებული პროცედურული სამართლიანობის მოთხოვნები, კერძოდ ბრალდებულს უნდა ჰქონდეს ტექნიკური შეფერხებების გარეშე სასამართლო განხილვის მოსმენის, მასში მონაწილეობის და ადვოკატთან კონფიდენციალური გასაუბრების შესაძლებლობა.<sup>103</sup>

ამავე უფლების ნაწილად მოიაზრებს სასამართლო განსაკუთრებული ზომების მიღების აუცილებლობას არასრულწლოვანი ბრალდებულებისთვის. საქმეზე „ვ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეზე, სადაც ბრალდებული ბავშვია, საქმის განხილვა იმგვარად უნდა წარიმართოს, რომ გათვალისწინებული იყოს ბავშვის ასაკი, მომწიფების დონე, ინტელექტუალური და ემოციური შესაძლებლობები და ზომები უნდა იქნეს მიღებული იმისთვის, რომ ბავშვს გაუადვილდეს გაიგოს სასამართლო განხილვის არსი და მონაწილეობა მიიღოს მასში.<sup>104</sup> საქმეზე „ბლოხინი რუსეთის წინააღმდეგ“, სასამართლომ განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიიჩნია, რომ საქმის განხილვის ყველა ეტაპზე, და განსაკუთრებით პოლიციის

102 იაროსლავ ბელოუსოვი რუსეთის წინააღმდეგ (Yaroslav Belousov v. Russia), 2016 წლის 4 ოქტომბერი, განაცხ. no. 2653/13 და no. 60980/14, §147.

103 მარჩელო ვიოლა იტალიის წინააღმდეგ (Marcello Viola v. Italy), განაცხ. no. 45106/04, ECHR 2006-XI (ნაწყვეტები), § 63-67.

104 V. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (V. v. the United Kingdom), დიდი პალატა, განაცხ. no. 24888/94, ECHR 1999-IX, §85-88.

მიერ არასრულწლოვანის დაკითხვის დროს, ხელისუფლებამ უნდა მიიღოს ზომები, რათა შესაძლებლობის ფარგლებში შეამციროს ბავშვში დაშინების გრძნობები, განუმარტოს ბრალდების არსი და მოსალოდნელი სასჯელის მნიშვნელობა, უფლება შეინარჩუნოს დუმილი და მოითხოვოს ადვოკატი.<sup>105</sup>

ეფექტური მონაწილეობის უფლების დარღვევად ჩაითვლება დაუსწრებელი გადანყვეტილების მიღება საქმეზე, თუ მსჯავრდებულს მოგვიანებით არ მიეცემა უფლება წარსდგეს სასამართლოს წინაშე და თავიდან მოითხოვოს საქმის სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებების განხილვა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დადგინდა, რომ ბრალდებულმა უარი თქვა უფლებაზე გამოცხადებულყოფიერ სასამართლოში და თავი დაეცვა ან თუ მისი მიზანი სასამართლო განხილვისთვის თავის არიდება იყო.<sup>106</sup>

### 2.3 მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა

მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. მათი მიზანია, საქმის განხილვისას სამართლიანი ბალანსი იყოს დაცული მხარეთა შორის. ეს პრინციპები თანაბრად მნიშვნელოვანია როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო საქმეების განხილვის პროცესში.

ხშირად, კონკრეტული საქმის ანალიზისას სასამართლო ერთობლიობაში განხილავს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებს, თუმცა მათი შინაარსი ერთმანეთისგან განსხვავდება.

მხარეთა თანასწორობის პრინციპის თანახმად, „საქმის განხილვისას თითოეულ მხარეს უნდა ჰქონდეს გონივრული შესაძლებლობა საკუთარი საქმე სასამართლოს წარუდგინოს ისე, რომ მონინააღმდეგე მხარეზე უარეს პირობებში არ იყოს ჩაყენებული“.<sup>107</sup> შეჯიბრებითობის პრინციპი კი მოითხოვს, რომ „მხარე უნდა იცნობდეს მონინააღმდეგე მხარის მიერ წარდგენილ ყველა მტკიცებულებასა თუ არგუმენტს, და ჰქონდეს მათზე საკუთარი პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა იმ მიზნით, რომ ზეგავლენა მოახდინოს სასამართლოს გადანყვეტილებაზე“.<sup>108</sup>

105 ბლოხინი რუსეთის წინააღმდეგ (Blokhin v. Russia), დიდი პალატა, 2016 წლის 23 მარტი, განაცხ. no. 47152/06, §195.

106 სეიდოვიჩი იტალიის წინააღმდეგ (Sejdovic v. Italy), დიდი პალატა, განაცხ. no. 56581/00, ECHR 2006-II, §82.

107 ოჯალანი თურქეთის წინააღმდეგ (Öcalan v. Turkey), დიდი პალატა, განაცხ. no. 46221/99, ECHR 2005-IV, §140; ფუშე საფრანგეთის წინააღმდეგ (Foucher v. France), 1997 წლის 18 მარტი, Reports of Judgments and Decisions 1997-II, §34.

108 ბრანდსტეტერი ავსტრიის წინააღმდეგ (Brandstetter v. Austria) 1991 წლის 28 აგვისტო, Series A no. 211, § 67.

თანასწორობის პრინციპის დარღვევა შეიძლება გამოვლინდეს, როდესაც ერთ მხარეს ეზღუდება სასამართლოს სხდომის გამართვამდე საქმის მასალებზე შეუფერხებელი წვდომის უფლება, საქმის მასალების ასლის გადაღების უფლება, ან დაცვის მხარეს არ ეძლევა მოწმის დამატებით დაკითხვის შესაძლებლობა მას შემდეგ, რაც ბრალდების მხარის მიერ მოწმის დაკითხვისას გამომჟღავნდა ახალი გარემოება.<sup>109</sup>

მხარეებს თანაბრად უნდა მიუწვდებოდეთ ხელი არა მხოლოდ საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე, არამედ სასამართლო საქმის წარმოების ყველა ეტაპზე გამოვლენილ მასალებზე, როგორცაა მაგალითად მომხსენებელი მოსამართლის ანგარიში თუ მესამე პირების მიერ წარდგენილი ახსნა-განმარტებები. საქმეზე „რეინჰარდტი და სლიმან-კაიდი საფრანგეთის წინააღმდეგ“ სადაო იყო მხარეთა თანასწორობის პრინციპის დარღვევა იმის გამო, რომ მომხსენებელი მოსამართლის წერილობითი ანგარიში სასამართლო სხდომამდე მხოლოდ გენერალურ ადვოკატს (*avocat general*) გადაეცა, და არა ბრალდებულს.<sup>110</sup> საფრანგეთის მთავრობის მთავარი არგუმენტი იყო ის, რომ გენერალური ადვოკატი არ იყო სახელმწიფო ბრალმძებელი და მისი როლი მხოლოდ საკითხის სამართლებრივი ანალიზით შემოიფარგლებოდა. თუმცა, ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა ეს არგუმენტი და ჩათვალა, რომ გენერალური ადვოკატის როლიდან გამომდინარე, როდესაც მას უფლება ჰქონდა საკასაციო სასამართლოსთვის რეკომენდაცია მიეცა ბრალდების მხარის სასარგებლოდ და ბრალდებულთა საწინააღმდეგოდ, განმცხადებლები მოწინააღმდეგე მხარესთან შედარებით უარეს მდგომარეობაში იყვნენ ჩაყენებული, რადგან გენერალური ადვოკატისგან განსხვავებით, მათ არ ჰქონდათ საშუალება სასამართლო სხდომის დაწყებამდე გაცნობოდნენ მომხსენებელი მოსამართლის მიერ მომზადებულ ანგარიშს და დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია. ევროპულმა სასამართლომ ამ საქმეზე მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა დაადგინა მხარეთა თანასწორობის პრინციპის დარღვევის გამო. ანალოგიურად, თანასწორობის პრინციპის დარღვევა დაადგინა სასამართლომ ბელგიის მიმართ ადვოკატ ანდრე ბურჟეს წინააღმდეგ განხორციელებული პროფესიული პასუხისმგებლობის საქმეზე, სადაც ამ უკანასკნელს სასამართლო სხდომის დაწყებამდე არ გადაეცა მხარის სტატუსის გარეშე მონაწილე გენერალური ადვოკატის (პროკურორის) მოხსენება სასამართლოსადმი, რომელიც შეიცავდა რეკომენდაციას სასა-

109 Council of Europe, European Court of Human Rights, Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights. Right to a fair trial (criminal limb), განახლებულია 2020 წლის 30 აპრილს, გვ. 13-14.

110 რეინჰარდტი და სლიმან-კაიდი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Reinhardt and Slimane-Kaid v. France*), 1998 წლის 31 მარტი, Reports of Judgments and Decisions 1998-II, §101-105.

მართლოსადმი საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თაობაზე.<sup>111</sup> აქაც სასამართლოსთვის გადამწყვეტი იყო ის ფაქტი, რომ სადაო შემთხვევაში გენერალური ადვოკატის პოზიცია თანხვედრაში იყო განმცხადებლის მონინალმდეგე მხარის პოზიციასთან, ხოლო განმცხადებელს არ ჰქონდა გენერალური ადვოკატის მოხსენების წინასწარ გაცნობის შესაძლებლობა.

ერთი მხარისთვის საქმის მასალების გაცნობაზე უარმა შესაძლოა ასევე გამოიწვიოს შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევა, რამდენადაც ამ დროს მხარეს არ ეძლევა შესაძლებლობა პასუხი გასცეს, გააქარწყლოს ან ეჭვქვეშ დააყენოს მონინალმდეგე მხარის მიერ მის წინააღმდეგ წარდგენილი ფაქტები და არგუმენტები. მაგალითად, საქმეზე „მაკმაიქლი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, სადაც განიხილებოდა ბავშვის მზრუნველობის საკითხი, ევროპულმა სასამართლომ შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევა დაადგინა იქიდან გამომდინარე, რომ დედას მხოლოდ სასამართლო სხდომის დარბაზში გააცნეს სოციალური დაცვის სამსახურის მიერ მომზადებული ანგარიში და რეკომენდაციები, თუმცა მას არ ჰქონდა ანგარიშის სასამართლო სხდომამდე გაცნობის შესაძლებლობა, რითაც მას მოესპო ანგარიშში მოყვანილი ფაქტებისა და არგუმენტების გაქარწყლების და საკუთარი პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა.<sup>112</sup>

თანასწორობის პრინციპი ასევე მოითხოვს, რომ სასამართლოს დამოკიდებულება ბრალდებისა და დაცვის მხარის მონმეების, ექსპერტებისა და მტკიცებულებების მიმართ ერთნაირი იყოს. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო თანხმდება ბრალდების მხარის მონმის, ექსპერტის დაკითხვას და მტკიცებულებების გამოკვლევას და უარს ეუბნება დაცვის მხარეს იგივე საპროცესო უფლებებით სარგებლობაზე, შესაძლოა სახეზე იყოს თანასწორობის პრინციპის დარღვევა. საქმეზე „მურთაზალიევა რუსეთის წინააღმდეგ“, სასამართლომ დაადგინა ის კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც უნდა შეფასდეს, მონმეთა ჩვენებებისა ან მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის გადანვეტისას აქვს თუ არა ადგილი თანასწორობის პრინციპის დარღვევას. კერძოდ, ეს დამოკიდებულია შემდეგ გარემოებებზე: 1) იყო თუ არა საკმარისად დასაბუთებული მხარის მოთხოვნა მონმის გამოძახების თაობაზე და ბრალეულობის საკითხის გადასაწყვეტად რელევანტური იყო თუ არა მონმის დაკითხვა; 2) სასამართლომ შეაფასა თუ არა მონმის ჩვენების რელევანტურობა და საკმარისად დასაბუთა თუ

111 ბორგერსი ბელგიის წინააღმდეგ (Borgers v. Belgium), 1991 წლის 30 ოქტომბერი, Series A no. 214-B, §22-29.

112 მაკმაიქლი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (McMichael v. the United Kingdom), 1995 წლის 24 თებერვალი, Series A no. 307-B, §80.



არა, რატომ ეთქვა მხარეს უარი მოწმის გამოძახებაზე; 3) სასამართლოს გადაწყვეტილებამ მოწმის გამოძახებაზე უარის თაობაზე ეჭვქვეშ დააყენა თუ არა პროცესის ზოგადი სამართლიანობა.

ევროპული სასამართლოს მყარად დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, შეჯიბრებითობის პრინციპი ბრალდების მხარეს ავალდებულებს, დაცვის მხარეს გააცნოს მის ხელთ არსებული ყველა მტკიცებულება, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ბრალდებულის საწინააღმდეგო, არამედ ასევე მის სასარგებლო მტკიცებულებებსაც.<sup>113</sup> სისხლის სამართლებრივ ქრილში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაცვის მხარის წვდომის უზრუნველყოფა იმ მტკიცებულებებზე, რომელიც შეიძლება გამოყენებული იყოს წაყენებულ ბრალდებაში პირის გასამტყუნებლად, რომელიც წარმოადგენს ბრალის გამომრიცხველ გარემოებას ან რაც გამოიწვევდა პირისთვის შეფარდებული სასჯელის ზომის შემცირებას.<sup>114</sup> თუმცა, საქმის მასალებზე და მტკიცებულებებზე ხელმისაწვდომობა არ არის აბსოლუტური უფლება და განსაკუთრებულ შემთხვევებში სასამართლო დასაშვებად მიიჩნევა ამ უფლების შეზღუდვას. კერძოდ, ცალკეულ შემთხვევებში, ეროვნული უსაფრთხოების ან სხვა პირის (დაზარალებულის, მოწმეების) უფლებებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შესაძლოა მტკიცებულებათა გარკვეული ნაწილი არ იყოს ხელმისაწვდომი დაცვის მხარისთვის, თუმცა ამ შემთხვევაში დაკმაყოფილებული იყოს შემდეგი მოთხოვნები: შეზღუდვა კრიტიკულად აუცილებელი უნდა იყოს, და შეზღუდვა დაბალანსებული უნდა იყოს სასამართლო ხელისუფლების მხრიდან სამართლიანი განხილვის უზრუნველსაყოფად გატარებული პროცედურული გარანტიებით.<sup>115</sup> მაგალითად, იმ შემთხვევაში თუ სასამართლო პროცესის ფარგლებში საერთოდ არ მოხდება მტკიცებულების გამჟღავნება იმ მოტივით, რომ სახელმწიფო საიდუმლოებას შეეხება საქმე, მოსამართლეს არ ექნება შესაძლებლობა შეაფასოს და დაბალანსოს ერთი მხრივ, მტკიცებულების გამჟღავნების შედეგად მოსალოდნელი ზიანი და მეორე მხრივ, რა გავლენა ექნება მტკიცებულების გაუმჟღავნებლობას ბრალდებულის სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სასამართლომ შეაფასოს, ბრალდებულის წინააღმდეგ არსებული მტკიცებულების მნიშვნელობა. მაგალითად, საქმეზე „როუი და დევისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, დიდმა პალატამ

113 როუი და დევისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Rowe and Davis v. the United Kingdom), დიდი პალატა, განაცხ. no. 28901/95, ECHR 2000-II, §60.

114 Council of Europe, European Court of Human Rights, Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights. Right to a fair trial (criminal limb), განახლებულია 2020 წლის 30 აპრილს, გვ. 32.

115 როუი და დევისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Rowe and Davis v. the United Kingdom), დიდი პალატა, განაცხ. no. 28901/95, ECHR 2000-II, §61.

მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა დაადგინა, რადგან ბრალდების მხარემ არ მისცა პირველი ინსტანციის სასამართლოს უფლება, გაცნობოდა მტკიცებულების შინაარსს, რითაც სასამართლოს არ მიეცა მტკიცებულების დაცვის მხარისთვის გადაცემის შეზღუდვის მიზანშეწონილების შეფასების უფლება, რითაც სასამართლოს არ მიეცა შესაძლებლობა შეეფასებინა, ირღვეოდა თუ არა ბრალდებულის საპროცესო ინტერესები და შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ დაირღვა ბრალდებულის უფლება სამართლიან სასამართლოზე.<sup>116</sup> განსხვავებული ვითარება იყო საქმეზე „ჯასპერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, სადაც სასამართლომ არ დაადგინა მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა იმ მოტივით, რომ მტკიცებულება, რომელიც არ გადაეცა დაცვის მხარეს, პროკურატურას არ გამოუყენებია ბრალის დასასაბუთებლად და არ წარუდგენია საქმის განმხილველი ნაფიცი მსაჯულებისთვის, შესაბამისად, მტკიცებულების გაუცნობლობას არ შეეძლო გავლენა მოეხდინა ბრალდებულის პროცესუალურ გარანტიებზე.<sup>117</sup>

მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის კუთხით სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის საკითხის შეფასებისას, ევროპული სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს არა მხოლოდ იმას, რამდენად არის დაცული ეს პრინციპები რეალურად, არამედ იმასაც, თუ როგორია საზოგადოების აღქმა პროცესის სამართლიანობის შესახებ, რამდენადაც სასამართლოს განმარტებით, გასათვალისწინებელია საზოგადოების სენსიტიური დამოკიდებულება „მართლმსაჯულების სამართლიანი აღსრულების“ მიმართ.<sup>118</sup> მაგალითად, ზემოთმოყვანილ საქმეში „ბორგერსი ბელგიის წინააღმდეგ“, სასამართლოს არ ჰქონდა კითხვის ნიშნები გენერალური ადვოკატის, როგორც სახელმწიფო ინსტიტუტის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით, თუმცა მიიჩნია, რომ გენერალური ადვოკატის ჩართულობა საქმის განხილვაში მხარის სტატუსის გარეშე, სადაც ის შუამდგომლობით მიმართავდა საკასაციო სასამართლოს საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის რეკომენდაციით და ხმის უფლების გარეშე ესწრებოდა მოსამართლეთა ბჭობას გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, პრობლემური იყო საზოგადოებაში სასამართლო პროცესის სამართლიანობის აღქმის კუთხით და წარმოადგენდა მხარეთა თანასწორობის პრინციპის დარღვევას.<sup>119</sup>

116 როუი და დევისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Rowe and Davis v. the United Kingdom*), დიდი პალატა, განაცხ. no. 28901/95, ECHR 2000-II.

117 ჯასპერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Jasper v. the United Kingdom*), დიდი პალატა, 2000 წლის 16 თებერვალი, განაცხ. no. 27052/95, §58.

118 ბორგერსი ბელგიის წინააღმდეგ (*Borgers v. Belgium*), 1991 წლის 30 ოქტომბერი, Series A no. 214-B, §24.

119 ბორგერსი ბელგიის წინააღმდეგ (*Borgers v. Belgium*), 1991 წლის 30 ოქტომბერი, Series A no. 214-B, §24-29.

## 2.4 მტკიცებულებათა ადმინისტრირება

როგორც წესი, ის, თუ რომელი მტკიცებულებაა სასამართლო განხილვისას დასაშვები, ეროვნული კანონმდებლობით განისაზღვრება და მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლება არ ითვალისწინებს ამ მიმართულებით სპეციფიკურ მოთხოვნებს.<sup>120</sup> თუმცა, კონვენციის შესაბამისად, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს უფლებამოსილებას განეკუთვნება „შეაფასოს, იყო თუ არა სასამართლო განხილვა მთლიანობაში სამართლიანი, მათ შორის მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტის ნაწილში“.<sup>121</sup> შესაბამისად, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო სამართლიანი სასამართლოს უფლების კონტექსტში განიხილავს უკანონო გზით მოპოვებული მტკიცებულების გამოყენებით დაირღვა თუ არა სამართლიანი სასამართლოს უფლება.

სამოქალაქო საქმისწარმოების კონტექსტში სასამართლო ყურადღებას აქცევს, მოწმეთა და ექსპერტთა ჩვენებებისა და სხვა მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტისას ჰქონდათ თუ არა მხარეებს თანაბარი შესაძლებლობები და „ერთი მხარე მოწინააღმდეგე მხარესთან შედარებით იყო თუ არა არსებითად უარეს მდგომარეობაში ჩაყენებული“.<sup>122</sup> კერძოდ, სასამართლო ვალდებულია დაასაბუთოს უარი მხარის შუამდგომლობაზე მოწმის დაკითხვის შესახებ, რათა გამოირიცხოს თვითნებობა და მხარეს არაპროპორციულად არ შეეზღუდოს უფლება, საკუთარი არგუმენტები წარუდგინოს სასამართლოს.<sup>123</sup> სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ მოწმეთა დაკითხვის შუამდგომლობის განხილვისას განსხვავებულმა მოპყრობამ მხარეთა მიმართ არ გამოიწვიოს ერთი მხარის მეორესთან შედარებით არსებითად უარეს მდგომარეობაში ჩაყენება.<sup>124</sup>

სისხლის სამართლის საქმის წარმოების კონტექსტში, იმისთვის, რომ დადგინდეს მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა, სასამართლო აფასებს

120 მორეირა დე აზვეედო პორტუგალიის წინააღმდეგ (*Moreira de Azevedo v. Portugal*), 1990 წლის 23 October 1990, Series A no. 189, §83-84; გარსია რუისი ესპანეთის წინააღმდეგ (*García Ruiz v. Spain*), დიდი პალატა, განაცხ. no. 30544/96, ECHR 1999-I, §28.

121 ელშოლცი გერმანიის წინააღმდეგ (*Elsholz v. Germany*), დიდი პალატა, განაცხ. no. 25735/94, 2000 წლის 13 ივლისი, ECHR 2000-VIII, § 66; დევინარი სლოვენის წინააღმდეგ (*Devinar v. Slovenia*), 2018 წლის 22 მაისი, განაცხ. no. 28621/1, §45.

122 Council of Europe, European Court of Human Rights, Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights. Right to a fair trial (civil limb), განახლებულია 2020 წლის 30 აპრილს, გვ. 67.

123 ვიერზბიკი პოლონეთის წინააღმდეგ (*Wierzbicki v. Poland*), 2002 წლის 18 ივნისი, განაცხ. no. 24541/94, §45.

124 ელშოლცი გერმანიის წინააღმდეგ (*Elsholz v. Germany*), დიდი პალატა, განაცხ. no. 25735/94, 2000 წლის 13 ივლისი, ECHR 2000-VIII, § 66; დევინარი სლოვენის წინააღმდეგ (*Devinar v. Slovenia*), განაცხ. no. 28621/15, 2018 წლის 22 მაისი, §45.

მტკიცებულების ხარისხს, კერძოდ, „რამდენად მნიშვნელოვანი იყო საქმის შედეგისთვის მტკიცებულება“, „რამდენად უტყუარია მტკიცებულება“, რამდენად მნიშვნელოვანია კანონდარღვევა, რაც მტკიცებულების მოპოვებას დაედო საფუძვლად და ჰქონდა თუ არა დაცვის მხარეს შესაძლებლობა სასამართლო პროცესის ფარგლებში მოეთხოვა მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა. მაგალითად, ეს ტესტი გამოიყენა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „ბიკოვი რუსეთის წინააღმდეგ“, სადაც არ დაადგინა მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა, რადგან, მართალია დადასტურდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა ფარული მიყურადების განხორციელებისას, მაგრამ შესაბამისი მტკიცებულება არ იყო განმცხადებლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ერთადერთი საფუძველი, დაცვის მხარეს ჰქონდა შესაძლებლობა ამ მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა მოეთხოვა სასამართლო განხილვის ფარგლებში, ხოლო სასამართლოს უარი ამ მოთხოვნაზე არ იყო თვითნებური.<sup>125</sup>

განსხვავებულია სასამართლოს მიდგომა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებთან დაკავშირებით. თუ საქმე შეეხება ბრალდებულის აღიარებას ან მონმის ახსნა-განმარტებას, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევის დასადაგენად საკმარისია დამტკიცდეს, რომ წამების, არაჰუმანური და ღირსების შემლახავი ქმედების შედეგად იყო მოპოვებული, მიუხედავად იმისა, ამ მტკიცებულებას ჰქონდა თუ არა გადამწყვეტი მნიშვნელობა საქმის შედეგისთვის. რაც შეეხება ნივთიერ მტკიცებულებებს, თუკი სახეზეა წამება, სასამართლოსთვის უმნიშვნელოა მტკიცებულების გავლენა გამამტყუნებელ განაჩენზე, ხოლო თუ მტკიცებულების მოპოვებისას ადგილი ჰქონდა ისეთ არაჰუმანურ ქმედებას, რომელიც ქმედების ინტენსივობის ხარისხით არ კვალიფიცირდება წამებად, სასამართლოსთვის კვლავ გადამწყვეტი იქნება, გახდა თუ არა ეს მტკიცებულება პირისთვის გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის საფუძველი.<sup>126</sup>

განსაკუთრებით აღსანიშნავია დასაბუთებულობის პრობლემა იმ სამართლებრივ სისტემებში, სადაც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი მოქმედებს, სადაც ხშირ შემთხვევაში ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტები არ საჭიროებს დასაბუთებას. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს განმარტებით,

125 ბიკოვი რუსეთის წინააღმდეგ (Bykov v. Russia), დიდი პალატა, განაცხ. no. 4378/02, 2009 წლის 10 მარტი, §94-98.

126 გაფგენი გერმანიის წინააღმდეგ (Gäfgen v. Germany), დიდი პალატა, განაცხ. no. 22978/05, ECHR 2010 §166; იბრაჰიმი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Ibrahim and Others v. the United Kingdom), დიდი პალატა, 2016 წლის 13 სექტემბერი, განაცხ. nos. 50541/08 და 3 სხვა განაცხადი, §254; ელ ჰასკი ბელგიის წინააღმდეგ (El Haski v. Belgium), 2012 წლის 25 სექტემბერი, განაცხ. no. 649/08, §85.

კონვენციის მე-6 მუხლი არ მოითხოვს ნაფიცი მსაჯულებისგან საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებას, არამედ „იმისთვის, რომ სამართლიანი განხილვის მოთხოვნები დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს, ბრალდებულს და საზოგადოებას უნდა ესმოდეს მიღებული ვერდიქტი, რაც თვითნებობის სანინაალმდეგო სასიცოცხლო გარანტიაა“.<sup>127</sup> ეს მოთხოვნა ევროპულმა სასამართლომ დაკმაყოფილებულად ჩათვალა მთელ რიგ შემთხვევებში, კერძოდ, როდესაც ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს პროცედურულ გარანტიებს თვითნებური გადაწყვეტილებების გამოსარიცხად, როგორცაა მაგალითად, მოსამართლის მიერ ნაფიცი მსაჯულებისთვის მიცემული დეტალური ინსტრუქციები საქმის სამართლებრივი მხარის, თანდართული მტკიცებულებების თაობაზე და დეტალიზებული და არაორაზროვანი კითხვები, რაც გარკვეულ ჩარჩოს შექმნის ნაფიცი მსაჯულებისთვის ვერდიქტის მისაღებად.<sup>128</sup> საქმეზე „ბელერინ ლაგარესი ესპანეთის წინააღმდეგ“ ევროპულმა სასამართლომ საკმარისად ჩათვალა ის, რომ სადაო სასამართლო გადაწყვეტილებას ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილი ვერდიქტის გარდა, თან ახლდა იმ ფაქტების ჩამონათვალი, რაც ნაფიცმა მსაჯულებმა დადგენილად მიიჩნიეს, ამ ფაქტების სამართლებრივი ანალიზი და მითითება იმ გარემოებებზე, რაც განმცხადებლის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ხარისხს განსაზღვრავდა.<sup>129</sup> საქმეზე „მატისი საფრანგეთის წინააღმდეგ“ კი ევროპულმა სასამართლომ „საკმარის დასაბუთებად მიიჩნია“ ის, რომ განაჩენს თან ახლდა დოკუმენტი (დასაბუთების ფურცელი), რომელშიც შეჯამებული იყო ის ძირითადი ბრალდებები, რაც განხილული იყო სასამართლოს მიმდინარეობისას და საფუძვლად დაედო გამამტყუნებელ განაჩენს.<sup>130</sup>

## 2.5 სამართლის განჭვრეტადობა, სასამართლო პრაქტიკის თანმიმდევრულობა

სამართლის განჭვრეტადობა კანონის უზენაესობის და პროცესუალური სამართლიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია თვითნებური და მიკერძოებული გადაწყვეტილებების გამოსარიცხად. ეს პრინციპი პირველ

127 ტაქსკე ბელგიის წინააღმდეგ (*Taxquet v. Belgium*), დიდი პალატა, განაც. no. 926/05, ECHR 2010, §92; ლეგიონი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Legillon v. France*), 2013 წლის 10 იანვარი, განაცხ. no. 53406/10, §53.

128 ბელერინ ლაგარესი ესპანეთის წინააღმდეგ (*Bellerín Lagares v. Spain*), განჩინება, 2003 წლის 4 ნოემბერი, განაცხ. no 31548/02.

129 იქვე.

130 მატისი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Matis v. France*), განჩინება, 2015 წლის 6 ოქტომბერი, განაცხ. no. 43699/13.

რიგში მოითხოვს იმას, რომ სასამართლოს მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებები არ უნდა იქნეს ეჭვქვეშ დაყენებული.<sup>131</sup> საზოგადოებას არ ექნება სამართლიანობის განცდა, თუ მიღებული სამართლებრივი გადაწყვეტილებები თვითნებურად გადაიხედება. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ერთი მხრივ გარანტიები, რაც უზრუნველყოფს, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებები მხოლოდ წინასწარ დადგენილ გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება დაექვემდებაროს ხელახლა განხილვას, როგორცაა სასამართლო შეცდომა.<sup>132</sup> მეორე მხრივ, უნდა არსებობდეს ისეთი გარანტიები, რაც უზრუნველყოფს სამართლებრივ სტაბილურობას და საზოგადოების ნდობას სასამართლოებისადმი. იმ შემთხვევაში, თუ მსგავს სიტუაციებში სასამართლოები ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს იღებენ, სამართლებრივი გაურკვევლობის განცდა უარყოფითად იმოქმედებს მართლმსაჯულების სისტემისადმი საზოგადოების ნდობაზე.<sup>133</sup>

მიუხედავად სამართლის განჭვრეტადობის ფუნდამენტური მნიშვნელობისა, კონვენციის მე-6 მუხლს არ ეწინააღმდეგება სასამართლო პრაქტიკაში წინააღმდეგობრივი გადაწყვეტილებების არსებობა. უფრო მეტიც, „სასამართლო პრაქტიკის განვითარების შეფერხება დამაზიანებელი იქნებოდა მართლმსაჯულების ეფექტური განხორციელებისთვის, რამდენადაც დინამიური და განვითარებაზე ორიენტირებული სასამართლო პრაქტიკის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა რეფორმირება და გაუმჯობესება“.<sup>134</sup> იმის გადასაწყვეტად, უმაღლეს სასამართლო ინსტანციაში წინააღმდეგობრივი სასამართლო პრაქტიკის არსებობა წარმოადგენს თუ არა მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული სამართლიანობის მოთხოვნის დარღვევას, ევროპული სასამართლო რამდენიმე კრიტერიუმით ხელმძღვანელობს: „უმაღლესი სასამართლო ინსტანციის სასამართლო პრაქტიკაში არის თუ არა ღრმა და დიდი ხნის მანძილზე არსებული განსხვავებები, ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს თუ არა ამ განსხვავებების აღმოფხვრის კონკრეტულ მექანიზმებს, ხდება თუ არა პრაქტიკაში ამ მექანიზმების გამოყენება და რა შედეგით მთავრდება.“<sup>135</sup> მაგალითად, საქმეში „ლუპენის

131 ბრუმარესკუ რუმინეთის წინააღმდეგ (*Brumărescu v. Romania*), დიდი პალატა, განაცხ. no. 28342/95, ECHR 1999-VII (GC), § 61.

132 რიაბიხი რუსეთის წინააღმდეგ (*Ryabykh v. Russia*, §52), განაცხ. no. 52854/99, ECHR 2003-IX R, §52.

133 Council of Europe, European Court of Human Rights, Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights. Right to a fair trial (criminal limb), განახლებულია 2020 წლის 30 აპრილს, გვ.45-46.

134 ბორგი მალტის წინააღმდეგ (*Borg v. Malta*), 2016 წლის 12 იანვარი, განაცხ. no. 37537/13, §107.

135 ნაჯდეთ შაჰინი და პერიჰან შაჰინი თურქეთის წინააღმდეგ (*Nejdet Şahin and Perihan Şahin v. Turkey*), დიდი პალატა, 2011 წლის 20 ოქტომბერი, განაცხ. no. 13279/05, §53; ბორგი მალტის წინააღმდეგ (*Borg v. Malta*), 2016 წლის 12 იანვარი, განაცხ. no. 37537/13, §108.

ბერძნული კათოლიკური სამრევლო და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ“, ხანგრძლივი დროის განმავლობაში, კერძოდ 2007-2012 წლის მონაკვეთში, მნიშვნელოვანი განსხვავებები არსებობდა ერთი სასამართლოს – კერძოდ, რუმინეთის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში, რელიგიური საკულტო ნაგებობების რესტიტუციის კანონმდებლობის ინტერპრეტაციის ნაწილში. ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ სამართლიანი პროცედურის დარღვევა დაადგინა სამართლის განჭვრეტადობის ნაწილში, რამდენადაც რუმინეთის უზენაესმა სასამართლომ არ გამოიყენა არსებული მექანიზმები სასამართლო პრაქტიკის ჰარმონიზაციის უზრუნველსაყოფად, რამაც ქვედა დონის სასამართლო პრაქტიკის არათანმიმდევრულობა გამოიწვია და საფუძველი შექმნა მეტი სამართლებრივი დავის წარმოშობისთვის.<sup>136</sup> ოდნავ განსხვავებული იყო სადაო შემთხვევა საქმეზე „Sine Tsaggarakis A.E.E. საბერძნეთის წინააღმდეგ“, სადაც ევროპულმა სასამართლომ კვლავ დაადგინა დარღვევა, თუმცა იმის გამო, რომ უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული ზომები არაეფექტური იყო. ამ საქმეში, მსგავსად ზემოთმოყვანილი შემთხვევისა, უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს – სახელმწიფო საბჭოს ორ პალატას ხანგრძლივი დროის განმავლობაში განსხვავებული პოზიციები ჰქონდა სამშენებლო ნებართვისა და სამშენებლო ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ნებსებთან დაკავშირებით.<sup>137</sup> კერძოდ, სასამართლოს პალატებს შორის უთანხმოება შეეხებოდა იმას, თუ როგორ უნდა დაბალანსებულიყო კერძო პირების კანონიერი ნდობის უფლება და გარემოს დაცვის საზოგადოებრივი ინტერესი ურბანული კანონმდებლობის აღსრულების პროცესში. განსხვავებით რუმინეთისგან, საბერძნეთის სახელმწიფო საბჭომ რეაგირება მოახდინა პალატების სასამართლო პრაქტიკაში არსებული შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად და თავად განმარტა სადაო საკითხი, თუმცა ერთ-ერთმა პალატამ და მერამ, სახელმწიფო საბჭოს განმარტების მიუხედავად, არსებითად მაინც თავდაპირველი მიდგომა შეინარჩუნეს. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფო საბჭოს მიერ მიღებული ზომები არ იყო ეფექტური და სასამართლო სისტემაში სასამართლო პრაქტიკის არათანმიმდევრულობა სამართლის განჭვრეტადობის პრინციპს არღვევდა.

სამართლის განჭვრეტადობის პრობლემა შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაშიც, როდესაც კანონმდებელი საკანონმდებლო ინიციატივის გამოყენებით ერევა მიმდინარე სამართალწარმოების პროცესში. ევროპული

136 ლუპენის ბერძნული კათოლიკური სამრევლო და სხვნი რუმინეთის წინააღმდეგ (Lupeni Greek Catholic Parish and Others v. Romania), დიდი პალატა, 2016 წლის 29 ნოემბერი, განაცხ. no. 76943/11, §116.

137 Sine Tsaggarakis A.E.E. საბერძნეთის წინააღმდეგ (Sine Tsaggarakis A.E.E v. Greece), 2019 წლის 23 მაისი, განაცხ. no. 17257/13, §51-59.

სასამართლო კრძალავს „მართლმსაჯულების განხორციელებაში იმდაგვარ საკანონმდებლო ჩარევას, რომლის მიზანია ზეგავლენა მოახდინოს მიმდინარე დავის განხილვაზე“. კერძოდ, სამოქალაქო სამართალწარმოების ქრილში ევროპულმა სასამართლომ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა დაადგინა საქმეზე, სადაც სახელმწიფო მხარეს წარმოადგენდა, სასამართლო წარმოება 9 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და განმცხადებლების სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება უკვე აღსრულების ეტაპამდე იყო მისული, თუმცა საკანონმდებლო ჩარევამ „მყისიერი გავლენა მოახდინა საქმის საბოლოო შედეგზე სახელმწიფოს სასარგებლოდ“.<sup>138</sup> ასევე დარღვევა დაადგინა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე, სადაც კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილების შედეგად, სააპელაციო სასამართლომ საკუთარი გადაწყვეტილება, სხვა წყაროებთან ერთად დააფუძნა იმ ცვლილებაზე, რომელიც სასამართლო წარმოების პროცესში იყო მიღებული და ზეგავლენა მოახდინე სასამართლო განხილვის შედეგზე.<sup>139</sup>

ამ ნესიდან გამონაკლისს წარმოადგენს ისეთი შემთხვევა, როდესაც საკანონმდებლო ჩარევა ეფუძნება „საზოგადო ინტერესით განპირობებულ დამაჯერებელ/მყარ არგუმენტებს“.<sup>140</sup> მაგალითად, სასამართლომ არ დაადგინა დარღვევა საქმეზე, სადაც დავის საგანს წარმოადგენდა საკანონმდებლო ცვლილება, რომელმაც მართალია უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა განმცხადებლის მიმდინარე სასამართლო დავაზე, თუმცა ევროპული სასამართლო დარწმუნდა, რომ ჩარევა მოტივირებული იყო საზოგადო ინტერესიდან გამომდინარე დამაჯერებელი არგუმენტებით, და არა კონკრეტულ სამართალწარმოებაზე გავლენის სურვილით და შესაბამისად, არ ისახავდა მიზნად სამართლის უზენაესობის პრინციპიდან გადახვევას.<sup>141</sup>

## 2.6 სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთება

მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამართლიანი განხილვის უფლება მოიცავს „სასამართლოს ვალდებულებას, საკმარისად

138 *Stran Greek Refineries* და *სტრატისი ანდრეალისი საბერძნეთის წინააღმდეგ (Stran Greek Refineries and Stratis Andreadis v. Greece)*, 1994 წლის 9 დეკემბერი, Series A no. 301-B, §49-50.

139 *ანაგნოსტოპულოსი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ (Anagnostopoulos and Others v. Greece)*, განაცხ. no. 39374/98, §20-21.

140 *ზიელინსი და პრადალი და გონზალესი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ (Zielinski and Pradal and Gonzalez and Others v. France)*, დიდი პალატა, განაცხ. nos. 24846/94 და 9 სხვა განაცხადი, ECHR 1999-VII, §57; *სკორდინო იტალიის წინააღმდეგ (no. 1) (Scordino v. Italy (no. 1))*, დიდი პალატა, განაცხ. no. 36813/97, ECHR 2006-V, §126.

141 *გორაის ლისარაგა და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ (Gorraiz Lizarraga and Others v. Spain)*, განაცხ. no. 62543/00, ECHR 2004-III, §72.



დასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილებები“.<sup>142</sup> ეს მოთხოვნა გარკვეული საპირწონეა მხარის შემხვედრი უფლებისა ეფექტური მონაწილეობა მიიღოს სასამართლო განხილვაში. გარდა ამისა, დეტალური დასაბუთება მნიშვნელოვანია, რათა მხარეს მიეცეს გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა.<sup>143</sup>

როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართალწარმოების კონტექსტში, სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება არ გულისხმობს იმას, რომ სასამართლომ დეტალურად უნდა უპასუხოს მხარეთა მიერ წამოყენებულ ყველა არგუმენტს.<sup>144</sup> მაგალითად, საქმეზე „მუგოშა მონტენეგროს წინააღმდეგ“ სასამართლომ არ დაადგინა დარღვევა, როდესაც ეროვნულმა სასამართლომ გადამწყვეტილებაში არ მიუთითა მიზეზები, რომელთა გამოც არ გაითვალისწინა მხარის პროტესტი ბეჭედისა და ხელმოწერის არარსებობის თაობაზე იმ დოკუმენტზე, რომელსაც არ ჰქონდა ზეგავლენა საქმის შედეგზე, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ეს ხარვეზი ფორმალური და არაარსებითი ხასიათის იყო და მალევე გამოსწორდა.<sup>145</sup>

თუმცა, თუ მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და არგუმენტები არსებითი მნიშვნელობისაა განსახილველი საქმის საბოლოო შედეგისთვის, სასამართლო ვალდებულია „სპეციფიკური და კონკრეტული პასუხი გასცეს მათ“.<sup>146</sup>

ამდენად, სამოქალაქო ქრილში, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია გადაწყვეტილების დასაბუთებაში გამოიკვილოს და შეაფასოს: ა) „მხარეთა მთავარი არგუმენტები“<sup>147</sup> და ბ) „მხარეთა შუამდგომლობები და არგუმენტები, რომლებიც კონვენციითა და მისი პროტოკოლებით გათვალისწინებულ უფლებებსა და თავისუფლებების დარღვევას შეეხება“.<sup>148</sup>

142 H. ბელგიის წინააღმდეგ (H. v. Belgium), 1987 წლის 30 ნოემბერი, Series A no. 127-B, §53.

143 ჰირვისაარი ფინეთის წინააღმდეგ (Hirvisaari v. Finland), 2001 წლის 27 სექტემბერი, განაცხ. no. 49684/99, §30.

144 ვან დე ჰურკი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Van de Hurk v. the Netherlands), 1994 წლის 19 აპრილი, Series A no. 288, § 61; გარსია რუისი ესპანეთის წინააღმდეგ (García Ruiz v. Spain), დიდი პალატა, განაცხ. no. 30544/96, ECHR 1999-I, §26; §81.

145 მუგოშა მონტენეგროს წინააღმდეგ (Mugoša v. Montenegro), 2016 წლის 21 ივნისი, განაცხ. no. 76522/12, § 63, მორეირა ფერეირა პორტუგალიის წინააღმდეგ (no. 2) (Moreira Ferreira v. Portugal (no. 2)), დიდი პალატა, 2017 წლის 11 ივლისი, განაცხ. no. 19867/12, §84.

146 რუის ტორიხა ესპანეთის წინააღმდეგ (Ruiz Torija v. Spain), 1994 წლის 9 დეკემბერი, Series A no. 303-A, §30; ირო ბალანი ესპანეთის წინააღმდეგ (Hiro Balani v. Spain), 1994 წლის 9 დეკემბერი, Series A no. 303-B, §28.

147 ბუზესკუ რუმინეთის წინააღმდეგ (Buzescu v. Romania), 2005 წლის 24 მაისი, განაცხ. no. 61302/00, § 67; დონაძე საქართველოს წინააღმდეგ (Donadze v. Georgia), 2006 წლის 7 მარტი, განაცხ. no. 74644/01, §35.

148 ფაბრისი საფრანგეთის წინააღმდეგ (Fabris v. France), დიდი პალატა, განაცხ. no. 16574/08, ECHR 2013 (extracts), §72; ვაგნერი და J.M.W.L. ლუქსემბურგის წინააღმდეგ (Wagner and J.M.W.L. v. Luxembourg), 2007 წლის 28 ივნისი, განაცხ. no. 76240/01, §96.

სისხლის სამართლის ქრილში, ევროპული სასამართლო დასაბუთებულობის საკითხის შეფასებისას მოითხოვს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა პასუხი გასცენ „ბრალდებულის მიერ დასმულ სპეციფიკურ, საქმის განხილვისთვის რელევანტურ და მნიშვნელოვან საკითხებს“.

რაც შეეხება დასაბუთებულობის ხარისხის შეფასებას, ევროპული სასამართლო შეაფასებს ხომ არ არის გადაწყვეტილების დასაბუთება ავტომატური და შაბლონური სახის,<sup>149</sup> ან „იმდენად თვითნებური, რომ ზიანი მიაყენოს პროცესის სამართლიანობას“. ეს უკანასკნელი ძალიან მკაცრი ტესტია და მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება დაკმაყოფილებული, თუ სასამართლო გადაწყვეტილება „საერთოდ არ შეიცავს დასაბუთებას“ ან „ეროვნული სასამართლოს დასაბუთება ეფუძნება ისეთ აშკარა ფაქტობრივ ან სამართლებრივ შეცდომას, რაც მართლმსაჯულების აღუსრულებლობას გამოიწვევს (results in denial of justice)“.<sup>150</sup>

## 2.7 სისხლის სამართლის საქმის განხილვისთვის სპეციფიკური დამატებითი გარანტიები

გარდა ზემოთ მოყვანილი ზოგადი მოთხოვნებისა, სამართლიანი პროცედურა ითვალისწინებს დამატებით გარანტიებს, რომელიც სისხლისსამართლებრივი ბრალდების საკითხის განხილვის პროცედურას უკავშირდება.

### ა. დუმილის უფლება და საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის დაუშვებლობა

დუმილის უფლება და საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის დაუშვებლობა მართალია არ არის გათვალისწინებული მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ბრალდებულის უფლებებს შორის, თუმცა სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად ბრალდებულის ეს უფლება პროცესუალური სამართლიანობის აუცილებელი კომპონენტია. დუმილის უფლება მოქმედებას იწყებს ექვმიტანილის პოლიციის მიერ პირ-

149 მორეირა ფერეირა პორტუგალიის წინააღმდეგ (no. 2) (Moreira Ferreira v. Portugal (no. 2)), დიდი პალატა, 2017 წლის 11 ივლისი, განაცხ. no. 19867/12, §84.

150 მორეირა ფერეირა პორტუგალიის წინააღმდეგ (no. 2) (Moreira Ferreira v. Portugal (no. 2)), დიდი პალატა, 2017 წლის 11 ივლისი, განაცხ. no. 19867/12, §85; ნავალნი და ოფიტეროვი რუსეთის წინააღმდეგ (Navalny and Ofitserov v. Russia), 2016 წლის 23 თებერვალი, განაცხ. nos. 46632/13 და 28671/14, §119; ნავალნი რუსეთის წინააღმდეგ (Navalny v. Russia), დიდი პალატა, 2018 წლის 15 ნოემბერი, განაცხ. no. 29580/12 და 4 სხვა განაცხადი, §83; პაიშაო მორეირა სა ფერნანდეს პორტუგალიის წინააღმდეგ (Paixão Moreira Sá Fernandes v. Portugal), 2020 წლის 25 თებერვალი, განაცხ. no. 78108/14, §72.

ველი დაკითხვის მომენტიდან და ფარავს როგორც უმნიშვნელო სამართალ-დარღვევის, ისე მძიმე სისხლისსამართლებრივი ბრალდების შემთხვევებს. ეს უფლება ასევე მოიცავს სისხლის სამართლის დანაშაულისთვის ბრალდებული პირის უფლებას, განემარტოს მისი უფლება, შეინარჩუნოს დუმილი და არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ, დაცული იყოს ბრალდების მხარის მხრიდან დაშინებისა და იძულებისგან, ისარგებლოს დაცვის უფლებით პოლიციაში პირველი დაკითხვის მომენტიდან. გასათვალისწინებელია, რომ ეს უფლება არ იცავს ბრალდებულს პროცესუალური ღონისძიებების განხორციელებისგან, რომელიც მისი ნების საწინააღმდეგოდ ხორციელდება და მიმართულია იმ მტკიცებულებების მოსაპოვებლად, რომლებიც ბრალდებულის ნებისგან დამოუკიდებლად არსებობს, როგორცაა, მაგალითად დოკუმენტების ამოღება, სუნთქვის, სისხლის, შარდის, სხეულის უჯრედის ნიმუშის აღება.<sup>151</sup>

## ბ. დანაშაულის ნაქეზებისგან დაცვა

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო არ კრძალავს ანონიმური აგენტების გამოყენებას სისხლის სამართლის ადმინისტრირების პროცესში განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთან საბრძოლველად, როგორცაა, მაგალითად, ორგანიზებული დანაშაული. თუმცა მოითხოვს, რომ ეროვნული კანონმდებლობით „უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი და საკმარისი გარანტიები უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისგან დასაცავად, კერძოდ უნდა არსებობდეს მკაფიო და განჭვრეტადი პროცედურები ფარული მოქმედებების სანქცირების, განხორციელებისა და ზედამხედველობის კუთხით“.<sup>152</sup> „ფარული აგენტების გამოყენება დასაშვებია, თუკი არსებობს მკაფიო შეზღუდვები და გარანტიები, თუმცა საჯარო ინტერესი ვერ გაამართლებს პოლიციის მიერ დანაშაულის ნაქეზების შედეგად მოპოვებული მტკიცებულების სახით გამოყენებას, რადგან ეს იმთავითვე შექმნიდა ბრალდებულის სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის რისკს“.<sup>153</sup> იმის შესაფასებლად, ჰქონდა თუ არა ადგილი დანაშაულის ნაქეზებას, სასამართლო აფასებს „ფარული მოქმედებების განხორციელებისას სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები არსებითად პასიური როლით შემოიფარგლებოდნენ, თუ იმ

151 ო'ჰალორანი და ფრანსის გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (O'Halloran and Francis v. the United Kingdom), დიდი პალატა, განაცვ. nos. 15809/02 და 25624/02, ECHR 2007-III, §47.

152 რამანაუსკასი ლიეტუვის წინააღმდეგ (Ramanauskas v. Lithuania), დიდი პალატა, განაცვ. no. 74420/01, ECHR 2008; 2008 წლის 1 ივლისი, §51.

153 იქვე, §54.

დოზით ახდენდნენ გავლენას ობიექტზე, რაც ამ უკანასკნელს ისეთი ქმედების ჩადენისკენ უბიძგებდნენ, რასაც სხვა შემთხვევაში არ ჩაიდენდა, და რისი მიზანიც სისხლის სამართლებრივი დანაშაულის შექმნა, მტკიცებულებების მოპოვება და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება იყო<sup>154</sup>. მაგალითად, საქმეზე „ტიეშირა დე კასტრო პორტუგალიის წინააღმდეგ“, სასამართლომ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა დაადგინა იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებულს არ ჰქონდა დანაშაული ჩადენილი, მის წინააღმდეგ არ იყო დაწყებული გამოძიება, მის სახლში არ აღმოჩნდა ნარკოტიკული საშუალებები და დაკავების მომენტში მის ხელთ არსებული ნარკოტიკული საშუალებების რაოდენობა არ აღემატებოდა საიდუმლო აგენტის მიერ მოთხოვნილ ოდენობას.<sup>155</sup> შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ აგენტმა გადააჭარბა უფლებამოსილებას და არ არსებობდა საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მისი ჩარევის გარეშე ბრალდებული დანაშაულს ჩაიდენდა.

უშუალოდ პრინციპი, როგორც სამართლიანი სისხლი სამართლის საქმის სამართლიანობის ელემენტი, მოითხოვს, რომ ბრალდებულს მიეცეს შესაძლებლობა იმ მოსამართლის თანდასწრებით დაუპირისპირდეს მოწმეებს, რომელმაც საქმეზე განაჩენი უნდა გამოიტანოს. „მყისიერების პრინციპი სამართლიანი განხილვისთვის მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სასამართლოს მიერ მოწმის ქცევისა და სანდოობის შეფასება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქმის შედეგზე.<sup>156</sup> ამდენად, საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობაში ცვლილებამ ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა პროცესუალური სამართლიანობის მოთხოვნის დარღვევა გამოიწვიოს. მაგალითად, საქმეზე კუტეანი რუმინეთის წინააღმდეგ, სასამართლომ მე-6 მუხლის დარღვევა დაადგინა, სადაც სასამართლოს თავდაპირველი შემადგენლობა შეიცვალა მას შემდეგ, რაც ბრალდებულისა და მოწმეების დაკითხვა დასრულდა, მათი ჩვენებები კი რელევანტურ მტკიცებულებას წარმოადგენდა მისი ბრალეულობის დასადგენად.<sup>157</sup> ევროპულმა სასამართლომ საკმარისად არ მიიჩნია ის ფაქტი, რომ ახალ მოსამართლეს საშუალება ჰქონდა გაცნობოდა საოქმო ჩანაწერებს.

154 რამანაუსკასი ლიეტუვის წინააღმდეგ (Ramanauskas v. Lithuania), დიდი პალატა, განაცხ. no. 74420/01, ECHR 2008; 2008 წლის 1 ივლისი, §55.

155 ტიეშირა დე კასტრო პორტუგალიის წინააღმდეგ (Teixeira de Castro v. Portugal), 1998 წლის 9 ივნისი, Reports of Judgments and Decisions 1998-IV, §37-38.

156 P.K. ფინეთის წინააღმდეგ (P.K. v. Finland), განჩინება, 2002 წლის 9 ივლისი, განაცხ. No. 37442/97.

157 კუტეანი რუმინეთის წინააღმდეგ (Cutean v. Romania), 2014 წლის 2 დეკემბერი, განაცხ. no. 53150/12, § 60-79.

### გ. საზიანო საჯაროობა

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ გარკვეულ შემთხვევებში მიიჩნია, რომ მძლავრმა მედია კამპანიამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს სასამართლო განხილვის სამართლიანობაზე, რადგან ამან შესაძლოა გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ აზრზე და შესაბამისად, ნაფიც მსაჯულებზეც, რომელთაც გადანყვეტილება უნდა გამოიტანოს პირის ბრალეულობის შესახებ.<sup>158</sup> აქტიურმა მედია კამპანიამ შეიძლება გავლენა მოახდინოს, ერთი მხრივ, სასამართლოს მიუკერძოებლობაზე, მეორე მხრივ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით დაცულ უდანაშაულობის პრეზუმფციაზე.

იმის განსაზღვრად, მედია კამპანიას შეუძლია თუ არა ზიანი მიაყენოს პროცესუალურ სამართლიანობას, სასამართლო რამდენიმე ფაქტორს ითვალისწინებს, კერძოდ: რა დროა გასული მედია კამპანიიდან სასამართლო განხილვის დაწყებამდე და სასამართლოს შემადგენლობის განსაზღვრამდე; გამოქვეყნებული მასალების ავტორი იყო თუ არა ხელისუფლება ან ინფორმაცია მისგან მომდინარეობდა თუ არა; მოახდინა თუ არა გავლენა მედიაში გამოქვეყნებულმა მასალებმა მოსამართლეზე ან ნაფიც მსაჯულებზე და შესაბამისად, იქონია თუ არა გავლენა შედეგზე.<sup>159</sup>

იმის დასადგენად, მოახდინა თუ არა აქტიურმა მედია კამპანიამ გავლენა სასამართლოს მიუკერძოებლობაზე, „სასამართლოსთვის მნიშვნელოვანია არა ბრალდებულის სუბიექტური აღქმა, არამედ კონკრეტულ საქმეში არსებული გარემოებების გათვალისწინებით, მისი შიში ობიექტურად იყო თუ არა გამართლებული“.<sup>160</sup> ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ პროფესიული მოსამართლეები მათი პროფესიული მომზადებისა და გამოცდილების გათვალისწინებით ნაკლებად შეიძლება მოექცნენ საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენის ქვეშ მაშინ, როდესაც ასეთი ზეგავლენა უფრო პრობლემურია ნაფიც მსაჯულებთან მიმართებით.<sup>161</sup> ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოსამართლის ინსტრუქციებს ნაფიცი მსაჯულებისადმი.<sup>162</sup>

158 აქაი თურქეთის წინააღმდეგ (*Akay v. Turkey*), განჩინება, 2002 წლის 19 თებერვალი, განაცხ. no. 34501/97; კრაქსი იტალიის წინააღმდეგ (no. 1) (*Craxi v. Italy* (no. 1)), 2002 წლის 5 დეკემბერი, განაცხ. no. 34896/97, §98.

159 ბეგსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Beggs v. the United Kingdom*), განჩინება, 2012 წლის 6 ნოემბერი, განაცხ. no. 25133/06, §124.

160 ვლოხი პოლონეთის წინააღმდეგ (*Wloch v. Poland*), განჩინება, 2000 წლის 30 მარტი, განაცხ. No. 27785/0; დაკტარასი ლიეტუვის წინააღმდეგ (*Daktaras v. Lithuania*), განჩინება, 2000 წლის 11 იანვარი, განაცხ. No. 42095/98.

161 კრაქსი იტალიის წინააღმდეგ (no. 1) (*Craxi v. Italy* (no. 1)), 2002 წლის 5 დეკემბერი, განაცხ. no. 34896/97, §98.

162 ბეგსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Beggs v. the United Kingdom*), განჩინება, 2012 წლის 6 ნოემბერი, განაცხ. no. 25133/06, §124.

## დ. საპროცესო შეთანხმების სამართლიანობა

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ მიიჩნია, რომ ევროპული სისხლის სამართლის სისტემებში დამკვიდრებული პრაქტიკაა ბრალდებულისთვის ნაკლებად მძიმე ბრალის წაყენება ან შემცირებული სასჯელის ზომის შეთავაზება სასამართლო განხილვის დაწყებამდე დანაშაულის აღიარების, ან გამოძიებასთან თანამშრომლობის სანაცვლოდ.<sup>163</sup> თუმცა, სასამართლო გამოიყენებს შემდეგ ტესტს, რომლითაც აფასებს ბრალდებულის მიერ საპროცესო შეთანხმების შეთავაზებაზე თანხმობით დაირღვა თუ არა პროცესუალური სამართლიანობა, კერძოდ: ა) შეთავაზებაზე ბრალდებულმა თანხმობა შეიძლება განაცხადოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც სრულად გაეცნობა საქმეში არსებულ მასალებს და სამართლებრივ შედეგებს და თუ ეს თანხმობა ჭეშმარიტად ნებაყოფლობითია; ბ) საპროცესო შეთანხმების შინაარსსა და მხარეებს შორის შეთანხმების მიღწევის ფორმაზე უნდა განხორციელდეს ჯეროვანი სასამართლო კონტროლი.<sup>164</sup>

## 3. კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს ცნება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის კონტექსტში და მისი მნიშვნელობა სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზების ჭრილში

### 3.1 კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს არსი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი ნათლად მიუთითებს, რომ საქმის განმხილველი ორგანო (Tribunal) ყოველთვის უნდა იყოს შექმნილი კანონის საფუძველზე.<sup>165</sup> აღნიშნული მოთხოვნა მომდინარეობს კანონის უზენაესობის პრინციპიდან, რომელიც კონვენციის ერთ-ერთი სადამფუძნებლო პრინციპია. დემოკრატიულ საზოგადოებაში სწორედ კანონისმიერი ლეგიტიმაცია აძლევს უფლებამოსილებას მართლმსაჯულების ორგანოს განიხილოს სამოქალაქო ხასიათის უფლებებისა და მოვალეობების

163 ნაცვლიშვილი და ტოგონიძე საქართველოს წინააღმდეგ (Natsvlishvili and Togonidze v. Georgia), ECHR 2014, განაცხ. no. 9043/05, §90

164 იქვე. §91-92.

165 Council of Europe, European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, 4 November 1950 art. 6.1

განსაზღვრის, ან სისხლისსამართლებრივ ბრალდებასთან დაკავშირებული დავები.<sup>166</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის პრაქტიკაში დეტალურად განმარტა თუ რა კრიტერიუმების დაცვა ევალუბათ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს იმისთვის, რომ არ დაარღვიონ კანონით შექმნილი სასამართლოს არსიდან მომდინარე ვალდებულებები.

თუმცა, სანამ კანონით შექმნილი სასამართლოს ცნების კომპონენტებს განვიხილავთ თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ კონვენციის მე-6 მუხლში აღნიშნულ ტერმინ „ტრიბუნალს“ გააჩნია ავტონომიური შინაარსი, რაც გულისხმობს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ინდივიდუალურად აფასებს კონკრეტულ საქმეში საქმის განმხილველი ორგანო აკმაყოფილებს თუ არა კონვენციიდან მომდინარე კრიტერიუმებს იმისთვის, რომ ჩაითვალოს იგი სასამართლოდ (Tribunal). შესაბამისად, მნიშვნელოვანია ორგანოს კონკრეტული მახასიათებლები, ვიდრე ის, თუ რა სახელით არის ცნობილი საქმის განმხილველი ესა თუ ის ორგანო ადგილობრივ კანონმდებლობაში.

საზგასამელია, რომ ტრიბუნალის კონცეფცია კონვენციის მიზნებისთვის განისაზღვრება ორგანოს სუბსტანციური მნიშვნელობით. აღნიშნული გულისხმობს იმის გარკვევას, აქვს თუ არა ორგანოს უფლებამოსილება განახორციელოს მართლმსაჯულება, კანონის უზენაესობის პრინციპის დაცვით და განსაზღვრული წესით. ამასთან, ის ასევე უნდა აკმაყოფილებდეს დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის კრიტერიუმებს.<sup>167</sup>

### **3.2 საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობის კანონიერება, როგორც კანონით შექმნილი სასამართლოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის მიხედვით, კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლო არის ორგანო, რომელიც სხვა კრიტერიუმებთან ერთად აკმაყოფილებს საქმის განმხილველი კოლეგიის დაკომპლექტებისა და მოსამართლეების დანიშვნის პროცედურების შესაბამის ხარისხობრივ მოთხოვნებს.<sup>168</sup> მაგალითად, „კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლო“ პრინციპს ეწინააღმდეგება სასამართლოს წევრებისთვის განხილვის

166 Kontalexis v. Greece, no. 59000/08, §42 31 May 2011

167 Bellilos v. Switzerland 29 April 1988, Series A no. 132, p. 29, § 64

168 Fruni v. Slovakia, no. 8014/07, §134, 21 June 2011

გარეშე უფლებამოსილების განუსაზღვრელი ვადით გახანგრძლივება მათ ხელახლა დანიშვნამდე.<sup>169</sup> სასამართლოს განმარტებით, კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს პრინციპის მიზანია, სასამართლო ორგანო დემოკრატიულ საზოგადოებაში არ იყოს დამოკიდებული აღმასრულებელი ხელისუფლების დისკრეციაზე, არამედ იმართებოდეს პარლამენტის მიერ დანესებული კანონებით. ეს არ ნიშნავს, რომ ადგილობრივ სასამართლოებს არ აქვთ კანონმდებლობის ინტერპრეტაციის გარკვეული თავისუფლება, თუმცა ძირითადი პრინციპი იმის უზრუნველყოფაა, რომ სასამართლო სისტემის მოწყობა აღმასრულებელი ხელისუფლების დისკრეციაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. ასევე, გარანტია კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს შესახებ მოიცავს არა მხოლოდ სასამართლოს არსებობის საკანონმდებლო საფუძველს, არამედ თითოეული საქმის განსახილველად დაკომპლექტებული კოლეგიის კანონიერებასაც.<sup>170</sup>

საქმეში *ლიცჰერტ ვ. ჯოლანდ* ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კიდევ ერთხელ მიუთითა, რომ „კანონით შექმნილი სასამართლოს ცნება“ თავის თავში გულისხმობს სასამართლოს წევრების დამოუკიდებლობის, მათი დანიშვნის ვადების ხანგრძლივობის, მიუკერძოებლობასა და პროცედურული დაცვის საშუალებების არსებობას.

აღნიშნულ საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა რომ კანონი შეიძლება ადგენდეს ისეთი შემთხვევებს როდესაც შეიძლება კონკრეტულ საქმეზე მოსამართლეების დანიშვნა სხვა სასამართლოებიდან მოხდეს, თუმცა ამისათვის საჭიროა გარკვეული სამართლებრივი პირობების დაკმაყოფილება იმისათვის, რომ ამ პროცედურით ბოროტად მანიპულაცია გამოირიცხოს. აღნიშნულ საქმეზე მოსამართლეთა შერჩევის განუჭვრეტადი პროცედურების გამო, საქმის განმხილველი სასამართლო კონვენციის მე-6 მუხლის კონტექსტში არ ჩაითვალა კანონით შექმნილ სასამართლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ.<sup>171</sup>

მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ევროპული სასამართლოს 2020 წლის გადაწყვეტილებაში საქმეზე *Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland*. გადაწყვეტილებაში სასამართლოს დიდმა პალატამ დეტალურად განიხილა კანონის საფუძველზე შექმნილი ტრიბუნალის ცნების ელემენტები. უფრო კონკრეტულად, სასამართლომ შეაფასა თუ როგორ უნდა მოხდეს მისი თითოეული კომპონენტის ინტერ-

169 Gurov v. Moldova, no. 36455/02, §§37-39, 11 July 2006

170 Posokhov v. Russia, no. 63486/00, §39, 2003.

171 Richert v. Poland, no. 54809/07, §25 October 2011



პრეტაცია იმისთვის, რომ ნათლად გამოიხატოს მისი მიზნები და ეფექტურად იქნეს დაცული ის ინტერესები, რომელთა დაცვასაც ემსახურება იგი.<sup>172</sup>

### ა) „კანონის საფუძველზე შექმნილი“ სასამართლოს ცნების ფარგლები

ამ კონტექსტში სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლოს ცნების თანდაყოლილი ელემენტია მოსამართლეების მკაცრი, გამონვლილვითი პროცესის შედეგად, მათი პერსონალურ მახასიათებლებზე დაყრდნობით, შერჩევა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ყველაზე კომპეტენტური კანდიდატების შერჩევა, როგორც კომპეტენტურობის, ასევე კეთილსინდისიერების კრიტერიუმების გათვალისწინებით.

სასამართლო აღნიშნავს, რომ გაზრდილი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე აღნიშნული მოთხოვნა მით უფრო მკაცრია, როცა საკითხი შეეხება ზედა ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეებს. ამ კონტექსტში სასამართლო აქვე აზუსტებს, რომ გარკვეულ შემთხვევებში, როცა სამართლებრივ სისტემებში დაშვებულია არა პროფესიული ნიშნით მოსამართლეების შერჩევა, ისინი შეიძლება დაექვემდებარონ განსხვავებულ შერჩევის წესს, განსაკუთრებით, როცა საკითხი შეეხება კომპეტენტურობის კრიტერიუმის ნაწილს.

### ბ) დარღვევის სიძიმის (threshold) ტესტი

სასამართლოს აღნიშნული გადანყვეტილება განსაკუთრებით საინტერესოა იმ კუთხით, რომ სასამართლომ გადანყვეტილებაში განიხილა ის კრიტერიუმები, რომლებითაც უნდა შეფასდეს, მოსამართლეთა დანიშვნის პროცესის ხარვეზიანობის სიძიმე იწვევს თუ არა კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს პრინციპის და შესაბამისად კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევას.

- პირველ რიგში უნდა შეფასდეს სახეზე იყო თუ არა აშკარა დარღვევა ხელშემკვრელი სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობის. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, როგორც წესი, ადგილობრივი სასამართლოების აბსოლუტურ კომპეტენციად მიიჩნევს იმ საკითხის დადგენას, დარღვეულია თუ არა ადგილობრივი კანონმდებლობა. ზემოაღნიშნულიდან, გამონაკლისია მხოლოდ ის შემთხვევები, როცა ადგილობრივი სასამართლოს დასაბუთება არის აშკარად მიკერძობული ან არა გონივრული.
- პირველი საკითხის განხილვის შემდგომ, კონკრეტული დარღვევა უნდა შეფასდეს კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს ცნების მიზნის

172 Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland (GC) 1.12.2020, §218

და დაცვის ობიექტის გათვალისწინებით. კერძოდ, უნდა დადგინდეს უზრუნველყოფილია თუ არა სასამართლოს მიერ თავისი ფუნქციის თავისუფლად, ზეგავლენის გარეშე განხორციელება, იმ მიზნით, რომ დაცული იქნეს კანონის უზენაესობა და ხელისუფლების დანაწილების პრინციპი. შესაბამისად, მხოლოდ ტექნიკური ხასიათის დარღვევები, რომელიც ეჭვქვეშ არ აყენებს დანიშნის პროცესის ლეგიტიმურობას არ წარმოადგენს საკმარის პირობას, რომ დაკმაყოფილდეს „დარღვევის სიმძიმის“ ტესტი და დადგინდეს კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს პრინციპის დარღვევა. ამისგან განსხვავებით, მაგალითად ისეთი პირის დანიშნა მოსამართლედ, რომელიც არ აკმაყოფილებს კანონით გაწერილ კრიტერიუმებს, სასამართლოს შეფასებით, მაღალი ალბათობით გამოიწვევს ზემოაღნიშნული პრინციპის დარღვევას.

- მესამე კრიტერიუმი განსახილველი ტესტის არის იმის დადგენა, შესაბამისი პროცედურის და სტანდარტების გამოყენებით, იქნა თუ არა ადგილობრივი სასამართლოების მიერ საკითხი გამოკვლეული. კერძოდ, სათანადოდ შეფასდა თუ არა მათ მიერ დაპირისპირებული ინტერესები. როდესაც საკითხი ადგილობრივი სასამართლოების მიერ, კონვენციური პრინციპების შესაბამისად სათანადოდ გამოკვლეული და შეფასებულია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, როგორც წესი, თავს შეიკავებს არ დაეთანხმოს ან შეცვალოს მათი დასაბუთება და გადაწყვეტა.

ზემოთ განხილული კრიტერიუმების შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა **Guðmundur Andri Ástráðsson** საქმის ფაქტობრივი გარემოებები და კანონით შექმნილი სასამართლოს პრინციპის დარღვევა დაადგინა. კერძოდ, სასამართლოს შეფასებით, მოსამართლეთა კანდიდატების შერჩევის პროცესში, ისლანდიის იუსტიციის მინისტრის მიერ არ იქნა დასაბუთებული თუ რატომ იქნა მის მიერ მოსამართლეობის კონკრეტული კანდიდატი პარლამენტისთვის დასამტკიცებლად წარდგენილი. სასამართლოს შეფასებით, მოსამართლეთა შერჩევის პროცესი არ წარმართულა ობიექტურად და შერჩევის პროცესში პოლიტიკურ მოტივაციაზე ეჭვები დასაბუთებული იყო.

სასამართლომ ასევე კრიტიკულად შეაფასა მოსამართლეთა შერჩევის პროცესი პარლამენტში და მიუთითა, რომ პარლამენტმა ვერ შეასრულა თავისი ფუნქცია შეემონებინა და გაეკონტროლებინა აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლის დისკრეციული ქმედებები, რაც წარმოშობდა საფუძველიან ეჭვს, რომ მოსამართლის შერჩევის პროცესი დაფუძნებული იყო პარტიული პოლიტიკით განპირობებულ მოტივაციებზე და გარემოებებზე.

მნიშვნელოვანია, რომ ევროპულმა სასამართლომ ასევე არასრულყოფილად მიიჩნია ადგილობრივი სასამართლოების მიერ გაკეთებული დასკვნები განსახილველ საკითხზე, კერძოდ მათ ვერ მოახერხეს დარღვეული ინტერესების დაცვა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დადგენილ იქნა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა.

### **3.3 სასამართლო პროცესის და საქმიანობის კანონით დარეგულირების მოთხოვნა, როგორც კანონით შექმნილი სასამართლოს ცნების აუცილებელი შემადგენელი ელემენტი**

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის პრაქტიკაში ასევე განმარტა, რომ „კანონი“ არ მოიცავს მხოლოდ სასამართლო ორგანოების დამფუძნებელ და კომპეტენციის განმსაზღვრელ კანონმდებლობას. კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა შეიძლება დადგინდეს ადგილობრივი კანონმდებლობის ნებისმიერი სხვა წესის დარღვევის დროს, რაც საქმის განხილვაში ერთი ან რამდენიმე მოსამართლის მონაწილეობას არალეგიტიმურს გახდის. ამ კუთხით საინტერესოა საქმე *DMD Group, ვ. შლოვაკია* სადაც სადავო იყო სლოვაკეთის საოლქო სასამართლოს პრეზიდენტის მიერ მისი ადმინისტრაციული უფლებამოსილების ფარგლებში, „დმდ ჯგუფის“ საქმის თავისთან გადამისამართების კანონიერება, იმის გათვალისწინებით, რომ იქამდე საქმეს სხვა მოსამართლე განიხილავდა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილებაში პირველ რიგში განსაზღვრა კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვის უფლების ზოგადი პრინციპები. კერძოდ, სასამართლოს შეფასებით კონვენციის მე-6 მუხლით განსაზღვრული „კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლო“ ნორმის მიზნებისთვის, გულისხმობს რომ დაცული უნდა იყოს ადგილობრივი კანონმდებლობის ყველა ნორმა, რომლის დაუცველობაც ამ სასამართლოს ლეგიტიმურობას შელახავს. გადამწყვეტია, რომ სასამართლოს საქმიანობა არა მხოლოდ მის დამფუძნებელ ნორმებს, არამედ მისი საქმიანობის მარეგულირებელ სხვა ნორმებსაც შეესაბამებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია დადგინდეს კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს პრინციპის დარღვევა.<sup>173</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მითითებით ადგილობრივი სასამართლოს მიერ მათი დამფუძნებელი და კომპეტენციის განმსაზღვრელი ადგილობრივი კანონმდებლობის დარღვევა კონვენციის მე-6 მუხლის პირ-

173 Sokurenko and Strygun v. Ukraine, no. 29458/04 and 29465/04, §24, 20 July 2006

ველი პარაგრაფის დარღვევას იწვევს. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ შიდა ადგილობრივი წესების ინტერპრეტაცია უპირველესად წარმოადგენს ადგილობრივი სასამართლოების კომპეტენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში შეაფასებს მათ, როცა განმარტება აშკარად არასწორია.<sup>174</sup>

DMD Group-ის საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეფასების დროს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში განჭვრეტადობის პრინციპის და სასამართლოს დამოუკიდებლობისთვის უზრუნველსაყოფად უმთავრესი მნიშვნელობა აქვს დავების გადასაწყვეტად გამოყენებული წესების სიცხადეს, ობიექტურობის და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ცხად გარანტიებს და, რაც ყველაზე მთავარია, კონკრეტული დავების მოსამართლეებზე გადანაწილების დროს ნებისმიერი სახის მიკერძოებულობის გამორიცხვას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე დაადგინა, რომ არ არსებობდა სლოვაკეთის საოლქო სასამართლოს პრეზიდენტისთვის მინიჭებული ამ უფლებამოსილების მაკონტროლებელი და თვითნებობის შემზღუდველი ნორმები, მათ შორის, არ არსებობდა ამ ცვლილებების ზემდგომი სასამართლოსთვის შეტყობინების ვალდებულება და ეს მხოლოდ საოლქო სასამართლოს პრეზიდენტის კეთილი ნებით ხდებოდა.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლე D-ს გადანაწილებმა იყო საბოლოო. ცალკე აღებული, ეს კონვენციასთან შეუსაბამობის პრობლემას არ წარმოშობს. თუმცა, მოცემულ კონტექსტში ამით მხარეს ერთმეოდა უფლება, რომ შედავებოდა მოსამართლე D-ს მიკერძოებულობაზე.<sup>175</sup> ამ გარემოებების გათვალისწინებით სასამართლომ კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა დაადგინა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის პრაქტიკაში ასევე არაერთხელ აღნიშნა, რომ სასამართლო, რომელიც კანონის განზრახ დარღვევით, შესაბამისი დასაბუთების გარეშე, სცდება იურისდიქციის ფარგლებს, არ აკმაყოფილებს კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს ცნებას.

საქმეში *Sokurenko and Strygun v. Ukraine* სასამართლომ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებისთვის „კანონის საფუძველზე შექმნილი“ სასამართლო არის ორგანო, რომელსაც აქვს იურისდიქცია განსახილველ საქმეზე და რომელიც შესაბამისი წესით არის ჩამოყალიბებული

174 *Lavents v. Latvia*, no. 58442/00, §114, 28 November 2002

175 *DMD Group, a.s., v. Slovakia*, no. 19334/03, 5 October 2010

და დაკომპლექტებული, ამავდროულად იგი ასევე უნდა შეესაბამებოდეს მისი უფლებამოსილების განმსაზღვრელ ადგილობრივ კანონმდებლობასაც.

სასამართლოს შეფასებით, რიგ შემთხვევაში კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა შეიძლება არ დადგინდეს კანონის განმარტების უფლებამოსილების მქონე უმაღლესი სასამართლო ორგანოს მიერ ისეთი გადაწყვეტილების მიღებისთვის, რომელიც ერთმნიშვნელოვნად კანონმდებლობას არ ეფუძნება. თუმცა, ასეთ შემთხვევაში საჭიროა ადგილობრივი სასამართლოს მიერ კონკრეტული, ცხადი და დამაჯერებელი მიზეზების წარდგენა.

უკრაინის სახელმწიფოს არგუმენტი, რომ უფლებამოსილების ფარგლებს გაცდენა სამართლიანობის კონსტიტუციური პრინციპის დაცვისთვის იყო საჭირო, ევროპული სასამართლოსთვის საკმარისი არ აღმოჩნდა დასაბუთების საკმაოდ მაღალი სტანდარტის დასაკმაყოფილებლად. შესაბამისად, დადგინდა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის დარღვევა, რადგან უფლებამოსილების ფარგლების გადაცილებით მოქმედი სასამართლო არ ჩაითვალა „კანონის საფუძველზე შექმნილ“ სასამართლოდ.<sup>176</sup>

კანონით შექმნილი სასამართლოს ცნებასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2009 წელს საინტერესო გადაწყვეტილება მიიღო საქართველოსთან მიმართებით, საქმეში ფანჯიკიძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ.

საკითხი შეეხებოდა ე. წ. მსაჯულთა ინსტიტუტს. კერძოდ, 2005 წლის 25 მარტს მსაჯულთა ინსტიტუტის გაუქმებამდე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მსაჯულები იყვნენ კერძო პირები, რომლებსაც ჰქონდათ სხვა პროფესია და აღნიშნული სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმეების პირველი ინსტანციით განხილვაში პროფესიონალ მოსამართლესთან ერთად მონაწილეობდნენ. მსაჯულთა ინსტიტუტი საბჭოთა მართლმსაჯულების სისტემის ერთგვარ გადმონაშთს წარმოადგენდა, რომელშიც მსაჯულები ხალხის წარმომადგენლები იყვნენ და უზრუნველყოფდნენ მართლმსაჯულების განხორციელებაში ხალხის მონაწილეობას.

ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა სახელმწიფოს პოზიცია, რომ საქმის განხილვაში 2 მსაჯულის მონაწილეობა ეფუძნებოდა „უზენაესი სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონს და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს შესაბამისად განმცხადებლების საქმის განმხილველი სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის თვით არსებობა მოქმედი კანონით იყო გათვალისწინებული. ამის მიუხედავად, ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლო ორგანოს მხოლოდ ლეგალური არსებობა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ

176 Sokurenko and Strygun v. Ukraine, nos. 29458/04 and 29465/04, §27-29 20 July 2006

ის მიჩნეულ იქნეს „კანონის საფუძველზე შექმნილ“ სასამართლოდ. გასარკვევია ჰქონდა თუ არა ეროვნულ სამართალში საკმარისი იურიდიული საფუძველი მსაჯულების მიერ მოსამართლის ფუნქციების განხორციელებას.

მართალია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული იყო, რომ მსაჯული იყო საქართველოს მოქალაქე, რომელიც, „კანონით“ დადგენილი წესის შესაბამისად, უფლებამოსილი იყო, მონაწილეობა მიეღო საქმის სასამართლო განხილვაში, თუმცა არ არსებობდა დავის განხილვის დროს მოქმედი კანონი, რომელიც განსაზღვრავდა მათ მიერ საქმის განხილვის წესს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ევროპულმა სასამართლომ დაადგინა საქართველოს სახელმწიფოს მიერ კონვენციის მე-6 მუხლიდან გამომდინარე კანონით შექმნილი სასამართლოს პრინციპის დარღვევა.<sup>177</sup>

## დასკვნა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამისი პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ კანონის უზენაესობის პრინციპი მოითხოვს, რომ სამოქალაქო ხასიათის უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრის, ან სისხლისსამართლებრივი ბრალდებასთან დაკავშირებული დავების განმხილველი ორგანო (Tribunal) ყოველთვის უნდა იყოს შექმნილი კანონის საფუძველზე.

კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლო არის ორგანო, რომელიც სხვა კრიტერიუმებთან ერთად აკმაყოფილებს საქმის განმხილველი კოლეგიის დაკომპლექტებისა და მოსამართლეების დანიშვნის პროცედურების შესაბამის ხარისხობრივ მოთხოვნებს.

მნიშვნელოვანია, სასამართლო ორგანო დემოკრატიულ საზოგადოებაში არ იყოს დამოკიდებული აღმასრულებელი ხელისუფლების დისკრეციაზე, არამედ იმართებოდეს პარლამენტის მიერ დანესებული ცხადად განჭვრეტადი კანონებით. ამასთან, გარანტია მოიცავს არა მხოლოდ ამ სასამართლოს არსებობის საკანონმდებლო საფუძველს, არამედ თითოეული საქმის განსახილველად დაკომპლექტებული კოლეგიის კანონიერებასაც. ამავდროულად იგი ასევე უნდა შეესაბამებოდეს მისი უფლებამოსილების განმსაზღვრელ ადგილობრივ კანონმდებლობასაც.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, მნიშვნელოვანია რომ საქმის განმხილველი სასამართლოს საქმიანობა არა მხოლოდ მის დამფუძნებელ ნორმებს, არამედ მისი საქმიანობის მარეგულირებელ სხვა ნორმებსაც შეესაბამებოდეს. უფლებამოსილების ფარგლების გადაცილებით მოქმედი სასამართლო არ ჩაითვლება კანონის საფუძველზე შექმნილ სასამართლოდ.

177 Pandjigidzé and Others v. Georgia, no. 30323/02, §105-110 27 October 2009

## 4. სასამართლოს დამოუკიდებლობის ცნება და მნიშვნელობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის კონტექსტში

### შესავალი

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით განსაზღვრულია რომ კანონით შექმნილი სასამართლო უნდა აკმაყოფილებდეს დამოუკიდებლობის სტანდარტებს იმისთვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სამართლიანი სასამართლოს უფლება.<sup>178</sup>

სასამართლოს დამოუკიდებლობის ცნების სტანდარტების ანალიზი ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის პრაქტიკაში არაერთხელ მოახდინა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, სასამართლოს დამოუკიდებლობის ცნება გულისხმობს დამოუკიდებლობას, როგორც ხელისუფლების სხვა შტოების ასევე საქმის მხარეებისგან. ამასთან, სასამართლოს პრაქტიკაში ასევე ჩამოყალიბდა სასამართლო შიდა დამოუკიდებლობის სტანდარტები, რაც გულისხმობს სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას სასამართლოს სისტემის შიგნიდან მომდინარე შესაძლო ზეწოლისგანაც.<sup>179</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პრინციპების თანახმად, იმისთვის, რომ სასამართლო დამოუკიდებლად ჩაითვალოს, უნდა მიეცეს ყურადღება, მათ შორის, მოსამართლეთა დანიშვნის წესსა და ხანგრძლივობას, გარე და შიდა ზეწოლისგან დამცავი გარანტიების არსებობას და ასევე იმას, გარე ობიექტური დამკვირვებლის პერსპექტივიდან ეს ორგანო დამოუკიდებლად შეიძლება თუ არა იქნეს აღქმული.<sup>180</sup>

ევროპული სასამართლო მე-6 მუხლის კონტექსტში საქმის განმხილველი სასამართლოს მიუკერძოებლობას ამონმებს ობიექტური და სუბიექტური ტესტის საფუძველზე. სუბიექტური ტესტის თანახმად, მოსამართლე სუბიექტურად თავისუფალი უნდა იყოს ყველანაირი წინასწარ განწყობებისგან და არ უნდა ჰქონდეს რაიმე სახის პერსონალური მიკერძოება განსახილველი საქმის მიმართ. მიუკერძოებლობის ობიექტური ტესტი კი გულისხმობს, ყველა იმ გარემოების გამორიცხვას რომელმაც შეიძლება გააჩინოს ეჭვი გარე

178 Council of Europe, the European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, 20 March 1952, ETS 9, art.6.1

179 Parlov-Tkalčić v. Croatia, no. 24810/06, §86, 22 December 2009

180 Findlay v. the United Kingdom, 25 February 1997, §73, Reports 1997-I; and Brudnicka and Others v. Poland, no. 54723/00, §38, ECHR 2005-II

ობიექტური დამკვირვებლის თვალში საქმის განმხილველი სასამართლოს მიკერძოებასთან დაკავშირებით.<sup>181</sup>

ამ კონტექსტში ხაზგასასმელია, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობისა და ობიექტური მიუკერძოებლობის ცნებები ერთმანეთთან ახლო კავშირშია, რის გამოც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში ისინი ხშირად ერთად განიხილება. როგორც აღინიშნა, სუბიექტური მიუკერძოებლობის ტესტისგან განსხვავებით, ობიექტური მიუკერძოებლობა მოითხოვს რომ დამოუკიდებლად კონკრეტული მოსამართლის ქმედებებისგან უნდა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს ფაქტები, რომლებმაც შეიძლება გააჩინოს ალქმა და ეჭვი მოსამართლის მიკერძოებულობაზე გარე ობიექტური დამკვირვებლის თვალში. ამასთან, კონკრეტულად დაინტერესებული პირის პერსპექტივიდან სასამართლო მიკერძოებულად ჩანს თუ არა მნიშვნელოვანია, თუმცა გადაწყვეტია ის, ამ ეჭვის ობიექტურად გამართლება არის თუ არა შესაძლებელი.<sup>182</sup>

#### **4.1 მოსამართლეთა დანიშვნის წესის მიმართება დამოუკიდებელი სასამართლოს ცნებასთან**

მოსამართლეთა დანიშვნის წესი ერთ-ერთი უმთავრესი კრიტერიუმია სასამართლოს დამოუკიდებლობის შესაფასებლად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის პრაქტიკაში განმარტავს, რომ აღმასრულებელ და სასამართლო შტოებს შორის ხელისუფლების დანაწილების პრინციპი არ არის განსაზღვრული კონვენციის მე-6 ან რომელიმე სხვა მუხლით და სახელმწიფოები არ არიან ვალდებული, მიყენონ რომელიმე კონსტიტუციურ თეორიას ხელისუფლების შტოებს შორის თანამშრომლობის დასაშვები ლიმიტის განსაზღვრად. თუმცა, სასამართლო ხაზს უსვამს, რომ პრაქტიკაში უფრო და უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ხელისუფლების პოლიტიკურ და სასამართლო შტოებს შორის უფლებამოსილებების დანაწილებას.<sup>183</sup> ამასთან აღსანიშნავია, რომ მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადის ფარგლებში მათი შეუცვლელობის პრინციპის უზრუნველყოფა არის ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობა სასამართლოს დამოუკიდებლობის რეალიზებისთვის.<sup>184</sup>

საქმეში *Sacilor-Lormines v. France* ადამიანის უფლებათა ევროპულმა

181 *Fey v. Austria*, 24 February 1993, §§27, 28 and 30, Series no. 255-A; and *Wettstein v. Switzerland*, §42, ECHR 2000-XII

182 *Hauschildt v. Denmark*, judgment of 24 May 1989, Series A no. 154, §48

183 *Stafford v. the United Kingdom (GC)*, §78, ECHR 2002-IV)

184 *Campbell and Fell v. the United Kingdom*, 28 June 1984, §80, Series A no. 80



სასამართლომ იმსჯელა, დაერღვა თუ არა განმცხადებელს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფით გათვალისწინებული უფლება დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს წინაშე საქმის განხილვაზე.

განმცხადებელი იყო არაერთი რკინის მადნის მოსაპოვებელ მალაროს მესაკუთრე, (*société anonyme*) რომელმაც 2000 წლის მარტში თვითლიკვიდაცია გამოაცხადა.

1997 წელს განმცხადებელმა ადმინისტრაციული საჩივარი შეიტანა ეკონომიკის, ფინანსთა და ინდუსტრიის მინისტრის წინააღმდეგ, მინისტრმა აღნიშნული სამართალწარმოების ფარგლებში სახელმწიფო საბჭოს<sup>185</sup> (*Conseil d'Etat*) მიმართა განცხადებით, რომ ეპასუხა სამთამადნო საკითხების მარეგულირებელი ახალი კანონმდებლობის მიღების შემდეგ წამოჭრილ ზოგიერთ კითხვაზე. ამის პასუხად, 1997 წლის 29 სექტემბერს სახელმწიფო საბჭომ გამოაქვეყნა საკონსულტაციო მოსაზრება დახურვის შემდეგ მალაროების უსაფრთხოებისა და რეაბილიტაციის უზრუნველყოფისთვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

რამდენიმე კვირის შემდეგ, განმცხადებელმა სახელმწიფო საბჭოს მიმართა ამ ბრძანებების და მათ საფუძველზე მინისტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გაუქმების მოთხოვნით.

2000 წლის 26 აპრილის განხილვის შემდეგ, 2000 წლის 19 მაისს სახელმწიფო საბჭომ, 1997 წლის 29 სექტემბრის შემადგენლობისგან განსხვავებული შემადგენლობით, გადაწყვიტა, ნაწილობრივ გაეუქმებინა სადავო ზომები.

აქედან 1 კვირაში, 2000 წლის 26 მაისს, საფრანგეთის პრეზიდენტმა 26 აპრილის განხილვაში მონაწილე სახელმწიფო საბჭოს ერთ-ერთი წევრი დანიშნა ეკონომიკის, ფინანსთა და ინდუსტრიის სამინისტროს გენერალურ მდივანად.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ სახელმწიფო საბჭო არ იყო დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორი მიზეზით: ა) მას სასამართლო უფლებამოსილების გარდა ადმინისტრაციული უფლებამოსილებაც ჰქონდა, რითიც ირღვეოდა ხელისუფლების დანაწილების პრინციპი: სახელმწიფო საბჭო ჩართული იყო, მათ შორის, იმ აქტების შემუშავებაში, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეცვალეს „სამთო სამუშაოების კოდექსი“ (ამ შემთხვევაში, 1997 წლის 29 სექტემბრის მოსაზრება); ბ) განმცხადებლის საქმის განმხილველი მოსამართლე ეკონომიკის

185 საფრანგეთის სახელმწიფო საბჭო არის ორგანო რომლის უფლებამოსილება მოიცავს აღმასრულებელი ხელისუფლების სამართლებრივი მრჩეველის ფუნქციას, ამავდროულად ის ახორციელებს უზენაესი სასამართლოს უფლებამოსილებას ადმინისტრაციულ საქმეებზე.

სამინისტროს გენერალური მდივანი გახდა გადაწყვეტილების მიღებიდან 1 კვირაში. ასევე, ზოგადად, ექსკლუზიურად სასამართლო უფლებამოსილებას სახელმწიფო საბჭოს არც ერთი წევრი არ ახორციელებდა და ისინი ხშირად იკავებდნენ წამყვან პოზიციებს სხვა სახელმწიფო სამსახურებში. ასევე, კანონმდებლობაში არ არსებობდა დამოუკიდებლობის გარანტიები მოსამართლეთა მიუკერძოებლობისთვის.

საფრანგეთის სახელმწიფოს პოზიციით, სახელმწიფო საბჭოს წევრების დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილი იყო დამოუკიდებლობის მყარი ტრადიციით, რაც საკმარისი იყო იმის მიუხედავად, რომ დაწერილ კანონმდებლობაში არ არსებობდა მსგავსი ჩანაწერები. ასევე, აქტების შემუშავებაში სახელმწიფო საბჭოს ჩართულობას წინასწარი შემოწმების ხასიათი ჰქონდა, რომ შეესწორებინათ ის ხარვეზები, რაც მთავრობის რეგულაციებში იყო და ამიტომ ეს პრაქტიკა, პირიქით, მხარის სასარგებლო იყო. რაც შეეხება საქმის განმხილველი მოსამართლის დანიშვნას სამინისტროს გენერალურ მდივანად, ეს არ იყო საკმარისი საფუძველი მისი დამოუკიდებლობის პრეზუმფციის გასაბათილებლად.

გადაწყვეტილების დასაბუთებაში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლომ შემდეგი განმარტებები გააკეთა: იმისთვის, რომ სასამართლო დამოუკიდებლად ჩაითვალოს, უნდა მიექცეს ყურადღება, მათ შორის, მოსამართლეთა დანიშვნის წესსა და ხანგრძლივობას, გარე ზეწოლისგან დამცავი გარანტიების არსებობას და იმას, გარე დამკვირვებლის პერსპექტივიდან ეს ორგანო დამოუკიდებელია თუ არა. გადაწყვეტილებაში სასამართლო იმეორებს, რომ ხელისუფლების დანაწილების პრინციპი აღმასრულებელ და სასამართლო შტოებს შორის არ არის განსაზღვრული კონვენციის მე-6 ან რომელიმე სხვა მუხლით და სახელმწიფოები არ არიან ვალდებული, მიყვნენ რომელიმე კონსტიტუციურ თეორიას ხელისუფლების შტოებს შორის თანამშრომლობის დასაშვები ლიმიტის განსაზღვრად. თუმცა, სასამართლო ხაზს უსვამს, რომ პრაქტიკაში უფრო და უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ხელისუფლების პოლიტიკურ და სასამართლო შტოებს შორის უფლებამოსილებების დანაწილებას.<sup>186</sup>

ამასთან, სასამართლომ განმარტა, რომ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტიების შესახებ წერილობითი ჩანაწერის არ არსებობა ავტომატურად არ ნიშნავს მოსამართლეთა დამოუკიდებულებას ხელისუფლების პოლიტიკურ შტოებზე, არამედ საჭიროა პრაქტიკაზე დაკვირვება.

ევროპული სასამართლო მიუთითებს, რომ სახელმწიფო საბჭო ფრანგულ სისტემაში ორგანულად დაკავშირებულია აღმასრულებელ ხელისუფლებასთან,

186 Sacilor-Lormines v. France, no. 65411/01, §59, ECHR 2006-XIII

თუმცა ეს არ არის საკმარისი იმისთვის რომ ავტომატურად დადგინდეს მისი დამოუკიდებლობის დარღვევა. ამასთან, რაც მნიშვნელოვანია, სასამართლო ხელისუფლების წევრები შეიძლება დანიშნული იყვნენ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ისინი სუბორდინაციულ დამოკიდებულებაში არიან მათთან მიმართებით. ამ კუთხით გადამწყვეტია იმის დადგენა არსებობს თუ არა გარანტიები, რომლებიც გამორიცხავს რაიმე სახის ზენოლის განხორციელების ან ინსტრუქციების მიღების შესაძლებლობას დანიშვნის შემდგომ, სასამართლო უფლებამოსილების განხორციელების დროს.<sup>187</sup>

სასამართლო მიუთითებს, რომ მართალია კანონმდებლობაში არ არსებობდა ცხადი ჩანაწერი, რომელიც უზრუნველყოფდა სახელმწიფო საბჭოს წევრების შეუცვლელობის გარანტიას, თუმცა არსებობდა მყარი პრაქტიკა, რომლითაც სახელმწიფო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი გარე ჩარევისგან დამოუკიდებლად იღებდა შიდა მენეჯმენტთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს, რითაც დაცული იყო შესაძლო პოლიტიკური ზენოლისგან.

მნიშვნელოვანია, რომ ამ შემთხვევაში სასამართლომ ცალკე განიხილა 2000 წლის 26 მაისს ერთ-ერთი მოსამართლის ეკონომიკის, ფინანსთა და ინდუსტრიის სამინისტროს გენერალურ მდივნად დანიშვნის ფაქტი აყენებდა თუ არა სასამართლოს მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობას ექვემდებარებული დამკვირვებლის თვალში.

სასამართლო მსჯელობის თანახმად, იმის მიუხედავად, რომ მოსამართლის ამ პოზიციაზე დანიშვნა არ უსწრებდა წინ საქმის განხილვას, სავარაუდოდ, მისი კანდიდატურის განხილვა 2000 წლის 26 აპრილამდე (საქმის არსებით განხილვამდე) დაიწყო. ვინაიდან განმცხადებელს ბევრი სამართლებრივი ხასიათის დავა ჰქონდა სწორედ ეკონომიკის, ფინანსთა და ინდუსტრიის სამინისტროსთან, ეს მოსამართლე საქმის განხილვის დროს, ევროპული სასამართლოს შეფასებით, ვერ დააკმაყოფილებდა ობიექტური მიუკერძოებლობის და დამოუკიდებლობის სტანდარტებს, ვინაიდან ამ შემთხვევაში გარე გავლენისგან დასაცავი საკმარისი გარანტიები არ არსებობდა. შესაბამისად, სასამართლოს ამ შემადგენლობის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობაში შეტანილი ეჭვები ობიექტურად გამართლებული იყო, რის გამოც ამ ნაწილში დადგინდა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა.

აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილებას თან ერთვის სამი მოსამართლის ნაწილობრივ განსხვავებული აზრი, რომელიც ასაბუთებს, რომ სასამართლოს მსჯელობა ბოლო ნაწილში, სადაც დადგინდა სამართლიანი სასამართლოს

187 Campbell and Fell v. the United Kingdom, judgment of 28 June 1984, Series A no. 80, §79; Loyen v. France (dec.), no. 46022/99, 27 April 2000; and Filippini v. San Marino (dec.), no. 10526/02, 26 August 2003).

უფლების დარღვევა, ეფუძნებოდა მხოლოდ ვარაუდებს იმის შესახებ, რომ მოსამართლის კანდიდატურის განხილვა სამინისტროს გენერალური მდივნის თანამდებობაზე გადანყვეტილების მიღებამდე დაიწყო და კავშირი მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნასა და მისი დამოუკიდებლობის ეჭვებს შორის ცხადად არ იყო დასაბუთებული. სასამართლოს მსჯელობა ეფუძნებოდა ვარაუდებს და არა ფაქტებს, რაც, მათი აზრით საკმარისი არაა ობიექტური ეჭვის შესატანად აღნიშნული მოსამართლის დამოუკიდებლობაში.

სასამართლოს დამოუკიდებლობის ცნების განმარტებასთან დაკავშირებით შემდეგი საინტერესო გადანყვეტილება საქმეზე THIAM v. FRANCE. საქმის ფაქტობრივი მონაცემებით აპლიკანტის წინააღმდეგ სისხლისამართლებრივ დევნას, როგორც კერძო პირი, ასევე შეუერთდა საფრანგეთის იმდროინდელი პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი. საბოლოოდ აპლიკანტი ფრანგული სასამართლოების მიერ დამნაშავედ იქნა ცნობილი.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ საქმის განმხილველი მოსამართლეთა დანიშვნა და ასევე სამომავლო კარიერა დამოკიდებული იყო პრეზიდენტის უფლებამოსილებაზე, რაც მისი საქმის განმხილველი სასამართლოს დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას ეჭვქვეშ აყენებდა.

გადაწყვეტილებაში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სასამართლოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით, განმარტა, რომ აპლიკანტმა ვერ შეძლო წარმოედგინა უშუალო ფაქტები იმასთან დაკავშირებით, რომ საკასაციო სასამართლომ გადანყვეტილება მიიღო პრეზიდენტის პირდაპირი ინსტრუქციის ან რაიმე სხვა სახის აშკარა მიკერძოებულობაზე დაყრდნობით. ამ მსჯელობიდან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ საქმეში არ ჩანდა არანაირი გარემოება იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლო იყო მიკერძოებული და არ იყო დამოუკიდებელი.

სასამართლოს შეფასებით, პრეზიდენტის მიერ მოსამართლეთა დანიშვნა, მოსამართლეთა ავტომატურად აღმასრულებელ ხელისუფლებასთან სუბორდინაციულ მდგომარეობაში არ აყენებს. მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადა განსაზღვრული იყო კონსტიტუციით და კანონმდებლობაში არსებობდა მთელი რიგი გარანტიები მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის. მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლეთა დისციპლინური პროცესი და დანინაურება ხდებოდა დამოუკიდებელი ორგანოს იუსტიციის საბჭო (CSM) მიერ და პრეზიდენტის ჩართულობა ამ პროცესში მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მე-6 მუხლის დარღვევა არ დაადგინა.

მოსამართლეების დანიშვნის წესთან დაკავშირებით ასევე საინტერესოა საქმე *Brudnicka and Others v. Poland*, სადაც სასამართლომ იმსჯელა, რამდენად შეესაბამებოდა პოლონეთის კანონმდებლობაში არსებული საზღვაო სამართლის პალატის (*Maritime Chambers*) მიერ საქმის განხილვა კონვენციის მე-6 მუხლის „დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის“ სტანდარტებს.

საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, 1993 წელს ბალტიის ზღვაში ჩაიძირა გემი, რომელზე მყოფი 64 მგზავრიდან 55 გარდაიცვალა. საქმის გამოსაძიებლად პოლონეთის ხელისუფლებამ შექმნა რამდენიმე კომისია, რომელთა შეფასებით გემი ჩაიძირა მისი მესაკუთრეების და ეკიპაჟის ერთობლივი ბრალით.

ამისგან გასხვავებით შემდგომში გდანსკის სასამართლოს საზღვაო სამართლის პალატამ დაადგინა, რომ ეკიპაჟი მხოლოდ ნაწილობრივ იყო პასუხისმგებელი და ბუნებრივმა პირობებმა თავისი როლი ითამაშა.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში განმცხადებლები გარდაცვლილი პირების ნათესავები იყვნენ, რომლებიც მიუთითებდნენ, რომ პოლონეთის საზღვაო სამართლის პალატები ვერ აკმაყოფილებდნენ დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნებს, პალატებში მოსამართლეების დანიშვნის წესის გათვალისწინებით.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადანყვეტილებაში განმარტა, რომ ვინაიდან საზღვაო სამართლის პალატების გადანყვეტილებები საბოლოოა და არ საჩივრდება სხვა ზემდგომ სასამართლოში, საჭიროა დადგინდეს, კმაყოფილდებოდა თუ არა ამ ორგანოს მიმართ კონვენციის მე-6 მუხლით განსაზღვრული დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნები.

სასამართლო აქაც განმარტავს, რომ სასამართლოს „დამოუკიდებლობის“ შეფასების დროს ყურადღება უნდა მიექცეს, მათ შორის, მისი წევრების დანიშვნის წესს და ხანგრძლივობას, გარე ზეწოლისგან დამცავი გარანტიების არსებობას და იმ საკითხს სასამართლო გარე ობიექტური დამკვირვებლის თვალში ჩანს თუ არა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე რომ საზღვაოსნო პალატების წევრების (პრეზიდენტის და ვიცე-პრეზიდენტის) დანიშვნის და გათავისუფლების უფლებამოსილება ჰქონდა ოუსტიციის მინისტრს ტრანსპორტისა და საზღვაოსნო საქმეების მინისტრთან შეთანხმებით. ამ პირების თანამდებობაზე ყოფნა დამოკიდებულია მინისტრების გადანყვეტილებაზე, რის გამოც ისინი აღმასრულებელი ხელისუფლების დაქვემდებარებულად ჩაითვალნენ.

აქედან გამომდინარე, ევროპული სასამართლოს შეფასებით პოლონეთში არსებული საზღვაო სამართლის პალატები ვერ ჩაითვლება მიუკერძოებელ

და დამოუკიდებელ სასამართლოებად, რომლებიც აკმაყოფილებენ კონვენციის მე-6 მუხლის კრიტერიუმებს.<sup>188</sup>

## 4.2 სასამართლოს დამოუკიდებლობის ცნება ხელისუფლების სხვა შტოებისგან

სასამართლო დამოუკიდებლობის ცნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი არის მისი დამოუკიდებლობა საკანონმდებლო ხელისუფლებისგან. კანონის უზენაესობის და საქმის სამართლიანი სასამართლოს მიერ განხილვის პრინციპი გამორიცხავს საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ მართლმსაჯულების სისტემაში ნებისმიერ ჩარევას, რომელიც მიზნად ისახავს ზეგავლენის მოხდენას სასამართლოს მიერ საქმის გადანყვეტაზე.<sup>189</sup>

საქმეში *Pabla Ky V. Finland* ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა, რამდენად იყო განმცხადებლის საქმის განმხილველი სააპელაციო სასამართლო დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი კონვენციის მე-6 მუხლის სტანდარტების შესაბამისად, ვინაიდან ერთ-ერთი მოსამართლე ასევე პარლამენტის წევრი იყო.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შეტანილ სარჩელში განმცხადებელი მიუთითებდა, რომ ხელისუფლების დანაწილების პრინციპს არღვევდა მ.პ.-ს მიერ ერთდროულად როგორც საკანონმდებლო და ასევე სასამართლო ხელისუფლების განხორციელება.

ფინეთის სახელმწიფოს პოზიციით, მ.პ. იყო ფინეთის კანონმდებლობის შესაბამისად ამ საქმის განმხილველ პალატაში მონვეული ორი ექსპერტიდან ერთ-ერთი, სადაც კიდევ სამი პროფესიონალი მოსამართლე განიხილავდა საქმეებს მათთან ერთად. შესაბამისად, მ.პ. უმცირესობაში იყო. ასევე, განმცხადებელს არ დაუსაბუთებია, რომ მ.პ.-ს პარლამენტის წევრობა ავტომატურად ხელს შეუშლიდა მის მიერ ექსპერტის ფუნქციის გახორციელებას სასამართლოში.

გადაწყვეტილებაში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პირველ რიგში გაამახვილა ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ არ არსებობს მ.პ.-ს სუბიექტურ მიუკერძოებლობაში დაქვევების რაიმე საფუძველი. ერთადერთი განსახილველი საკითხი არის ობიექტური დამკვირვებლისთვის მიუკერძოებლად ჩაითვლება თუ არა სასამართლო, რომლის ერთ-ერთი წევრი პოზიციას იკავებდა საკანონმდებლო ორგანოშიც.

188 *Brudnicka and Others v. Poland*, no. 54723/00, §41., ECHR 2005-II

189 *Stran Greek Refineries and Stratis Andreadis v. Greece* (9 December 1994, § 49, Series A no. 301-B),

სასამართლოს მითითებით, სამართლებრივი განათლების არ მქონე პირის მონაწილეობა საქმის განხილვაში მოსამართლეებთან ერთად ავტომატურად არ არის კონვენციის საწინააღმდეგო, შესაბამისად, ორი მოწვეული ექსპერტის, მათ შორის მ.პ.-ს, ყოფნა სასამართლოში თავისთავად პრობლემას არ წარმოშობს.

ასევე, მიუხედავად იმისა, რომ მ.პ. პოლიტიკური პარტიის წევრი იყო, მნიშვნელოვანია, რომ საქმის რომელიმე მხარესთან მისი კავშირი არ დასტურდებოდა. ასევე, არ ჩანდა, რომ მ.პ. როგორც კანონმდებელი მონაწილეობას იღებდა აპლიკანტის საქმეში გამოსაყენებელი კანონმდებლობის შექმნაში, რადგან აღნიშნული ნორმები მ.პ.-ს პარლამენტში არჩევამდე იყო მიღებული.<sup>190</sup>

შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ აღნიშნული საქმე განსხვავდებოდა საქმისგან „პროკოლა ლუქსემბურგის წინააღმდეგ“<sup>191</sup> და „მაკგონელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“,<sup>192</sup> ვინაიდან აღნიშნული საქმეებისგან განსხვავებით, მ.პ.-ს სასამართლო ფუნქციების შესრულებამდე საქმის შინაარსთან დაკავშირებული საკანონმდებლო, აღმასრულებელი ან მრჩეველის უფლებამოსილება არ განუხორციელებია.

აქედან გამომდინარე, სასამართლომ არ მიიჩნია, რომ მხოლოდ ის ფაქტი, რომ მ.პ. საკანონმდებლო ორგანოს წევრი იყო მაშინ, როდესაც კომპანიის საჩივარს განიხილავდა სასამართლოში, საკმარისი იყო მის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაში ეჭვის შესატანად. შესაბამისად, განმცხადებლის აპელირება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე არ ჩაითვალა გადამწყვეტად ამ შემთხვევაში.

საქმეს თან ერთვის განსხვავებული აზრი, რომლის თანახმადაც ხელისუფლების დანაწილების პრინციპი სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითადი კომპონენტია და ის გათვალისწინებული უნდა იყოს სამართლიანი სასამართლოს უფლების განმარტების დროს. განსხვავებულ აზრში შეჯამებული იყო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1980 წლამდელი პრაქტიკა, სადაც აღნიშნული იყო, რომ „დამოუკიდებლობის ცნება, რომელიც მე-6 მუხლში ჩნდება, ნიშნავს, რომ სასამართლოები დამოუკიდებელნი უნდა იყვნენ როგორც აღმასრულებელი შტოსგან, ასევე – მხარეებისგან და იგივე დამოუკიდებლობა უნდა მიიღწეოდეს საკანონმდებლო ორგანოს, ე.ი. პარლამენტის, მიმართ“.<sup>193</sup>

190 Pabla Ky v. Finland, no. 47221/99, §33, ECHR 2004-V

191 Procola v. Luxembourg, განცხადების no. 14570/89, 1985 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება, Series A no. 326.

192 McGonnell v. the United Kingdom, განცხადების no. 28488/95, ECHR 2000-II.

193 Pabla Ky v. Finland, no. 47221/99, ECHR 2004-V DISSENTING OPINION OF JUDGE BORREGO BORREGO

საქმეში *Agrokompleks v. Ukraine* ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ასევე იმსჯელა სასამართლოს დამოუკიდებლობის ცნების ელემენტებზე საქმეში განმცხადებელი იყო უკრაინაში რეგისტრირებული კერძო კომპანია, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შეტანილ საჩივარში ამტკიცებდა, რომ სამართალწარმოება კომპანიის წინააღმდეგ არ იყო დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი, ძლიერი პოლიტიკური ზენოლისა და სამართლებრივი შედეგების მიმართ ძლიერი ინტერესის მქონე თანამდებობის პირების უწყვეტი კონტროლის გათვალისწინებით. ის უთითებდა მაღალი თანამდებობის პირების დამოკიდებულებაზე სასამართლოსა და მოპასუხე მხარის მიმართ.

საქმეზე მოპასუხე უკრაინის სახელმწიფოს პოზიციით სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა მკაცრადაა დაცული უკრაინის კონსტიტუციაში და იმის მიუხედავად, რომ მსგავსი ზენოლის მცდელობის ფაქტებს მართლაც ჰქონდა ადგილი, მისი წარმატებულობის დამამტკიცებელი საბუთი არ არსებობდა.

კონვენციის მე-6 მუხლის განხილვის კონტექსტში სასამართლომ აღნიშნა, რომ კონკრეტულად დაინტერესებული პირის პერსპექტივიდან სასამართლო მიკერძოებულად ჩანს თუ არა მნიშვნელოვანია, მაგრამ არა გადამწყვეტი. გადამწყვეტია ის, ამ ეჭვის ობიექტურად გამართლება არის თუ არა შესაძლებელი.<sup>194</sup>

გადამწყვეტილებაში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა სახელმწიფო მოხელეების მიერ სამართლებრივ პროცესზე გავლენის მოხდენის ღია და ხშირ მცდელობებს.

ამ შემთხვევაშიც, *Sovtransavto Holding*-ის საქმის<sup>195</sup> მსგავსად, სასამართლო თვლის, რომ არ არის რელევანტური, ჩარევის სადავო მცდელობებმა მართლა მოახდინა თუ არა გავლენა სამართალწარმოებაზე. აღმასრულებელი და საკანონმდებლო შტოების მიერ სასამართლოში ჩარევის მცდელობა უკვე აჩენს მათ მიერ სასამართლოს მიმართ უპატივცემულობას, შესაბამისად ობიექტურად საფუძვლიანია სასამართლოს მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობაში განმცხადებლის მიერ შეტანილი ეჭვები.

სასამართლოს შეფასებით, იმის მიუხედავად, რომ საქმე უკრაინაში უდიდეს ნავთობგადამამუშავებელ კომპანიას ეხებოდა, დაინტერესებული თანამდებობის პირები არ ინარჩუნებდნენ პასიური დამკვირვებლის როლს და ცხადად ერეოდნენ სამართალწარმოებაში, რაც მიუღებელია.

194 *Agrokompleks v. Ukraine*, no. 23465/03, §127 6 October 2011

195 *Sovtransavto Holding v. Ukraine*, no. 48553/99, ECHR 2002-VII



სასამართლო ამ ნაწილში ხაზს უსვამს, რომ სახელმწიფოს ვალდებულება უზრუნველყოს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა არ ეხება მხოლოდ სასამართლო შტოს. ეს ასევე გულისხმობს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და ნებისმიერი სხვა სახელმწიფო ორგანოს ვალდებულებას, პატივი სცეს სასამართლოს და აღასრულოს მისი გადაწყვეტილებები მაშინაც, როდესაც არ ეთანხმებიან მას. შესაბამისად, სახელმწიფოს ნდობა სასამართლოს მიმართ აუცილებელი პირობაა სახალხო ნდობისთვის და, უფრო ზოგადად, კანონის უზენაესობისთვის. ამ მიზანს მხოლოდ კონსტიტუციური გარანტიები ვერ აღწევს, ისინი უნდა იყოს გადმოტანილი ადმინისტრაციის ყოველდღიურ საქმიანობაში და დამოკიდებულებაში სასამართლოს მიმართ.

ამ საქმეში სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობისთვის ობიექტური პერსპექტივიდან, არსებობს მოთხოვნა, რომ თითოეული მოსამართლე იყოს თავისუფალი ზეგავლენისგან არა მხოლოდ გარე ზეწოლისგან, არამედ სასამართლოს სისტემის შიგნიდან მომდინარე შესაძლო ჩარევებისგანაც. სასამართლოს შიდა დამოუკიდებლობა მოითხოვს, რომ მოსამართლეები კონკრეტული საქმის განხილვის დროს იყვნენ თავისუფალნი მათი კოლეგების მხრიდან მომდინარე ნებისმიერი სახის დირექტივებისგან და ზეწოლისგან. ასევე მათგან, ვინც ადმინისტრაციულ უფლებამოსილებას ახორციელებს სასამართლოში – მაგალითად, სასამართლოს თავმჯდომარისგან. ამ მხრივ კანონმდებლობაში ცხადი გარანტიების არ არსებობა შეიძლება ობიექტურად ამართლებდეს განმცხადებლის ეჭვებს სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით.

#### **4.3 სასამართლოს დამოუკიდებლობის ცნება სასამართლო სისტემის მენეჯმენტის განმახორციელებელი ორგანოების მიმართებით და სასამართლოს შიდა დამოუკიდებლობის ცნება**

მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობის ცნება გულისხმობს არამარტო სისტემის გარედან მომდინარე შესაძლო ჩარევების აკრძალვას, არამედ იგი თავის თავში ასევე მოიცავს სასამართლო სისტემის შიგნიდან შესაძლო ზეწოლის განხორციელების დაუშვებლობასაც.

საქმეში *Volkov v. Ukraine* განმცხადებელი, ოლექსანდრ ვოლკოვი იკავებდა უკრაინის უზენაესი სასამართლოს სამხედრო პალატის თავმჯდომარის პოსტს, რომელიც 2010 წელს პოზიციიდან „ფიცის გატეხვის“ საფუძველით გაათავისუფლეს.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შეტანილ საჩივარში განმცხადებელი უთითებდა, რომ მის საქმეზე დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის პრინციპის უზრუნველყოფის კუთხით პრობლემები იყო როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, ასევე – საპარლამენტო კომიტეტის, პარლამენტის პლენარული სხდომის და უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს ეტაპებზე.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ეტაპზე დამოუკიდებლობის პრობლემებზე საუბრისას, განმცხადებელი ყურადღებას ამახვილებდა მის შემადგენლობას და მისი წევრების დამოკიდებულებას სხვა სახელმწიფო ორგანოებზე. ასევე, უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლო სათანადოდ ვერ ასწორებდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ეტაპზე წარმოშობილ პრობლემებს, რადგან საქმე სათანადო პროცედურების დაცვით არ განიხილა და ამ ორგანოს მიმართაც არსებობდა კითხვის ნიშნები მის მიუკერძოებლობასთან და დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით.

სახელმწიფოს თანახმად, ადგილობრივი კანონმდებლობა შეიცავდა საკმარის გარანტიებს ამ ორგანოების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობისთვის. ასევე, უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს მიუკერძოებლობაზე დავის საფუძველიც არ არსებობდა, რაზეც მონიშნავდა მათ მიერ განხილული არაერთი საქმე, სადაც მოსამართლეების თანამდებობიდან გათავისუფლება უკანონოდ ჩაითვალა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გადაწყვეტილებაშიც ხაზს უსვამს მიუკერძოებლობის ობიექტური მხარის მნიშვნელობას და მის კავშირს სასამართლოს დამოუკიდებლობასთან. სასამართლო მიუთითებს, რომ მართლმსაჯულება არა მხოლოდ უნდა აღსრულდეს, არამედ ასევე საჯაროდ უნდა ჩანდეს რომ იგი აღსრულდა.<sup>196</sup>

სასამართლოს შეფასებით, სასამართლოს მიუკერძოებლობის სუბიექტურ და ობიექტურ სტანდარტებს შორის არ არსებობს ერთმნიშვნელოვანი განსხვავება. მოსამართლის ქმედება, რომელიც გარე დამკვირვებლის თვალში ობიექტურად აღძრავს ეჭვებს მის მიუკერძოებლობის შესახებ ასევე შეიძლება მიაჩნებდეს მის სუბიექტურ მიკერძოებულობაზეც (სუბიექტური ტესტი). თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში როცა ძალიან რთულია მოსამართლის სუბიექტური მიკერძოებულობის მტკიცება, ობიექტური მიკერძოების ტესტი ითვალისწინებს დამატებით მნიშვნელოვან გარანტიას ამ კუთხით.<sup>197</sup>

196 Oleksandr Volkov v. Ukraine, no. 21722/11, §106, ECHR 2013

197 Pullar v. the United Kingdom, 10 June 1996, §32, Reports 1996-II

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შეფასების დროს ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ზოგადად როცა გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს შემადგენლობაში ნახევარზე მეტი მოსამართლეა, ეს თავისთავად მიუკერძოებლობის მყარი გარანტიაა, ამ შემთხვევაში კი იუსტიციის უმაღლეს საბჭოში 3-3 წევრს ნიშნავდა უკრაინის პრეზიდენტი და პარლამენტი, 2-ს უკრაინის პროკურორების კონფერენცია. ასევე, იუსტიციის მინისტრი და გენერალური პროკურორი მათი თანამდებობრივი სტატუსიდან გამომდინარე იყვნენ ამ საბჭოს წევრები.

მნიშვნელოვანია, რომ ვოლკოვის საქმის განხილვისას, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 16 წევრიდან მხოლოდ 3 იყო მოსამართლე. 16 წევრიდან მხოლოდ 4-ის ძირითადი საქმიანობა იყო საბჭოს წევრობა, დანარჩენი 12 წევრი კი ანაზღაურებას იღებდა სხვა ორგანოებიდან, რაც მატერიალურ, იერარქიულ და ადმინისტრაციულ დამოკიდებულებას გულისხმობს ხელისუფლების სხვა ორგანოებზე. სასამართლოს შეფასებით, ეს დამოკიდებულება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს იმაზე, რამდენად შეესაბამებოდა იუსტიციის უმაღლესი საბჭო დამოუკიდებლობისა და ობიექტური მიუკერძოებლობის სტანდარტებს.

სასამართლოს შეფასებით პრობლემურია ისიც, რომ გენერალური პროკურორი, ვისაც სხვა პროკურორებიც ემორჩილებიან და ვის საქმეებსაც განიხილავენ დანიშნული მოსამართლეები, მონაწილეობს ამ მოსამართლეების თანამდებობაზე დანიშვნის და მისი გადაყენების პროცესში. მითუმეტეს იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში 3 მოსამართლე და 2 პროკურორი იყო ამ შემთხვევაში.

შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ ვოლკოვის საქმის განხილველ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებლობის და ობიექტური მიუკერძოებლობის გარანტიები არ შეესაბამებოდა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნებს.

რაც შეეხება საპარლამენტო განხილვის ეტაპების შეფასებას, სასამართლომ აღნიშნა, რომ საკანონმდებლო ორგანოს მიერ საქმის გადაწყვეტა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებულობის სტრუქტურულ პრობლემებს არათუ აღმოფხვრის, არამედ ახდენს საკითხის პოლიტიზირებას და ამძიმებს ხელისუფლების დანაწილების პრინციპის დაცვის ხარვეზულობას.

პრობლემური იყო ისიც, რომ სახელმწიფომ ვერ შეძლო აეხსნა პოლიტიკოსების ჩართულობის საჭიროება იმ კომპლექსური სამართლებრივი საკითხების გადაჭრისთვის, რომელიც ინდივიდუალურ დისციპლინურ პასუხისმგებლობას ეხებოდა. ეს პრობლემური იყო, რადგან პოლიტიკოსებს მოსამართლის ან სხვა ტიპის გამოცდილება არ მოეთხოვებოდათ სამართლის სფეროში.

შესაბამისად, პარლამენტის პლენარული სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა აპლიკანტის დისციპლინური საქმე, ვერ ჩაითვლება მიუკერძოებელ და დამოუკიდებელ სასამართლოდ კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებისთვის.

რაც შეეხება უკრაინის უმაღლეს ადმინისტრაციულ სასამართლოს, სასამართლომ არ მიიჩნია, რომ უკრაინის უმაღლესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ სათანადოდ განიხილა საქმე. პირველ რიგში, შეფასდა, რამდენად ჰქონდა უმაღლეს ადმინისტრაციულ სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ხარვეზების გამოსწორების უფლებამოსილება. ამ ნაწილში, დადგინდა, რომ უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს გადანყვეტილება მხოლოდ დეკლარაციული ხასიათის იყო და არ ცვლიდა მომჩივანის სამართლებრივ მდგომარეობას სადავო აქტის უკანონოდ გამოცხადების შემთხვევაშიც.

სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ თვითონ უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოც ვერ აკმაყოფილებდა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნებს, რადგან მისი მოსამართლეებიც ექვემდებარებოდნენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დისციპლინურ იურისდიქციას. იუსტიციის უმაღლესი საბჭო განსაზღვრავდა მათ კარიერულ წინსვლას, დისციპლინურ პასუხისმგებლობას და თანამდებობიდან გათავისუფლებასაც. ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის გარანტიები არ არსებობდა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს მოსამართლეების მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა, კონვენციის მე-6 მუხლის სტანდარტების შესაბამისად სათანადოდ დაცული არ იყო.

საბოლოოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილობრივი ორგანოები ვერ უზრუნველყოფდნენ განმცხადებლის საქმის დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ განხილვას, რაც ვერ გამოსწორდა საქმის შემდგომი განხილვის დროსაც. შესაბამისად, დადგინდა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა.

საქმის სტანდარტები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ასევე გამოყენებულ იქნა გადანყვეტილებაში საქმეზე **Denisov v. Ukraine**. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა განმცხადებლის, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლების პროცესი რამდენად შესაბამისი იყო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტთან და ამ გადანყვეტილების მიმღები ორგანოები აკმაყოფილებდნენ თუ არა მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნებს.

სასამართლომ გამოყო 5 მნიშვნელოვანი კრიტერიუმი ვოლკოვის საქმის მიხედვით, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭო:

1) მსგავს ორგანოში მოსამართლეთა წარმომადგენლობის მნიშვნელობა; 2) სხვა პოლიტიკური ორგანოებისგან დამოუკიდებლობის მინიმიზაციისთვის მოსამართლეთა დანიშვნის სათანადო წესი; 3) მოსამართლეთა მატერიალური, იერარქიული და ადმინისტრაციული დამოუკიდებლობა ამ ორგანოს გარეთ მყოფი თანამდებობის პირებისგან; 4) პროკურორების შეზღუდული ჩართულობა მოსამართლეთა შერჩევის/დისციპლინირების პროცესში, რომ გამოირიცხოს მათი გავლენა სასამართლოზე; 5) გამოძიების პროცესში მონაწილე წევრები ასევე იღებდნენ თუ არა მონაწილეობას საქმის საბოლოო გადაწყვეტის პროცესში.

ვოლკოვის საქმის მსგავსად ამ საფუძვლების განხილვის შემდგომ, დადგინდა, რომ აპლიკანტის საქმის განმხილველი იუსტიციის უმაღლესი საბჭო და უმაღლეს ადმინისტრაციულ სასამართლო არ შეესაბამებოდა მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს.

#### **4.4 მოსამართლის დამოუკიდებლობის სუბიექტური უფლება კონვენციის მე-6 მუხლის ფარგლებში**

კონვენციის მე-6 მუხლის კონტექსტში ევროპული სასამართლო, როგორც წესი, აფასებს სასამართლო პროცესში ჩართულ მხარეს ჰქონდა თუ არა შესაძლებლობა ესარგებლა დამოუკიდებელი სასამართლოს უფლების გარანტიით. თუმცა, ამის პარალელურად საინტერესოა შეფასდეს, არის თუ არა კონკრეტული მოსამართლის სუბიექტური უფლება ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით განსაზღვრული დამოუკიდებელი სასამართლოს უფლებით დაცული?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა განვსაზღვროთ შესაძლებელია თუ არა კონვენციის მე-6 მუხლის იმდაგვარად ინტერპრეტაცია, რომ მის დაცულ სფეროში მოაზრებულ იქნას კონკრეტული მოსამართლის დამოუკიდებლობის დაცვის გარანტიები. აღნიშნულ კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში, მოსამართლეს, რომელთა დამოუკიდებლობასაც საფრთხე შეექმნება, შეეძლება უშუალოდ დაეყრდნონ კონვენციის მე-6 მუხლს თავისი უფლების დასაცავად და არ დასჭირდებათ იმის მტკიცება, რომ დამოუკიდებლობის შელახვამ პარალელურად გამოიწვია მაგალითად გამონატვის თავისუფლების ან სხვა რომელიმე კონვენციით დაცული უფლების შელახვა. ამგვარი მიდგომა შეიძლება ითქვას, რომ გაამყარებდა სასამართლოს დამოუკიდებლობის დაცვის გარანტიებს. აღსანიშნავია, რომ ზემოთაღნიშნული სტანდარტი ჯერჯერობით არ არის გაზიარებული ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებში, თუმცა საქმეზე *Baka v. Hungary*

მოსამართლე სიცილიანოს მიერ განვითარებული იქნა ამგვარი მოსაზრება, მის თანმხვედრ აზრში.<sup>198</sup> მოსამართლე მიუთითებს, რომ სამართლის უზენაესობის პრინციპი, რომელიც კონვენციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია, ძნელად წარმოსადგენია მიიღწეს სახელმწიფოების მიერ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის ვალდებულების გარეშე. აქედან გამომდინარე, მოსამართლეთა სუბიექტური უფლება დაცული იქნეს მათი დამოუკიდებლობა, უნდა იქნეს აღიარებული კონვენციის მე-6 მუხლზე დაყრდნობით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შეუძლებელია მოსამართლეებმა უზრუნველყონ სხვა პირების სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება, თუ პირველ რიგში, მათი დამოუკიდებლობა არ არის გარანტირებული კონვენციის მე-6 მუხლით.

## დასკვნა

იმისთვის, რომ კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებისთვის სასამართლო დამოუკიდებლად ჩაითვალოს, უნდა მიექცეს ყურადღება, მათ შორის, მოსამართლეთა დანიშნვის წესსა და ხანგრძლივობას, გარე ზეწოლისგან დამცავი გარანტიების არსებობას და იმას, გარე დამკვირვებლის პერსპექტივიდან ეს ორგანო დამოუკიდებელია თუ არა. გადწყვეტილებაში სასამართლო იმეორებს, რომ ხელისუფლების დანაწილების პრინციპი აღმასრულებელ და სასამართლო შტოებს შორის არ არის განსაზღვრული კონვენციის მე-6 ან რომელიმე სხვა მუხლით და სახელმწიფოები არ არიან ვალდებული, მიყვნენ რომელიმე კონსტიტუციურ თეორიას ხელისუფლების შტოებს შორის თანამშრომლობის დასაშვები ლიმიტის განსაზღვრად.

სასამართლოს დამოუკიდებლობა მოითხოვს რომ ინდივიდუალური მოსამართლეები დამოუკიდებლები იყვნენ, არამარტო გარედან მომდინარე ზეწოლისგან ასევე თვითონ სასამართლოს შიგნიდან განხორციელებული შესაძლო ჩარევებისგან. შიდა სასამართლო დამოუკიდებლობის ცნება მოითხოვს, რომ მოსამართლეები არ უნდა იღებდნენ დირექტივებს თუ მითითებებს მათი კოლეგა და ადმინისტრაციული ფუნქციის განმახორციელებელი მოსამართლეებისგან, როგორც არის მაგალითად სასამართლოს თავმჯდომარე. შესაბამისად იმ შემთხვევებში, როდესაც არ არსებობს საკმარისი გარანტიები სასამართლოს შიდა დამოუკიდებლობის დასაცავად ამან შეიძლება გამოიწვიოს სასამართლოს დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის ეჭვქვეშ დაყენება.<sup>199</sup>

198 Baka v Hungary, no. 20261/12 23 June 2016, concurring opinion by judge Sicilianos §13

199 Parlov-Tkalčić v. Croatia, no. 24810/06, §86 22 December 2009

მოსამართლეების აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ დანიშვნა სასამართლო ხელისუფლებას ავტომატურად ხელისუფლების სხვა შტოებთან სუბორდინაციულ მდგომარეობაში არ აყენებს. გადამწყვეტია, რომ კანონმდებლობაში და პრაქტიკაში არსებობდეს დანიშვნის შემდგომ მოსამართლეების მიერ უფლებამოსილების დამოუკიდებლად განხორციელების საკმარისი გარანტიები.

სასამართლოს დამოუკიდებლობისა და ობიექტური მიუკერძოებლობის ცნებები ერთმანეთთან ახლო კავშირშია, რის გამოც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში ისინი ხშირად ერთად განიხილება. სუბიექტური მიუკერძოებლობის ტესტიგან განსხვავებით, ობიექტური მიუკერძოებლობა მოითხოვს რომ დამოუკიდებლად კონკრეტული მოსამართლის ქმედებებისგან უნდა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს ფაქტები, რომლებმაც შეიძლება გააჩინოს ალქმა და ეჭვი მოსამართლის მიკერძოებულობაზე გარე ობიექტური დამკვირვებლის თვალში. ამასთან, კონკრეტულად დაინტერესებული პირის პერსპექტივიდან სასამართლო მიკერძოებულად ჩანს თუ არა მნიშვნელოვანია, თუმცა გადამწყვეტია ის, ამ ეჭვის ობიექტურად გამართლება არის თუ არა შესაძლებელი.

## 5. მიუკერძოებელი სასამართლოს ცნება შესავალი

კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ერთ-ერთი მოთხოვნაა საქმის განხილვა „მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ“. ეს მოთხოვნა წაყენება საქმის განხილვის უფლებამოსილების მქონე ყველა პირს, როგორც სისხლის ისე სამოქალაქო საქმისწარმოებისას, მიუხედავად იმისა, ისინი მოსამართლეები არიან, ნაფიცო მსაჯულები თუ სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში საქმის განმხილველი კოლეგიური ორგანოს არამოსამართლე, პროფესიული ნიშნით არჩეული წევრები.<sup>200</sup> სასამართლოს მიუკერძოებლობის გარანტია არ ვრცელდება ბრალდების წარმომადგენლებზე – პროკურორებზე, რომლებიც პროცესის ერთ-ერთი მხარე არიან და არა საქმის განმხილველი ორგანოს წევრები. შესაბამისად, ამ თავის მიზნებისთვის ტერმინი „მოსამართლე“ მოიცავს ნებისმიერ პირს, რომელიც მე-6 მუხლის მიზნებისთვის მოქმედებს, როგორც საქმის განმხილველი ორგანოს წარმომადგენელი.

200 კუპერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Cooper v. the United Kingdom*) დიდი პალატა, განაცხ. no. 48843/99, ECHR 2003-XII, §123; ჰოლმი შვედეთის წინააღმდეგ (*Holm v. Sweden*), 1993 წლის 25 ნოემბერი, Series A no. 279-A, §30.

განმცხადებელთა მოთხოვნის კვალდაკვალ, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო ხშირად ერთობლიობაში განიხილავს „სასამართლოს მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნების“ დარღვევას, თუმცა ეს ცნებები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან.

ამ ქვეთავის მიზანია მიმოიხილოს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ დადგენილი სასამართლო პრაქტიკა, რათა კონკრეტული მაგალითების განხილვის საფუძველზე ცხადი გახდეს, თუ რას მოიაზრებს ევროპული სასამართლო სასამართლოს და მოსამართლის მიუკერძოებლობაში და შეფასოს, რა კრიტერიუმებს იყენებს ის მიუკერძოებლობის მოთხოვნის დარღვევის დასადგენად. ამ თავში გამოყენებული მასალა ეყრდნობა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოებს, სადაც შეჯამებულია კონვენციის მე-6 მუხლთან დაკავშირებული სასამართლოს პრაქტიკა ცალ-ცალკე, სამოქალაქო და სისხლის სამართლებრივ ქრილში.

„მიუკერძოებლობა“, ჩვეულებრივ, ნიშნავს წინასწარგანწყობისა და ტენდენციურობის არარსებობას (...).<sup>201</sup> სასამართლო რომ მიუკერძოებლად ჩაითვალოს, ის არ უნდა იყოს დაინტერესებული განსახილველ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების შედეგით, არ უნდა მისცეს უფლება სასამართლოს მიღმა არსებულ ძალებს, პოპულარულ განწყობებს ან თუნდაც ზენოლას, გავლენა მოახდინონ მის მიერ მისაღებ გადაწყვეტილებაზე, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურ არგუმენტებს, რომლებიც მან საქმის განხილვის პროცესში მხარეებისგან მოისმინა და არ უნდა იყოს მოტივირებული მოსამართლის წინასწარი განწყობებით ან პირადი ინტერესებით.<sup>202</sup>

მიკერძოების საკითხის შეფასებისას ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო მიმართავს სუბიექტური და ობიექტური შეფასების ტესტებს.

„სუბიექტური მიდგომა (...) მიმართულია დაამტკიცოს მოსამართლის პერსონალური ინტერესის არსებობა კონკრეტული საქმის განხილვისას“, „ობიექტური მიდგომა (...) ადგენს იმას, (სასამართლოს მიერ) იყო თუ არა ჯეროვანი გარანტიები შექმნილი იმისათვის, რომ მიკერძოებასთან დაკავშირებული ეჭვები გაქარწყლებულიყო“.<sup>203</sup> ამდენად, სუბიექტური შეფასების

201 მიკალეფი მალტის წინააღმდეგ (*Micallef v. Malta*), დიდი პალატა, განაცხ. no. 17056/06, ECHR, 2009, §93.

202 THEORY AND PRACTICE OF THE EUROPEAN CONVENTION ON HUMAN RIGHTS, ED. BY PIETER VAN DIJK ET AL. (5TH ED. 2018), გვ. 602.

203 კიპრიანუ კვიპროსის წინააღმდეგ (*Kyprianou v. Cyprus*), დიდი პალატა, განაცხ. no. 73797/01, ECHR 2005-XIII, §118.



ტესტით შეფასების საგანია, საქმის განმხილველი სასამართლო, მოსამართლე საქმის განხილვისას მოქმედებდა მიუკერძოებლად და ობიექტურად, თუ მას პირადი მოტივაცია ამოძრავებდა, მოსამართლე მოქმედებდა სასამართლო განხილვის ფარგლებში მტკიცებულებათა განხილვისა და მხარეთა მოსმენის შედეგად ჩამოყალიბებული შინაგანი რწმენის საფუძველზე, თუ მისი პირადი დაინტერესებით ან წინასწარი განწყობით ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ ან საზიანოდ. ობიექტური ტესტით შეფასების საგანია არა მოსამართლის ქცევის მოტივაცია, არამედ, არსებობდა თუ არა ისეთი გარემოებები, რაც „ობიექტურად გამართლებულ ეჭვს“ გააჩენდა სასამართლოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით და საქმის განხილვის პროცესში სასამართლომ მიიღო თუ არა ზომები, რომ მიკერძოებასთან დაკავშირებით მხარეთა მიერ გამოთქმული პრეტენზიები ჯეროვნად გამოეკვლია და გაექარწყლებინა.

აღსანიშნავია, რომ ეს ორი მიდგომა არ არის ურთიერთგამომრიცხავი. კონკრეტულ საქმეზე შესაძლოა სახეზე იყოს მიუკერძოებლობის დარღვევა როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური ტესტით.

## 5.1 სუბიექტური ტესტი

სუბიექტური მიდგომის თანახმად, უნდა შეფასდეს საქმის განმხილველი მოსამართლის პირადი რწმენა და ინტერესები. კერძოდ, ჰქონდა თუ არა მოსამართლეს წინასწარი განწყობა ან პირადი დაინტერესება საქმის შედეგის ან რომელიმე მხარის მიმართ.<sup>204</sup>

ძირითადად, მიუკერძოებლობის დარღვევა გამოვლინდება იმ შემთხვევაში, როდესაც მოსამართლეს საქმის განხილვამდე აქვს ჩამოყალიბებული მხარის საწინააღმდეგო პოზიცია ან მისდამი მტრულ დამოკიდებულებას ავლენს.

ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, „არსებობს მოსამართლის მიუკერძოებლობის პრეზუმფცია მანამ, სანამ საწინააღმდეგო არ დამტკიცდება“.<sup>205</sup> ანუ სანამ მხარე არ წარადგენს სათანადო მტკიცებულებებს, რაც მოსამართლის პირად დაინტერესებას დაადასტურებს, ითვლება, რომ საქმის განმხილველი მოსამართლე მიუკერძოებელია.

შესაბამისად, ევროპული სასამართლო სუბიექტური ტესტით შეფასებისას განმცხადებელს აკისრებს მტკიცების ტვირთს და მოითხოვს, რომ ნაცვლად ზოგადი და აბსტრაქტული საფუძველებისა, მიუთითოს ის კონკრეტული

204 THEORY AND PRACTICE OF THE EUROPEAN CONVENTION ON HUMAN RIGHTS, ED. BY PIETER VAN DIJK ET AL. (5TH ED. 2018), გვ. 603.

205 კიპრიანუ კვიპროსის წინააღმდეგ (Kyprianou v. Cyprus), დიდი პალატა, განაცხ. no. 73797/01, ECHR 2005-XIII, §119.

მატერიალური ფაქტები, რომელიც მისდამი მოსამართლის მტრულ განწყობაზე მიუთითებს.<sup>206</sup>

საინტერესოა, რას მიიჩნევს ევროპული სასამართლო ისეთ მტკიცებულებად, რომელიც საკმარისია მოსამართლის მიკერძოების დასადასტურებლად სუბიექტური მიდგომის ფარგლებში. სასამართლომ მიიჩნია, რომ ასეთი მტკიცებულება შეიძლება იყოს „მოსამართლის ქმედება, როდესაც მან მტრული განწყობა ან ბოროტი განზრახვა გამოამჟღავნა ერთ-ერთი მხარის მიმართ, ან სპეციალური ზომები მიიღო იმისთვის, რომ საქმე, რომელზეც მას პირადი ინტერესი ამოძრავებდა, მას გადასცემოდა განსახილველად“.<sup>207</sup>

გადაწყვეტილება საქმეზე „კიპრიანუ კვიპროსის წინააღმდეგ“ იმ იშვიათ გადაწყვეტილებებს განეკუთვნება, სადაც სასამართლომ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა დაადგინა სუბიექტური ტესტის გამოყენებით. ეს საქმე შეეხებოდა ადვოკატს, რომელსაც მსაჯულთა სასამართლო კოლეგიამ 5 დღით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა სასამართლოს შეურაცხყოფის შემცველი ინციდენტის გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა მისი დაცვის ქვეშ მყოფის სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას. კიპრიანუ მიიჩნევდა, რომ მისთვის პატიმრობის შეფარდების საქმის გადაწყვეტისას სასამართლო მოქმედებდა მიკერძოებულად როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური ტესტის მიხედვით. სუბიექტური მიუკერძოებლობის ნაწილში სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში არსებობდა საკმარისი მტკიცებულებები, რაც სასამართლოს სუბიექტურ მიკერძოებაზე მიუთითებდა. კერძოდ, ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა, რომ თავად სასამართლომ მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაშივე მიუთითა, რომ მოსამართლეები „ღრმად შეურაცხყოფილად გრძნობდნენ თავს“, გადაწყვეტილების ზოგადი ტონიდან ცხადი ხდებოდა, რომ მოსამართლეები გადაჭარბებული ემოციით ეკიდებოდნენ ადვოკატის ქმედებას და „მისი უმკაცრესი ფორმით დასჯის მძლავრი სურვილი ამოძრავებდათ“, სასამართლომ უმკაცრესი სანქციის გამოყენება მოითხოვა ისე, რომ არ განიხილა ალტერნატიული შესაძლებლობები, მოსამართლეებმა საქმის განხილვის დაწყებამდე უთხრეს ადვოკატს, რომ ის დამნაშავე იყო, სასამართლო სხდომაზე მოსამართლეები განმცხადებლისგან მოითხოვდნენ შეურაცხმყოფელი სიტყვების გამეორებას ან უკან წაღებას. ეს გარემოებები სასამართლომ საკმარისად მიიჩნია იმისთვის, რომ მიუკერძოებლობის მოთხოვნის დარღვევა დაედგინა სუბიექტური ტესტის გამოყენებით.

საპირისპირო შემთხვევა იყო საქმეში „A.K. ლიხტენშტაინის წინააღმდეგ“, სადაც განმცხადებელი სასამართლოს შემადგენლობის მიუკერძოებლობას

206 A.K. ლიხტენშტაინის წინააღმდეგ (A.K. v. Liechtenstein), no. 38191/12, 9 July 2015, §68.

207 დე კუბერი ბელგიის წინააღმდეგ (De Cubber v. Belgium), 26 October 1984, Series A no. 86, §25.

ექვევთა აყენებდა და მიუთითებდა, რომ სასამართლო მისდამი მტრულად იყო განწყობილი მისი გერმანული წარმოშობის გამო და ადგილი ჰქონდა მის დისკრიმინაციას. სასამართლომ სუბიექტური ტესტით შეფასებისას არ დაადგინა მე-6 მუხლის დარღვევა, რადგან „მხარემ ვერ შეძლო დაესაბუთებინა, რომ სასამართლო პროცესის განმავლობაში, მათ შორის აცილების თაობაზე განმცხადებლის შუამდგომლობების განხილვის პროცესში, მოსამართლეების ქცევაში მტრული განწყობა იკვეთებოდა მისი გერმანული წარმოშობის გამო“.<sup>208</sup> განმცხადებელი სასამართლოს მიუკერძოებლობას ობიექტური ტესტითაც ასაჩივრებდა. საბოლოოდ ამ საქმეზე ობიექტური ტესტის გამოყენების შედეგად სასამართლოს მიუკერძოებლობის მოთხოვნის ნაწილში სასამართლომ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა დაადგინა.

კიდევ უფრო საინტერესოა საქმე „Tocono და Profesorii Prometeiști მოლდოვის წინააღმდეგ“ იმ კუთხით, რომ მიუხედავად იმისა, რომ დადასტურდა ფაქტი, რომ საქმის განმხილველი მოსამართლე წარსულში საჯაროდ დაემუქრა ერთ-ერთი განმცხადებლის დამფუძნებლებს სამაგიეროს გადახდით, სასამართლომ ვერ დაინახა დარღვევა სუბიექტური ტესტის გამოყენებით. ეს დავა შეეხებოდა კერძო სკოლის დამფუძნებელთა ჩამონათვალიდან მასწავლებელთა პროფესიული გაერთიანება „Profesorii Prometeiști“-ის ამორიცხვას ადგილობრივი მუნიციპალური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.<sup>209</sup> განმცხადებლები მიუთითებდნენ, რომ უზენაესი სასამართლოს სამი მოსამართლისგან შემდგარ კოლეგიაში ერთ-ერთი მოსამართლე პირადი შურისძიების მოტივით მოქმედებდა Profesorii Prometeiști-ის წინააღმდეგ. მათი განცხადებით, ხსენებული მოსამართლე სამი წლით ადრე ორგანიზაცია „Profesorii Prometeiști“-ის დამფუძნებლებს სამაგიეროს გადახდით დაემუქრა, რადგან მათი გადაწყვეტილებით, დაბალი აკადემიური და დისციპლინური მოსწრების გამო, იგივე კერძო სკოლიდან გაირიცხა მოსამართლის ვაჟიშვილი. მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხე მხარეს სადავოდ არ გაუხდია მოსამართლის მხრიდან მუქარის ფაქტი, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ ეს გარემოება საკმარისად არ მიიჩნია სუბიექტური შეფასების ტესტის საფუძველზე დარღვევის დასადგენად. თუმცა, ობიექტური ტესტის გამოყენებით ამ საქმეზე მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა დაადგინა სასამართლოს მიუკერძოებლობის ნაწილში.

ევროპული სასამართლო თავად აღიარებს, რომ მხარისთვის რთულია სუბიექტური ტესტის გამოყენებით იდავოს მოსამართლის მიკერძოების

208 დე კუბერი ბელგიის წინააღმდეგ (De Cubber v. Belgium), 26 October 1984, Series A no. 86, §73.

209 Tocono და Profesorii Prometeiști მოლდოვის წინააღმდეგ (Tocono and Profesorii Prometeiști v. Moldova), 2007 წლის 26 სექტემბერი, განაცხ. no. 32263/03, 26/09/2007.

თაობაზე და სასამართლოს პრაქტიკაშიც, საქმეთა უმრავლესობა ობიექტური ტესტის შეფასებაზე კონცენტრირდება.<sup>210</sup> მართლაც, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, რთულია განაცხადის ავტორისთვის ისეთი მამხილებელი მტკიცებულებების წარდგენა, რომელიც მხარისადმი მოსამართლის მტრულ განწყობას საჯაროდ და უტყუარად ამხელს.

## 5.2 ობიექტური ტესტი

ობიექტური ტესტის მიხედვით უნდა შეფასდეს, „სასამართლოს წევრების პირადი ქცევისგან დამოუკიდებლად, ხომ არ არის სახეზე ისეთი სარწმუნო ფაქტები, რაც ეჭვქვეშ დააყენებს სასამართლოს მიუკერძოებლობას.“<sup>211</sup> ამდენად, ობიექტური ტესტისთვის საინტერესოა არა მოსამართლეთა ინდივიდუალური, პირადი ინტერესით მოტივირებული ქცევა მიმდინარე საქმის განხილვის პროცესში, არამედ საქმის განხილვისას მისი ქცევისგან დამოუკიდებლად, სასამართლოს შემადგენლობა, მოსამართლის წარსული პროფესიული საქმიანობა, მისი ფინანსური, პროფესიული თუ ნათესაური კავშირ-ურთიერთობები ხომ არ აღძრავს ლეგიტიმურ ეჭვს, რომ ის არ იქნება მიუკერძოებელი კონკრეტული საქმის განხილვისას.

ობიექტური ტესტის გამოყენებით მოსამართლესა და განსახილველ საქმეში ჩართულ პირებს შორის იერარქიული და სხვა კავშირების შეფასებისას, კერძოდ იმის განსაზღვრისთვის, ეს ურთიერთობა და კავშირები ობიექტურად აღძრავს თუ არა მიკერძოების ეჭვს, იმ მხარის თვალსაზრისი, რომლიც ეჭვქვეშ აყენებს სასამართლოს მიუკერძოებლობას, მნიშვნელოვანია, თუმცა – არა გადამწყვეტი. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, „კონკრეტულ საქმეში არსებული გარემოებების გათვალისწინებით, მისი შიში იყო თუ არა ობიექტურად გამართლებული“.<sup>212</sup>

ამიტომ, ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში უნდა გადაწყდეს, მოსამართლესა და მხარეს შორის არსებული კავშირი „მისი ხასიათიდან და ინტენსივობის ხარისხიდან გამომდინარე“ ობიექტურად შეიცავს თუ არა საფრთხეს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლო ან მოსამართლე

210 კიპრიანუ კვიპროსის წინააღმდეგ (*Kyprianou v. Cyprus*), დიდი პალატა, განაცხ. no. 73797/01, ECHR 2005-XIII, §119.

211 კასტილიო ალგარი ესპანეთის წინააღმდეგ (*Castillo Algar v. Spain*), 1998 წლის 28 ოქტომბერი, Reports of Judgments and Decisions 1998-VIII, §45.

212 ვლოხი პოლონეთის წინააღმდეგ (*Wloch v. Poland*), განჩინება, 2000 წლის 30 მარტი, განაცხ. No. 27785/0; დაკტარასი ლიეტუვის წინააღმდეგ (*Daktaras v. Lithuania*), განჩინება, 2000 წლის 11 იანვარი, განაცხ. No. 42095/98; ვეტშტაინი შვეიცარიის წინააღმდეგ (*Wettstein v. Switzerland*), განაცხ. no. 33958/96, ECHR 2000-XII, §44; მიკალეფი მალტის წინააღმდეგ (*Micallef v. Malta*), დიდი პალატა, 2009 წლის განაცხ. no. 17056/06, ECHR 2009, §96.

მიკერძოებული ვერ იქნება.<sup>213</sup> შესაბამისად, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პრობლემური კავშირების არსებობა, არამედ ის, თუ კონკრეტული სამოქალაქო თუ სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს რამდენად შეიძლება ასეთმა კავშირებმა გავლენა მოახდინოს მოსამართლის ქცევაზე.

მიკერძოების თაობაზე არსებული დავის გადაწყვეტისას, ობიექტური ტესტის მიხედვით ანალიზის ფარგლებში „სასამართლო გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებს იმასაც, თუ როგორ აღიქმება ეს კავშირი საზოგადოების თვალში“.<sup>214</sup> კერძოდ, ევროპული სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, გარეგნული გამოხატულებებიც კი გარკვეული მნიშვნელობის შეიძლება იყოს, ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „მართლმსაჯულება არა მხოლოდ უნდა აღსრულდეს, არამედ უნდა გამოჩნდეს როგორც აღსრულებული“.<sup>215</sup>

ევროპული სასამართლო პირველ რიგში თავად მოსამართლეს აკისრებს პასუხისმგებლობას, ზომები მიიღოს იმისთვის, რომ არ დაუშვას იმ საქმის განხილვა, სადაც შეიძლება ლეგიტიმური ეჭვი გაჩნდეს მისი მიკერძოების თაობაზე და მიიჩნევს, რომ ასეთ შემთხვევაში მოსამართლე საქმის განხილვას უნდა ჩამოშორდეს.<sup>216</sup> სასამართლოს შეფასებით, „კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ავალდებულებს ეროვნულ სასამართლოებს დარწმუნდნენ, რომ მათი შემადგენლობა პასუხობს „მიუკერძოებელი სასამართლოს“ შინაარსს“.<sup>217</sup> შესაბამისად, ევროპული სასამართლო მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას დაადგენს იმ შემთხვევებში, როდესაც ეროვნული სასამართლოები ჯეროვნად არ განიხილავენ მხარეთა შუამდგომლობებს სასამართლო შემადგენლობის, ან მოსამართლის მიკერძოებისა და აცილების თაობაზე და საქმეებს იმ შემადგენლობით განიხილავენ, რომლის მიმართაც მიკერძოების ლეგიტიმური ეჭვები არსებობს.

როგორც უკვე აღინიშნა, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ინტერპრეტაციის დამკვიდრებული პრინციპია, რომ დარღვევები განხილული უნდა იქნეს საქმის განხილვის ერთიან კონტექსტში. ეს პრინციპი ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებს საშუალებას აძლევს გამოასწორონ წინარე ეტაპებზე

213 პულარი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Pullar v. the United Kingdom*), 1996 წლის 10 ივნისი, Reports of Judgments and Decisions 1996-III, §38.

214 Council of Europe, European Court of Human Rights, Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights. Right to a fair trial (criminal limb), განახლებულია 2020 წლის 30 აპრილს, გვ. 22.

215 დე კუბერი ბელგიის წინააღმდეგ (*De Cubber v. Belgium*), 1984 წლის 26 ოქტომბერი, Series A no. 86, §26; მიკალეფი მალტის წინააღმდეგ (*Micallef v. Malta*), დიდი პალატა, განაცხ. no.17056/06, ECHR, 2009, §98.

216 მიკალეფი მალტის წინააღმდეგ (*Micallef v. Malta*), დიდი პალატა, განაცხ. no. 17056/06, ECHR, 2009, §98.

217 რემლი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Remli v. France*), 1996 წლის 23 აპრილი, Reports of Judgments and Decisions 1996-II, §48.

დაშვებული დარღვევები. თუ ზემდგომი სასამართლო დარწმუნდება, რომ არსებობდა ობიექტურად გამართლებული შიში ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიკერძოებასთან დაკავშირებით, ის ვალდებულია გააუქმოს ქვემდგომი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რათა არ დაუშვას მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა.<sup>218</sup>

ამდენად, ობიექტური ტესტისთვის, სუბიექტური ტესტის მსგავსად, მნიშვნელოვანია მოსამართლის ქცევა, თუმცა, განსხვავებული კუთხით. თუკი სუბიექტური ტესტით შეფასებისას, საინტერესოა, მოსამართლემ გამოამჟღავნა თუ არა წინასწარ განსაზღვრული, ტენდენციური დამოკიდებულება პროცესის მონაწილე რომელიმე მხარის ან საქმის შედეგის მიმართ, ობიექტური ტესტის გამოყენებისას უნდა შეფასდეს, „მიიღო თუ არა სასამართლომ/მოსამართლემ ჯეროვანი ზომები, რომ სასამართლოს მიკერძოებასთან დაკავშირებით არსებული ლეგიტიმური ეჭვები გამოერიცხა“.<sup>219</sup>

გადაწყვეტილება საქმეზე „სიგრიდურ ელინ სიგფუსდოტირი ისლანდიის წინააღმდეგ“, ერთ-ერთი უახლესი გადაწყვეტილებაა, სადაც ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ ობიექტური ტესტის გამოყენებით მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა დაადგინა სასამართლოს მიუკერძოებლობის ნაწილში.<sup>220</sup> ეს საქმე ისლანდიის ერთ-ერთი ბანკის – Landsbanki Islands-ის გაკოტრების საქმეში ბანკის ერთ-ერთი დირექტორის სისხლის-სამართლებრივი ბრალდების საქმეს შეეხებოდა. საქმის გარემოებებით დადასტურებული იყო, რომ საქმის განმხილველი კოლეგიის ერთ-ერთი მოსამართლე ამავე ბანკის მენილე იყო, რომელსაც სერიოზული ფინანსური ზიანი მიადგა ბანკის გაკოტრების შედეგად, მან კი ამის თაობაზე არ განაცხადა, ხოლო სასამართლოს კოლეგიამ არ განიხილა მხარის შუამდგომლობა ამ მოსამართლის აცილების თაობაზე იმ მოტივით, რომ შუამდგომლობა პროცედურით გათვალისწინებული ვადის დარღვევით იყო წარდგენილი. ევროპული სასამართლოს შეფასებით, „ობიექტურად გამართლებული“ იყო ეჭვი მოსამართლის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით, რადგან მოსამართლემ მნიშვნელოვანი ფინანსური ზიანი მიიღო ბანკის გაკოტრების გამო, რომელსაც უშუალოდ მართავდა ბრალდებული. ამასთან, თავად ამ მოსამართლემ და საქმის განმხილველმა ეროვნულმა სასამართლომ არ მიიღო

218 კიპრიანუ კვიპროსის წინააღმდეგ (Kyprianou v. Cyprus), დიდი პალატა, განაცხ. no. 73797/01, ECHR 2005-XIII, §134.

219 იქვე, §118, ციტირებულია: Council of Europe, European Court of Human Rights, Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights. Right to a fair trial (criminal limb), განახლებულია 2020 წლის 30 აპრილს, გვ. 21.

220 სიგრიდურ ელინ სიგფუსდოტირი ისლანდიის წინააღმდეგ (Sigríður Elín Sigfúsdóttir v. Iceland), 2020 წლის 25 თებერვალი, განაცხ. no. 41382/17.

ზომები მიკერძოებასთან არსებული ეჭვის გასაქარწყლებლად, რამდენადაც მოსამართლემ არ განაცხადა მისი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ, ხოლო სასამართლომ არ განიხილა მხარის შუამდგომლობა აცილების თაობაზე. შესაბამისად, ობიექტური ტესტის გამოყენებით ევროპულმა სასამართლომ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა დაადგინა.

საინტერესოა ევროპული სასამართლოს მიდგომა იმ შემთხვევებში, როდესაც საქმის განმხილველი სასამართლო შემადგენლობის მხოლოდ რამდენიმე წევრის მიმართ არსებობს მიკერძოების დასაბუთებული შიში და არა მთელი შემადგენლობის მიმართ. ამ დროს მიუკერძოებლობის დარღვევის დასადგენად სასამართლო მხედველობაში ორ ძირითად ფაქტორს იღებს: „როგორია იმ მოსამართლეთა რაოდენობა, რომელთა მიუკერძოებლობაზე ობიექტური კითხვის ნიშნები არსებობს და როგორია მათი როლი კოლეგიის შიგნით“. შესაბამისად, საქმეებში, სადაც მიუკერძოებლობის პრობლემა იდგა კოლეგიაში შემავალი ბევრი მოსამართლის მიმართ და მათ სხვა მოსამართლეებთან შედარებით თანამდებობრივი უპირატესობა ჰქონდათ (კოლეგიის თავმჯდომარე, მომხსენებელი მოსამართლე), ევროპულმა სასამართლომ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა დაადგინა.<sup>221</sup>

მოგვიანებით სასამართლოს მოუწია მსჯელობა ისეთ შემთხვევებზეც, როდესაც მიკერძოების ეჭვი მრავალრიცხოვანი სასამართლო კოლეგიიდან მხოლოდ რამდენიმე მოსამართლესთან დაკავშირებით არსებობდა. ევროპული სასამართლოს მიდგომის თანახმად, სასამართლო კოლეგიის მიკერძოების ობიექტური ტესტით შეფასებისას, მეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს არა იმას, იყო თუ არა გადაწყვეტი რამდენიმე მოსამართლის ხმა კოლეგიის მიერ განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებში, არამედ იმას, თუ რა როლი ჰქონდა კონკრეტულ მოსამართლეს/მოსამართლეებს გადაწყვეტილების მიღებაში. მაგალითად, საქმეზე „ფაზლი ასლენერი თურქეთის წინააღმდეგ“ ევროპულმა სასამართლომ განიხილა შემთხვევა, სადაც განმცხადებელი ანკარის სასამართლოს მთავარი რეგისტრატორის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის მიმდინარეობის კანონიერებაზე დავობდა. კერძოდ, ის ეჭვს გამოთქვამდა საქმის განმხილველი 31 მოსამართლისგან შექმნილი კოლეგიიდან – ადმინისტრაციული პალატების გაერთიანებული შემადგენლობიდან – სამი მოსამართლის მიკერძოების შესახებ იმის გამო, რომ მათ იმავე საქმის სააპელაციო წესით განხილვაში ჰქონდათ მონაწილეობა მიღებული. ევროპულმა სასამართლომ

221 კარდონა სერატი ესპანეთის წინააღმდეგ (Cardona Serrat v. Spain), 2010 წლის 26 ოქტომბერი, განაცხ. no. 38715/06, §37; კასტილიო ალგარი ესპანეთის წინააღმდეგ (Castillo Algar v. Spain), 1998 წლის 28 ოქტომბერი, Reports of Judgments and Decisions 1998-VIII, §41-53.

დაადგინა: „ის არგუმენტი, რომ სასამართლო შემადგენლობა გადაწყვეტილებებს ხმების უმრავლესობით იღებს, საკმარისი არ არის მიუკერძოებასთან არსებული შიშის გასაქარწყლებლად. (...) ობიექტური მიუკერძოებლის პრობლემის განხილვისას გადამწყვეტი არ არის იმ მოსამართლეთა რაოდენობა ან პროპორცია, რომელთა მიმართაც პრეტენზია არსებობს, და რაოდენობრივი ტიპის არგუმენტებს გავლენა ვერ ექნება ამ საკითხის შეფასებაზე“.<sup>222</sup> რაოდენობრივი არგუმენტის ნაცვლად, ამ საქმის გარემოებების გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ, გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭა შემდეგ ორ ფაქტორს: 1) არ არსებობდა არავითარი სერიოზული მიზეზი, რაც ამ სამი მოსამართლის მონაწილეობას აბსოლუტურად აუცილებელს გახდიდა ადმინისტრაციული პალატების გაერთიანებულ შემადგენლობაში; 2) ამ სამიდან ერთ მოსამართლეს თანამდებობრივად სხვა მოსამართლეებზე მაღალი სტატუსი ჰქონდა, კერძოდ ის უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე იყო, თავმჯდომარეობდა საქმის განმხილველ 31-წევრიან კოლეგიას და შესაბამისად, წარმართავდა მთელი სამართალწარმოების პროცესს. შესაბამისად, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა დაადგინა. ამდენად, ცალკეულ შემთხვევებში მხარის ეჭვი საქმის განმხილველი მთელი კოლეგიის მიუკერძოებასთან დაკავშირებით გამართლებული არის მაშინაც, როდესაც მოსამართლეები, რომელთა მიმართაც მიუკერძოების ეჭვი არსებობს, კოლეგიის შემადგენლობის უმცირესობას წარმოადგენდნენ და მათ ხმებს არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა რაოდენობრივი თვალსაზრისით საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

ევროპული სასამართლო უფრო შორსაც მიდის. საქმის განხილვაში თუნდაც ერთი რიგითი მოსამართლის მონაწილეობა, რომელთან დაკავშირებითაც მიუკერძოებლობის დასაბუთებული ეჭვები არსებობს, შეიძლება საკმარისი აღმოჩნდეს იმისთვის, რომ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ განმცხადებლის ეჭვი მიუკერძოებლობის თაობაზე დასაბუთებულად მიიჩნიოს მთელი სასამართლო კოლეგიის შემადგენლობის მიმართ. საქმეში „მორისი საფრანგეთის წინააღმდეგ“, მხარე სადავოდ ხდიდა საკასაციო სასამართლოს 10-წევრიანი კოლეგიის ერთ-ერთი წევრი მოსამართლის – J.M.-ის მიუკერძოების საკითხს იმ მოტივით, რომ მან 9 წლით ადრე საჯაროდ გამოუცხადა მხარდაჭერა მოსამართლე M.-ს, რომელიც განმცხადებლის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ითხოვდა სამოქალაქო წესით.<sup>223</sup> ევროპის ადამიანის

222 ფაზლი ასლანერი თურქეთის წინააღმდეგ (Fazli Aslaner v. Turkey), 2014 წლის 4 მარტი, განაცხ. no. 36073/04, §35-43.

223 მორისი საფრანგეთის წინააღმდეგ (Morice v. France), დიდი პალატა, 2015 წლის 23 აპრილი, განაცხ. no. 29369/10.



უფლებათა სასამართლომ მიიჩნია, რომ „ობიექტურად გამართლებული ეჭვი“ არსებობდა J.M.-ის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით, რადგან J.M.-მა პოზიცია გამოხატა M.-ის სასარგებლოდ იმ საქმესთან დაკავშირებით, სადაც განმცხადებელი და M. მონინაალმდეგე მხარეებს წარმოადგენენ, ხოლო J.M.-ის მონინალოებით განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში M.-ის, როგორც სამოქალაქო მოსარჩელის პოზიცია განმცხადებლის, როგორც ბრალდებულის და სამოქალაქო საქმის მოპასუხის პოზიციის საწინააღმდეგო იყო. იმ საკითხის შეფასებისას, ჰქონდა თუ არა გადამწყვეტი მნიშვნელობა მოსამართლე J.M.-ის პოზიციას 10-წევრიანი სასამართლო კოლეგიის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაში, სასამართლომ დაადგინა: „თათბირის ფარულობის გათვალისწინებით, შეუძლებელი იყო კონკრეტული მოსამართლის რეალური გავლენის შეფასება გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რამაც შესაძლოა სასამართლოს მთელი შემადგენლობის მიუკერძოებლობა სერიოზული ეჭვის ქვეშ დააყენოს“.<sup>224</sup> შესაბამისად, სასამართლომ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა დაადგინა.

ანალოგიურად, უახლეს გადაწყვეტილებაში საქმეზე „სიგრიდურ ელინ სიგფუსდოტირი ისლანდიის წინააღმდეგ“, ევროპულმა სასამართლომ კვლავ საკმარისად ჩათვალა კოლეგიის შემადგენლობაში ერთი მოსამართლის მიკერძოებასთან დაკავშირებული ეჭვის არსებობა იმისთვის, რომ სასამართლო კოლეგიის შიდა თათბირის ფარულობის გათვალისწინებით, მთელი კოლეგიის მიმართ დაედგინა მიკერძოების მოთხოვნის დარღვევა.<sup>225</sup> ამ საქმეში განმცხადებელი მიუთითებდა, რომ საქმის განმხილველი კოლეგიის ხუთი მოსამართლიდან სამს ფინანსური ზიანი მიაღგა მისი ბანკის საქმიანობის შედეგად და არსებობდა ეჭვის საფუძველი, რომ ისინი მიკერძოებულად იმოქმედებდნენ განმცხადებლის საწინააღმდეგოდ. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ „საქმის განმხილველი ხუთი მოსამართლიდან მხოლოდ ერთთან მიმართებით არსებობდა მიუკერძოებლობის ობიექტურად გამართლებული ეჭვი და ეს საკმარისი საფუძველი იყო მთელი სასამართლო შემადგენლობის მიუკერძოებლობის ეჭვქვეშ დასაყენებლად, კოლეგიის შიდა თათბირის ფარულობის გათვალისწინებით“.<sup>226</sup>

განსხვავებული პოზიცია დაიკავა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ საქმეზე „შპს სამაუნწყებლო კომპანია რუსთავი 2 და სხვები

224 სიგრიდურ ელინ სიგფუსდოტირი ისლანდიის წინააღმდეგ (Sigríður Elín Sigfúsdóttir v. Iceland), 2020 წლის 25 თებერვალი, განაცხ. no. 41382/17, §57.

225 სიგრიდურ ელინ სიგფუსდოტირი ისლანდიის წინააღმდეგ (Sigríður Elín Sigfúsdóttir v. Iceland), 2020 წლის 25 თებერვალი, განაცხ. no. 41382/17, §57.

226 სიგრიდურ ელინ სიგფუსდოტირი ისლანდიის წინააღმდეგ (Sigríður Elín Sigfúsdóttir v. Iceland), 2020 წლის 25 თებერვალი, განაცხ. no. 41382/17, §57.

საქართველოს წინააღმდეგ“, სადაც განმცხადებლები საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიკერძოების თაობაზე დავობდნენ, რომელიც სასამართლოს 9-წევრიან შემადგენლობას თავმჯდომარეობდა.<sup>227</sup> სასამართლოს შეფასებით, ობიექტური შეფასების ტესტით, ობიექტური ეჭვი შეიძლებოდა აღედგინა იმ ფაქტს, რომ საქმის განხილვაში მონაწილეობდა მოსამართლე, რომელიც ერთ-ერთი მხარის, რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორის უშუალო მონაწილეობით გაათავისუფლეს მოსამართლის თანამდებობიდან დისციპლინური დარღვევის გამო. თუმცა, ევროპულმა სასამართლომ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა არ დაადგინა, რის ერთ-ერთ არგუმენტად შემდეგი გარემოება დაასახელა: „სასამართლო ასევე მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე იყო მხოლოდ ერთი მოსამართლე ცხრა მოსამართლისგან შემდგარი დიდი პალატის გაფართოებულ შემადგენლობაში, რომელმაც საკუთრების დავა განიხილა. შესაბამისად, ობიექტური დამკვირვებლის თვალთახედვით, არ შეიძლება ითქვას, რომ სრული გაფართოებული შემადგენლობის რეპუტაცია შეილახა მომჩივნების აცილების მოთხოვნით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიმართ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სასამართლო შემადგენლობამ საქმეზე ერთსულოვანი გადანყვეტილება მიიღო“.<sup>228</sup> ამდენად, ზემოთმოყვანილ საქმეებზე – „ფაზლი ასლენერი თურქეთის წინააღმდეგ“ და „მორისი საფრანგეთის წინააღმდეგ“ – მიღებული გადანყვეტილებებისგან განსხვავებით, ევროპულმა სასამართლომ აქცენტი მხოლოდ რაოდენობრივ ფაქტორზე გააკეთა და არ გაითვალისწინა მოსამართლის მიერ დაკავებული მალალი თანამდებობა და სამართალწარმოების პროცესში მისი როლი. ამის ნაცვლად სასამართლომ ყურადღება ახალ ფაქტორზე გაამახვილა, კერძოდ, იმაზე, რომ სადავო გადანყვეტილება სასამართლოს 9-წევრიანმა შემადგენლობამ ერთხმად მიიღო. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტი, რომელსაც ევროპული სასამართლო დაეყრდნო იყო ის, რომ ამ საქმეში, „მორისი საფრანგეთის წინააღმდეგ“ საქმისგან განსხვავებით, მხარეს შესაძლებლობა მიეცა აცილების თაობაზე შუამდგომლობა დაეყენებინა ეროვნულ სასამართლოში, რომელმაც, ევროპული სასამართლოს შეფასებით, „სერიოზულად გამოიკვლია“ ეს საკითხი.<sup>229</sup>

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკაში შემთხვევათა ორი ძირითადი მიმართულება გამოიკვეთება, რომელთან მიმართებაშიც სასა-

227 შპს სამაუნეებლო კომპანია რუსთავი 2 და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (Rustavi 2 Broadcasting Company Ltd and Others v. Georgia), 2019 წლის 18 ივლისი, განაცხ. no. 16812/17, §359-363.

228 იქვე, §363.

229 იქვე.

მართლო კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სასამართლოს მიუკერძოებლობის მოთხოვნის დარღვევის თაობაზე მსჯელობს: 1) ფუნქციური მიკერძოების შემთხვევები და 2) პირადი მიკერძოების შემთხვევები. ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში სასამართლო საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან და განაცხადის შინაარსიდან გამომდინარე საქმეს სუბიექტური, ობიექტური ან ორივე ტესტის გამოყენებით შეაფასებს.

### 5.3. ფუნქციური მიკერძოების შემთხვევები

ფუნქციური მიკერძოების შემთხვევებში ეჭვები სასამართლოს მიკერძოებასთან დაკავშირებით გამომდინარეობს იქიდან, რომ მოსამართლე სხვა ფუნქციით იყო წარსულში ჩართული იმავე საქმის განხილვაში, ან საქმეში ჩართულ პირებთან იერარქიული ან სხვა სახის მჭიდრო დამოკიდებულება აკავშირებს.<sup>230</sup>

#### ა. სისხლის სამართალწარმოებაში სხვადასხვა მართლმსაჯულებითი ფუნქციების განხორციელება

ზოგიერთ შემთხვევაში ერთსა და იმავე საქმეზე სხვადასხვა მართლმსაჯულებითი ფუნქციების განხორციელებამ, მაგალითად, როგორცაა წინასასამართლო პატიმრობის შეფარდებისა და საქმის არსებითად განხილვის უფლებამოსილება, შესაძლოა კითხვის ნიშნები გააჩინოს მოსამართლის მიკერძოებასთან დაკავშირებით.

შესაბამისად, ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში აუცილებელია კონკრეტული გარემოებების ანალიზი მოსამართლის მიკერძოების თაობაზე არსებული ეჭვის საფუძვლიანობის შესაფასებლად.

იმის გასარკვევად, არსებობს თუ არა ობიექტურად დასაბუთებული საფუძველი მიუკერძოებლობის ეჭვქვეშ დასაყენებლად, სასამართლო მხედველობაში იღებს „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ფარგლებს და ხასიათს“.<sup>231</sup> თუ წინასასამართლო ეტაპზე მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება „მაღალი ხარისხის სიცხადით“ მოითხოვს პირის ბრალეულობის დადგენას, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობს ობიექტურად განპირობებული ეჭვის საფუძველი მოსამართლის მიკერძოებასთან დაკავშირებით.<sup>232</sup>

230 Council of Europe, European Court of Human Rights, Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights. Right to a fair trial (criminal limb), განახლებულია 2020 წლის 30 აპრილს, გვ. 23.

231 ფეი ავსტრიის წინააღმდეგ (Fey v. Austria), 1993 წლის 24 თებერვალი, Series A no. 255-A, §30.

232 ქრიგიში გერმანიის წინააღმდეგ (Kriegisch v. Germany), განჩინება, 2010 წლის 23 ნოემბერი, განაცხ. no. 21698/06.

ის გარემოება, რომ დანაშაულში თანამონაწილე ბრალდებულის საქმეს განხილავს ის მოსამართლე, რომელსაც წარსულში განხილული ჰქონდა იმავე დანაშაულში ბრალდებული სხვა თანამონაწილის საქმე, თავისთავად არ ქმნის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებულ ისეთ ეჭვს, რაც მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას გამოიწვევს. თუმცა, საქმეზე „პოპე ნიდერლანდების წინააღმდეგ“, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ობიექტურად დასაბუთებული შიში არსებობდა, რომ მოსამართლე არ იქნებოდა მიუკერძოებელი, რამდენადაც მან ადრე გამოტანილ განაჩენში საკუთარი პოზიცია გამოხატა იმ თანამონაწილის ბრალეულობის თაობაზე, რომლის საქმეც მოგვიანებით მისი განსახილველი გახდა.<sup>233</sup> ევროპული სასამართლოსთვის დარღვევის დასადგენად გადამწყვეტი აღმოჩნდა ის, რომ სხვა თანამონაწილის საქმეზე ადრე მიღებული გადაწყვეტილების შინაარსიდან იკვეთებოდა მოსამართლის პოზიცია დანაშაულში თანამონაწილე იმ ბრალდებულის ბრალეულობის თაობაზე, რომლის საქმის გადაწყვეტაც მოგვიანებით მას დაეკისრა. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ მიუკერძოებლობის მოთხოვნის დარღვევა დაადგინა.

როგორც წესი, ერთი მოსამართლის მიერ ერთსა და იგივე საქმეზე საგამოძიებო მოსამართლისა და საქმის არსებითად განმხილველი მოსამართლის ფუნქციების შესრულება მიუკერძოებლობის მოთხოვნის დარღვევას გამოიწვევს.<sup>234</sup> გამონაკლისია ვითარება, როდესაც მოსამართლე დროის მოკლე მონაკვეთში, საქმის წინასასამართლო განხილვის ეტაპზე ისეთი საპროცესო ღონისძიებების განხორციელებაში მონაწილეობდა, რომელიც არ უკავშირდება განმცხადებლის ბრალეულობის ან მტკიცებულებათა შეფასების საკითხს. მაგალითად, სასამართლომ მიუკერძოებლობის კითხვის ნიშნის ქვეშ დასაყენებლად საკმარის საფუძვლად არ მიიჩნია ის გარემოება, რომ მოსამართლემ მონაწილეობა მიიღო მის მიერ განსახილველ საქმეზე ორი მონმის დაკითხვის პროცედურაში წინასასამართლო ეტაპზე.<sup>235</sup>

ანალოგიურად, ერთი მოსამართლის მონაწილეობა ერთი და იმავე საქმის განხილვაში სხვადასხვა ინსტანციის წესით, სასამართლოს მიუკერძოებლობის მოთხოვნის დარღვევას გამოიწვევს. საქმეში „ფაზლი ასლანერი თურქეთის წინააღმდეგ“, ევროპულმა სასამართლომ მიუკერძოებლობის მოთხოვნის და-

233 პოპე ნიდერლანდების წინააღმდეგ (Poppe v. the Netherlands), 2009 წლის 24 მარტი, განაცხ. no. 32271/04, §26.

234 დე კუბერი ბელგიის წინააღმდეგ (De Cubber v. Belgium), 1984 წლის 26 ოქტომბერი, Series A no. 86, §27-30.

235 ბულუტი ავსტრიის წინააღმდეგ (Bulut v. Austria), 1996 წლის 22 თებერვალი, Reports of Judgments and Decisions 1996-II, §33-34.

რღვევად მიიჩნია იმ მოსამართლეების მონაწილეობა სამოქალაქო უფლების საქმეზე არსებული დავის საკასაციო წესით განხილვაში, რომელთაც იგივე საქმე სააპელაციო წესით ჰქონდათ მანამდე განხილული.<sup>236</sup>

ის ფაქტი, რომ მოსამართლე წარსულში პროკურორი იყო, თავისთავად არ ქმნის „ობიექტურად დასაბუთებულ შიშს“ მოსამართლის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში უნდა შეფასდეს, როგორი იყო პროკურატურაში მისი სამსახურის ხასიათი და არსებობდა თუ არა იმის ალბათობა, რომ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მას სასამართლოში განსახილველ საქმესთან ჰქონოდა შეხება. თუ დადასტურდება, რომ „მოსამართლეს პროკურატურაში მუშაობის პერიოდში, დაკავებული თანამდებობის ბუნებიდან გამომდინარე, შესაძლოა შეხება ჰქონოდა მის მიერ სასამართლოში განსახილველ საქმესთან“, სასამართლოს შეფასებით, „საზოგადოებას სრული უფლება აქვს ეშინოდეს, რომ ის არ იქნება მიუკერძოებელი“.<sup>237</sup>

ასევე, არ უნდა მოხდეს მოსამართლისა და პროცესის მონაწილე სხვა მხარეების ფუნქციების აღრევა, მაგალითად, მოსამართლე ან სასამართლო შემადგენლობა ერთსა და იმავე საქმეზე არ უნდა იყოს მოსამართლე, ბრალმდებელი, მოწმე. მაგალითად, საქმეზე „კიპრიანუ კვიპროსის წინააღმდეგ“ მოსამართლემ ერთდროულად მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ სისხლისსამართლებრივი ბრალეულობის საქმის განხილვის დაწყების თაობაზე სასამართლოს შეურაცხყოფის გამო, სადაც ეს მოსამართლე თავად იყო შეურაცხყოფის ობიექტი, მანვე დაადგინა ადვოკატის ბრალეულობა და სასჯელიც შეუფარდა. ამდენად, სახეზე იყო მომჩივნის, მოწმის, პროკურორისა და მოსამართლის ფუნქციებს შორის აღრევა და აშკარა იყო, რომ მოსამართლის მიუკერძოებლობის თაობაზე შიში ობიექტურად გამართლებული იყო.<sup>238</sup> შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დარღვევა დაადგინა.

## **ბ. სამოქალაქო სამართალწარმოებაში მართლმსაჯულებითი და სხვა ფუნქციების განხორციელება**

გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება მოსამართლის ფუნქციური მიუკერძოებლობის საქმეები სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში. მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ავტონომიური სამოქალაქო სამართ-

236 ფაზლი ასლანერი თურქეთის წინააღმდეგ (Fazlı Aslaner v. Turkey), 2014 წლის 4 მარტი, განაცხ. no. 36073/04, §35-43.

237 პიერსაკი ბელგიის წინააღმდეგ (Piersack v. Belgium), 1982 წლის 1 ოქტომბერი, Series A no. 53, §30.

238 კიპრიანუ კვიპროსის წინააღმდეგ (Kyprianou v. Cyprus), დიდი პალატა, განაცხ. no. 73797/01, ECHR 2005-XIII, §126-128.

ლებრივი შინაარსი ვრცელდება როგორც საკუთრივ სამოქალაქო, ისე დისციპლინური, პროფესიული პასუხისმგებლობის და ადმინისტრაციული სამართალწარმოების საქმეებზე.<sup>239</sup> თუკი ვინრო გაგებით სამოქალაქო სამართლის საქმეებზე სამართალწარმოებას უპირატესად სასამართლოები და მოსამართლეები ახორციელებენ, პროფესიული პასუხისმგებლობისა და სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციების განხორციელების ფარგლებში წარმოებული დისციპლინური, პროფესიულ პასუხისმგებლობისა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივ დავებს ხშირად კვაზი სასამართლოს ტიპის ორგანოები განიხილავენ, რომელთა წევრები ზოგჯერ სხვა არამართლმსაჯულებითი ფუნქციებსაც ითავსებენ, რამაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს მოსამართლის მიუკერძოებლობის აღქმაზე. ამდენად, ცალკე განხილვას მოითხოვს ფუნქციური მიუკერძოებლობის ისეთი შემთხვევები, სადაც მოსამართლე იმავე საქმესთან დაკავშირებით საკონსულტაციო, საკანონმდებლო თუ ადვოკატის ფუნქციებსაც ახორციელებდა.

საქმეზე „Procola ლუქსემბურგის წინააღმდეგ“, განმცხადებელი დავობდა რძის წარმოების კვოტების განმსაზღვრელი მთავრობის დადგენილების, კონკრეტულად მისი უკუქცევითი ძალის კანონიერებაზე. განმცხადებელმა ეჭვქვეშ დააყენა ამ დავის განმხილველი ორგანოს – მართლმსაჯულების კომიტეტის მიუკერძოებლობა იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ კომიტეტის ხუთი მოსამართლიდან ოთხს წარსულში მონაწილეობა ჰქონდათ მიღებული ამავე დადგენილების კანონიერების თაობაზე დასკვნის მომზადებაში, როგორც სახელმწიფო საბჭოს წევრებს (Conseil d'Etat), სახელმწიფო საბჭოს საკონსულტაციო უფლებამოსილების ფარგლებში.<sup>240</sup> განმცხადებელი მიიჩნევდა, რომ სახელმწიფო საბჭოს მიერ მომზადებული დასკვნა უშუალოდ შეეხებოდა მის მიერ გასაჩივრებული სამთავრობო დადგენილებისთვის უკუქცევითი ძალის მინიჭებას და დასკვნის თანახმად, ეს საკითხი კანონთან შესაბამისობაში იყო. შესაბამისად, ოთხ მოსამართლეს უკვე ჰქონდა შექმნილი წინასწარი განწყობა მათი დავის საგანთან დაკავშირებით, რაც მათ მიუკერძოებლობას ეჭვქვეშ აყენებდა.<sup>241</sup> სასამართლომ გაიზიარა განმცხადებლის არგუმენტები და მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში არსებობდა ობიექტურად დასაბუთებული ეჭვის საფუძველი, რომ მოსამართლეებისთვის, რომელთაც წარსულში მონაწილეობა მიიღეს იმივე საკითხზე სამართლებრივი დასკვნის მომზადებაში, შესაძლოა, რთული ყოფილიყო ერთხელ უკვე ჩამოყალიბებული მოსაზრების

239 იხ. ამ თავის პირველი ქვეთავი მე-6 მუხლის მოქმედების სფეროსთან დაკავშირებით.

240 Procola ლუქსემბურგის წინააღმდეგ (Procola v. Luxembourg), 1996 წლის 28 სექტემბერი, 1995, Series A no. 326.

241 იქვე, §41-46.

გადათქმა. შესაბამისად, სასამართლომ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის და-  
რღვევა დაადგინა სასამართლოს მიუკერძოებლობის მოთხოვნის ნაწილში.

თუკი მოსამართლეს წარსულში მონაწილეობა ჰქონდა მიღებული მის  
წინაშე გადასაწყვეტ საქმესთან დაკავშირებული საკანონმდებლო ან კანონ-  
ქვემდებარე აქტის მიღებაში, ეს შესაძლოა მიუკერძოებლობის მოთხოვნის  
დარღვევის საფუძველი გახდეს იმ დავებთან მიმართებაში, რომლებიც  
ამ აქტის ინტერპრეტაციას შეეხება. საქმეზე „მაკგოლენი გაერთიანებული  
სამეფოს წინააღმდეგ“ სასამართლომ განმარტა: „რაიმე სახის პირდაპირი  
მონაწილეობა იმ საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ  
გამოცემული აქტის მიღებაში იმ პირის მხრიდან, რომელიც დავას განიხილავს  
იმის თაობაზე, არსებობს თუ არა საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტის  
შინაარსის განსხვავებული ინტერპრეტაციის საფუძველი, მაღალი ალბათობით  
საკმარისი საფუძველია, რომ ეჭვი გაჩნდეს მოსამართლის მიუკერძოებლო-  
ბასთან დაკავშირებით“.<sup>242</sup> ამ საქმეში სასამართლომ დარღვევა დაადგინა  
იქიდან გამომდინარე, რომ საქმის განმხილველი კოლეგიის ერთ-ერთი წევრი  
უშუალოდ მონაწილეობდა ურბანული დაგეგმარების დოკუმენტის მიღებაში,  
ხოლო მის მიერ განსახილველ საქმეში დავის საგანს წარმოადგენდა, იყო  
თუ არა დასაშვები განმცხადებლის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე  
საცხოვრებელი კომპლექსის აშენება მოქმედი ურბანული დაგეგმარების  
დოკუმენტის განსხვავებული ინტერპრეტაციის საფუძველზე. შესაბამისად,  
ევროპული სასამართლოს შეფასებით, განმცხადებლის შიში მოსამართლის  
მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით დასაბუთებული იყო, რამდენადაც ის  
სამოსამართლო ფუნქციის განსახორციელებლად იმ კანონის ინტერპრეტაცია  
უნდა მოეხდინა, რომელიც უშუალოდ მისი მონაწილეობით იყო მიღებული.

საქმეზე „ვეტშტაინი შვეიცარიის წინააღმდეგ“ ევროპულმა სასამართ-  
ლომ იმსჯელა შემთხვევაზე, სადაც მოსამართლე მის მიერ განსახილველ  
საქმეში მონაწილე ერთი მხარის მონაწილეობა მხარის წარმომადგენელი  
იყო სხვა საქმეში. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ობიექტურად  
გამართლებული იყო შიში, რომ მოსამართლე განმცხადებელს კვლავაც  
დაპირისპირებული მხარის პოზიციიდან აღიქვამდა იმ ფაქტიდან გამომდი-  
ნარე, რომ ეს განხილვები პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობდა.<sup>243</sup> ამდენად,  
სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა ლეგიტიმური ეჭვის საფუძველი  
მოსამართლის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით.

242 მაკგონელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (McGonnell v. the United Kingdom), განაცხ. no. 28488/95, ECHR 2000-II, §52-57.

243 ვეტშტაინი შვეიცარიის წინააღმდეგ (Wettstein v. Switzerland), განაცხ. no. 33958/96, ECHR 2000-XII, §44-47.

ევროპულმა სასამართლომ მხარის შიში ობიექტურად დასაბუთებულად არ მიიჩნია საქმეში „ბელიცი მალტის წინააღმდეგ“, სადაც საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის თანაშემწე წარსულში, რამდენიმე თვის განმავლობაში ასრულებდა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ განსახილველი საქმის ერთ-ერთ მხარის მონინააღმდეგე მხარის სასამართლო წარმომადგენლის ფუნქციას. ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მართალია დავის საგანი ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე იყო, თუმცა განმცხადებელმა ვერ წარადგინა მტკიცებულება იმისა, რომ თანაშემწე სასამართლოს თავმჯდომარის განსახილველი საქმის მომზადებაში იღებდა მონაწილეობას, საქმის მასალებიდან კი ირკვეოდა, რომ თანაშემწე არ მონაწილეობდა საკონსტიტუციო სასამართლოში განსახილველ საქმეზე მონმეების დაკითხვაში, მხარეებთან კომუნიკაციაში და საქმესთან დაკავშირებული ადმინისტრაციული დოკუმენტების მომზადებაში. შესაბამისად, სასამართლომ არ დაადგინა დარღვევა.<sup>244</sup>

### გ. იერარქიული და სხვა კავშირები

შესაძლოა, მოსამართლის მიკერძოების საკითხზე დავის მიზეზი გახდეს მოსამართლის ან მთლიანად სასამართლოს ისეთი იერარქიული დაქვემდებარება, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მის მიუკერძოებლობაზე. მაგალითად, სასამართლომ მიუკერძოებლობის მოთხოვნის დარღვევა დაადგინა საქმეზე „გიორკანი თურქეთის წინააღმდეგ“, სადაც სამხედრო სასამართლოს შემადგენლობაში სხვა მოსამართლეებთან ერთად შედიოდნენ სამხედრო თანამდებობის პირები, რომლებიც იერარქიულ დაქვემდებარებაში იყვნენ სამხედრო ჩინის მქონე ზემდგომ პირებთან, მათზე სამხედრო დისციპლინური პასუხისმგებლობის მექანიზმი ვრცელდებოდა და ისინი არ სარგებლობენ დამოუკიდებლობის ისეთივე საკანონმდებლო გარანტიებით, როგორც ჰქონდათ მოსამართლეებს.<sup>245</sup>

სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში იერარქიული ფუნქციური დაქვემდებარების პრობლემა შეიძლება გაჩნდეს საქმის განმხილველი ორგანოს ისეთი შემადგენლობის გამო, სადაც არათანაბრად არიან წარმოდგენილი დაინტერესებული მხარეები. ასეთი შემთხვევები ხშირია პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხების განმხილველ ორგანოებთან მიმართებით,

244 ბელიცი მალტის წინააღმდეგ (Bellizzi v. Malta), 2011 წლის 21 ივნისი, განაცხ. no. 46575/09, §60-61.

245 გიორკანი თურქეთის წინააღმდეგ (Görkan v. Turkey), 2010 წლის 16 მარტი, განაცხ. no. 13002/05, §13-20.



სადაც როგორც წესი, საქმის განმხილველ ორგანოში წარმოდგენილი არიან შესაბამისი პროფესიის წარმომადგენლები, რომლებსაც კონკრეტული პროფესიული ინტერესი შეიძლება გააჩნდეთ განსახილველი საქმის მიმართ. მაგალითად, ექიმის ან ადვოკატის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს განიხილავენ კოლეგიები, რომლის შემადგენლობაშიც შესაბამისად ექიმები და ადვოკატები შედიან. ევროპული სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკით, ის ფაქტი, რომ სასამართლოს შემადგენლობაში შემავალ პირთა ნაწილს ირჩევენ ერთ-ერთი მხარის კოლეგები, თავისთავად საკმარისი არ არის იმისთვის, რომ მიუკერძოებლობის მოთხოვნის დარღვევა დადგინდეს. მაგალითად, საქმეზე „ლე კომტი, ვან ლიუვენის და დე მეიერი ბელგიის წინააღმდეგ“, სასამართლომ დარღვევა არ დაადგინა მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებლების დისციპლინური პასუხისმგებლობის საქმის განმხილველ ორგანოში – სააპელაციო საბჭოში, რომელმაც განმცხადებელთა მიმართ საექიმო საქმიანობის შეჩერების გადაწყვეტილებები მიიღო, წევრთა ნახევარს ექიმები წარმოადგენდნენ.<sup>246</sup> სასამართლომ მხედველობაში მიიღო ორი გარემოება: 1) წევრთა მეორე ნახევარი – 20-დან 10 წევრი – მოსამართლეები იყვნენ, მათ შორის მოსამართლე იყო კოლეგიის თავმჯდომარეც; 2) საბჭოს წევრ ექიმების მიმართ განმცხადებელს არ ჰქონდა პირად მიკერძოებასთან დაკავშირებული პრეტენზიები.

განსხვავებული ვითარება იყო საქმეზე „AB Kurt Kellermann შვედეთის წინააღმდეგ“, სადაც განმცხადებელი ჩიოდა, რომ შვედეთის შრომის სასამართლოს შემადგენლობა არ იყო მიუკერძოებელი, რადგან მის შემადგენლობაში იყვნენ ინდუსტრიული პროფესიული კავშირების წარმომადგენლები, რომლებიც უშუალოდ იყვნენ დაინტერესებული განხილვის შედეგით. სასამართლო დავა შეეხებოდა კომპანია AB Kurt Kellermann-ის საჩივარს, სადაც ის პროფესიული კავშირების მიერ განხორციელებულ ქმედებებს, მათ შორის ამ კომპანიის შესაძლო ბლოკირებას ასაჩივრებდა, ხოლო შრომის სასამართლოს უნდა დაედგინა, პროფესიული კავშირის ქმედებები იყო თუ არა პროპორციული და სოციალურად რელევანტური.<sup>247</sup> სასამართლომ ამ შემთხვევაში ტესტად გამოიყენა დამკვიდრებული მიდგომა, რომლის თანახმადაც, „გადამწყვეტია, დარღვეული იყო თუ არა ინტერესთა ბალანსი შრომის სასამართლოს შემადგენლობაში და თუ ეს ასე იყო, ბალანსის დაუცველობა გამოინვევდა თუ არა უსამართლობას საქმის განხილვის

246 ლე კომტი, ვან ლიუვენის და დე მეიერი ბელგიის წინააღმდეგ (Le Compte, Van Leuven and De Meyere v. Belgium), 1982 წლის 18 ოქტომბერი, Series A N 544, §58.

247 AB Kurt Kellermann შვედეთის წინააღმდეგ (AB Kurt Kellermann v. Sweden), 2004 წლის 26 ოქტომბერი, განაცხ. no. 41579/98, §60-69.

პროცესში“. სასამართლომ გააანალიზა შვედეთის შრომის სასამართლოში წარმოდგენილი თითოეული ინტერესთა ჯგუფის ინტერესები კონკრეტულ საქმესთან მიმართებით, მათ მიერ კენჭისყრის დროს დაკავებული პოზიციები და მიიჩნია, რომ ინტერესთა ბალანსი არ იყო დარღვეული შრომის სასამართლოს შემადგენლობაში, შესაბამისად აღარ იმსჯელა, რამდენად მოახდენდა გავლენას არსებული დისბალანსი მოცემული საქმის განხილვის პროცესის სამართლიანობაზე.

ევროპულმა სასამართლომ ნათესაური კავშირის არსებობა სისხლის სამართლის საქმის განმხილველ მოსამართლესა და ამავე საქმის გამომძიებელთა ჯგუფის ხელმძღვანელს შორის (მეუღლეები) საკმარის საფუძვლად მიიჩნია მიკერძოების ეჭვის დასაბუთებისთვის,<sup>248</sup> თუმცა ასეთივე ნათესაური კავშირის არსებობა მოსამართლეებს შორის, რომელთაც პირველი და მესამე ინსტანციით განიხილეს ერთი და იგივე საქმე, არ აღმოჩნდა საკმარისი დარღვევის დასადგენად.<sup>249</sup>

სისხლის სამართლის საქმის განხილვა იმ სასამართლოს მიერ, სადაც დაზარალებულის დედა მოსამართლე იყო, ევროპულმა სასამართლომ საკმარისად მიიჩნია ბრალდებულის ეჭვის დასაბუთებლად სასამართლოს მიკერძოებასთან დაკავშირებით.<sup>250</sup>

## 5.4 მოსამართლეთა პირადი მიკერძოების შემთხვევები

მოსამართლეთა პირადი მიკერძოების შემთხვევები, ფუნქციური მიკერძოებისგან განსხვავებით, მოიცავს ისეთ დავებს, სადაც მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით არსებული ეჭვის საფუძველია ინდივიდუალური მოსამართლის, ნაფიცი მსაჯულების პირადი დამოკიდებულება მხარეების ან საქმის შედეგისადმი, და არა მისი სამსახურებრივი, იერარქიული, პროფესიული ან სხვა კავშირები.

ევროპული სასამართლო მოსამართლეებისგან მაქსიმალურ თავშეკავებას მოითხოვს განსახილველ საქმეებთან დაკავშირებით საჯარო განცხადებების გაკეთების კუთხით იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათი პროვოცირება მოხდება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მათი, როგორც მიუკერძოებელი მოსა-

248 დოროჟკო და პოჟარსკი ესტონეთის წინააღმდეგ (Dorozhko and Pozharskiy v. Estonia), 2008 წლის 24 აპრილი, განაცხ. no. 14659/04 და 16855/04, §56-58.

249 პასტორსი გერმანიის წინააღმდეგ (Pastörs v. Germany), 2019 წლის 3 ოქტომბერი, განაცხ. no. 55225/14, §58-70.

250 მიტროვი ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიის წინააღმდეგ, 2016 წლის 2 ივნისი, Mitrov v. the former Yugoslav Republic of Macedonia, განაცხ. no. 45959/09, §49-56.

მართლის იმიჯი ეჭვქვეშ დგება.<sup>251</sup> თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მოსამართლეების ნებისმიერი საჯარო განცხადება მათი მიკერძოების მტკიცებულებად ჩაითვლება.

საქმეზე „კიპრიანუ კვიპროსის წინააღმდეგ“, სუბიექტური ტესტის ანალიზის დროს ევროპულმა სასამართლომ სხვა ფაქტორებთან ერთად გაითვალისწინა, რომ მოსამართლეებმა საქმის განხილვის დაწყებამდე გააკეთეს საჯარო განცხადებები განმცხადებლის ბრალეულობის თაობაზე, და ის, რომ გადაწყვეტილების შინაარსიდანაც იკვეთებოდა მოსამართლეთა პირადი განაწყენება და განმცხადებლის მკაცრად დასჯის სურვილი.<sup>252</sup> ანალოგიურად, სასამართლოს თავმჯდომარის მიერ საქმის განხილვის დაწყებამდე ბრალდებულის მიმართ გამოყენებული გამონათქვამები, რომელთა ქვეტექსტიდან იკვეთებოდა, რომ მას უკვე ჩამოყალიბებული ჰქონდა უარყოფითი მოსაზრება ბრალდებულის თაობაზე, ევროპულმა სასამართლომ საკმარისად ჩათვალა, რომ ბრალდებულის შიშები მოსამართლის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით ლეგიტიმურად მიეჩნია.<sup>253</sup> შესაბამისად, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა დაადგინა.

ზემოთმოყვანილი საქმეებისგან განსხვავებით, ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა დარღვევა მოსამართლეების მიერ პრესისთვის გაკეთებული განცხადებებისა და მოსამართლეთა და პროკურორების ეროვნულ ასოციაციაში გამოქვეყნებული სტატიის გამო, რომელიც შეეხებოდა სამთავრობო საკანონმდებლო ინიციატივებისა და ბრალდებულის დაცვის სტრატეგიის კრიტიკას, თუმცა არაფერს ამბობდა განმცხადებლის ბრალეულობის საკითხზე.<sup>254</sup> ანუ, ევროპული სასამართლოსთვის გადამწყვეტი აღმოჩნდა ის ფაქტორი, რომ მოსამართლეების განცხადებები არ შეეხებოდა განსახილველ საქმეში განმცხადებლის ბრალეულობას.

საინტერესოა ევროპული სასამართლოს დამოკიდებულება ნაფიცი მსაჯულების მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით, რომელზეც ისევე ვრცელდება კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიუკერძოებლობის მოთხოვნა, როგორც მოსამართლეებზე.<sup>255</sup>

251 ლავენტის ლატვიის წინააღმდეგ (*Lavents v. Latvia*), 2002 წლის 28 ნოემბერი, განაცხ. no. 58442/00, §118; ბუსემი იტალიის წინააღმდეგ (*Buscemi v. Italy*), განაცხ. no. 29569/95, ECHR 1999-VI, § 67.

252 კიპრიანუ კვიპროსის წინააღმდეგ (*Kyprianou v. Cyprus*), დიდი პალატა, განაცხ. no. 73797/01, ECHR 2005-XIII.

253 ლავენტის ლატვიის წინააღმდეგ (*Lavents v. Latvia*), 2002 წლის 28 ნოემბერი, განაცხ. no. 58442/00, § 68.

254 პრევიტი იტალიის წინააღმდეგ (*Previti v. Italy*), განჩინება, 2009 წლის 8 დეკემბერი, განაცხ. no. 45291/06, §253.

255 ჰოლმი შვედეთის წინააღმდეგ (*Holm v. Sweden*), 1993 წლის 25 ნოემბერი, Series A no. 279-A, §30.

საქმეზე „რემლი საფრანგეთის წინააღმდეგ“, განმცხადებელი დავობდა, რომ მას საშუალება არ მიეცა ეროვნულ დონეზე მოეთხოვა მის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობიდან (Assize Court) იმ ნაფიცი მსაჯულის აცილება, რომელმაც სხვა მსაჯულის ინფორმაციით, განაცხადა, რომ ის, დიახაც, რასისტი იყო, რადგან მისი შუამდგომლობა აცილების თაობაზე მოსამართლემ ფორმალური მიზეზით საერთოდ არ განიხილა, ხოლო ეროვნული კანონმდებლობა არ აძლევდა საშუალებას განმცხადებელს, ეს გადაწყვეტილება ზემდგომ ინსტანციაში გაესაჩივრებინა. სასამართლომ ობიექტური მიდგომის ტესტით შეაფასა ეს შემთხვევა და მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა დაადგინა, რადგან მიიჩნია, რომ ეროვნულმა სასამართლომ არ შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულება, დარწმუნებულიყო, რომ საქმე მიუკერძოებელმა სასამართლომ განიხილა.<sup>256</sup> მსგავსი შემთხვევა განიხილა სასამართლომ საქმეზე „სანდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, სადაც ერთი ნაფიცი მსაჯულის განცხადებით, რამდენიმე ნაფიცმა მსაჯულმა „რასისტული რეპლიკები და ხუმრობები“ წარმოთქვა. განსხვავებით „რემლის“ საქმისგან, ამ შემთხვევაში მოსამართლემ გარკვეული ზომები მიიღო ნაფიც მსაჯულთა მიკერძოების გამო არსებული დასაბუთებული ეჭვების გასაქარწყლებლად. კერძოდ, მოსამართლემ სასამართლო სხდომაზე ხმამაღლა წაიკითხა ერთ-ერთი ნაფიცი მსაჯულის მიერ მოსამართლისთვის გაგზავნილი ბარათი, სადაც ის აცხადებდა, რომ რამდენიმე ნაფიცმა მსაჯულმა რასისტული რეპლიკები და ხუმრობები წარმოთქვა და განუმარტა ნაფიც მსაჯულებს, რომ ვალდებულები იყვნენ მათ წინაშე არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე მიუკერძოებლად მიელოთ გადაწყვეტილება, თუმცა მოსამართლემ არ დააკმაყოფილა განმცხადებლის შუამდგომლობა, სადაც ის ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის დათხოვნას მოითხოვდა. ევროპულმა სასამართლომ ობიექტური ტესტის გამოყენებით შეაფასა ეს საქმე და არასაკმარისად მიიჩნია ეროვნული სასამართლოს მიერ მიღებული ზომები ნაფიც მსაჯულთა მიკერძოების თაობაზე არსებული ლეგიტიმური ეჭვების გასაფანტად, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც არსებობდა საფრთხე, რომ განმცხადებლისთვის სასჯელი მისი ეთნიკური წარმომავლობის გამო დაეკისრებინათ. ევროპული სასამართლოს შეფასებით, ამ შემთხვევაში ადეკვატური რეაგირება იქნებოდა ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის დათხოვნა.

256 რემლი საფრანგეთის წინააღმდეგ (Remli v. France), 1996 წლის 23 აპრილი, Reports of Judgments and Decisions 1996-II, §46-48.

მოსამართლის პირადი მიკერძოების საკითხი შეიძლება დაისვას ფინანსური, სამსახურებრივი, პოლიტიკური და სხვა პირადი კავშირების არსებობისას საქმის განხილვით დაინტერესებულ ერთ-ერთ მხარესთან მიმართებით. თუმცა, იმისთვის, რომ დარღვევა დადგინდეს აუცილებელია განმცხადებლის შიში მოსამართლის მიკერძოებასთან დაკავშირებით გამყარებული იყოს დამატებითი მტკიცებულებებით, რაც უშუალოდ განსახილველ საქმეს უკავშირდება და ამხელს მოსამართლისა და დაინტერესებული მხარის საეჭვო ურთიერთდამოკიდებულებას. მაგალითად, ის, რომ მოსამართლე და ერთ-ერთი მხარის ინტერესების დამცველი იურიდიული ფირმის წევრი სისხლით ნათესავები არიან, ავტომატურად არ გულისხმობს, რომ მოსამართლის მიკერძოებასთან დაკავშირებული ეჭვი ობიექტურად დასაბუთებულია.<sup>257</sup> საქმეში „რემლიაკი ხორვატიის წინააღმდეგ“, სააპელაციო სასამართლოს კოლეგიის თავმჯდომარის შვილი სტაჟირებას გადიოდა საადვოკატო კომპანიაში, რომელიც განმცხადებლის მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებს იცავდა ამავე საქმეში.<sup>258</sup> მიუკერძოებლობის მოთხოვნის დარღვევის საკითხის გადანწყვეტისას ევროპული სასამართლო რამდენიმე გარემოებას შეაფასებს: „რა პოზიცია უკავია მოსამართლის ნათესავს იურიდიულ კომპანიაში, რამდენად დიდია კომპანია, როგორია მისი ორგანიზაციული სტრუქტურა, რა ფინანსურ სარგებელს ელის იურიდიული კომპანია მიმდინარე სასამართლო დავიდან, და როგორი იქნება მოსამართლის ნათესავის პოტენციური ფინანსური სარგებელი“.<sup>259</sup> ამ საქმეში სასამართლომ დარღვევა დაადგინა ამ კონკრეტული საკითხების დეტალური შესწავლის შედეგად და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მოსამართლემ არ აიცილა საქმე და არც სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს აცნობა მისი შვილის და მის მიერ განსახილველ საქმეზე ერთ-ერთი მხარის წარმომადგენელი საადვოკატო კომპანიის კავშირის თაობაზე, ამასთან მოწინააღმდეგე მხარის საჩივარი მოსამართლის მიკერძოებასთან დაკავშირებით სათანადოდ არ შეისწავლა ზემდგომმა სასამართლომ საკასაციო საჩივრის განხილვის ფარგლებში.

ასევე, ის ფაქტი, რომ მოსამართლე წარსულში პოლიტიკური პარტიის წევრი იყო, არ არის საკმარისი მისი მიკერძოების ეჭვის დასაბუთებლად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არ არსებობს მინიშნება, რომ მოსამართლის პოლიტიკური პარტიისადმი კუთვნილებას რაიმე კავშირი შეიძლება ჰქონდეს განსახილველი საქმის შინაარსთან.<sup>260</sup>

257 რამლიაკი ხორვატიის წინააღმდეგ (Ramljak v. Croatia), 2017 წლის 27 ივნისი, განაცხ. no. 5856/13, §29.

258 იქვე.

259 იქვე, §38-39; ნიკოლასი კვიპროსის წინააღმდეგ (Nicholas v. Cyprus), 2018 წლის 9 იანვარი, განაცხ. no. 63246/10, § 62.

260 ოტეგი მონდრაგონი და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ (Otegi Mondragon and Others v. Spain), 2015 წლის 3 ნოემბერი, განიხილება განაცხ. no. 4184/15, §25-29.

საინტერესოა შემთხვევა, როდესაც მიუკერძოებლობის პრობლემა წარმოიშობა მოსამართლის მიერ განსახილველ საქმეში მონაწილე მხარის მონინალმდეგე მხარესა და მოსამართლის ოჯახის წევრს შორის არსებული ფინანსური ურთიერთობის გამო, კონკრეტულად საბანკო დაწესებულებასთან მიმართებით. საქმეში „პეტურ თორ სიგურდსონი ისლანდიის წინააღმდეგ“ მოსამართლის მეუღლე რთულ ფინანსურ მდგომარეობაში იყო, რის გამოც განმცხადებლის საქმის განხილვის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე და უშუალოდ საქმის განხილვის პერიოდში მოლაპარაკებებს აწარმოებდა ეროვნულ ბანკთან.<sup>261</sup> საბოლოოდ მოლაპარაკებები მისთვის სასარგებლო შედეგით დასრულდა. მოლაპარაკებების პროცესში პასიური როლი ჰქონდა მოსამართლესაც, რომელიც მეუღლეს ეხმარებოდა, კერძოდ მისი და მეუღლის საერთო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლი გამოყენებული იყო სესხის უზრუნველსაყოფად. სასამართლომ ეჭვქვეშ არ დააყენა ის ფაქტი, ჰქონდათ თუ არა რამე ფინანსური დაინტერესება მოსამართლეს ან მის მეუღლეს საქმის შედეგით, სადაც ერთ-ერთ მხარეს ეროვნული ბანკი წარმოადგენდა. თუმცა, სასამართლომ ჩათვალა, რომ გარკვეული ფინანსური დამოკიდებულების აღქმა არსებობდა მოსამართლესა და ეროვნულ ბანკს შორის, რადგან მოსამართლე ჩართული იყო სესხთან დაკავშირებით ბანკთან წარმოებული მოლაპარაკების პროცესში, რომელიც მისი მეუღლისთვის სასარგებლო შედეგით დასრულდა ეს მოლაპარაკებები დროში ახლოს იყო მიმდინარე სასამართლო განხილვასთან, ხოლო მოსამართლის მეუღლის ბანკთან ურთიერთობა მისი ხასიათის და მასშტაბის მიხედვით ასევე ყურადსაღები ფაქტორი იყო (საქმე შეეხებოდა 190 000 ევროს ღირებულების სესხს). ამ გარემოებათა ერთობლიობა გონივრულ ეჭვს აღძრავდა მოსამართლის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით, რის გამოც მე-6 მუხლის პირველი პუნქტით დარღვევა დაადგინა.<sup>262</sup>

## დასკვნა

სამართლიანი სასამართლოს უფლება მნიშვნელოვანი ბერკეცია სამართლის უზენაესობის დასაცავად, რომელიც ევროპული სამართლებრივი წესრიგის ფუნდამენტია. სასამართლოს მიუკერძოებლობის პრინციპი სამართლის უზენაესობის პრაქტიკული რეალიზაციის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, რადგან მისი ამოცანაა სასამართლო უფლებამოსილებით აღჭურვილი თა-

261 პეტურ თორ სიგურდსონი ისლანდიის წინააღმდეგ (Pétur Thór Sigurðsson v. Iceland), განაცხ. no. 39731/98, ECHR 2003-IV.

262 იქვე, §45.

ნამდებობის პირების კორპორატიული და პირადი ინტერესებით მოტივირებული ტენდენციური გადანყვეტილებებისგან დაიცვას კეთილსინდისიერი მოქალაქეები. როგორც ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს თითქმის 70-წლიანი ისტორია მოწმობს, მუდმივად არსებობს იმის საფრთხე, რომ სამართლის უზენაესობის რეალიზებას საფრთხე შეუქმნას მოსამართლის იერარქიულმა, ფინანსურმა თუ ნათესაურმა დამოკიდებულებებმა და არაჯანსაღმა სუბიექტურმა მოტივაციამ. ამ ქვეთავში წარმოდგენილი მიმოხილვის შედეგად ცხადი ხდება სუბიექტური და ობიექტური მიუკერძოებლობის ტესტების ზუსტი შინაარსი და რა კრიტერიუმებითა და რა სახის მტკიცებულებებზე დაყრდნობით აფასებს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო, ჰქონდა თუ არა ადგილი სასამართლოს მიუკერძოებლობის მოთხოვნის დარღვევას ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში. განხილული საქმეების ანალიზი ცხადყოფს, რომ სასამართლო ყოველ ინდივიდუალურ საქმეში არსებულ სპეციფიკურ ფაქტობრივ გარემოებებს ითვალისწინებს და ახალი გამოწვევების კვალდაკვალ აფართოებს იმ ფაქტორთა წრეს, რომლებიც გავლენას ახდენს სუბიექტური და ობიექტური ტესტების საფუძველზე სასამართლოს/მოსამართლის მიუკერძოებლობის საკითხის შეფასებაზე.

**III. აშშ-ის უზენაესი სასამართლოს  
იურისპრუდენცია  
„ჯეროვანი პროცედურის კლასიკულაჟი“  
და სასამართლოს დამოუკიდებლობა და  
მიუკერძოებლობა**

**1. ჯეროვანი პროცესის გარანტიის პროცედურული  
ასპექტი და მისი მიმართება სამართლიანი  
სასამართლოს პროცედურულ გარანტიებთან  
მე-6 შესწორების ფარგლებში და სასამართლოს  
დამოუკიდებლობის სტრუქტურულ კონსტიტუციურ  
გარანტიებთან (მე-3 მუხლი)**

აშშ-ის კონსტიტუციას ახასიათებს მნიშვნელოვანი ტელეოლოგიური ერთიანობა ხელისუფლების შეზღუდვისა და ინდივიდუალური თავისუფლების დაცვის კონსტიტუციურ მიზნებთან მიმართებით. 1787 წლის ფედერალური კონსტიტუციის როგორც სტრუქტურული ისევე არსებითი გარანტიები (მოცემული 1791 წლის უფლებათა ბილის შესწორებებში და მე-14 შესწორებაში) მიმართულია ამ მიზნების მიღწევისკენ. უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური იურისპრუდენცია განამტკიცებს სტრუქტურისა და შინაარსის ამგვარ ერთიანობას.

მიუხედავად დოქტრინული აღიარებისა, სტრუქტურულ და უფლებრივ-შინაარსობრივ კონსტიტუციურ გარანტიებს შორის კავშირი ყველა შემთხვევაში ცხადად და თანმიმდევრულად არ არის გამოკვეთილი. ზოგჯერ ეს ურთიერთმიმართებანი მნიშვნელოვანი პრაქტიკული თუ იურისპრუდენციული სირთულეების განმპირობებელიც ხდება ხოლმე. კერძოდ, ცალკეულ შემთხვევებში, აღნიშნული გარანტიები არ გამოიყენება თავისუფლებისა და უფლებების კონსტიტუციური დაცვის გასაძლიერებლად და ერთის მეშვეობით მეორეს დაცვის ფარგლების შესუსტება ხდება.



პროცედურული გარანტიები მოიცავს როგორც კონსტიტუციის სტრუქტურის, ისე უფლებების მნიშვნელოვან ასპექტებს. წინამდებარე ანალიზი შეეხება სტრუქტურული და უფლებრივი გარანტიების ურთიერთმიმართებას სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის კონსტიტუციური პრინციპებისა და ღირებულებების შინაარსის განსაზღვრისას.

სასამართლოს დამოუკიდებლობა, განსაკუთრებით კი მის ინსტიტუციურ განზომილებაში ერთი შეხედვით სრულად და ექსკლუზიურად უკავშირდება კონსტიტუციის სტრუქტურულ ნაწილს. ეს დიდწილად მართლაც ასეა, განსაკუთრებით კი ფედერალური სასამართლო ხელისუფლების შემთხვევაში. თუმცა აშშ-ის სასამართლო სისტემაში ფედერალური (ე.წ. „კონსტიტუციის მესამე მუხლის სასამართლოები“) სასამართლოები სულაც არ განიხილავენ საქმეების უმრავლესობას.<sup>263</sup>

შტატებს საკუთარი იურისდიქციები და სასამართლო სისტემები აქვთ, რომლებიც შტატების კონსტიტუციების შესაბამისად არიან მოწყობილი. შტატების სასამართლოების მოსამართლეთა დიდი ნაწილის მიმართ არ მოქმედებს ფედერალური კონსტიტუციის ისეთი მნიშვნელოვანი გარანტიები, როგორცაა თანამდებობაზე განწესება უვადოდ (მოსამართლისთვის შესაფერი ქცევის პირობით, სავალდებულო საპენსიო ასაკის გარეშე) და თანამდებობიდან ჩამოშორება მხოლოდ იმპიჩმენტის პროცედურის მეშვეობით. შტატის სასამართლოების მოსამართლეთა აბსოლუტური უმრავლესობა შეზღუდული ვადითაა თანამდებობაზე განწესებული, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი თანამდებობაზე სახალხო კენჭისყრით, ამომრჩეველთა მიერ აირჩევა და დემოკრატიული პროცესითაა პერიოდულად ანგარიშვალდებული.

შტატების სასამართლო სისტემების მიღმა, ფედერალურ სასამართლოებშიც, ყველა მოსამართლე არ სარგებლობს კონსტიტუციის მესამე მუხლის გარანტიებით. ე.წ. „ფედერალური საკანონმდებლო მოსამართლეები“, რომლებიც კონგრესის აქტების საფუძველზე შეზღუდული ვადით არიან თანამდებობაზე და მაგისტრატი მოსამართლეების/გაკოტრების საქმეთა განმხილველი მოსამართლეების თანამდებობებს იკავებენ.

კიდევ უფრო ფართოა ადმინისტრაციული სახელმწიფოს სასამართლო ფრთა, ე.წ. „ადმინისტრაციული სამართლის მოსამართლეები“, რომლებსაც კონგრესის მიერ შექმნილ ისეთ მნიშვნელოვან სააგენტოებში აქვთ მოსამართლის სტატუსი როგორებიცაა, სოციალური უსაფრთხოების ადმინისტრაცია, ფასიანი ქაღალდების მიმოცვლის კომისია, დასაქმების შესაძლებლობების თანასწორობის კომისია და სხვა. კიდევ უფრო მეტია ფედერალურ საა-

263 Stephen B. Burbank, *The Architecture of Judicial Independence*, 72 S. Cal. L. Rev. 315 (1999).

გენტოებში იმ თანამდებობის პირთა რაოდენობა, რომლებიც არსებითად სასამართლო ფუნქციებს ასრულებენ, თუმცა ფედერალური კანონმდებლობით მოსამართლედ არ არიან კატეგორიზებული. მათ ზოგჯერ „ფარულ სასამართლო ხელისუფლებასაც“ უწოდებენ.<sup>264</sup>

სწორედ ფედერალური სასამართლო ხელისუფლების ამ ნაწილზე საუბრისას, რომლის ძალაუფლებაც არაფრით ჩამოუვარდება სხვა სასამართლო ორგანოების ძალაუფლებას, ვლინდება მესამე მუხლის სტრუქტურული გარანტიების კონსტიტუციური დაცვის წვდომის შეზღუდულობა. შესაბამისად, მესამე მუხლის საფუძველზე კონგრესის მიერ დაფუძნებული ფედერალური სასამართლოების მიღმა განხორციელებული სასამართლო ხელისუფლების შესაბამისობა კონსტიტუციის პრინციპებთან და მიზნებთან მხოლოდ არსებითი გარანტიებით შეიძლება შეიზღუდოს და შემოწმდეს.

ამ მხრივ ყველაზე უფრო გამოსადეგი არის ფედერალური კონსტიტუციის მე-5 და მე-14 შესწორებებით განსაზღვრული „ჯეროვანი პროცედურის“ გარანტიის პროცედურული ასპექტი. გასათვალისწინებელია, რომ ეს გარანტია ყველაზე ფართო პროცედურული დაცვის საშუალებაა, ვრცელდება როგორც ფედერალურ ისე შტატების ხელისუფლებებზე და აწესებს პროცედურულ მოთხოვნებს კონსტიტუციით დაცული არსებითი ინტერესების ფართო სპექტრის ხელისუფლების მიერ შეზღუდვის პროცესზე.

„ჯეროვანი პროცედურის“ კონსტიტუციური მოთხოვნები ვრცელდება როგორც ფედერალურ და შტატების სასამართლო სისტემებზე, ისე ფედერალური ადმინისტრაციული სახელმწიფოს სააგენტოების სასამართლო ორგანოებზე, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების შიგნით ან მისი ქოლგის ქვეშ კვაზისასამართლო ფუნქციების განხორციელებაზე.

ფართო წვდომის მიუხედავად, როგორც შემდეგი ნაწილების განხილვაში უფრო ნათლად გამოჩნდება, აშშ-ის უზენაეს სასამართლოს აღნიშნული გარანტიის შინაარსი ასევე ფართოდ არ განუმარტავს. მეტიც, შეზღუდული განმარტების ტექნიკები და იურისპრუდენციული ტესტები, რომლებიც სასამართლომ „ჯეროვანი პროცედურის“ კონტექსტში განავითარა, ასევე გამოიყენებოდა სხვა პროცესუალური კონსტიტუციური გარანტიების შინაარსისა და კონსტიტუციური დაცვის დასავიწროვებლად და შესასუსტებლად.

ამ მხრივ აღსანიშნავია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კონსტიტუციური გარანტია რომელიც სამართლიანი სასამართლოს პროცესუალურ მოთხოვნებს აწესებს სისხლის სამართლის საქმეებზე. ეს კონსტიტუციის მე-6 შესწორებით

264 Judith Resnik, *Judicial Independence and Article III: Too Little and Too Much*, 72 S. Cal. L. Rev. 657 (1999).

გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს შვიდი პროცესუალური გარანტიაა სისხლის სამართლებრივი ბრალდების საქმეებზე. ინსტიტუციურ ნაწილში მე-6 შესწორება ითვალისწინებს მნიშვნელოვან უფლებას ნაფიც მსაჯულთა ჟიურის მიერ საქმის განხილვაზე. ამ მხრივ, მე-6 შესწორება შედარებით ნაკლებ უკავშირდება მოსამართლის დამოუკიდებლობის ინსტიტუციურ თუ ინდივიდუალურ გარანტიებს, თუმცა მეორე მხრივ, ნაფიც მსაჯულთა ჟიურის ხედავს და განამტკიცებს სწორედ დამოუკიდებელ სასამართლო ინსტიტუტს.<sup>265</sup> ნაფიცი მსაჯულის მიკერძოება დაარღვევდა „ჯეროვანი პროცედურის“ მოთხოვნებს, თუმცა მიკერძოების შესახებ ყველა ეჭვი არ ქმნის მსაჯულის მიკერძოების პრეზუმფციას. ეჭვის შემთხვევაში, სასამართლო მოსმენა, რომელიც მიკერძოების საკითხს შეჯიბრებითი პროცესის ფარგლებში გადანყვეტდა, „ჯეროვანი პროცედურის“ მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა.<sup>266</sup>

მე-6 შესწორება თავდაპირველად მხოლოდ ფედერალურ ხელისუფლებაზე ვრცელდებოდა. მისი ნედომის გაფართოებისთვის უზენაესმა სასამართლომ გამოიყენა ე.წ. „ინკორპორაციის დოქტრინა“. ამ დოქტრინის მიხედვით, ფედერალური კონსტიტუციის პირველი ათი შესწორებით გათვალისწინებული კონსტიტუციური უფლებები შტატების ხელისუფლებებზე ვრცელდება კონსტიტუციის მე-14 შესწორების ძალით, კერძოდ კი ჯეროვანი პროცედურის კლაუზულის მეშვეობით.

შესაბამისად, აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ თავის იურისპრუდენციაში მნიშვნელოვნად გადააჯაჭვა ერთმანეთს მე-6 შესწორებისა და მე-14 შესწორების ჯეროვანი პროცედურის გარანტიის პროცესუალური ასპექტები. ეს შესაძლოა იურისპრუდენციული თვალსაზრისით არც ისე უჩვეულო იყოს, ამ გარანტიების მნიშვნელოვანი შინაარსობრივი სიახლოვიდან გამომდინარე. თუმცა ამ მიდგომამ აკადემიური კომენტატორების მნიშვნელოვანი კრიტიკაც დაიმსახურა.<sup>267</sup>

კრიტიკა ძირითადად მიემართება იმას, რომ უზენაესმა სასამართლომ გამოიყენა „ჯეროვანი პროცედურის“ გარანტიის პროცესუალური ასპექტის შემზღუდავი იურისპრუდენციული ტესტები რათა დაევიწროვებინა და შეესუსტებინა მე-6 შესწორებით გათვალისწინებული პროცესუალური მოთხოვნები სისხლის სამართლის საქმეებზე. კრიტიკოსები განსაკუთრებით გამოყოფდნენ ისეთ შემთხვევებს, სადაც მე-6 შესწორების ტექსტიდან იკი-

265 Sanjay Chhablani, *Disentangling the Sixth Amendment*, 11 U. Pa. J. Const. L. 487 (2009).

266 *Smith v. Phillips*, 455 U.S. 209 (1982).

267 *Supra*, 311

თხებოდა უფრო ფართო და ძლიერი პროცესუალური გარანტია, რომელიც უზენაესი სასამართლოს მიერ შესუსტებული და შეზღუდული სახით იქნა განმარტებული „ჯეროვანი პროცედურის“ იურისპრუდენციული ტესტებისა და სტანდარტების გამოყენების გამო.

ამრიგად, „ჯეროვანი პროცედურის“ კონსტიტუციური გარანტია მიუხედავად სასამართლოს ჩამოყალიბებული მიდგომისა თავი აარიდოს მისი შინაარსის ფართოდ კონსტრუქციას, მნიშვნელოვანი კონსტიტუციური ჩარჩოს ფუნქცია აკისრია. ამ ჩარჩოს მეშვეობით, უფლების სასამართლო წესით დაცვასთან დაკავშირებულ კონსტიტუციურ პრინციპებსა და ღირებულებებს ეძლევათ წვდომა და გავლენის მოხდენის შესაძლებლობა ძალაუფლების განხორციელების ისეთ შემთხვევებსა და კონტექსტებზე, რომლებიც მიღმაა სასამართლო ხელისუფლების სტრუქტურული კონსტიტუციური მონესრიგების ფარგლებისა.

როგორც აღვნიშნეთ, „ჯეროვანი პროცედურის“ კლაუზულის პროცესუალური გარანტიები მოქმედებს ე.წ. „მესამე მუხლის სასამართლოების“ მიმართაც. თუმცა ამ უკანასკნელთა შემთხვევაში, სტრუქტურული კონსტიტუციური გარანტიები იმდენად ძლიერია, რომ ამ სასამართლოთა დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა ხშირად ნაგულისხმევად მიიჩნევა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თავად ამ სასამართლოების დამფუძნებელ-მომნესრიგებელი ფედერალური კანონმდებლობის სტრუქტურულ კონსტიტუციურ გარანტიებთან შესაბამისობა არის დავის საგანი.

„ჯეროვანი პროცედურის“ გარანტიის პროცესუალური ასპექტები შესაბამისად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ისეთ კონტექსტებში, როდესაც საკანონმდებლო წესით ხდება ისეთი მნიშვნელოვანი უფლებრივი ინტერესების შეზღუდვა როგორცაა სიცოცხლე, თავისუფლება და საკუთრება. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ისეთი შემთხვევები, როდესაც კანონმდებელი ირჩევს ამ უფლებრივი ინტერესების შეზღუდვას ისეთი ინსტიტუტების მეშვეობით რომლებზეც პირდაპირ არ მოქმედებს სტრუქტურული კონსტიტუციური გარანტიები, კერძოდ აშშ-ის ფედერალური კონსტიტუციის მესამე მუხლი.

როდესაც ამ კონსტიტუციური ინტერესების შეზღუდვა ფედერალური ან შტატების სასამართლო სისტემებს მიღმა ხდება, ფუნდამენტური კონსტიტუციური კითხვა რომელიც დაისმის შეეხება არა მხოლოდ იმას თუ როგორი პროცედურები უნდა გამოიყენოს საქმის გადამწყვეტმა ინსტიტუტმა, არამედ იმასაც თუ როგორ უნდა იყოს შექმნილი და მოწყობილი ეს ინსტიტუტი. ამ მხრივ მნიშვნელოვანია შევნიშნოთ, რომ ყველა იმ შემთხვევაში როდესაც „ჯეროვანი პროცედურის“ გარანტიის პროცესუალური ასპექტი მოქმედებს

ის არ მოითხოვს რომ საქმის განხილვა-გადაწყვეტა ისეთმა ინსტიტუტმა განახორციელოს რომელიც სრულად იდენტიურია ე.წ. „მესამე მუხლის“ სასამართლოებისა.

პროცესი რომელიც „ჯერ არს“, „ჯეროვანი პროცედურის“ კლაუზულის არსებული იურისპრუდენციის მიხედვით, ყოველთვის არ მოითხოვს სასამართლო ორგანოს მიერ განხილვას და სასამართლოსთვის დამახასიათებელი პროცედურების ზედმინენით დაცვას. თუმცა აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მიერ განვითარებული დაბალანსების ტესტის მიხედვით, რომლის დეტალებსაც ქვემოთ განვიხილავთ, რაც უფრო მნიშვნელოვანია კონსტიტუციით დაცული უფლებრივი გარანტია რომელში ჩარევაც და შეზღუდვაც ხდება, მით უფრო მკაცრდება კონსტიტუციის პროცედურული მოთხოვნებიც.

შესაბამისად, მნიშვნელოვანი არსებითი კონსტიტუციური ინტერესების შეზღუდვისას, „ჯეროვანი“ ჩვეულებრივ ვერ იქნება პროცესი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს სასამართლოსთვის დამახასიათებელ ცენტრალურ კრიტერიუმებს. ამ მოთხოვნებს შორის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ შეჯიბრებითი პროცესი და ღია საჯარო მოსმენა, არამედ საქმეზე გადაწყვეტილების მიმღების დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობაც.

თავის მხრივ, ეს მოთხოვნაც განაპირობებდა, სასამართლო ხელისუფლების მიღმა, განსაკუთრებით კი ადმინისტრაციული სახელმწიფოს სააგენტოებსა და აღმასრულებელი ხელისუფლების ინსტიტუტებში მზარდი „გასასამართლოების“ პროცესს. თუმცა ამგვარი კვაზისასამართლო ინსტიტუტებისა და პროცესების მომრავლებამ, მეორე მხრივ დაბნეულობაც შემოიტანა. შემდეგ ნაწილებში, შევეცდებით ამომწურავად განვიხილოთ „ჯეროვანი პროცედურის“ გარანტიის ძალა უზრუნველყოს არსებითი კონსტიტუციური უფლებრივი ინტერესების პროცედურული დაცვა სასამართლო დაცვის ხარისხით.

## 2. როდის ითხოვს აშშ-ის კონსტიტუცია „ჯეროვან პროცედურას“?

აშშ-ის კონსტიტუციის მე-5 და მე-14 შესწორებები მოიცავენ იდენტიურ შინაარსის კლაუზულებს, რომელთაგან პირველი ვრცელდება ფედერალურ ხელისუფლებაზე, ხოლო მეორე შტატების ხელისუფლებებზე. მეხუთე შესწორების მიხედვით „არც ერთ პირს ... არ უნდა წაერთვას სიცოცხლე, თავისუფლება და საკუთრება ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის გარეშე“. მე-14 შესწორების იდენტიური კლაუზულა კი გარკვევით მიემართება შტატებს და განსაზღვრავს რომ „არც ერთმა შტატმა არ შეიძლება ნების-

მიერ პირს წაართვას სიცოცხლე, თავისუფლება და საკუთრება ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის გარეშე“.

აშშ-ის უზენაესი სასამართლოს დამკვიდრებული დოქტრინით, მე-5 და მე-14 შესწორების ჯეროვანი პროცედურის კლავზულები იდენტური შინაარსისაა. როგორც მოსამართლე ფრანკფურტერმა აღნიშნა თავის თანმხვედრ აზრში საქმეზე *Malinski v. New York*, „ვარაუდი იმაზე რომ „ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურა“ ნიშნავდა ერთს მეხუთე შესწორებაში და მეორეს მეთოთხმეტე შესწორებაში ზედმეტად არასერიოზულია იმისათვის რომ სასამართლოსგან ზედმიწევნით ჩამოყალიბებულ უარყოფას საჭიროებდეს“.<sup>268</sup>

დღეს დამკვიდრებულ მიდგომამდე, რომელიც დაბალანსების ტესტს იყენებს ყველა კონკრეტულ შემთხვევაში კონსტიტუციურად სავალდებულო „ჯეროვანი პროცედურის“ განსაზღვრად, 1970-იან წლებამდე გავრცელებული იყო ე.წ. ისტორიული მიდგომა.<sup>269</sup> ისტორიული მიდგომის მიხედვით, მოსამართლეები არკვევდნენ ტრადიციულად საერთო სამართალში, მათ შორის ინგლისის საერთო სამართალში არსებულ პროცედურული დაცვის გარანტიებს ცალკეული საქმეების კონტექსტებში და ამის მიხედვით განსაზღვრავდნენ თუ რა იყო კონსტიტუციურად „ჯეროვანი პროცედურა“.

აკადემიურ დოქტრინაში, ისტორიული მიდგომის საპირისპიროდ ასევე გავრცელებული იყო ე.წ. „პოზიტივისტური მიდგომა“. ამ მიდგომის მიხედვით, „ჯეროვანად“ უნდა ყოფილიყო მიჩნეული ნებისმიერი სამართლებრივი პროცედურა, რომელსაც კანონმდებელი გაითვალისწინებდა შესაბამის საკანონმდებლო აქტში. აღნიშნული ექსტრემალური მიდგომა აშშ-ის უზენაესი სასამართლოს იურისპრუდენციაში მნიშვნელოვნად არასდროს ყოფილა გავრცელებული. ასეთ შემთხვევაში ეს პრაქტიკულად გაუტოლდებოდა „ჯეროვანი პროცედურის“ კლავზულების კონსტიტუციის ტექსტის „გარეთ ამოკითხვას“ და შინაარსს გამოაცლიდა მათით გათვალისწინებულ უმნიშვნელოვანეს კონსტიტუციურ დაცვას.<sup>270</sup>

საბოლოოდ, მოყოლებული 1970-იანი წლებიდან, აშშ-ის უზენაესი სასამართლოს იურისპრუდენციაში საბოლოოდ დამკვიდრდა ე.წ. დაბალანსების ტესტი. დაბალანსების ტესტის სასწორის ერთ პინაზე არის ის კონსტიტუციურად დაცული არსებითი ინტერესი („სიცოცხლე, თავისუფლება, საკუთრება“) რომელიც იზღუდება ხელისუფლების მიერ და კონკრეტული დამატებითი პროცედურების შესაძლო ღირებულება ამ ინტერესის დაცვაში, ხოლო მეო-

268 *Malinski v. New York*, 324 U.S. 401 (1945).

269 Martin H. Redish & Lawrence C. Marshall, *Adjudicatory Independence and the Values of Procedural Due Process*, 95 *Yale L.J.* (1986).

270 *Ibid.*

რე პინაზე კი შეინონება სახელმწიფოს ფისკალური და ადმინისტრაციული ტვირთი, რომელიც აუცილებელი იქნება ამ პროცედურული გარანტიის უზრუნველსაყოფად.

აქვე მნიშვნელოვანია იმის თქმა, რომ ბალანსირების ამ ტესტში არსებითი კონსტიტუციური ინტერესის ყველა სახის დაცვა კატეგორიულად არ გადაწონის სახელმწიფოს ადმინისტრაციული და ფისკალური ტვირთიდან გამომდინარე არგუმენტებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ კონსტიტუციურად დაცული არსებითი ინტერესი წონადად იქნეს შეფასებული.

აღსანიშნავია, რომ ამ შეფასებას არა მხოლოდ ბალანსირების ეტაპზე აქვს მნიშვნელობა. ჯეროვანი პროცედურის კლაუზულის მიზნებისთვის ერთგვარი ზღურბლის ფუნქციას ასრულებს იმის განსაზღვრა, ექცევა თუ არა კონკრეტული შემთხვევა კლაუზულით დაცულ კონსტიტუციურ ინტერესთა წრეში. თუ ინტერესი რომელიც იზღუდება სადავო პროცედურით სასამართლოს მიერ არ კატეგორიზდება როგორც „ჯეროვანი პროცედურის კლაუზულით“ დასაცავი ინტერესი, საერთოდ არ ხდება აღნიშნული კლაუზულის საფუძველზე კონსტიტუციური შემოწმება.

მაგალითისთვის, აშშ-ის უზენაესი სასამართლოს საქმეში *Kerry v. Din*, მოსარჩელე, აშშ-ის მოქალაქე დავობდა, რომ მისი ქმრისთვის, ავღანეთის მოქალაქისთვის ვიზის არ მიცემით, ფედერალურმა ხელისუფლებამ მისი პროცედურული ჯეროვანი პროცედურის კონსტიტუციური გარანტიები შელახა.<sup>271</sup> სასამართლოს უმრავლესობის აზრში, რომელიც მოსამართლე სკალიას ეკუთვნოდა დასაბუთებული იყო, რომ დინს საქმეში საერთოდ არ გააჩნდა „თავისუფლების ინტერესი“, რომლის დაცვისთვისაც „ჯეროვანი პროცედურა“ კონსტიტუციურად სავალდებულო იქნებოდა. შესაბამისად, სასამართლო საერთოდ არ გადასულა დაბალანსების ტესტის გამოყენებაზე, გადაწყვიტა რა საქმე ე.წ. „ზღურბლი საკითხის“ გადაწყვეტით.

იმავე საქმეში, განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლე ბრეიერი კი ასაბუთებდა, რომ დინს კონსტიტუციური დაცვის ღირსი „თავისუფლების ინტერესი“ გააჩნდა, კერძოდ კი ინტერესი ეცხოვრა თავის ქმართან ერთად შეერთებული შტატების ტერიტორიაზე. თუმცა სასამართლოს უმრავლესობისთვის „თავისუფლების ინტერესის“ ამგვარი ფართო განმარტება მიუღებელი აღმოჩნდა. მეორე მხრივ, სასამართლოს აქ „თავისუფლების ინტერესი“ რომც დაენახა, მას არ მიიჩნევდა საკმარისად ძლიერად იმისათვის, რომ ფედერალური მთავრობისთვის იმაზე მეტი პროცედურული მოთხოვნები დაენესებინა, ვიდრე ეს უკვე იყო გათვალისწინებული სტანდარტული ვიზის

271 *Kerry v. Din*, 576 U.S.\_ (2015)

გაცემის პროცედურით. ეს სულისკვეთება იკითხება მოსამართლე კენედის თანმხვედრი აზრიდან იმავე საქმეზე, რომლის თანახმადაც საერთოდ აუცილებელი არ იყო იმის გარკვევა ჰქონდა თუ არა დინს ამ საქმეზე „თავისუფლების ინტერესი“, რამდენადაც მას უკვე მიღებული ჰქონდა „ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურა“.

შესაბამისად, მანამ სანამ „ჯეროვანი პროცედურის“ კლაუზულის დაბალანსების ტესტის განხილვაზე გადავალთ საჭიროა, რომ „ზღურბლის საკითხთან“ დაკავშირებული ელემენტების განხილვა დავასრულოთ. კერძოდ კი აშშ-ის უზენაესი სასამართლოს „ჯეროვანი პროცედურის“ კლაუზულის პროცედურული გარანტიის იურისპრუდენციის ანალიზის საფუძველზე ჩამოვყალიბოთ გარკვეული ტაქსონომია იმ არსებითი უფლებრივი ინტერესებისა, რომელთა შეზღუდვისასაც კონსტიტუცია მოითხოვს „ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის“ კონსტიტუციური მოთხოვნების დაცვას.

სანყისი წერტილი ამ ანალიზისა რა თქმა უნდა თავად კლაუზულების ტექსტია, რომელიც აკეთებს მითითებას „სიცოცხლეზე, თავისუფლებაზე და საკუთრებაზე“. ამ უფლებრივ ასპექტებს შორის, მათ შორის „ჯეროვანი პროცედურის“ კლაუზულის მიზნებისთვის არსებობს მნიშვნელოვანი შინაგანი კავშირები, ისე რომ მათი ცალ-ცალკე განხილვა წარმოუდგენელია. თუმცა ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მათი დოქტრინული და იურისპრუდენციული ჩამოყალიბება ყოველთვის არ არის სისტემატიზირებული სახით წარმოდგენილი და მნიშვნელოვან წინააღმდეგობებსაც შეიძლება მოიცავდეს. შემდეგ ნაწილებში განხილული იქნება ტაქსონომია ამ ინტერესებისა და მათი ურთიერკავშირისა სამივე ზოგადი კატეგორიის ქოლგის ქვეშ.

კონსტიტუციურ დაცვას დაქვემდებარებული ინტერესების იდენტიფიკაციასთან ერთად, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი „ზღურბლი“ საკითხია იმის განსაზღვრა, ადგილი ჰქონდა თუ არა საჯარო ხელისუფლების (ფედერალური, შტატის) მხრიდან რომელიმე ამ ინტერესის შელახვას. მნიშვნელოვანია, რომ საჯარო ხელისუფლების მხრიდან უმოქმედობა ან თუნდაც გაუფრთხილებლობით მოქმედება არ არის საკმარისი იმისათვის, რომ კონსტიტუციურად რელევანტური ინტერესის „შელახვა“ დადგინდეს.

უზენაესი სასამართლოს იურისპრუდენცია ამ მხრივ უმეტესად საპატიმრო დაწესებულებებიდან წამოსული საჩივრების კონტექსტში განვითარდა. დანიელსი უილიამსის წინააღმდეგ<sup>272</sup> და დავიდსონის ქენონის წინააღმდეგ<sup>273</sup> შეეხებოდა ციხის თანამშრომელთა გულგრილობის/გაუფრთხილებლობის

272 Daniels v. Williams, 474 U.S. 327 (1986).

273 Davidson v. Cannon, 474 U.S. 344 (1986).



შედეგად დამდგარ ზიანს. სასამართლომ გაუფრთხილებლობა საკმარისად არ მიიჩნია რათა „ჯეროვანი პროცესის“ კლაუზულით დაცული ინტერესის შელახვა დაედგინა.

აქვე მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ „ჯეროვანი პროცედურის“ გარანტია თავისთავად არ კრძალავს სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების არსებითი ინტერესების ხელისუფლების მიერ წართმევას, არამედ მხოლოდ ისეთ წართმევას, რომელიც ამ გარანტიის პროცედურულ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. როგორც აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა: „ჯეროვანი პროცედურის გარანტიის საპროცესო ასპექტის წესები გამიზნულია დაცვან პირები არა სიცოცხლის, თავისუფლების ან საკუთრების წართმევისგან, არამედ მათი გაუმართლებლად და შეცდომით წართმევისგან“.<sup>274</sup>

## 2.1 თავისუფლების ინტერესი

თავისუფლების ინტერესი ძალიან ფართო არსებით სფეროს მოიცავს და უკავშირდება როგორც საკუთრების ისე სიცოცხლის სფეროებს. არსებული იურისპრუდენციის ანალიზის საფუძველზე, აკადემიურ ლიტერატურაში გამოყოფენ თავისუფლების ინტერესის შემდეგ ქვეკატეგორიებს: ა) ბუნებითი თავისუფლების ინტერესი -ფიზიკური თავისუფლების თვითნებური შეზღუდვისგან დაცვა; ბ) თავისუფლების სხვა ბუნებით-სამართლებრივი ინტერესები, როგორცაა მაგალითად საქმიანობის თავისუფლება; გ) სხვა არსებითი კონსტიტუციური უფლებებიდან გამომდინარე ინტერესები; დ) ე.წ. „პოზიტიური თავისუფლების ინტერესები“ ანუ საკანონმდებლო აქტების საფუძველზე წარმოშობილი „თავისუფლების ინტერესები“.<sup>275</sup>

## 2.2 საკუთრების ინტერესი

ტრადიციულად „ჯეროვანი პროცედურის“ კლაუზულის მიზნებისთვის საერთო სამართალში აღიარებული საკუთრების უფლებები მიიჩნეოდა როგორც კლაუზულით დაცული საკუთრების ინტერესის არსებითი შემადგენელი ნაწილი. თუმცა საზოგადოებაზე სახელმწიფოს რეგულაციური ტვირთის მნიშვნელოვანმა ზრდამ და ეკონომიკაზე სახელმწიფო კონტროლის გაფართოებამ გამოიწვია საკუთრების ტრადიციული ცნებების გადაფასება, მათ შორის, „ჯეროვანი პროცედურის“ კლაუზულის მიზნებისთვისაც.

274 Carey v. Phipus, 435 U. S. 247, 435 U. S. 259 (1978)

275 Ann Woolhandler, Procedural Due Process Liberty Interests, 43 Hastings Const. L.Q. 811, 860 (2016).

მე-20 საუკუნის დასაწყისისთვის, აშშ-ის კონსტიტუციური იურისპრუდენცია ეყრდნობოდა დოქტრინულ განსხვავებას უფლებასა და პრივილეგიას შორის. მაგალითისთვის, თვით საჯარო ხელისუფლების მიერ პოლიციელად დასაქმებაც კი არ წარმოშობდა პირისათვის რაიმე უფლებრივ ინტერესს (თუნდაც მისაღები შრომის ანაზღაურების სახით). როგორც მოსამართლე ჰოლმსმა აღნიშნა საქმეში *მაკაულიფი ახალი ბედფორდის მერის წინააღმდეგ*, მოსარჩელეს არ ჰქონდა „კონსტიტუციური უფლება ყოფილიყო პოლიციელი“.<sup>276</sup>

მე-20 საუკუნის 70-იანი წლებისთვის, „ჯეროვანი პროცედურის“ ახალი სტანდარტების ჩამოყალიბების კვალდაკვალ, შეუძლებელი იყო ამ დოქტრინული განსხვავების შენარჩუნება. რეგულატორული და ადმინისტრაციული სახელმწიფოს გაფართოებამ ადამიანთა ეკონომიკური საქმიანობა და სარჩოს მოპოვება სახელმწიფოს ძალაუფლებაზე კიდევ უფრო მეტად დამოკიდებული გახადა. ამის გათვალისწინებით, სასამართლომ სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობა იმდენად არსებითად დაკავშირებულად მიიჩნია ადამიანების მიერ სასიცოცხლო ეკონომიკური/პროფესიული საქმიანობის განხორციელებასთან (კონკრეტულ საქმეში, სასულიერი პირს ავტომანქანა ესაჭიროებოდა სხვადასხვა ქალაქში მცხოვრები მრევლის ყოველდღიურად მოსანახულებლად), რომ მისი ქონა „საკუთრების ინტერესს“ მიაკუთვნა და ჩამორთმევის პროცესზე „ჯეროვანი პროცედურის“ კლაუზულის მოთხოვნები გაავრცელა.<sup>277</sup>

კეთილდღეობის სახელმწიფოს პროგრამების მომრავლებასთან ერთად, აშშ-ის უზენაესი სასამართლო მივიდა იმ აუცილებლობამდე, რომ სახელმწიფოსგან მისაღები ფულადი სარგებელი, არა მხოლოდ დასაქმებულის შრომის ანაზღაურება, არამედ ფულადი დახმარებაც მოექცია „საკუთრების ინტერესის“ ცნების ქვეშ. საბოლოოდ, „მოთხოვნის უფლება სახელმწიფო სარგებელზე“ (entitlement) შესაძლოა მოექცეს „საკუთრების ინტერესის“ ქვეშ.

თუმცა იმისათვის რომ „მოთხოვნა სახელმწიფო სარგებელზე“ ლეგიტიმურად ჩაითვალოს, სასამართლოს მოთხოვნით ცალკეული კრიტერიუმები უნდა დაკმაყოფილდეს. სასამართლოს მიხედვით, ამისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ ცალმხრივი აბსტრაქტული სურვილი საჭიროება ან მოლოდინი. როგორც სასამართლომ აღნიშნა: „საკუთრების ინტერესები, რა თქმა უნდა არ იქმნება კონსტიტუციის მიერ. არამედ ისინი იქმნებიან და მათი ფარგლები განისაზღვრება არსებული წესებითა და მათი გაგებით, რომლებიც მომდინარეობენ დამოუკიდებელი წყაროსგან, როგორიცაა მაგალითად შტატის

276 McAuliffe v. Mayor of New Bedford, 155 Mass. 216, 220, 29 N.E.2d 517, 522 (1892).

277 Bell v. Burson, 402 U.S. 535 (1971).

კანონმდებლობა. ეს წესები და მათი გაგება უზრუნველყოფენ ცალკეულ სარგებელს და აფუძნებენ მოთხოვნებს ამ სარგებლის მიღებაზე“.<sup>278</sup>

## 2.3 სიცოცხლის ინტერესი

ამშ-ის უზენაესი სასამართლო თავს იკავებს „სიცოცხლის“ ამომწურავი განმარტებისგან. სიცოცხლის ინტერესსაც სასამართლოს „ჯეროვანი პროცედურის“ პროცესუალური გარანტიის იურისპრუდენციის შედარებით მცირე ნაწილი უჭირავს. სიცოცხლის „ნართმევის“ ყველაზე ცხად შემთხვევაში, სიკვდილით დასჯის საქმეებთან მიმართებით, სასამართლო თავის სტანდარტებს ძირითადად მე-8 შესწორების (სასტიკი და უჩვეულო სასჯელის აკრძალვა) ავითარებს.<sup>279</sup>

ამის მიუხედავად, სიკვდილით დასჯის შესახებ ცალკეულ საქმეებში სასამართლო მერვე შესწორებასთან ერთად ეყრდნობოდა „ჯეროვანი პროცედურის“ კლაუზულასაც სიცოცხლის ინტერესზე მითითებით. „ჯეროვანი პროცედურის“ გარანტიები განსაკუთრებით ძლიერია სისხლის სამართლის პროცესში იმ საქმეებში, სადაც სიკვდილით დასჯა არის გათვალისწინებული სასჯელად. თუმცა სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოტანის შემდეგ, სააპელაციო სტადიებზე „ჯეროვანი პროცედურის“ გარანტიების მოქმედება სუსტდება. „სიკვდილით დასასჯელთა რიგში“ განწესებული მსჯავრდებული ინარჩუნებს „რეზიდუალურ“ სიცოცხლის ინტერესს, თუმცა ამ ინტერესის ძირითადი ნაწილი სასიკვდილო განაჩენის საფუძველზე მის მიმართ მოქმედებას წყვეტს.<sup>280</sup>

სიკვდილით დასჯის მიღმა, აბორტის კონტექსტში სასამართლომ უარი თქვა ჩანასახის ინდივიდუალური სიცოცხლის ინტერესის აღიარებაზე და „ჯეროვანი პროცედურის“ პროცესუალური გარანტიების გამოყენებაზე.<sup>281</sup> პასიური ევთანაზიის შემთხვევაში, კი სასამართლომ აღიარა „სიცოცხლის ინტერესის“ არსებობა და „ჯეროვანი პროცედურის“ პროცესუალური გარანტიების რელევანტურობა.<sup>282</sup>

278 Board of Regents of State Colleges v. Roth, 408 U.S. 564 (1972).

279 Rhonda Wasserman, Procedural Due Process: A Reference Guide to the United States Constitution, (2004), p.32.

280 Ohio Adult Parole Authority v. Woodard, 523 U.S. 272 (1998).

281 Roe v. Wade, 410 U.S. 113 (1973).

282 Cruzan v. Director, Missouri Dept. of Health, 497 U.S. 261 (1990).

### 3. დაბალანსების ტესტი „ჯეროვანი პროცედურის“ განსასაზღვრად

დაბალანსების ტესტი, რომელიც მოქმედი კონსტიტუციური პრეცედენცია და რომლის საფუძველზე ხდება იმის განსაზღვრა, კონკრეტულ კონტექსტში რა არის „ჯეროვანი პროცედურა“ აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ დასრულებული ფორმით 1976 წლის გადანყვეტილებაში *მეთიუსი ელდრიჯის წინააღმდეგ* ჩამოაყალიბა.<sup>283</sup> მეთიუსის კონტექსტი ადმინისტრაციული და კეთილდღეობის სახელმწიფო, კერძოდ კი შეზღუდული შესაძლებლობის პირთა სახელმწიფო დახმარების პროგრამის ადმინისტრირება იყო. ფედერალური ბიუჯეტიდან დაფინანსებულ პროგრამას ფედერალური და შტატის ხელისუფლების ორგანოები ერთად უწევდნენ ადმინისტრირებას.

მოსარჩელეს მიაჩნდა, რომ მისთვის შეზღუდული შესაძლებლობის პირთათვის განკუთვნილი სახელმწიფო დახმარების შეწყვეტის შესახებ გადანყვეტილების მიღება ისე, რომ არ გაიმართა შესაბამისი მოსმენა, სადაც მტკიცებულებების გამოკვლევა უნდა მომხდარიყო არღვევდა „ჯეროვანი პროცედურის“ კლაუზულის პროცედურულ ასპექტს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოცემულ შემთხვევაში ხელმისაწვდომი იყო შემდგომი სასამართლო კონტროლი ადმინისტრაციულ სასამართლოებში. სარჩელი დაკმაყოფილების შემთხვევაში მოსარჩელე მიიღებდა უკანონოდ შეწყვეტილი დახმარების მთელ ოდენობას.

„ჯეროვანი პროცესის“ კლაუზულით დაცული არსებითი ინტერესის წართმევის შემდგომი სასამართლო კონტროლი ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია, რომ მიჩნეულ იქნეს როგორც საკმარისი „კონსტიტუციურად ჯეროვნად“ დასაკვალიფიცირებლად. თუმცა როდესაც მოსარჩელე დავობს თავად ამ ინტერესის შელახვამდე პროცესზე, განსაკუთრებით კი იმ პროცედურაზე, რომლის საშუალებითაც ისინი ილახება პასუხი დაბალანსების ტესტის შედეგზე დამოკიდებული და შემდგომი სასამართლო კონტროლის არსებობა ისევე როგორც შელახული ინტერესის რესტიტუციის შესაძლებლობა შეიძლება არ იყოს საკმარისი იმისათვის რომ წართმევის დროს პროცედურული დეფექტი გადანონოს.

მეთიუსის საქმემდე, ცენტრალური პრეცედენტი იყო უზენაესი სასამართლოს გადანყვეტილება საქმეზე *გოლდბერგი კელის წინააღმდეგ*.<sup>284</sup> ამ საქმეში ზოგადად სახელმწიფო შემწეობის მიღების საკითხზე სავალდებულო პროცედურები იყო დასადგენი. გოლდბერგის სტანდარტით, შემწეობის

283 Mathews v. Eldridge, 424 U.S. 319 (1976).

284 Goldberg v. Kelly, 397 U.S. 254 (1970)

შენწყვეტის საკითხთან დაკავშირებით აუცილებელი იყო ზეპირი მოსმენის ჩატარება და მტკიცებულებების წარდგენა-გამოკვლევა. მეთიუსის საქმეში, ქვემდგომმა ფედერალურმა სასამართლოებმა სწორედ გოლდბერგის სტანდარტი გამოიყენეს და ზეპირი მოსმენისა და მტკიცებულებების გამოკვლევის არარსებობა მიიჩნიეს „ჯეროვანი პროცესის“ კონსტიტუციური მოთხოვნების დარღვევად.

შესაბამისად, აშშ-ის უზენაეს სასამართლოს მეთიუსის საქმეში მოუწია არა მხოლოდ ამ საქმის გარემოებების გამორჩევა გოლდბერგისგან, არამედ არსებითად დახვეწა დაბალანსების ტესტის ელემენტებისა, რაც საფუძვლად დაედო მეთიუსის საქმის გადაწყვეტასაც. სასამართლოს მთავარი დაზუსტება გამოსაყენებელ სტანდარტში იყო ის, რომ გოლდბერგში დადგენილი „სასამართლო განხილვასთან ძალიან ახლოს მყოფი“ მოსმენის ჩატარება კეთილდღეობის სახელმწიფოს კონტექსტში ყველა შემთხვევაში არ იყო კონსტიტუციურად სავალდებულო.

მეთიუსში კვლავ იქნა გამეორებული რომ: „ეს სასამართლო თანმიმდევრულად ადგენდა, რომ მოსმენის რალაც ფორმა არის აუცილებელი მანამ სანამ ინდივიდს საბოლოოდ წაართმევენ საკუთრების ინტერესს“. სასამართლომ ასევე ყურადღება გაამახვილა ამ კონსტიტუციური მოთხოვნის შინაარსობრივ მნიშვნელობაზე. „ჩვენი საზოგადოების საბაზისო პრინციპია უფლება მოგისმინონ მანამ, სანამ მოგისჯიან ნებისმიერი სახის დიდ ზიანს, მაშინაც როდესაც ეს არ მოიცავს სისხლისსამართლებრივი მსჯავრდების სტიგმასა და სირთულეებს“.<sup>285</sup>

აქვე აღინიშნა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ზოგადი სტანდარტი. „ჯეროვანი პროცესის“ ფუნდამენტური მოთხოვნაა შესაძლებლობა მოგისმინონ „შესაფერის დროს და შესაფერისი ფორმით“. ამ ზოგადი სტანდარტის გამეორებასთან ერთად, სასამართლომ მოიყვანა გადაწყვეტილებები, სადაც მოსმენაზე მტკიცებულებების გამოკვლევა და სასამართლოსთან მიახლოებული პროცესი არ იყო ის რასაც „ჯეროვანი პროცესის“ კლასიკური მოითხოვდა.

შესაბამისად, სასამართლომ აღნიშნა, რომ ტრუიზმია ის რომ „ჯეროვანი პროცესი განსხვავებით სხვა სამართლებრივი წესებისგან არ არის ტექნიკური ცნება რომელსაც განსაზღვრული შინაარსი აქვს დროის, ადგილის და გარემოებების მიუხედავად“.<sup>286</sup> სასამართლოსვე მოსაზრებით, „ჯეროვანი პროცესი მოქნილი ცნებაა და მოითხოვს იმგვარ პროცედურული დაცვის გარანტიებს, რასაც კონკრეტული სიტუაცია ითხოვს“. „ამრიგად, იმ საკითხის

285 Mathews, Supra.

286 Ibid.

გადანყვეტა კონსტიტუციურად საკმარისია თუ არა ამ საქმეში მოყვანილი ადმინისტრაციული პროცედურები, მოითხოვს იმ კერძო და სახელისუფლებო ინტერესების ანალიზს რომელზეც ისინი ახდენენ გავლენას“.<sup>287</sup>

მეთიუსის საქმეში სასამართლომ შემდეგნაირად ჩამოაყალიბა დაბალანსების ტესტის სამი ძირითადი კომპონენტი. „ჯეროვანი პროცესის სპეციფიკური მოთხოვნების იდენტიფიკაცია ზოგადად მოითხოვს განხილული იყოს სამი განსხვავებული ფაქტორი: პირველი, კერძო ინტერესი რომელზეც გავლენა უნდა მოახდინოს სახელისუფლებო მოქმედებამ; მეორე, გამოყენებული პროცედურების მეშვეობით ამ ინტერესის მცდარად შელახვის რისკი და დამატებითი/ჩამანაცვლებელი პროცედურების, თუ ასეთი არსებობს შესაძლო ღირებულება და ბოლოს, ხელისუფლების ინტერესი, შესაბამისი ფუნქციის ბუნების ჩათვლით, ასევე ფისკალური და ადმინისტრაციული ტვირთი რომელიც მოყვება დამატებით და ჩამანაცვლებელ პროცედურებს“.<sup>288</sup>

აღნიშნული დაზუსტებული სტანდარტის საფუძველზე შემომწმების შედეგად, სასამართლომ პირველივე ასპექტში გამიჯნა მეთიუსის საქმე გოლდბერგის საქმისგან. გოლდბერგის საქმეში, სახელმწიფო დახმარებას მიმღები ფინანსური საჭიროების საფუძველზე იღებდა, შემოსავლის გარეშე ყოფნის გამო. შესაბამისად, როგორც სასამართლომ გოლდბერგის საქმეშივე აღნიშნა: „უმთავრესი ფაქტორი ამ კონტექსტში, ფაქტორი რომელიც არ გხვდება თითქმის არც ერთ სხვა შემთხვევაში, როდესაც ხელისუფლებისგან მისაღები სარგებელი ნყდება არის ის, რომ ამ შემთხვევაში დახმარების შეწყვეტამ დავის გადანყვეტამდე იმაზე ეკუთვნის თუ არა პირს დახმარება, ისეთ მიმღებს რომელსაც ეს დახმარება ეკუთვნის შეიძლება წაართვას სიცოცხლისთვის აუცილებელი სახსრები სანამ ის გადანყვეტილებას ელოდება“.<sup>289</sup>

მეთიუსის საქმეში, დროებითი შრომისუუნარობის საფუძველზე გასაცემი დახმარება, არ იყო დაფუძნებული მიმღების ფინანსურ საჭიროებაზე. იგულისხმებოდა, რომ მიმღებს ჰქონდა სხვა ქონება/შემოსავალიც და მისი ცხოვრება არ იყო სრულად დამოკიდებული ამ დახმარებაზე. ამრიგად, როგორც შესაბამისი არსებითი ინტერესის ბუნება ასევე ამ ინტერესის თვითნებური/გაუმართლებელი შელახვიდან გამომდინარე რისკებიც მნიშვნელოვანი ფაქტორი შეიძლება იყოს. სასამართლოსთვის, გოლდბერგის საქმესთან შედარებით, მეთიუსის საქმეში ასეთი რისკი გაცილებით დაბალი იყო.

სასამართლომ გაითვალისწინა, რომ დროებითი შეზღუდული შესაძლებლობის/შრომისუუნარობის დროს, დახმარების მიმღებს ასევე ჰქონდა შე-

287 Ibid.

288 Ibid.

289 Goldberg, Supra.

მოსავლის სხვადასხვა პოტენციური წყაროები. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ კიდევ უფრო ნაკლები გამართლება არსებობდა გოლდბერგის გამონაკლისის გამოსაყენებლად იმ ზოგადი წესიდან, „რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებებითაა დამკვიდრებული, რომ პირისთვის ზიანის მომტანი ადმინისტრაციული მოქმედების წინ, მტკიცებულების განხილვით ჩატარებულ მოსმენაზე ნაკლები პროცედურა არის საკმარისი“.

დაბალანსების ტესტის მეორე ფაქტორის ანონვისას, სასამართლოს უნევს ზედმინევნით შეაფასოს კონკრეტული პროცედურების კონტექსტი, იმსჯელოს ამ პროცედურების სამართლიანობაზე როგორც დამოუკიდებლად ასევე შედარებით იმ ალტერნატიულ პროცედურებთან, რომელსაც მოსარჩელე ითხოვს დამატებით, ან როგორც ჩამანაცვლებელ პროცედურას. გოლდბერგის საქმის გარემოებებში, მნიშვნელოვანი იყო ის, რომ საჭიროების განსაზღვრა, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა დახმარების გაცემის საკითხი, მოითხოვდა მრავალფეროვანი ინფორმაციის განხილვა-გამოკვლევას, ისევე როგორც მოწმეთა გამოკითხვას, რომელთა დამაჯერებლობისა და სანდოობის განსაზღვრა ხშირად გადამწყვეტი ფაქტორი იყო გადაწყვეტილების მისაღებად.

შემოსავლის არქონის გამო დახმარების გაცემის კონტექსტი, განსხვავდებოდა მეთიუსის საქმეში დროებითი შეზღუდული შესაძლებლობის დახმარების გაცემის კონტექსტისგან. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ძირითადი გადაწყვეტილების მიღება წერილობით გაცემული სამედიცინო დასკვნების საფუძველზე ხორციელდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია ეს სამედიცინო დასკვნები იშვიათ შემთხვევაში სადავო გამხდარიყო და შესაძლოა დამაჯერებლობისა და სანდოობის საკითხით დამდგარიყო, თუმცა მხოლოდ გამონაკლის საქმეებში. სასამართლოს დასკვნით: „პროცედურული ჯეროვანი პროცესის წესები იქმნება იმ რისკის გათვალისწინებით რომელიც თავისთავად ახასიათებს ქეშმარიტების დადგენის პროცესს და რომელიც ვრცელდება ზოგადად და არა იშვიათ გამონაკლის საქმეებზე. შესაბამისად, მტკიცებულების გამოკვლევით მოსმენის ან თუნდაც ზეპირი მოსმენის ჩატარების შესაძლო ღირებულება გადაწყვეტილების მიმღებისთვის არსებითად დაბალია გოლდბერგის საქმესთან შედარებით“.<sup>290</sup>

დაბალანსების ტესტის მესამე ელემენტი, უკვე სახელისუფლებო ინტერესის, კერძოდ კი ხელისუფლების მიერ დამატებითი/ჩამანაცვლებელი პროცედურების განხორციელების ადმინისტრაციული და ფინანსური ტვირთია. აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მოსაზრებით: „მხოლოდ ფინანსურ დანახარჯს არ გააჩნია გადამწყვეტი წონა იმის განსაზღვრისას, მოითხოვს თუ არა

290 Mathews, Supra.

კონსტიტუციური 'ჯეროვანი პროცესი' კონკრეტულ პროცედურული დაცვის საშუალებას რომელიმე ადმინისტრაციული გადაწყვეტილების მისაღებად. თუმცა ხელისუფლების და შესაბამისად საზოგადოების ინტერესი დაზოგონ მწირი ფისკალური და ადმინისტრაციული რესურსები არის ფაქტორი, რომელიც ასევე უნდა შენონილი იყოს გადაწყვეტილების მიღებისას".<sup>291</sup>

უზენაესი სასამართლო არ შესულა მხარეების მიერ წარმოდგენილი ფინანსური დათვლების სიღრმისეულ განხილვაში. სასამართლოსთვის ცხადი იყო, რომ მოსმენების რაოდენობის გაზრდა, ისევე როგორც შემწეობის გადახდის გაგრძელება მოსმენის მიმდინარეობისას მნიშვნელოვან ფულად და ადმინისტრაციულ ტვირთს მოიტანდა. შესაბამისად, სასამართლოს დასკვნით, მეთიუსის საქმეში შეზღუდული შესაძლებლობის კომპენსაციის შეწყვეტა არ საჭიროებდა მტკიცებულებების გამოკვლევით მოსმენის ჩატარებას, კონსტიტუციის „ჯეროვანი პროცესის“ კლაუზულის თანახმად.

სასამართლოს მიერ ამ გადაწყვეტილების მიღება ეფუძნებოდა ბალანსს, მის მიერ ჩამოყალიბებული ტესტის სამივე ელემენტის მიხედვით. კერძოდ, სასამართლოს აზრით, შეზღუდული შესაძლებლობის გამო გაცემული დახმარების უსამართლოდ წართმევის რისკი ვერ გადაწონდა ამ დახმარების შეწყვეტის პროცედურად მტკიცებულების გამოკვლევით მოსმენის გათვალისწინების დაბალ ღირებულებას ამ რისკის ასარიდებლად, ხოლო შესაძლო ადმინისტრაციული და ფინანსური ტვირთი კი კერძო ინტერესის მიერ მისაღებ სარგებელზე აღმატებული იყო.

მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ ამ ფაქტორს სასამართლო დამოუკიდებლად იკვლევს და აწონის, თითოეულისთვის მინიჭებულ წონას გავლენა აქვს საბოლოო ბალანსზეც და სხვა ფაქტორის წონასა და შეფასებაზეც. იქ სადაც კონსტიტუციით დაცული არსებითი ინტერესის შელახვის რისკი მნიშვნელოვნად მაღალია, მხოლოდ მაღალ ადმინისტრაციულ და ფისკალურ ტვირთს არ შეუძლია გადაწონის უფრო ძლიერი პროცედურული დაცვის გარანტიების საჭიროება. თუმცა აქ მეორე ფაქტორიც აუცილებლად უნდა დაკმაყოფილდეს – გაძლიერებულ პროცედურული დაცვის გარანტიები ღირებული უნდა იყოს არსებითი ინტერესის შელახვის თავიდან არიდების მიზნისთვის.

გაძლიერებულ პროცედურული დაცვის გარანტიებზე მოსარჩელის მოთხოვნა ვერ კმაყოფილდება, თუ როგორც მეთიუსის საქმე გვიჩვენებს არსებითი ინტერესის შელახვის რისკები დაბალია და შემოთავაზებულ პროცედურებსაც არ შეუძლიათ ამ რისკების თავიდან არიდების მიზნის

291 Ibid.



მიღწევა. ასეთ დროს, როგორც მეთიუსში ვიხილეთ, მნიშვნელოვანი და წონადი ხდება ფისკალური და ადმინისტრაციული ტვირთი, რომელიც ამ პროცედურების იმპლემენტაციას სჭირდება.

კონკრეტულ სამართლებრივ კონტექსტებში ბალანსირების ამ ელემენტების მოთხოვნები გადაითარგმნება კონკრეტულ კონტექსტუალურ არგუმენტებად. მაგალითად, მეთიუსის საქმეში, სასამართლოსთვის მნიშვნელოვანი იყო ის, რომ მტკიცებულების გამოკვლევით მოსმენების ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯები გაღებული უნდა ყოფილიყო სოციალური კეთილდღეობის საერთო ბიუჯეტიდან და შესაბამისად, იმათ მიმართ ვინც დახმარებას არ იმსახურებდა, პროცედურულ ნაწილში დახარჯული მნიშვნელოვანი სახსრები უნდა მოკლებოდა მათ ვისაც ეს დახმარება ეკუთვნის და ესაჭიროება.

სოციალური კეთილდღეობისა და ადმინისტრაციული სახელმწიფოს კონტექსტში კიდევ ერთი საკითხი რომელიც სასამართლომ მეთიუსის საქმეში წინა პლანზე წამოიწია, იყო ზოგადად ადმინისტრაციულ მოქმედებაზე სასამართლოს ტიპის პროცედურების სავალდებულოდ თავსმოხვევა. ამ მხრივ, სასამართლომ გაიმეორა ადმინისტრაციული სახელმწიფოს ლეგიტიმაციის და მისი კონსტიტუციური სისტემაში მოქცევის გამართლების თანმხლები არგუმენტები, კერძოდ იმის შესახებ, რომ ადმინისტრაციული ორგანოების ფუნქცია, ბუნება და სპეციფიკა ხშირად ვერ თავსდება სასამართლოს მუშაობის ფორმებსა და პროცედურებთან, შესაბამისად ამ უკანასკნელის სრული ტრანსპლანტაცია ადმინისტრაციული სახელმწიფოს კონტექსტში გაუმართლებელი იქნებოდა.

#### **4. „დამოუკიდებელი და ნეიტრალური გადაწყვეტილების მიმღები“, როგორც „ჯეროვანი პროცესის“ კონსტიტუციური მოთხოვნა**

როგორც წინა ნაწილის განხილვისას აღვნიშნეთ, კონსტიტუციურად „ჯეროვანი პროცედურის“ ცენტრში მოიაზრება შესაძლებლობა სათანადო დროს და სათანადო ფორმით მოსმენისა და შეტყობინებისა, როდესაც არსებითი კონსტიტუციური უფლებრივი ინტერესის ხელისუფლების მიერ შეზღუდვა დგას დღის წესრიგში. როგორც ვნახეთ, დაბალანსების ტესტი არ მოითხოვს, რომ ყველა შემთხვევაში აღნიშნული მოსმენა ზეპირად და წინასწარ გაიმართოს ან/და მტკიცებულებების სრულყოფილი გამოკვლევის ფორმა ჰქონდეს.

თუმცა მიუხედავად იმისა, თუ როგორია მოთხოვნილი პროცედურების მოცულობა და რა შეიძლება ჩაითვალოს „მოსმენად“ კონსტიტუციური

„ჯეროვანი პროცესის“ მიზნებისთვის, მან უნდა შეასრულოს უმთავრესი კონსტიტუციური მიზანი ამ გარანტიისა და თავიდან აიცილოს არსებითი უფლებრივი კონსტიტუციური ინტერესის გაუმართლებელი შელახვა. ეს მიზანი მიუღწეველი დარჩება, თუ გადანყვეტილების მიმღები არ იქნება ნეიტრალური და დამოუკიდებელი. ცალკეულ შემთხვევებში, სხვა პროცედურული ელემენტები არსებითად განსაზღვრავენ გადანყვეტილების მიმღების დამოუკიდებლობას, თუმცა ხშირ შემთხვევაში, ამგვარი არსებითი კავშირი არ არსებობს.

დაბალანსების ტესტის შემოღების შემდეგ, აშშ-ის უზენაეს სასამართლოს აკრიტიკებდნენ უფრო მეტად ინსტრუმენტალისტური და პრაგმატისტული მიდგომის დამკვიდრებისთვის, სადაც „ჯეროვანი პროცესის“ ღირებულებებზე მეტად აქცენტი ადმინისტრაციულ და ფისკალურ ხელსაყრელობაზე კეთდება. სასამართლოს ასევე საყვედურობდნენ, რომ გადანყვეტილების მიმღების ნეიტრალურობასა და დამოუკიდებლობას არასაკმარისად უსვამდა ხაზს და არ გამოყოფდა როგორც „ჯეროვანი პროცესის“ ცენტრალურ კონსტიტუციურ ღირებულებად.<sup>292</sup>

თუმცა მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ როგორც მეთიუსის ისე შემდგომ საქმეებში, გადანყვეტილების მიმღების ნეიტრალობა და დამოუკიდებლობა თუ წინა პლანზე არ წამოინეოდა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ნაგულისხმევად მიღების კარგად დასაბუთებული ვარაუდი არსებობდა. მეთიუსის საქმეში სასამართლოს სპეციალურად გამოყო იმ ადმინისტრაციული თანამდებობის პირების „კეთილსინდისიერი განსჯა“, რომლებსაც კონგრესმა სახელმწიფო დახმარებების ადმინისტრირება კანონით მიანდო.

იმის მიუხედავად, „ჯეროვანი პროცესის“ მოთხოვნების შეფარდება სასამართლო კონტექსტში ხდება თუ არასასამართლო, „მოსმენა“ რომ ნეიტრალურ და დამოუკიდებელ არბიტრს მიემართება ნაგულისხმევად და მიღებული. დამოუკიდებლობის მოთხოვნა მხოლოდ სასამართლო ორგანოებზე არ ვრცელდება, თუმცა მათ შემთხვევაში დამოუკიდებლობა ხშირად უბრალოდ ნაგულისხმევაა. ეს არ ნიშნავს, რომ არასასამართლო კონტექსტებში დამოუკიდებლობის მოთხოვნა არ არსებობს. თუმცა ასეთ კონტექსტებში პროცედურული მოთხოვნების გამკაცრება აისახება დამოუკიდებლობის მოთხოვნაზეც.

ჰამდი რამსფელდის წინააღმდეგ, ამ საუკუნეში აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული ერთ-ერთი ყველაზე წინააღმდეგობრივი გადანყ-

292 Redish and Marshall, *Supra*.

ვეტილებათა საზოგადოებრივი აზრის მხრივ.<sup>293</sup> საქმე შეეხება ე.წ. „ტერორიზმის წინააღმდეგ ომის“ სპეციფიკურ კონტექსტს, რომელშიც აშშ ჩართული აღმოჩნდა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტების საპასუხოდ. ჰამდი აშშ-ის მოქალაქე გახლდათ, რომელიც შეიპყრეს და როგორც „მტრის მებრძოლი/კომბატანტი“ განუსაზღვრელი ვადით დააკავეს აშშ-ის საზღვრებს მიღმა.

ჰამდის სარჩელის ერთ-ერთი მთავარი კონსტიტუციური საკითხი შეეხებოდა იმას, შეეძლო თუ არა მას „მტრის კომბატანტად“ მისი დაკავების და ასეთად კლასიფიკაციის საკითხი გაესაჩივრებინა და რა იქნებოდა ასეთ დროს კონსტიტუციურად სავალდებულო „ჯეროვანი პროცედურა“. მნიშვნელოვანია, რომ მხარეები სადავოდ არ ხდიდნენ იმას რომ ჰამდისთვის როგორც აშშ-ის მოქალაქისთვის ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო *habeas corpus* გარანტიის საფუძველზე ფედერალურ სასამართლოებში მისი დაკავების გასაჩივრების შესაძლებლობა.

ამის მიუხედავად, *habeas corpus*-ის შემონმების ფარგლებში, ღია იყო საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი პროცედურა იყო კონსტიტუციურად ჯეროვანი. აღმასრულებელი ხელისუფლების არგუმენტი ეფუძნებოდა პრეზიდენტის როგორც უმაღლესი მთავარსარდლის კონსტიტუციურ უფლებამოსილებებს საომარ მდგომარეობაში და ამტკიცებდა, რომ შეპყრობის შემდეგ სამხედრო თანამდებობის პირების მიერ „მტრის კომბატანტის“ სტატუსის მინიჭება კონსტიტუციურად საკმარისი „ჯეროვანი პროცესი“ იყო მათი განუსაზღვრელი ვადით დასაკავებლად.

ხელისუფლების წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, რომ კონსტიტუციური პრინციპები, როგორიცაა ხელისუფლების დანაწილება, მოითხოვდა ომის წარმოებაში აღმასრულებელი ხელისუფლების განსაკუთრებული როლისა და ფუნქციის აღიარებას. შესაბამისად, ისინი ამტკიცებდნენ, რომ სასამართლოს მიერ „მტრის კომბატანტების“ დაკავების კანონიერების კონტროლი მაქსიმალურად შეზღუდული უნდა ყოფილიყო და ყველაზე მეტი, დაფუძნებოდა „რაიმე მტკიცებულების“ წარმოდგენის სტანდარტს.

ჰამდის საქმეში უზენაესმა სასამართლომ უარყო ეს არგუმენტაცია. სასამართლომ გამოიყენა მეთიუსის დაბალანსების ტესტი და დაასკვნა, რომ არც ხელისუფლების და არც ქვემდგომი სასამართლოს მიერ შემოთავაზებული პროცედურები არ აკმაყოფილებდა კონსტიტუციით განსაზღვრულ ბალანსს. ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი პროცედურები შეუსაბამოდ ზრდიდა თავისუფლების თვითნებური შეზღუდვის რისკებს, მოსარჩელისა

293 Hamdi v. Rumsfeld, 542 U.S. 507 (2004)

და პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ წარმოდგენილი სასამართლო დაცვის გარანტიები კი არასათანადო ტვირთს აწესებდა ომში ჩართული აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის ისე, რომ ამ ტვირთის დაწესებით ნაკლები ღირებულება იქმნებოდა ადამიანის კონსტიტუციური ინტერესების დაცვის კუთხით.

ჰამდის საქმეში, სასამართლო შეეცადა დაებლანსებინა ორი ძლიერი კონკურენტული ინტერესი. ერთი მხრივ, მოქალაქის თავისუფლების საბაზისო ინტერესი (თავისუფლება ფიზიკური ხელშეუხებლობის თვითნებური დარღვევისგან), ხოლო მეორე მხრივ, „ტერორიზმის წინააღმდეგ ომის“ სპეციფიკური კონტექსტი და ხელისუფლებისთვის შეუსაბამო ტვირთის დაწესებისგან თავის არიდების იმპერატივი. შედეგად, როგორც დაბალანსებისას უმეტესად ხდება ხოლმე ვერც ერთი ეს პრინციპი და ღირებულება სათანადოდ და სრულად ვერ იქნა დაცული.

ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ სასამართლომ დასაშვებად მიიჩნია ირიბი მტკიცებულებების გამოყენება დაკავების დასასაბუთებლად, ისევე როგორც ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების სასარგებლოდ პრეზუმფციის არსებობა იმ დათქმით, რომ ეს პრეზუმფცია გაბათილებადია დაკავებულის მიერ, რაც თავის მხრივ მტკიცების ტვირთის დაკავებულზე გადატანის დასაშვებად აღიარებას ნიშნავს.

თუმცა სასამართლომ ასევე დაუშვებლად მიიჩნია, როგორც სასამართლო კონტროლის დაბალი, „რაიმე მტკიცებულების“ სტანდარტი ისევე, დაკავების კანონიერების შემოწმების პირველადი პროცედურა. სწორედ ამ პროცედურასთან მიმართებით მოუწია სასამართლოს ემსჯელა დამოუკიდებელ გადანყვეტილების მიმღებზე როგორც „ჯეროვანი პროცესის“ კონსტიტუციური გარანტიის ცენტრალურ ღირებულებაზე.

სასამართლოს დასკვნით: „დაკავებულ მოქალაქეს რომელსაც სურს გაასაჩივროს საკუთარი კლასიფიკაცია როგორც „მტრის კომბატანტი“ უნდა შეატყობინონ მისი კლასიფიკაციის ფაქტობრივი საფუძვლის შესახებ და მისცენ სამართლიანი შესაძლებლობა გააბათილოს ხელისუფლების ფაქტობრივი მტკიცებები ნეიტრალური გადანყვეტილების მიმღების წინაშე“. სასამართლო მოიხმობს დადგენილ კონსტიტუციურ სტანდარტს, რომ „ჯეროვანი პროცესი მოითხოვს პირველ რიგში ნეიტრალურ და მიუკერძოებელ მოსამართლეს“.<sup>294</sup>

სასამართლოს დასკვნით: „კონსტიტუციურად ნაკლოვანი ნებისმიერი პროცესი, სადაც აღმასრულებელი ხელისუფლების ფაქტობრივი მტკიცებები

294 ციტირებს -Ward v. Monroeville, 409 U. S. 57, 61–62 (1972)

სრულად წინააღმდეგობის გარეშეა გაზიარებული ან უბრალოდ არსებობს მათი სისწორის პრეზუმფცია, სადაც (მტრის) კომბატანტად ნავარაუდევ პირს არ აქვს შესაძლებლობა საწინააღმდეგო დაამტკიცოს“. შესაბამისად უზენაესი სასამართლოსთვის მიუღებელია habeas corpus სასამართლო შემონმების სტადიაზე დაბალი მტკიცებითი სტანდარტის გამოყენება, როდესაც მოსარჩელეს არ ჰქონია წინა პროცესი სხვა ტრიბუნალის წინაშე და არ ჰქონია შესაძლებლობა ნეიტრალური გადანყვეტილების მიმღების წინაშე გაებათილებინა აღმასრულებელი ხელისუფლების ფაქტობრივი მტკიცებები.

უზენაესმა სასამართლომ ასევე უარყო ხელისუფლების არგუმენტი, რომ ჰამდის სამხედრო პირებთან დაკითხვის დროს ჰქონდა შესაძლებლობა გაებათილებინა ის ფაქტობრივი მტკიცებები რაც საფუძვლად დაედო მის „მტრის კომბატანტად“ კლასიფიკაციას. ამის პასუხად სასამართლომ განაცხადა რომ: „დაკითხვა მის მიერ ვინც შეგიპყრო, მიუხედავად იმისა რომ სადაზვერვო ინფორმაციის მოგროვების ეფექტური საშუალება შეიძლება იყოს, ვერანაირად ვერ აკმაყოფილებს კონსტიტუციურად ადეკვატური ნეიტრალური გადანყვეტილების მიმღების წინაშე ფაქტების დამდგენი პროცესის მოთხოვნებს“. ამ კუთხით, სასამართლომ კიდევ ერთხელ გაიმეორა შესაბამისი კონსტიტუციური სტანდარტები „დამოუკიდებელ გადანყვეტილების მიმღებთან“ მიმართებით: „ჯეროვანი პროცესის სამართლის საფუძველზე პირს აქვს უფლება ისეთ გადანყვეტილების მიმღებზე, რომელიც არ არის ისეთ მდგომარეობაში, სადაც არსებობს შესაძლო ცდუნება მოსამართლისთვის როგორც საშუალო ადამიანისთვის.. რომ ის ამ საქმეში წონასწორობას სუფთად, ქეშმარიტად და მშვენივრად არ შეინარჩუნებს“. სასამართლომ ასევე ყურადღება გაამახვილა რომ სხვა მხრივ სამართლიანი მსაჯულებიც კი ზოგადი წესის მიხედვით ექვემდებარებიან დისკვალიფიკაციას თუ მათ გააჩნიათ ინტერესი დავის შედეგში.<sup>295</sup>

შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ პროცესი რომელიც ჰამდის ჰქონდა მისი სტატუსის განსაზღვრისას არ შეესაბამებოდა „ჯეროვანი პროცესის“ კონსტიტუციურ მოთხოვნებს. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ შესაძლოა, სტატუსის პირველადი განსაზღვრისას სათანადო პროცედურებით შექმნილ და მოქმედ სამხედრო ტრიბუნალს დაეკმაყოფილებინა „ჯეროვანი პროცესის“ მოთხოვნები. თუმცა რამდენადაც ჰამდის მისი სტატუსის დადგენისას „ჯეროვანი პროცესი“ საერთოდ არ ჰქონდა მიღებული, მთელი პასუხისმგებლობა ამ პროცესის უზრუნველყოფისა იმ ფედერალურ სასამართლოებზე გადადიოდა, რომელთაც მისი habeas corpus-ის საჩივარი უნდა განეხილათ.

295 Tumey v. Ohio, 273 U. S. 510, 522 (1927).

## 5. „ჯეროვანი პროცესის“ მოთხოვნები გადაწყვეტილების მიმღების მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით

როგორც წინა განხილვაშიც გამოჩნდა, „ჯეროვანი პროცესის“ იურისპრუდენციაში „დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიმღების“ მოთხოვნა არსებითადაა დაკავშირებული მიუკერძოებლობის მოთხოვნასთან. როგორც უზენაესი სასამართლო აღნიშნავს: „სამართლიანი სასამართლო პროცესი სამართლიანი ტრიბუნალის წინაშე ჯეროვანი პროცესის საბაზისო მოთხოვნაა“.<sup>296</sup>

აღნიშნული მოთხოვნები ვრცელდება როგორც სასამართლოებზე ისე ადმინისტრაციულ ორგანოებზე რომელიც სასამართლო წესით გადაწყვეტილების მიღებით არიან დაკავებული.<sup>297</sup>

„მიკერძოებული გადაწყვეტილების მიმღები არა მხოლოდ კონსტიტუციურადაა მიუღებელი, არამედ ‘ჩვენი სამართლის სისტემა ყოველთვის მუშაობდა თავიდან აერიდებინა უსამართლობის შესაძლებლობაც კი.’<sup>298</sup> ამ მიზნის მიღწევის პროცესში გამოვლინდა სიტუაციები, რომელიც როგორც გამოცდილება გვასწავლის მოსამართლის ან გადაწყვეტილების მიმღების რეალური მიკერძოების აღბათობას იმდენად ამაღლებს რომ კონსტიტუციურად შეუწყნარებელს ხდის. ასეთ შემთხვევებს შორისაა მსაჯულის ქონებრივი დაინტერესება დავის შედეგში ან შემთხვევა როდესაც მსაჯული არის სამიზნე მხარის მიერ პიროვნული შეურაცხყოფის ან კრიტიკისა.

„მიუკერძოებლობის ძირეული განსაზღვრება გულისხმობს მიკერძოების არქონას პროცესის ნებისმიერი მონაწილის მიმართ. მიუკერძოებლობა ამ გაგებით გარანტიაა კანონის თანასწორი შეფარდებისა. უფრო ზუსტად, ეს არის გარანტია მხარისთვის, რომ მოსამართლე, რომელიც მის საქმეს მოისმენს კანონს მის მიმართაც ისევე გამოიყენებს როგორც სხვა მხარის მიმართ“.<sup>299</sup>

გადაწყვეტილებაში საქმეზე ვითრობა ლარკინის წინააღმდეგ,<sup>300</sup> უზენაეს სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა არის თუ არა საგამოძიებო და გადაწყვეტილების მიღების ფუნქციების გაერთიანება შეუსაბამო „ჯეროვანი პროცესიდან“ გამომდინარე მიუკერძოებლობის მოთხოვნებისა. სასამართლომ აღნიშნა რომ: „მტკიცებას, რომ საგამოძიებო და სასამართლო გადაწყვეტილების

296 In re Murchison, 349 U.S. 133, 136, 75 S.Ct. 623, 625, 99 L.Ed. 942 (1955).

297 Gibson v. Berryhill, 411 U.S. 564, 579, 93 S.Ct. 1689, 1698, 36 L.Ed.2d 488 (1973).

298 In re Murchison, supra, 349 U.S., at 136, 75 S.Ct., at 625; cf. Tumey v. Ohio, 273 U.S. 510, 532, 47 S.Ct. 437, 444, 71 L.Ed. 749 (1927).

299 Republican Party of Minnesota v. White, 536 U.S. 765 (2002)

300 Withrow v. Larkin, 421 U.S. 35 (1975).

მიღების ფუნქციების კომბინაცია აუცილებლად ქმნის მიკერძოების არაკონსტიტუციურ რისკს ადმინისტრაციულ სასამართლო წარმოებაში მტკიცების უფრო მძიმე ტვირთის დაძლევა სჭირდება. მას დასჭირდება დაძლიოს იმ პირთა პატიოსნებისა და წესიერების პრეზუმფცია რომლებიც მსაჯულეზად მსახურობენ და დამარწმუნებლად იმის დამტკიცება, რომ ადამიანური სისუსტეებისა და ფსიქოლოგიური ტენდენციების რეალისტური შეფასების საფუძველზე, ერთი და იმავე პირებისთვის საგამოძიებო და სამოსამართლო გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებების გადაცემა ქმნის რეალური მიკერძოების და წინასწარგანწყობის შექმნის იმგვარ რისკებს, რომ ეს პრაქტიკა უნდა აიკრძალოს ჯეროვანი პროცესის მოთხოვნების ადეკვატური განხორციელების მისაღწევად“.

გადაწყვეტილებაში საქმეში *ბრეისი გრემლის წინააღმდეგ*, სასამართლომ დაასკვნა რომ არსებობდა გონივრული საფუძველი მიკერძოებისა იმ მოსამართლის მიერ, რომელსაც მსჯავრი დასდეს ქრთამის აღებაში, სხვა საქმეებშიც სადაც მისი მიკერძოების შესახებ მტკიცებულებები არ არსებობდა.<sup>301</sup> ბრალდებულების საქმეებში, მოსამართლის მიერ ქრთამის აღება ან მიკერძოების სხვაგვარი დარღვევის ფაქტები არ იყო, თუმცა ბრალდებულებს ჰქონდათ ეჭვი რომ მოსამართლე მათ მიმართ შეიძლება განსაკუთრებით მკაცრი ყოფილიყო იმ საფუძველით რომ სხვა საქმეებზე მისი მიკერძოების მიმართ და მექრთამეობის შესახებ გაჩენილი ეჭვების გაქარწყლება ეცადა. სასამართლომ დაასკვნა, რომ ეს ეჭვი საკმარისი იყო მტკიცებულებების გამოკვლევისთვის, მიუხედავად იმისა რომ მცირე იყო შანსი მოსამართლის მიკერძოების მტკიცებულებების მოძიებისა.

## დასკვნა

წინამდებარე ნაწილის ანალიზით რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება შესაძლებელია. პირველ რიგში, აშშ-ის ფედერალური კონსტიტუციის სტრუქტურული კონსტიტუციური გარანტიების სიძლიერე განაპირობებს ფედერალური სასამართლოების კონტექსტში დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ღირებულებების განხორციელებაში უფლებათა ბილის არსებითი კონსტიტუციური დანაწესების შემავსებელ-დამხმარე როლს.

თუმცა კონსტიტუციის დეტალური სტრუქტურის მიღმა ინსტიტუციურ კონტექსტებში, როგორცაა მაგალითად ადმინისტრაციული და კეთილდღეობის სახელმწიფო, არსებით კონსტიტუციურ გარანტიებს, როგორცაა

301 Bracy v. Gramley, 520 U.S. 899 (1997).

„ჯეროვანი პროცედურის“ კლაუზულა გადამწყვეტი ფუნქცია გააჩნიათ იმ კონსტიტუციური მიზნების მისაღწევად, რასაც სასამართლო დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ინსტიტუციური ღირებულებები ემსახურებიან.

„ჯეროვანი პროცედურის“ კლაუზულის ეს შემავსებელი ფუნქცია, მიუხედავად მნიშვნელობისა პრობლემებსაც მოიცავს. დაბალანსების ტესტი, რომელსაც აშშ-ის უზენაესი სასამართლო იყენებს „ჯეროვანი პროცესის“ განსასაზღვრად ცალკეულ კონტექსტებში ზოგ შემთხვევაში უფრო კატეგორიული კონსტიტუციური დაცვის შესუსტების საფუძველი ხდება.

მაგალითისთვის, ეს ტენდენცია კარგად ჩანს, ჰამდის გადანყვეტილების ანალიზის საფუძველზე, სადაც დაბალანსების ტესტის გამოყენებამ შეასუსტა როგორც ფედერალური სასამართლოების *ჰაბეას ცორპუს* იურისდიქცია ისე *ჰაბეას ცორპუს* ის კონსტიტუციური გარანტიის ნვდომა- პრობლემა, რომელიც მიუხედავად წინგადადგმული ნაბიჯისა შემდგომ *ბუმედიენი ბუშის წინააღმდეგ* საქმეში ვერ გამოსწორდა სრულად.

შესაბამისად, აშშ-ის უზენაესი სასამართლოს იურისპრუდენციის ანალიზი გვიჩვენებს, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ღირებულებებს ესაჭიროებათ კონსტიტუციურ სტრუქტურაში მყარად განმტკიცება. პროცესუალურ და სამართლიანი სასამართლოს არსებით უფლებრივ გარანტიებს შეუძლიათ მხოლოდ შეავსონ ეს დაცვა თუმცა მათ სრულ ჩამნაცვლებლად ვერ გამოდგებიან.



**გამოცემის კოორდინატორები:**

რევაზ ხოფერია  
ანა მილაშვილი  
ირაკლი გვარამაძე

**კორექტორი:**

ირაკლი სულაბერიძე

**დაკაბადონება:**

ნატალია ლლონტი

თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების გამომცემლობა  
კახა ბენდუქიძის კამპუსი, დავით აღმაშენებლის ხეივანი 240  
0159 თბილისი, საქართველო  
ტელ.: +995 32 220 09 01  
[www.freeuni.edu.ge](http://www.freeuni.edu.ge) [www.agruni.edu.ge](http://www.agruni.edu.ge)  
Free and Agricultural Universities Press  
Kakha Bendukidze Campus, Alley David Aghmashenebeli 240  
Tbilisi 0159, Georgia, Tel.: +995 32 220 09 01



თავისუფალი და აგროარული  
უნივერსიტეტების გამომცემლობა  
FREE AND AGRICULTURAL  
UNIVERSITIES PRESS